


კუპლიკაციები გურიის სულიერი და
მატერიალური კულტურის ისტორიიდან



გურიის ნაჩსულიდან

გიორგი მაჩუკაძე

პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური
კულტურის ისტორიიდან

4

გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი

თბილისი. 2006



გიგო შარაშიძე

**გურიის
წარსულიდან**

(მოგონებანი. წერილები)

თბილისი. 2006

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და
შენიშვნები დაურთო **ილია თავბერიძემ**.
დიზაინი **ლუკა გოცირიძისა**.

წიგნი გამოიცა ბატონ **ზურაბ ჩხაიძის** შემწეობით.

ISSN 1512-4010

ISBN 99940-62-66-2 (მეოთხე ნაკვეთი)

© გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი. 2006

წინასიტყვა

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ) მშობლიურ სოფელ ბახვიში სკოლის დაარსება რომ გადაწყვიტა, მცოდნე, გამრჯე და პატიოსანი მასწავლებლის ძებნას შეუდგა. მას სურდა, სკოლას ისეთი წინამძღოლი ჰყოლოდა, რომელიც ეპისკოპოსის მიერ განათლების ამ ახალი კერისათვის დასახულ ამოცანას აღასრულებდა. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ტროიემ წმიდა ეპისკოპოსს გიგო შარაშიძის კანდიდატურა შესთავაზა. ამ დროისათვის იგი ბახვის მეზობელი სოფლის, ძიმითვის, სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და ექვსი წლის მანძილზე უკვე მოეპოვებინა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა, როგორც სოფელში, ისე საქართველოში.

გიგო შარაშიძემ ბახვის სკოლაში საქმიანობას 1874 წელს დაიწყო. მომდევნო წელს უკვე გაზეთი „დროება“ წერდა: „გურიაში ყველა სასოფლო შკოლებზედ და მე ვგონებ, სხვა უეზდების სასოფლო შკოლებზედაც უფრო დაწინაურებულია ბახვის საზოგადოების სასოფლო შკოლა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1874 წელს დააარსა თავისი ხარჯით“. („დროება“ 1875 წ. 21.III). ეს კორესპონდენცია გამონაკლისი არ გახლავთ. ბახვის სკოლის წარმატებებზე, იმდროინდელ ქართულ პრესაში, ხშირად იბეჭდებოდა მასალები.

გიგო შარაშიძე 1848 წლის 6 იანვარს დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ საყვავისტყეში. მცირე საოჯახო განათლების მიღების შემდეგ (ბებიამ ასწავლა წერა-კითხვა), იგი ცნობილი მეცნიერის ნიკო მარის მამამ, ჩოხატაურში შარაშიძეების მეზობელმა, იაკობ მარმა თავისთან წაიყვანა ქუთაისში და სამეურნეო სკოლაში ასწავლა. მოგვიანებით კი, მეზობელმა ვარციხეში, ანანოვების მამულში მოაწყო, სადაც უმძიმეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. მალე მასწავლებლობას მიჰყო ხელი და ძიმიტის დაწყებით სკოლაში დაიწყო საქმიანობა (1869 წ.). ექვსი წლის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ბახვის სკოლას ჩაუდგა სათავეში.

მისი ცხოვრების უდიდესი მონაკვეთი სწორედ, სოფელ ბახვთან და მის სკოლასთანაა დაკავშირებული. საქართველოში განათლების ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ამ დიდი პიროვნების დამსახურებას. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისაგან დალოცვილმა და მადლმოსილმა ამ კაცმა ნათელი კვალი დასტოვა საქართველოს განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

მის აღზრდილთაგან გერონტი ქიქოძე წერდა:

„ახლაც თვალწინ მიდგას სოფლის მასწავლებლის გიგო შარაშიძის მონუმენტური ფიგურა, მისი თმის და წვერის თეთრი აბრეშუმი, მისი შავგვრემანი სახე და ოდნავ ირონიული ტუჩების მოძრაობა. რა შრომისმოყვარე და სამართლიანი იყო, რა აკადემიური გარეგნობა

ჰქონდა! და ის მართლაც ნამდვილი აკადემიკოსი იყო, თუ ამ ცნებას პირვანდელი მნიშვნელობით გავიგებთ: იგი იყო... პრაქტიკული ზნეობის და ყოფაქცევის მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი“. (გ.ქიქოძე. მოგონებანი. განთიადიდან შუადღემდე. თბ. 1956. გვ. 7).

ქართული ეროვნული სულისკვეთების დამკვიდრება, ბრძოლა ცარიზმის მოხელეთა რეჟიმის წინააღმდეგ, აღსაზრდელთა შორის სიკეთისა და შრომისმოყვარეობის ჩვევათა დანერგვა; ეს ალბათ არ იქნება სრული ჩამონათვალი იმ საქმეებისა, ბახვის სკოლას და მის ხელმძღვანელს – გიგო შარაშიძეს რომ გაუკეთებია. სკოლის დაარსებიდან 25 წლის თავზე გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ასე გამოხატავს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ მოწინავე საზოგადოების აზრს:

„აგერ ოცდა ხუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ს. ბახვს ყოვლად უსამღვდელოესი აწ განსვენებული იმერეთის ეპიკოპოსის გაბრიელის ღვაწლ-შრომა მეცადინეობით დაარსდა სკოლა. ოცდა-ხუთი წელიწადია მის შემდეგ, რაც ამ სკოლაში მოღვაწეობენ მასწავლებლის ასპარეზზე ორი პატიოსანი მუშაკი გ. და ნ. შარაშიძეები. ოცდა-ხუთი წელიწადია, რაც ამ გარემოებათა შემწყობათ ბახვის მკვიდრთა პაწაწა შვილებმა წერა-კითხვის მეოხებით სცნეს სინათლე ღვთაებრივი და მისი სარგებლობა. ბევრგვარად იცვალა ამ ოცდა-ხუთს წელიწადს ცხოვრება, განზირდა სკოლები, სწავლა მოეფინა თითქმის მთელ გურიას და ხალხსაც ძვალს-რბილში გაუჯდა სწავლის წყურვილი და მისი ცხოვრე-

ბაში აუცილებლობა. დღეს ყველა მშობელი ცდილობს, შვილი სკოლაში გამოზარდოს, რამე ასწავლოს და ცხოვრების უღელში ისე შეუბას. ეს ხალხის მისწრაფება და ლტოლვილება დღეს გურიაში უსახვდროა, დაუშრეტელი, დაუკმაყოფილებელი, მაგრამ სულ სხვა იყო ამ ოცდახუთი წლის წინათ. მაშინ სახვეწარნი, ეხლა თვით მახვეწარნი შეიქნენ და სკოლის სკამს არც კი აცილებინებენ თავიანთ შვილებს. ბახვის საზოგადოების ამ ოცდახუთი წლის წინსვლის ისტორია მჭიდროდ შეკავშირებულია ბახვის სკოლის ისტორიასთან; პირველის ისტორია, ეს მეორის ისტორიაა, და ეს უკანასკნელი კი იქაურ ორ დასახელებულ მასწავლებელთა მოღვაწეობის ისტორიაც იქნება, რადგან ბახვის სკოლა და ეს მისი ორი მასწავლებელი, ამ ოცდახუთ წელს ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად მიილტვიან ეკლიან ცხოვრების გზაზე. აი, დაგვიდგა კიდევ დრო, გამოირკვა ეს მოღვაწეობა, გამოირკვა სკოლის ოცდახუთი წლის მოქმედება, უკეთეს დროს, ჩვენის აზრით, ვერც კი ვიპოვით, რადგან ამ ოცდახუთი წლის წინად აღმართული ტაძარი განათლებისა ეხლა განახლებული, ახალი შინაარსით დროს შესაფერ მოწყობილებით მზად არის, რომლის კურთხევის დღეს დიდის მზადებით ეგებებიან“. („ცნობის ფურცელი“. 1898 წ. N94. 29.VII).

გიგო შარაშიძის მოღვაწეობიდან აუცილებლად უნდა გამოიყოს მისი რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი, რომლებიც დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ საქართველოს განათ-

ლების, გურიის მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების მკვლევართ.

თავის დროზე გიგო შარაშიძის მიერ შურნალ „Кавказское сельское хозяйство“-ში გამოქვეყნებული მასალით, რომელიც გურიის ვაზის ჯიშებს შეეხებოდა, უსარგებლია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაზე“ მუშაობისას. დიდი მეცნიერი ასევე მიუთითებს ნაშრომებს – „ექვსი საუკეთესო გურული ვაზის ჯიშის ამპელოგრაფია“ და „გურიაში შეგროვებული სალექსიკონო მასალა“, რომელიც მაშინ არ იყო გამოქვეყნებული (პირველს ჩვენ ქვემოთ პირველად ვაქვეყნებთ). აკადემიკოს ივ.ჯავახიშვილს შემდგომშიც, ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად, პირადი შეკითხვებით მიუმართავს მსცოვანი პედაგოგისათვის (ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. II, თბ. 1935 წ. გვ. 455).

1915 წელს გიგო შარაშიძემ შურნალ „განათლებაში“ გამოაქვეყნა შრომა – „ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან“. 1938 წელს კი დაიბეჭდა მისი საინტერესო „გურული ლექსიკონი“ (ეს ლექსიკონი გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა).

სალექსიკონო მასალის შეგროვებასა და შესწავლაზე პედაგოგს მთელი ცხოვრება უმუშავია. იგი, თითქმის ყოველდღე იწერდა და ინიშნავდა ახალ მასალებს ლექსიკონისათვის:

„რანაირად გროვდებოდა ამ ლექსიკონის მასალა... ალაგეზე მოდგება მეზობლის ციციკი — ბებია, ნენამ შამოგეხვეწა სალამომდე გიდეღელ-ბაწარი მათხოვე, ნადი მყავსო... მოგვემატა „გიდეღელ-ბაწარი“.

— რავა გყავს, სოფიო, ყაჭი? (აბრეშუმის ჭია)?

— შეჩვენებულ შავფეხსრომარდიველუბე, ნამეტარი კაი ბობოლი იყო! — აი, გაჩნდა შავფეხი (ჭიანჭველას გურიაში მეაბრეშუმეობის დროს ეძახიან შავფეხს).

ეგერ ივანიკაი რალაცას უყვება დიომიდას. დიომიდაი შენიშნავს: შენ, ჩემო ძამიავ, საქმეზე მელაპარაკე, სილაბანდურას ნუ მომიყოლი: ესეც „სილა-ბანდურა“ (აბდა-უბდა) ჩაერთო ლექსიკონში... და ასე თან და თანობით გროვდება სიტყვები ჩვენი ლექსიკონისათვის“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი. ქრ.შარაშიძის ფ. 180. გ.შარაშიძის ჩანაწერები).

1930 წლის 19 ივლისს ქართული სამეცნიერო საზოგადოების საბჭომ თავის საჯარო სხდომაზე გიგო შარაშიძე ამ საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად აირჩია.

გიგო შარაშიძე, სწავლასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, გადაშენების პირას მდგარი გურული ვაზის ჯიშების აღდგენასა და გაშენებას. მან ბახვში დიდი ღვაწლი დასდო მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის აღმავლობას, რომელმაც ცვლევებს შემოსავლის წყარო გაუჩინა. სკოლის ეზოში, რომელიც მისი დიდი ძალისხმევით

დაუმტკიცეს სასწავლებელს, გიგომ გააშენა საუცხოო ბაღი და ბოსტანი, რომლისთვისაც რუსეთიდან ბევრი ნერგი გამოიწერა და გაახარა. ბახველები სამართლიანად ამაცობდნენ, რომ ასეთი ბაღი სამაზრო ქალაქ ოზურგეთსაც არ ჰქონდა. ბაღი მოგვიანებით გავერანდა, მისი პატარა ნაწილი დღესაც ამშვენებს ულამაზესი სოფლის – ბახვის ცენტრს.

გიგო შარაშიძეს, ყველა საქმესა და წამოწყებაში, ჰყავდა თანამოაზრე, მხარდამჭერი და ერთგული თანაშემწე, მისი მეუღლის – ნინო ქიქოძის სახით. ეს დარბაისელი ქალბატონი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ძმისშვილი გახლდათ, მღვდელ ათანასე ქიქოძის ქალიშვილი. 11 წლის ნინო მამამ ქუთაისში გაგზავნა, სადაც წმიდა გაბრიელის რჩევით, ინტელიგენტის ოჯახში მიაბარეს. ნინომ აქ ბევრი რამ შეისწავლა, საუცხოო განათლება მიიღო. რაშიც მას დიდ დახმარებას უწევდა უფროსი ძმა, შემდგომში სახელმძღვანელო ადვოკატი, მიხეილ ქიქოძე.

ნინო ქიქოძე სრულიად ახალგაზრდა, 15 წლის ასაკში, დაქორწინდა ბიძის – წმიდა გაბრიელის სურვილით. იგი ქუთაისის საეკლესიო სასწავლებლის ზედამხედველს, ცნობილ პედაგოგს – გერასიმე კალანდარიშვილს გაჰყვა ცოლად. მაგრამ, სულ მალე, გერასიმე გარდაიცვალა. ნინო ბახვში დაბრუნდა და მისი ბედი გიგო შარაშიძეს დაუკავშირა.

ადვილი არ იყო გიგო შარაშიძის მეუღლეობა. მათი ქალიშვილი – ქრისტინე იგონებს, რომ „ეს იყო მეტად თავისებური კაცი, მრისხანედ მო-

ლუშულ წარბებსა და შუბლს ქვეშ არაჩვეულებრივი ცეცხლით ელაგდა მისი შავი თვალები... ის ლაპარაკობდა ძუნწად და მუშაობდა დაუცხრომელად, თავდადებულად“. მაგრამ, ნინომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, უპირველესად, იმის გამო, რომ მის წინ ჭეშმარიტად განათლებული, პატიოსანი და პატივისცემის ღირსი პიროვნება იყო.

ნინო ქიქოძემ ღირსეული მეუღლეობა გაუწია გიგო შარაშიძეს. 75 წლის ნინო წლობით, სულ მარტო უვლიდა თავის ავადმყოფ მეუღლეს. „უძილო ღამეებს ატარებდა, ზოგჯერ ორმოცჯერ, ზოგჯერ კიდევ უფრო ხშირად უხდებოდა ადგომა, ცივ თთანში ცეცხლის გაჩაღება, გიგო ბაბუას მოვლა, აწვევ-დაწვევა...“ (ქრ. შარაშიძე).

თავადაც ღირსეული პედაგოგი, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმული ნინო გახლდათ სოფლის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, რომელმაც, მეუღლესთან ერთად, უამრავი გასაჭირი გამოიარა. ცოლ-ქმარი იძულებული გახადეს ბახვიდან ახალციხესა და ჭიათურაში გადასულიყვნენ სამუშაოდ (1905-11წ.წ.). დაჭერილი იყო გიგო შარაშიძე. ადრე გარდაიცვალა შვილი — შალვა შარაშიძე, ცნობილი მწერალი და იუმორისტი. მაგრამ, ისინი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურენ საყვარელ საქმეს, სოფელს და საკუთარი აღზრდილების წარმატებებით ხარობდნენ. უკვე ღრმად მოხუცებულები „დროდადრო ქუჩაშიც გამოვიდოდნენ — ან სატირალში, ჭირისუფლისთვის სამძიმრის სათქმელად, ან ავადმყოფის მოსანახულებლად... სოფელში

ყველა მათი ნამოწაფარი იყო, და ყველას სატკივარი გულთან ახლოს მიჰქონდათ.

უნდა გენახათ, როგორ შევნოდნენ ერთმანეთს. ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ, ძველმოდურ ტანსაცმელში ფაქიზად გამოწყობილები, კეთილად მომდიმარნი, ერთმანეთში ტკბილად მოჭუკჭუკენი, და, გავკადნიერდები ვთქვა, იმის შეგნებით გაბრწყინებულები, რომ ყველანი მათ შესცქეროდნენ — მოწიწებით, პატივისცემით, უსაზღვრო მაღლიერებით და სიყვარულით.

თავიანთი არსებობით, ისინი არა მარტო ამშვენებდნენ სოფელს, არამედ აკეთილშობილებდნენ, ირგვლივ სიკეთესა და გულმოწყალებას აფრქვევდნენ, ყოველდღიურ ყოფას ალამაზებდნენ — იგონებს მწერალი ვახტანგ ჭელიძე („ჩვენი საუკუნის პარადოქსები“. „მნათობი“. 1997 წ. №8. გვ. 40).

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ მათ შვილებზე:

შალვა შარაშიძე სამწერლო ასპარეზზე „თავუნას“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. იგი იუმორისტული ჟურნალის — „ემშაკის მათრახი“, დამაარსებელი და რედაქტორი იყო. შალვას პიესა „ავგაროზი“ 1921 წელს რუსთაველის თეატრში დადგა ალ.წუწუნავამ. შალვა არ იყო ჯანმრთელი ადამიანი. მის ხშირ ავადმყოფობას ისიც დაერთო თან, რომ 1932 წლის თებერვალში, (მამის დაკრძალვაზე) ოზურგეთიდან ბახეში ფეხით ისეთ საშინელ თოვლში ავიდა, რომლის მსგავსი 50 წელიწადში ერთხელ მოდის გური-აში. ეს საბედისწერო გამოდგა კიდევ და 1934 წელს გარდაიცვალა.

მეცნიერი და ისტორიკოსი თამარ შარაშიძე, გიგო და ნინო შარაშიძეების უფროსი ქალიშვილი, 1937 წლის რეპრესიების დროს დააპატიმრეს და გადაასახლეს. იგი, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წევრის, ნიკოლოზ ქარცივაძის მეუღლე იყო, რომელიც 30-იან წლებში დახვრიტეს.

დავით შარაშიძე 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა და საფრანგეთში გარდაიცვალა (დაკრძალულია ლევილში). გრიგოლ წერეთელი იგონებს: „დავით შარაშიძე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა, იყო იშვიათი მოსაუბრე. ჰქონდა დიდი კულტურა და იცოდა უცხო ენები. მისი კალამი ცნობილია... უამბიციო კაცი იყო და უყვარდა ჩრდილქვეშ ყოფნა“ (გრ.წერეთელი. ქართული ემიგრაცია და ადამიანები. პარიზი. 1977. გვ. 74). მისი ვაჟი გიორგი, წლების მანძილზე, აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე იყო.

შარაშიძეების უმცროსი ქალიშვილი ქრისტინე (ჩიტო) გარდა იმისა, რომ გამოჩენილი ისტორიკოსი იყო, საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთადერთი ქალი წევრი გახლდათ. იგი შემთხვევით გადაურჩა რეპრესიებს. ალბათ, გახსოვთ, ფოტო — საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, სადაც სხედან თავმჯდომარის მოადგილეები ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, სვიმონ მდივანი, კრების მდივნის მოადგილე ქრისტინე შარაშიძე. იგი იყო ერთი იმ პიროვნებათაგანი, ვინც არ შეუშინდა საბჭოთა რეჟიმს და საფლავამდე მია-

ცილა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) დასიტყვაც წარმოთქვა (იხ. კრებული — „ღვთისკაცი“. თბ. 2004. გვ. 272).

გიგო შარაშიძე 1932 წლის თებერვალში გარდაიცვალა. იგი, ანდერძის თანახმად, მის მიერ გაშენებულ ბაღში დაკრძალეს. საფლავი 2001 წელს აღადგინა ზურაბ ჩხაიძემ. ნინო შარაშიძემ სიცოცხლის ბოლო წლები თბილისში გაატარა და 1945 წლის 24 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

თქვენს წინაშეა გიგო შარაშიძის მემუარებისა და წერილების კრებული. პედაგოგის ჩანაწერები ქრისტიანე შარაშიძის არქივშია დაცული და კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. „ჩემი მოგონებანი“ ბიოგრაფიული ხასიათისაა და გიგო შარაშიძეს 1928 წ. დაუწერია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს XIX ს. II ნახევრის გურიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიისათვის. მოგონებანი პირველად ქვეყნდება. ტექსტის ერთი ნაკვეთი, რომელიც სოფელ ბახვის სკოლის დაარსებას და მშობლიური სოფლის წინაშე წმიდა გაბრიელეპის კოპოსის ღვაწლს შეეხება, ჩვენ გამოვქვეყნეთ კრებულში „წმიდა მღვდელმთავარი“ (თბ. 2006. საპატრიარქოს გამომცემლობა).

ხელნაწერი კარგად იკითხება. აქა-იქ ფანქრით გასწორებულია ზოგიერთი ორთოგრაფიული და სტილისტური შეცდომა. სავარაუდოდ, ეს ჩასწორება ქრისტიანე შარაშიძეს ეკუთვნის. მასვე უთარგმნია რუსულიდან ჟურნალ „Кавказское сельское хозяйство“-ში გ. შარაშიძის მიერ გა-

მოქვეყნებული წერილი „ჩხავერის“ ვაზის განახლებისა და ყირიმული ვაზების გაშენების ცდა“. ამ წერილს „ექვსი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამპოლოლოგიასთან“ ერთად აქვე ვაქვეყნებთ. ეს ხელნაწერიც ქრ. შარაშიძის არქივშია დაცული და პირველად ქვეყნდება.

საჭიროდ ჩავთვალეთ აქვე დავბეჭდოთ გიგო შარაშიძის კიდევ ერთი საყურადღებო ნარკვევი – „ცოტა რამ გურიაში სახალხო სკოლების ისტორიიდან“, რომელიც 1915-1916 წ. წ. ქვეყნდებოდა შურნალ „განათლებაში“.

როგორც აღვნიშნეთ, XIX ს. პერიოდულ პრესაში გიგო შარაშიძე ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, სოფლის მეურნეობის და სხვა საკითხებზე. მათგან შევარჩიეთ წერილი – „მეფუტკრეობა გურიაში“, რომელიც, ვფიქრობთ საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

ყველა ეს მასალა, რომელსაც ამ კრებულში მოვუყარეთ თავი, საყურადღებო ცნობებს გვაძლევს გურიის წარსულზე. ამიტომაც შევეურჩიეთ კრებულს საერთო სათაური – „გურიის წარსულიდან“

ილია თავბერიძე

გიგო შახაშიძე
ჩემი მოგონებანი

სოფ. ბახვი. 1928 წელი

პირველი ნაწილი

1.ა

მე დავიბადე 6 იანვარს, 1848 წელს, ზემო გურიის ერთ მიყრუებულ სოფელში — საყვავისტყეც¹. ჩემი დედ-მამა ძლიერ ღარიბები იყვნენ. იგინი აზნაურების წოდებას ატარებდნენ, მარა მხოლოდ ორი კომლი გლეხი ყავდათ, რომლებიც სოფელ სურებში² ცხოვრობდნენ, ოცდა ხუთი ვერსით დაშორებული ჩვენი სოფლიდან. სურებელი გლეხები საზოგადოთ, „უკულმართები“ იყვნენ. სხვა გლეხებსავით ბატონის ერთგულება და მორჩილება არ უყვარდათ: არც ბეგარას იხდიდნენ და არც შინაყმობას ენეოდნენ წესიერად. მამაჩემიც არ მიმართავდა ხოლმე ძალას: იგი კეთილი და სათნო კაცი იყო და მასთან „უამური“ გლეხების გალიზიანებასაც ერიდებოდა. ამიტომ, შინაყმა სტუმარივით მოდიოდა ჩვენსას ხანდისხან და არც მაშინ აკეთებდა რამეს, თითქოს დროს გასატარებლად მოენვიოს ვინმეს. მართლაც, ჩვენი ოჯახი სიღარიბეს განიცდიდა, მარა მხიარულება და გართობა, განსაკუთრებით უქმე დღეებში, მას არ აკლდა. მამაჩემი სიმღერის მოყვარული იყო და თვითონაც კარგად იცოდა გალობა და სიმღერები. შეგირდებსაც ასწავლიდა. შეგირდები მოზრდილები იყვნენ, კვირა-უქმე და ავდრიან დღეებში იკრიბებოდნენ სამეცადინოდ. მეცადინეობის შემდეგ ბურთაობა და ჭიდაობაც კი იმართებოდა, რაშიაც მამაც ღებულობდა მონაწილეობას და შინაყმაც, თუ იქ იყო. მამაჩემმა ხერხიანი ჭიდაობა იცოდა და ხშირად მინახავს შინაყმა და ის რომ ებლაუჭებოდნენ ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ჩვენს ოჯახს, სიღარიბესთან ერთად, მხიარულებაც თან ახლდა და ამით ვცხოვრობდით ჩვენ. პატარა ბავშვებიც კი ვმღეროდით და ვგალობდით ნაბაძულობით.

ბ

ბაბუაჩემი უფრო მკაცრი იყო. მახსოვს, ერთხელ იმან ძალად ჩამოაყვანია სურებიდან ერთი მისი გლეხი, რომელიც მის სიცოცხლეში სურებს არ ჩამოსცილებია. ამ გლეხს დავითელას ეძახოდნენ (თავსურებელი კიკვაძე იყო). დავითელას ზორბა და საშიში შეხედულება ჰქონდა. ტანზე შინ მოქსოვილი შალის ჩაქური ტანისამოსი ეცვა, რაზედაც არჩვის ტყავის ქეჩხო³ ქონდა გადაცმული, ფეხებზე

პაიჭი, დათვის ტყავის ქალამნები, ბანჯგვლიანი თავი შალის ყალბახით ქონდა ნაკონილი, ბრტყელ ბელყაიშში⁴ დიდი დანა გაერჭო, სანთლით გალიფულ ქარქაშით. დავითელა სალამოს მოვიდა ჩვენსას და გიჟივით აქეთ-იქით აბრიალებდა თავის დაქაჩულ დიდრონ თვალებს. ვახშამი სულ ცოტა ჭამა. სდუმდა. მე ძალიან დამაინტერესა ამ კაცის გარეგნობამ და თვალს არ ვაშორებდი მას. იმ ღამეს გვიან დავიძინე — სულ დავითელას ვუცქეროდი. მეორე დილას ეზოში ხმაურობამ გამომაღვიძა; გამოვვედი გარეთ ნამძინარევი. ვხედავ, ბაბუაჩემი და მამაჩემი ერთმანეთს ექვილაჩებიან⁵, ბაბუას თოფი უჭირავს ხელში, ვილაცას ემუქრება და ჭიშკრისკენ მიინევს, მამა არ უშვებს მას. დავითელა არ სჩანს. საქმე ასე ყოფილიყო: დავითელას იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, გათენდა თუ არა, ამდგარა, მისულა სალეს ქვასთან, რომელიც იქვე ეზოში იყო ხეში ჩაშენებული, ამოუღია მისი ფიჩახი დანა და ლესვა დაუნყია. ბაბუაჩემს უკითხავს: რას შობი დათიკო? — დანას ვლესავ, ხომ ხედაო, ამაყათ უპასუხნია. მერე პირს უწყობს თურმე დანას ხელის გულზე და თან ბაბუაჩემს უმზერს, თითქო ემუქრება მას და თავის გულში ამბობს: ამ დანას შენდა დასაკლავად ვლესავო. ბოლოს დანა ქარქაშში ჩაუდვია, მიბრძანებულია ჭიშკრისკენ და გზას გადგომია. გაცეცხულ მოხუცს უკითხავს, „სად მიდიხარო?“ — „შინ მივალ, აქანეი მე ვერ მევიცდი, ნამეტარი სინათლეაო“, უპასუხნია დავითელას და წასულა. გაბრაზებულია ბაბუა, სახლში შევარდნილა, მაჭახელა⁶ თოფი გამოუტანია დავითელას მოსაკლავად, მაგრამ მამაჩემს დაუნახავს ეს, მივარდნია და არ დაუნებებია სროლა. ამასობაში კარგა მანძილი გაუვლია დათიას და სიკვდილს გადარჩენია. ასეთი იყვნენ საზოგადოდ სურებელი გლეხები.

ბ

ეს იყო გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში, როცა გლეხების განთავისუფლების ამბავი სოფლებშიაც შემოიჭრა და საზოგადოდ გლეხები გულაცრუებული იყვნენ ბატონების ერთგულებზე. გაისმოდა ყოველგან სოინარის⁷ ხმა, რაზედაც ამღერებდნენ ასეთ ლექსებს:

„ვაი გოგონ, გოგონა,
ვაი, გოგონ, გოგონა!
ბატონყმობა გევიდოდა

იგიც აღარ მეგონა,
ვაი გოგონ!“

ასეთი სიმღერა, როგორც ძველი კაცები გადმოგვცემენ, მთელს გურიის გლეხებში მაშინ მოდებული იყო და მართლაც, გლეხთა განთავისუფლების წინამორბედი გამოდგა.

ღ

ამგვარად მამაჩემი მარტოხელი დარჩა, მარტოთმარტო უნდა გაძლოლოდა ოჯახს, ყანის მუშაობით. დედაჩემიც, ქრისტინე ჟღენცის ქალი, გამჯელი და მუყაითი იყო, კარგათ იცოდა ჭრა-კერვა, მებოსტნეობა და მებარეშუმეობა და მამას უმჩატებდა ოჯახის შენახვის სიმძიმეს. წერა-კითხვა ბებია ჩემმა მასწავლა, რომელმაც კარგათ იცოდა წიგნი. იგი „არზებსაც“ უნერდა გლეხებს და ამისთვის, ერთხელ კიდევაც დააპატიმრეს. მან ბევრი მშვენიერი ლექსი და ზღაპრები იცოდა და ხშირადაც მართობდა ხოლმე. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მიმაბარეს ერთ მწირ ბერს, რომელსაც „სკოლა“ ქონდა გახსნილი ჩვენ ეკლესიაზე. ეს ბერი ლოცვებისა და ხუცური კითხვის გარდა არაფერს ასწავლიდა. ხუცური მალე დავისწავლე, მხედრული კითხვის ცოდნის დახმარებით და ლოცვებზეც საკმაოდ ვიცოდი, როცა ჩვენი მეზობელი, შოტლანდიელი ემიგრანტი იაკობ მარი (აკადემიკოსი ნიკო მარის მამა) ქუთაისში გადავიდა და იქ „ფერმაში“ სამეურნეო პრაქტიკული სკოლა გახსნა. მონაფეები იაკობმა ჩვენში შეაგროვა სულ თხუთმეტამდე ახალგაზრდა და წაიყვანა ქუთაისში, ამათ რიცხვში მეც მოვხვდი. სკოლაში გვასწავლიდნენ პრაქტიკულად მებოსტნეობას, მებალეობას, ყვავილების მოვლას და რუსულ წერა-კითხვას. ამ საგანს ვილაც უბრალო რუსი გვასწავლიდა. დილის 6 საათზე ვინყებდით სწავლას, საათნახევარს გრძელდებოდა, მერე თუ კარგი ამინდი იყო, მთელი დღე გარეთ ვმუშაობდით. რასაკვირველია, დასვენების დროც გვქონდა. მარი ძლიერ სიმპატიური და კეთილი მოხუცი იყო და კარგათაც გვივლიდა, სმა-ჭამაც კარგი გვქონდა და ტანსაცმელიც. მე ერთ წელიწადს დავრჩი იქ და ბოსტნის დამუშავება, ხეების დარგვა და მოვლა შედარებით გვარიანად შევისწავლე. რუსული წერა-კითხვა კი იმდენად ვიცოდი, რომ ეტიკეტებზე შემეძლო წარწერა გამეკეთებია. ერთხელ ასეთი მუშაობის დროს თავს წამომადგა ერთი მოზრდილი გიმნაზიელი და მკითხა:

— შენი ნაწერია ესო?

— დიახ, ჩემი ნაწერია მეთქი. გამომკითხა სახელი, გვარი, სადაურობა. მერე მკითხა:

— შენ, ჩემო ბიძია, აქ ამის მეტს ვერაფერს ისწავლი, წადი, თავს უშველე, როგორმე სკოლაში შედიო.

მე მორცხვი ვიყავი, საზოგადოდ, არაფერი მითქვამს მისთვის ამ რჩევაზე. გიმნაზიელი წავიდა და მისი რჩევა გულში ჩამებუჭდა. მეორე დღეს ეს ამბავი დედა ჩემს მივსწერე ჩემი მეზობლის ხელით. არ გასულა ერთი კვირა, ჩემი წერილის გაგზავნის შემდეგ, მამა ჩემი მოვიდა და სთხოვა მარს ერთი კვირით დავეთხოვე. მარმა პირველად უარი უთხრა — „გიორგის შენ აღარ დააბრუნებ ქუთაისში“. ბევრი ხვეწნის და მუდარის შემდეგ დასთანხმდა იგი იმ პირობით, თუ მამა მალე ამიყვანდა ისევ ქუთაისში.

შემომისვა მამამ ცხენზე, მეორე დილას ადრე და გავუდექით შინისაკენ. ოთხმოცი ვერსი გზა გავიარეთ და გვიან სალამოს შინ მივედით: დედას ნამეტანი გაუხარდა, თითქოს ტყვეობიდან დაბრუნებულ ვიყავ! არ მოელოდა, რომ მარი გამომიშვებდა. ენკენისთვე მოახლოებული იყო და ჩემი სკოლაში მიცემის სამზადისს შეუდგენენ. ჩაცმულ-დახურული კარგად ვიყავი, მარა საჭირო იყო ბინა და სასამელ-საჭმელი. ოზურგეთში დედას ახლო ნათესავი ყავდა და ბინა იქ ეგულებოდა. მისგან დედას ადრე მიეღო თანხმობის წერილი.

2

როცა მოახლოვდა სწავლის დაწყების დრო, დედამ დიდის გაჭირვებით ძღვენი გამოაწყო და გავსწიეთ ოზურგეთისაკენ. ჩემი მასპინძელი ძალიან ღარიბი გამოდგა. იგი ქალაქის განაპირას ცხოვრობდა. მიმიყვანეს 1 ენკენისთვეს სკოლაში.* სწავლა დაწყებული იყო, როცა შემიყვანეს დიდ დარბაზში, სადაც კედლებზე დაკიდებული კარტონის ოთხკუთხედ ფირფიტებზე დაბეჭდილ რუსულ ფრაზებს კითხულობდნენ ბავშვები „სტარშების“ ხელმძღვანელობით. თითო ჯგუფს თავისი „სტარში“ ყავდა. შევედი თუ არა, ერთმა ბავშვმა დაიძახა „ჩორნი პრიშოლო“. ნამეტანი მეწყინა. მე მართლა მზეზე მუშაობის გამო გაშავებული ვიყავი, ჩემს შავგვრემან სახეს ადვილად ეკიდებოდა მზის სხივები, მარა მაინც ძლიერ მეწყინა. ამ დროს სკოლის

* უფროსი განყოფილების მონაფეები.

გამგეც შემოვიდა, მიმიყვანა დასაწყის ფირფიტასთან, დამიდო ხელი ასო **ფ**-ზე და მკითხა რუსულად: რა ასოა ესო? მე როგორც მქონდა ნასწავლი, ისე ვუპასუხე — **ef**-მეთქი. მთელ კლასს სიცილი წასკდა: — გამგე გაუწყრა იმათ და მე მითხრა — ასეაო. მერე მეორე ფირფიტასთან მივიდა და ფრაზები წამაკითხა. იქაც გავიმარჯვე, მაგრამ მაინც აქ დამტოვა. ახლა ქართულსა და ლოცვებში მომელოდა გამოცდა. ამ ორ საგანში მღვდელმა გამომცადა — აქაც დამაკმაყოფილებლად გავეცი პასუხი და მიმიღეს პირველი კლასის მეორე განყოფილებაში. ანგარიში არ უკითხავთ. ამნაირად მე დავრჩი ოზურგეთში. ჩემი ბავშვური მხიარულება, მომავალი ჩემი ცხოვრების ოცნებები, გაქრნენ, უიმედობამ დაიჭირა მათი ადგილი.

სწავლა სრულიად არ მიჭირდა, მარა რეჟიმი აუტანელი სუფევდა. მექრთამეობაც საშინლად იყო გავრცელებული „სტარშებში“, რომლებიც სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყვნენ თავიანთი ჯგუფების. გაკვეთილებს მასწავლებელი ნიშნავდა კარანდაშით საკითხავ ნიგნებში „აქედან აქობამდეო“, გამოკითხვით კი „სტარშები“ გამოკითხავდნენ ხოლმე და მერე მასწავლებელს აძლევდნენ ანგარიშს.

რაც კარგად უნდა სცოდნოდა მონაფეს გაკვეთილი, თუ ქრთამს არ მისცემდა „სტარშს“, ფუჭი იყო მისი ცოდნა — გაკვეთილი არ იცისო, მოახსენებდა მასწავლებელს, რომელიც მკაცრ სასჯელს უწყვეტდა გაკვეთილის უცოდინარს. ქრთამათ სტარშისათვის ან პური და ყველი უნდა მიგეტანა, ან ფული (შაური მაინც) ზოგჯერ ცივ მჭადსაც კი დაყაბულდებოდა, თუ კეთილი „სტარში“ იყო.

ამ გარემოებამ საზიზღარ გუნებაზე დამაყენა, სკოლა შემეძულა. მაგრამ სხვა გზა არ იყო — გადავწყვიტე გამეგრძო ჩემი საქმე — გაკვეთილები კარგათ მესწავლა, თუმცა ხელს მიშლიდენ ხშირად შიმშილი და სიცივე.

შობის დღესასწაულებამდი გაუძელი. სადღესასწაულოთ მომიკითხეს. საშინელი სიცივეები დადგა, დიდი თოვლი მოვიდა: ვერც კაცი და ვერც ცხენი ვერ იძროდა. ორ ალაბ ნახევარი თოვლი დასდო ყოველგან გურიამში. სკოლაში სანათლისღებოთ უნდა მივსულიყავი, მაგრამ შეუძლებელი გახდა: ხმა გავრცელდა ოზურგეთში ყვავილი მძვინვარებს, სწავლა შეწყვეტილია, ნააღდგომევისთვის გადაიდოო. ეს ხმები გამართლდა და ცოტა არ იყოს მესიამოვნა. ძველი მასპინძლისას ჩემი დაბრუნება შეუძლებელი იყო. სხვაგან უნდა მომეძებნა ბინა, მაგრამ ამ ამინდებში არ ხერხდებოდა. გადავწყვიტე შინ მემაცა-

დინებია და იმდენად მოვმზადებულიყავი, რომ ამ სამწლიან პირველ კლასს მოვშორებოდი. საჭირო იყო კედლების ტაბულების ფრაზები და წინადადებები შემესწავლა თვითონ რუსულად და ქართულადაც მეთარგმნა. მერე დარჩებოდა რამოდენიმე მოთხრობა სხვა წიგნში, რის სწავლას ნააღდგომეცსაც მოვასწრებდი მასწავლებლის დახმარებით (სახელმძღვანელო წიგნი ვიშოვნე).

კ

მთელი ზამთარი ვიმეცადინე. ამასობაში მამა ჩემმა ბინაც მიშოვნა, მაგრამ ოთხი ვერსით დაშორებული იყო სკოლიდან. ამ სიშორეზე უნდა მევლო სკოლაში, დღეში რვა ვერსი უნდა გამევლო იქით-აქეთ და გაკვეთილებიც მემზადებია! ახალი ჩემი მასპინძელი უხვი გამოდგა, კარგათაც მივლიდნენ, მარა სკოლაში სიარული და გაკვეთილების მომზადება შეუძლებელი შეიქნა, რადგან გაკვეთილები ერთი ორად გადიდდნენ მეორე კლასში.

აი, როგორ მოხდა ჩემი განზრახული მეორე კლასში გადასვლის საქმე. ნააღდგომეც ახალი მასპინძლიდან რომ სკოლაში გამოცხადდი უკანასკნელ ტაბულასთან დავედექი. როგორც მოვიხსენიე ეს იყო თითქმის I კლასის დასასრული. ჩემმა ამხანაგებმა ყვირილი მორთეს:

„შარაშიძე, „баба баня“-ზე იყო და „приделай головы к этим сопогам“-ზე გადახტაო.

მოვიდა გამგე და მკითხა:

— „რატომ სჩადიხარ ამას?“

— „მომზადებული ვარ, მთელი ტაბულები ვიცი მეთქი“, — ვუთხარი.

თავიდან ბოლომდე ყველა ტაბულებზე გამომცადა, ყველა კითხვებზე შესაფერი პასუხი მივეცი და დამარჩინა ამავე ტაბულაზე, რომელთანაც ვიდექი.

ამნაირად, სამი წლის მაგივრათ ერთ წელიწადს დავრჩი პირველ კლასში.

შეგირდების გამოცდა როგორც ჩვეულებრივ, ივნისის ბოლოში მოხდა. მე იმედი მქონდა გამოცდაში გამარჯვების. უკანასკნელ დღეს, რომელიც გამოცდის შედეგების გამოცხადების დღეთ იყო დანიშნული, მასწავლებლების შეკრების მოლოდინში ვიყავით. კლას-

ში დიდი ხმაურობა იყო. მე წინა პარტაზე ჩამოვჯექი, გაჩუმებული ჩემს სწავლის ნიშნებზე ვფიქრობდი. მოვიდა ჩემთან მესამე კლასის მონაფე თავადი ნესტორ თავდგირიძე, რომელმაც ქების ფურცლით დაამთავრა სკოლა. ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი იყო. მან მითხრა ჩურჩულით:

— შენ ყველა საგნებში ხუთიანი გინერიაო...

ამ დროს უცბად თავზე რალაც დამეცა, თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები გადმომცვინდაო, გონება დავკარგე, არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ასეთ მდგომარეობაში.

გონს რომ მოვედი, სისველე ვიგრძენ, თავი და ტანისამოსი სოველი იყო. წყალი დაესხათ ჩემთვის. გიჟივით ვიხედებოდი აქეთ-იქით. გამოვერკვიე, ჩემს წინ დავინახე გაფითრებული სკოლის უფროსი ნაკაშიძე, რომელიც საღვთო სჯულის მასწავლებელს* ხმამაღლა ელაპარაკებოდა:

„— შეგფერით თქვენ, ქრისტეს მაგიერ კაცს, ასე მოიქცეთო“.

მხოლოდ ამას მოვკარი ყური. საქმე აი, რა ყოფილიყო: მღვდელი ჩუმად შემოპარულიყო დარბაზში. ბავშვების ხმაურობაზე გულმოსულმა პირველად მე დამინახა და ჯავრის ამოსაყრელად მისი კვერთხი, რაც ძალი და ღონე ქონდა, ორივე ხელით თავში დამარტყა; იქვე პარტაში ჩავიკეცე და წყლით მომაბრუნეს. თავზე დიდი კოპი დამაჯდა და დიდ ხანს მტანჯავდა თავის ტკივილი.

ეგზამენების შედეგები გამოაცხადეს, მე მეორე კლასში გადამიყვანეს. თავისი ტკივილი გამინელა ამ ამბავმა, დროებით მაინც. დედას გავახარებ-მეთქი ვფიქრობდი; იმის სიხარული ჩემი სიხარული და ბედნიერება იყო. ტანჯვა-წვალებას, რაც მე გადავიტანე იმ წელში ეგზამენების კარგად ჩატარებისთვის, დიდის სიამოვნება მიმჩატებდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ერთად ერთი ჩემი უალრესი სურვილი შინ მისვლა იყო: დედა შეიტყობდა ჩემს მეორე კლასში გადასვლას. მერე ჩემს პატარა ძმებსა და დებთან ვსიამოვნებდი: ვიმღერებდით, ვითამაშებდით.

თამაშობა ბევრნაირი ვიცოდით: ხოხოლას აშენება, ჩხირობია, მაიოობია, რიკატაფობა, კენჭობია, ქორბუდობია, ბურთაობა, დამალვია, კაკვობია, მუჭკელტი, დანასობია და სხვა. ჩიტების დევნა, რომლებიც ჩვენში იმ დროს მრავალი იყო და ბებიაჩემის წყალობით ყველას

* „რუსის ხუცესი“ იყო.

სახელები ვიცოდით. ვიცოდით, რომელი იყო სასარგებლო, მავნებელი, ბინადარი და წამსვლელი. დილ-დილაობით სოკოების ძებნა და მოგროვება დიდ სიამოვნებას გვგვრიდა. კარგათ ვარჩევდით შხამიანს და საჭმელ სოკოებს და სახელებიც ვიცოდით ყველასი...

ზ

ენკენისთვიდან ბინა გამოვიცვალე. უკანასკნელი ჩემი მასპინძელი კარგი იყო, კარგად მივლიდენ იქ, მაგრამ, როგორც მოვიხსენე, სიშორის გამო შეუძლებელი დარჩა იქიდან სკოლაში სიარული. ახლანდელი ჩემი მასპინძელი, თუმცა უფრო ახლოს იყო სკოლასთან, მაგრამ ბინის სივინროვის გამო მისას ღამის გათევა არ ხერხდებოდა. მოშორებით ერთი დაყრუებული ოდა იდგა სხვისი და ღამეს იქ ვათევდი. ოჰ, რამდენი შიში გამოვსცადე იქ, რომ გამახსენდება, ეხლაც ჟრუანტელი დამივლის ტანში. სრულიად ცარიელი, სადაც არავითარი ავეჯი არ მოიძეოდა, გარდა ერთი დამტვრეული ტახტისა. ამ ტახტზე ვინეჩი ღამღამობით, ვინეჩი და ვტრიალებდი, თვალებს ძილი არ ეკარებოდა. ვიცოდი აქ არაფერი შემჭამდა, არც ქურდი შემაშინებდა, მაგრამ შუაღამემდი მაინც ძილი არ მეკარებოდა, დილას კი ძალიან ადრე უნდა ავმდგარიყავ, გაკვეთილები უნდა გადამეხედა და სკოლაში წავსულიყავი.

გაკვეთილები ბევრი იყო. განსაკუთრებით სამდთო სჯულმა და კატეხიზმომ მომაბეზრეს თავი და შემაძულეს სკოლა! ოჰ, რა საზიზღარი იყო სამღვთო სჯულის მასწავლებლის დანახვა ჩემთვის! იმიტომ კი არა, მე რომ თავში კეტი დამკრა — მისი გაკვეთილების გამო.

დილდილობით საუზმეთ მქონდა ცივი მჭადი, ზოგჯერ ყველიც, ვისაუზმებდი, თუ თოვლი და ყინვა არ იყო, ამოვიდებდი ილიაში ჩემს ნულებს და ბაზრის წყლამდი ფეხშიშველა მივდიოდი, იქ კი ფეხებს დავიბანდი და ჩავიცვამდი ხოლმე ნულებს. სკოლის შემდგეაც ფეხშიშველი ვბრუნდებოდი, ბინაზე, მინდოდა ფეხსაცმელები არ გაცვეთილიყო.

ამ მდგომარეობას ვერწეოდი და ამ ბინაზე კიდევ დავრჩებოდი, რომ ერთ შემთხვევას არ დაეჩქარებია მიყრუებული სახლის დატოვება.

ამ სახლში, კვირა უქმე დღეებში დილდილობით დიდხანს მეძინა. ყოველდღიურ უძილობას ამ დღეებში ვისრულებდი. ერთ კვირა დღეს ტკბილ ძილში ვიყავი. უცბად რაღაც არა ჩვეულებრივი, საშინელი

ხმაურობა მომესმა, თითქოს სახლი ჩამომენგრა თავზე. წამოვარდი ზეზე, წამძინარევი. ფანჯრის მინა გამომტვრეული იყო, წამტვრევები იატაკზე ეყარა, იქვე ეგდო მიმინო, რომელიც სულს ღაფავდა. პატარა ჩიტი (მგონი თავშავა იყო) ფანჯრის მთელ მინებს ასკდებოდა გარეთ გასაფრენად. როცა კარგად გამოვერკვიე, მივხვდი: ალბათ, საიდანღაც ჩიტი შემომძვრალიყო, კედლები ფარღალაღალა იყო. ჩიტი ფანჯარას ეხეთქებოდა. შემთხვევით ეს მიმინომ დაინახა, წამოვიდა დასაჭერათ, დაეტაკა შუშას, ჩაამტვრია და იატაკზე მაგრად დაეცა.

ეს შემთხვევა მაშინვე მასპინძელს ვუთხარი. განრისხებულმა მასპინძელმა დამიყვირა:

— ახლა კი უნდა ნახვიდე აქედან. შენი მიზეზით მე მინის ფასი უნდა გადავიხადო. მამაშენმა შენი შესანახი ფული ვერ მომცა — ამას საიდან გადაიხდისო, სთქვა და შევიდა თავის ფაცხაში!

მე მაშინვე ავიკარი ჩემი „ბარგი“ გამოვედი სახლიდან.

მ

არ ვიცოდი სად წავსულიყავი. ვფიქრობდი, შინ თუ წავედი, დედა მოკვდება მწუხარებისაგან, თუ არა სხვა გზა არ იყო — შინის გზას დავადექი. იქვე ახლოს ერთი სიმპატიური სახის მოხუცი დედაკაცი შემხვდა — წიგნების ჩანთა რომ დამინახა, შემაჩერა და გამომკითხა ყველაფერი და მოფერებით მითხრა:

— მე ორი შენოდენა ბიჭი მყავს და ერთი თქვენბური მონაფე. წამოდი ჩემთან, ბინასაც მოგცემ და სასმელ-საჭმლითაც კარგათ შეგინახავო, შენ არაფერს გადაგახდევინებ, ოღონდ კლასიდან რომ მოხვალ და სადილს ჭამ, ყანაში მოეხმარები ჩემს შვილებს. საღამოობით ნაღობარას ცეცხლთან შეგიძლია წიგნი იკითხო, დილასაც დრო გექნება, მეცადინეობის, რადგან შორს არ ვარ ოზურგეთზეო.

ჩემმა ახალმა დიასახლისმა, ორაგველიძის ქვრივმა სალომე, ტულუშის ასულმა, შინ მიმიყვანა. იგი შეძლებული გლეხის ქვრივი აღმოჩნდა, ყველაფერი ბევრი ჰქონდა. შვილები მცირეწლოვანები იყვნენ, მაგრამ კარგად მუშაობდნენ, სასმელ-საჭმელი უხვად ქონდა, მეც კარგად მივლიდა. თუმცა შუა ხნის ქალი იყო, მაგრამ უცდურათ მუშაობდა. ამიტომ იყო, რომ შვილებიც კარგი განაფული იყვნენ მუშაობაში. მართალია, პირობის მიხედვით, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ყანაში უნდა დავხმარებოდი, მარა ხშირად მეტყოდა:

— შვილო, ჯერ გაკვეთილი ისწავლე, მერე წადი სამუშაოზეო. როცა ბევრი გექნეს გაკვეთილი სასწავლი, სულ ნუ მოდიხარ, გაკვეთილი იკითხე.

ღვთისნიერი იყო ეს დალოცვილი!

ზოგჯერ სკოლიდან წამოსული გზაშია ც ვასწრებდი გაკვეთილის დასწავლას, თუ კარგი ამინდი იდგა, მაშინ აღრიანად შეუდგებოდი ყანის მუშაობას და ბარაქაც კარგი გექონდა. სალომესას ყველაფრამდი კმაყოფილი ვიყავი: იქ მუშაობა დასვენება იყო ჩემთვის. მხიარულიც ვიყავი და დაკარგული იმედიც დამიბრუნდა; კვირა-უქმე დღეებში თამაშობასაც ვმართავდით. გადაჭარბებას რამეში ვერვინ გაბედავდა: სალომე, როცა საჭიროება მოითხოვდა, მკაცრი იყო. ასეთ გლეხის ოჯახს იშვიათად ნახავდი გურიაში. კარგი და საკმაო მინა, შქერის ღობით შეღობილი, სადაც ყანა, ბოსტანი და საბალახო ქონდა მოთავსებული, და დაყოფილი — ხელს უწყობდა ოჯახის დოვლათს.

ამ ოჯახის წყალობით დავაღნიე თავი ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელს, რომელიც სასწავლებელი კი არა სატანჯველი იყო. ერთი წელი კიდეც უნდა დავრჩენილიყავი სკოლაში და გიმნაზიის მეხუთე კლასში მიმიღებდნენ სახელმწიფო ხარჯით, მარა არ მოხერხდა: დედა, ჩვენი ოჯახის უმთავრესი ბურჯი, გარდაიცვალა. ბაბუაჩემიც მალე მოკვდა. მცირეწლოვანი ექვსი ბავშვი, მოხუცებული ბებია, 80 წლის გამდელი, მამას დაურჩა საპატრონოთ. საჭირო იყო დახმარება.

2. სიჭაბუკე და შრომა

ერთი წელიწადი შინ მოვიცადე, მამას ვეხმარებოდი მუშაობაში ერთ დღეს ჩვენსას მოვიდა ჩვენი მეზობელი გლეხი გრიგოლა ოსოფაიშვილი, გაიხმო და დიდხანს ელაპარაკა, ცალკე, მამაჩემს და ნავიდა.

იმავე დღეებში გრიგოლა შემხვდა და მითხრა:

— შენთვის კარგი ადგილი მქონდა აჩენილი, დავითსაც მოველაპარაკე ამაზე, მაგრამ გამაჩუმა: მას არ უნდა შენი მოშორება. მე კი გირჩევ, იმ ადგილს ნუ დაკარგავ. ვარციხეს ანანოვის სასახლეში შენისთანა ახალგაზრდა „ნასწავლი“ კაცისთვის ჯამაგირიანი ადგილი კი იშოვნება, თუ წამოხვალ, უთუოდ მოგცემენ. მე იქ ვმუშაობ ხელოსნათ (მუშების თავმდგურათ). თუ ამოხვალ, დაგეხმარები, მარა დავითს ნუ ეტყვი.

ძალიან მომეწონა ჭკვიანი გრიგოლის რჩევა და გადავსწყვიტე, მოვშორებოდი ოჯახს: ვიცოდი თოხით მუშაობით ვერას გავხდებოდი. მამას განუცხადე ჩემი განზრახვა, მაგრამ არ მითქვამს ვარციხეს მივდივარ მეთქი.

— ნავალ სადმე, ეგებ ადგილი ვიშოვო და ფულით დავეხმარები ოჯახს მეთქი.

მამას, როგორც შევატყვე, არ ესიამოვნა ეს — უარი მაინც არ უთქვამს და საგზაო ფულის სესხებასაც აპირებდა. მე ვუთხარი: ფულს ნუ სესხულობ, მე თვითონ ვიშოვნი, ბიძაჩემს გამოვართმევ სოფელ საჩინოს⁸ (ბიძა მამაჩემის ძმა იყო დედით).

გრიგოლას ვარციხეში წასვლის შემდეგ რვა დღე გავიდა. მე გამოვემშვიდობე ოჯახს და პირდაპირ ვარციხეში ავედი ქვეითად.

8

16-17 წლის ვიყავი, ძალიან ღარიბულად მეცვა. ანანოვების „სასახლის“ ნახვამ გამაკვირვა. დიდძალი შენობები იყო აგებული და დიდი მუშაობაც წარმოებდა. სამასზე მეტი მუშა მუშაობდა. დღის მუშა თითო აბაზს ღებულობდა დღეში ფულად და მჭადი და ლობიო საჭმელად ეძლეოდა. ამ დროს ამიერკავკასიის რკინის გზა გაყავდათ, ხის მასალას ანანოვები აძლევდნენ მთავრობას და დიდ ფულსაც გებულობდნენ. ამიტომ ტყეებს კაფავდნენ, ხეებს ძირიანათ თხრიდნენ, ამზადებდნენ „შპალებს“ და კამბეჩებით გაქონდათ გზაზე. ამბობდნენ ანანოვებმა და მირსკიმ მოახერხეს და ეს გზა ქუთაისს ააცილესო. მირსკისაც დიდი მამული ქონდა ანანოვების საზღვრად. ანანოვების მამული დიდი იყო; ტყეც ძალიან ვრცელი ეკრა ამ მამულს. აჯამეთის ტყე განთქმული იყო ძელქვის ხეებით, ამ ხის მასალა ძვირად ღირდა. რკინიგზის მასალების დამუშავებას დროებითი ხასიათი ქონდა. მუდმივი მუშაობა სხვა იყო — ინტენსიურ სასოფლო მეურნეობას ეწეოდნენ.

ანანოვების მამული დაბლობ ვაკე ადგილს წარმოადგენდა, სამ მდინარეს შუა იყო მოქცეული. ჩრდილოეთით ყვირილა, დასავლეთით რიონი და სამხრეთ-აღმოსავლეთით კალმახებიანი ხანის წყალი ჩამოუდიოდა. მიწა ნოყიერი, იქ ყოველნაირი სამეურნეო კულტურის წარმოება შეიძლებოდა, მაგრამ ციებ-ცხელების ნამდვილი ბუდე იყო. იქ ხშირად შეხვდებოდით გუბეებს, სადაც გლეხები წურბელებს

იჭერდნენ. მინახავს წვივებდაშიშვლებული გლეხები, ჭაობში ჩამდგარი, რომლის პირის სახე ტკივილს გამოხატავდა. როცა გუბიდან ამოვიდოდა, წვივები გაშავებული ამოყობოდა. წურბელებით იყო დაფარული. წურბელებიან წვივებზე ნიორს წაისვამდა, წურბელები მაშინვე ძირს ჩამოცვივოდნენ.

მე ლამით მივედი ვარციხეს (ეხლა აჯამეთი ეწოდება). როგორც იყო მოვნახე გრიგოლა, რომელმაც მიპატრონა. მეორე დღეს სარქის იონესიანცთან მიმიყვანა და სთხოვა კარგი ადგილი მიეცა ჩემთვის. იმას თითქოს გაუხარდა ეს ამბავი.

— დიდი აღის (ანანოვის) მოსვლას უნდა მოვეუცადოთ, უთხრა სარქისამ გრიგოლას, ადრე მოველი და მაშინ გადაწყდება მაგი საქმეო.

სარქისა (მას სერგეი რომანიჩს ეძახოდნენ) ყარაბახელი სომეხი იყო, რომელიც მამულს განაგებდა. ორი თანაშემწე ყავდა, ორივე სომეხი. მუშების უმეტესობა კი სულ გურულები და მეგრელები იყვნენ, მეურმეები — ქართლები. მუშები სამ კატეგორიათ იყო გაყოფილი: დღიური, თვიური და წლიური. უკანასკნელები უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ. დღიური მუშები ძლიერ გაჭირვებულები იყვნენ, მუდამ მჭადი და ლობიო, სასმელათ წყალი, ბინა, ცუდი. ამას დაუმატოთ აქაური მალარია — მუსრს ავლებდა მათ.

ხშირად მინახავს დღიური მუშა, რომელმაც ერთი კვირა იმუშავა, მერე ციება დაწყებია, დასუსტდა და ჯალამბერით წაიყვანეს შინ ნათესავებმა, მაგრამ მაინც ბევრი მოდიოდა აქ სამუშაოთ. ამასთან, ბატონი „სერგეი რომანიჩის“ სილა, რომელსაც ხშირათ ავარჯიშებდა მუშებში, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა. ვიმეორებ, მაინც აუარება მუშა გროვდებოდა სოფლიდან: დიდი გაჭირვება იყო მაშინ ყოველგან უფულობით.

სანამ ანანოვი მოვიდოდა, მე როგორც დღიური მუშა, ისე ვმუშაობდი სხვებთან. იმ განსხვავებით, რომ ბინა და ულუფა კარგი მქონდა: ერთ დღეს ხეებს ვხერხავდით მორებათ (გრიგოლა ჩვენი თავმდგური იყო) — ხმა გაისმა: „დიდი აღა მოდისო!“ გრიგოლა მოვარდა ჩემთან, ხერხი გამომართვა და მითხრა: — აქეთ წამოდი, ნუ მუშაობ, თუ არა ადგილს კი არა, ბოლოკის კუდს არ მოგცემენო! მე დავემორჩილე. ანანოვი და სარქისა საუცხოვო ყარაბახული ჯიშის ცხენებით მოვიდნენ (ასეთი ცხენი თორმეტი ებათ თავლაში). ანანოვი სულ ქართველი კაცის გარეგნობის იყო, ქართულსაც ისე ლაპარაკობდა,

როგორც ტფილისელი ქართველი. სარქისა ნახშირით შავი, ღიპიანი, თვალებდანი თლებული, უშნო არსებას წარმოადგენდა, თათას გავდა. ანანოვმა გრიგოლას დაუწყო გამოკითხვა მუშაობის შესახებ. გრიგოლა ყველასაგან ჭკვიან კაცად იყო მიჩნეული და, როგორც ეტყობოდა, ანანოვიც ასე იცნობდა მას. გრიგოლამ ხმადაბლა დაუწყო ლაპარაკი და მერე ჩემსკენ გამოიხედა. მე ცოტა მოშორებით ვიდექი. მანიშნა ახლოს მივსულიყავი. მივუახლოვდი. ანანოვმა გამომკითხა ვინაობა, სად მისწავლია, სადაური ვარ, რა წოდების, მერე სარქისას რუსულად უთხრა:

— „თქვენს განკარგულებაში იქნება ეს ყმანვილი კაცი“.

ანანოვი წავიდა. მეორე დღეს სარქისამ შემიხმო თავის კაბინეტში და მითხრა დამტკრეული ქართულით:

— თქვენ გნიშნავთ ჩემს თანაშემწედ, ჯამაგირის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერას გეტყვი, ვნახოთ როგორ ნაიყვან საქმესო. მე გაკვირვებით შევხედე და ვუთხარი:

— ეს დიდი ადგილია ჩემთვის, ძნელი იქნება მოვალეობის ასრულება, თუ შეიძლება, უფრო მცირე ადგილი მომეცით-მეთქი.

— არაფერია, თქვენი ამხანაგი გამოცდილი კაცია, მალე მიგაჩვევს და შეგასწავლის საქმის ასრულებას. ჩემი წინა მოადგილე აკოფიანცი 500 მანეთს ღებულობდა წელიწადში.

გადავწყვიტე, რაც მოხდება — მოხდეს, ხუთასი მანეთი დიდი ფულია ჩემთვის, ოჯახს გავაბედნიერებ მეთქი და უარი აღარ მითქვამს.

კვირა დღე იყო, ჩემთან გრიგოლა შემოვიდა გამხიარულებული და მითხრა:

— მომილოცავს, კაი ადგილი იშოვნეო; დიდი ჯაფა კი გექნება, მარამ იმედია კი გაუძლებო. მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: — მე კი არ მიშოვნია ადგილი, შენი წყალობაა მეთქი. მაგრამ საქმე ისაა, შევსძლებ თუ არა ნაკისრებ მოვალეობის ასრულებას?

მანუგეშა, შენ ჩემი ხარ, მთელ მუშებს გაუხარდა შენი დანიშვნა და აკოფიანცის წასვლა: იგი ნამეტანი ცუდი კაცი იყო, ყველას სძულდა და შენ ყველა მოგეხმარება.

— ახლა წავიდეთ სერგეი რომანიჩთან, მას სურს გაგაცნოს, რა უნდა გააკეთო შენ აქ. სარქისა და მისი თანაშემწე არ დაგვხვდა კანტორაში. იმათ მოსვლამდი გრიგოლა დარიგებას მაძლევდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, სხვაც ბევრი საყურადღებო რამ მითხრა.

„კონჩინა“ (თანაშემწის მეტი სახელი იყო) გარყვნილი და სულელი კაცია, იმასთან ფრთხილად უნდა იყო, არც სარქისა ენდობა იმას, მარა რა ქნას, ძმამ მისი და ამიტომ, სამსახურიდან არ ითხოვს. ცუდი ზნისთვის ბევრჯერ უცემია მისთვის, მარა ვერაფერს გახდაო“.

ამასობაში ძმებიც მოვიდნენ. „კონჩინა“ საზიზღარი სახის იყო, შესაძლებელია გრიგოლას სიტყვებმა იმოქმედეს ჩემზე და იმიტომ მეჩვენა ისე მახინჯათ. დაბალი და მსხვილი, შავ-ყვითელი ფერის, მძინარე ბებერ ცხენივით ჩამოშვებული ჩიჩვირი ქონდა. ძლიერ მახინჯი იყო.

ჩემი მოვალეობა ამიხსნეს. ყოველ დილით ზარის ხმაზე კანტორაში უნდა მივსულიყავი (ზარს რეკდნენ 5 საათზე). გამგის წინასწარი ინსტრუქციის თანახმად მუშები სხვადასხვა სამუშაოზე უნდა დამენაწილებია, შესაფერი სამუშაო იარაღები ჩამებარებია, ჩამენიშნა დავთარში, ვის რამდენი ქირა ერგებოდა, რომელ ჯგუფს რამდენი იარაღი ჩავაბარე და სხვა. მერე ვისაუზმებდი და ცხენით მოვივლიდი იმ პუნქტებს, სადაც მუშები მუშაობდნენ. უნდა შემემონებია იმათი რიცხვი და მუშაობა და თავმდგურების ბეჯითობა. ამას მთელი დღე ვუნდებოდი.

სადილი, რომელიც შედგებოდა ყველის, პურის, მშრალი ხორცის და პატარა ბოთლი ღვინისაგან, ჩემ მიერ დანიშნულ ადგილზე მომივიდოდა. სალამოს გამგისათვის ანგარიში უნდა მიმეცა და შემდეგი დღისათვის ინსტრუქცია მიმეღო. ეს ღამის პირველ საათამდე გრძელდებოდა.

პირველ ორ დღეს, „კონჩინა“ დამყობოდა და მაცნობდა ადგილებს. მალე შევეჩვიე ჩემი მოვალეობის ასრულებას. მე და „კონჩინა“ მორიგეობით ვმუშაობდით: როცა ის წავიდოდა მუშების დასათვალიერებლად, მე „სასახლისთვის“ უნდა მედევნებია თვალი: აქაც ბევრი საქმე კეთდებოდა — ბამბის დაჩირხიხება, დაპენტვა, დაკალიბება (пресование), სიმინდის დამუშავება, დაფშვნა, წისქვილი და სხვ. მრვალი სამუშაო „სასახლის“ ახლოს წარმოებდა. აქ იმდენი დრო მაინც მრჩებოდა, რომ წიგნები მეკითხა. ანანოვებს იქ მდიდარი სამკითხველო ქონდათ, რასაკვირველია, რუსულ ენაზე. უმეტესად ტექნიკური შინაარსის და ძნელი გასაგები იყო ჩემთვის. იქ, სხვათა შორის, ერთი რუსი მსახურობდა, კარგი განვითარებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სამეურნეო მანქანები ქონდა მინდობილი შესაკეთებლათ. ეს კეთილი ყმაწვილი მეხმარებოდა, მიხსნიდა, რის

გაგებაც გამიჭირდებოდა. ამის გამო დროს რომ ვიშოვიდი, მასთან დავდიოდი.

გაზაფხული დადგა. სარქისა აფხაზეთში წავიდა, კამეჩები უნდა ეყიდა. მამულის მართვა-გამგეობა მის ძმას „კონჩინას“ ჩააბარა. წასვლისას მეც მიმიხმო, ოცდაათი მანეთი მომცა ტანისამოსისათვის და მითხრა: „ჩემი ძმა, ალექსანდრე სანდო კაცი არ არის. მე მივდივარ ერთი თვით, თქვენი იმედი მაქვს. თუ რამ ცუდ საქმეს ჩაიდენს ჩასწერთ და მე დამახვედრებთ. აფხაზეთიდან რომ დავბრუნდები, ორ ჩემ მონათლულ აფხაზის ბავშვს მოგიყვან, წიგნი უნდა ასწავლოთ და ამისათვის ცალკე მიიღებთ გასამრჯელოთ. მერე მეჯინიბეს დაუძახა და უბრძანა:

„— თუ ქუთაისში წასვლა დასჭირდეს გიგოს, რომელიც ისურვოს ის ცხენი შეუკაზმეო.“

ნამეტანი გამაკვირვა მისმა საქციელმა. ეს კაცი ასე რამ დაარბილა-მეთქი.

ეს ყველაფერი ვუამბე გრიგოლას. მან ჩაიცინა უღვაშებში და სთქვა: „მაგი ეშმაკი კაცია, ეშინია სულელმა ალექსანდრემ („კონჩინამ“) ცუდი რამ არ ჩაიდინოს, და შენ „ჩაჩუტობაც“ (ჯაშუშობაც) კი შეგიკვეთაო. მარა არაფერია, მაგი („კონჩინა“) ვერაფერს გაბედავს: იცის ჩვენი ამბავი (გრიგოლას გარდა აქ გურულები ბევრი იყო), რომ ვერაფერს გამოგვაპარებს. იმან გასულ წელში მოინდომა ხუთი ათასი ფუთი თივის გაყიდვა. მერე უნდოდა ქურდებათ ჩვენ, მუშები გამოვეყვანეთ, მაგრამ ვერ მოახერხა. შენ არაფერი ჩასწერო „კონჩინაზე“, შენი საქმე აკეთე, თუ არა არ ივარგებსო“.

აღდგომის დღესასწაულები მოახლოვდა. ბზობას მე და რამდენიმე გურული მუშა ფანჩატურში ვიჯექით და ვლაპარაკობდით. გრიგოლაც იქ იყო. საიდანღაც „კონჩინაც“ შემოგვეპარა, ის ამოფარებოდა დიდ მუხას, რომელზედაც მიშენებული იყო ფანჩატური, და ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს.

წასულ თვეში ერთ ოზურგეთელ ვაჭარ ლაზს, არიფა საფაროლლის ახალგაზრდა გურული დიმიტრი ვანიძე გაუტყუებია სიმინდის ყანაში. საფაროლლი გარყვნილი კაცი ყოფილიყო და ამ ბავშვისათვის საზიზღარი წინადადებით მიემართა. ვანიძეს ადრე სცოდნოდა ლაზის განზრახვა, მალულათ „ფიშტო“ თან წაეღო და ყანაში წაყოლაზეც უარი არ ეთქვა. როცა საფაროლლის ზემოხსენებული უმსგავსი წინადადებით მიემართა, ვანიძეს ფიშტო ესროლა მისთვის და იქვე მოეკლა. აი,

ამაზე იყო ჩვენი ლაპარაკი. ეს რომ გაიგონა „კონჩინამ“, გამოჩნდა და ჩვენთან მოვიდა. გურულები საშიში კაცები ყოფილხართო, სთქვა, კაცის მოკვლა მაგისტანა საქმისთვის, როგორ შეიძლებაო? გრიგოლამ უთხრა: „ჩვენში დედის შეგინებისთვის კლავენ კაცსო, თორემ მაგისტანა უზნეობას ვინ გაბედავს და თუ გაბედა, მოკლავენ კიდევო“.

„— ალბათ, თქვენ ყველას გექნებათ ფიშტოები დამალულიო“, სთქვა შეშინებულმა „კონჩინამ“.

„— გურული, რაც უნდა დაბუნი იყოს, უიარალოთ არ გამოვა გართ. აქ მოსამსახურე გურულებს ყველას აქვს იარაღი — რამდენიმე კაცს ექნება დამალული და თუ ვინმეს დასჭირდება, იშოვნისო. გურულები გლახა ხასიათის კაცს არ ზოგავენ: ქურდობა, ჯაშუშობა, მოტყუება და სხვა უზნეო საქმე არ სწამთ და არც დაინდობენ იმის მომქმედსო. ჩვენ აქ ძალიან ვატანთ თვალს, ვინც ცუდი ზნის კაცია და თუ რამე დააშავა, არ ვზოგავთო“. შეშინებული „კონჩინა“ რომ მოგვეშორდა, გრიგოლამ სთქვა: ანი მაგი სულელი და წუნკი ვერაფერს გაბედავს, სარქისას კი ეტყვის ყველაფერსო. ამ დღის შემდეგ მართლა წყნარათ იყო „კონჩინა“, წინეთ რომ უზნეო სიტყვებს ხშირად გამოურევდა ლაპარაკში — მერე ხმაც არ ამოუღია, ცდილობდა, სერიოზულათ დაეჭირა თავი.

აღდგომას კონჩინამ მთელი ბათალიონის ოფიცრები და ერთი როტა მომღერალი ჯარისკაცები დაპატიჟა და ძალიანაც გაუმასპინძლდა. დაპატიჟების დროს მეც თან წამიყვანა, „რიონზე“, სადაც ჯარი იდგა. ვსწუხდი, რატომ გავერიე ამ საქმეში მეთქი, მაგრამ გრიგოლამ დამამშვიდა — ესენი სულ ასე უმასპინძლებიან ყველას, ვისაგანაც რამე სარგებლობას მოელიანო.

ბ

სარქისა დაბრუნდა აფხაზეთიდან ნაყიდი კამეჩებით. მათში შეციება დამანყებია და თითქმის ყოველ დღე მაციებდა. ქინამ ვერ იმოქმედა, თუმცა ყოველ დილა-სალამოს ვიღებდი. თანდათანობით სისუსტე შემეპარა, თავის ტკივილიც ამიტყდა. მიუხედავად ამისა, მუშაობას განვაგრძობდი უფრო გაძლიერებულად.

ადრინდელი სარქისას ჩემდამი ლმობიერება სიმკაცრით შეიცვალა. ციებას ფეხზე ვიხდინდი და ოფლში განურული დავდიოდი ჩემს საქმეზე.

თიბათვეში მთიბავი სალდათები მოიწვიეს 50 კაცამდე. ამათ თავმდგურად დამაყენეს. ეს ხომ ჩემი დაქვეითება იყო. მთელი დღე ფეხზე უნდა ვმდგარიყავი მთიბავების წინ. ფეხებიც დამისივდა. სანთელივით გავყვითლდი. სარქისა უწყალოთ მექცეოდა, სიტყვით კი არა — საქმით: რაც უფრო ვსუსტდებოდი, უფრო ძნელს და მეტს სამუშაოს ამიჩენდა ხოლმე. გრიგოლა სწუხდა და მეუბნებოდა:

— „როგორც სჩანს, მაგ ურჯულოს უნდა შენით დაანებო თავი აქ სამსახურსა და ამიტომ დაუზოგავად გეპყრობაო. როგორმე წლის შესრულებამდი გაუძელი, ნუ ნახვალ, რომ მიზეზი არ იშოვოს და ჯამაგირი არ დაგიკლოსო“.

მეც ასე გადავსწყვიტე და განვაგრძობდი ტანჯვით მუშაობას. ჩემი სამსახურის თერთმეტი თვე შესრულდა და ისე დავიქანცე, რომ ზოგჯერ გონებსაც ვკარგავდი. შეუძლებელი გახდა ჩემი მდგომარეობის ატანა. გრიგოლასაც შეეშინდა — არ მოკვდესო და მირჩია შინ წავსულიყავი.

— „მეც უნდა წამოვიდე შინ და ერთად წავიდეთო. მარა არა, შენ ცხენით წახვალ: სარქისა ქვეითად არ გაგიშობს ასეთ ავადმყოფს, საჩინომდი მაინც გათხოვებს ჯორს და კაცსაც გაგატანსო. მერე რაღა გიჭირს, ბიძასთან დაისვენებ და იქიდანაც ცხენით წახვალო“.

შევედი სარქისასთან და განუცხადე ჩემი სურვილი:

— ველარ გაუძელ გურულო მუშაობას?

— ძალიან ავად ვარ, მეშინია ლოგინათ არ ჩავარდე, სჯობს შინ წავიდე. თუ შეიძლება, ანგარიში გამისწორეთ: დღეს ან ხვალ გავალ, მეთქი.

— გურულებს კაცის კვლა უფრო გემარჯვებათ, ვინემ მუშაობა და კეთილი საქმე; — ჩუმათ ჩაილაპარაკა; ჩაყო ხელი მაგიდის უჯრასში, ასმანათიანი ამოიღო და დამიდო წინ.

— „სულ ასოცდაათი მანეთი შესდგა, რაც თქვენ გინწევს 11 თვის ჯამაგირი“.

მე გაკვირვებით შევხედე. ისიც, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა: აღელვება შემატყო, გავყვითლებული პირის სახე უცბათ გამწითლებოდა და ვღელავდი.

ამ დროს გრიგოლაც შემოვიდა, აღელვება რომ შემატყო, ხელი მომკიდა და მოფერებით მითხრა:

— „წამოდი, დაწვევი, ავად რომ ხარ, ვერ გრძნობო“. ბინაზე მიმიყვანა, გამომკითხა ყველაფერი და მითხრა: „ხვალ დილას წავალთ აქედანო“ და დაბრუნდა სარქისასთან.

მეორე დღეს დილით, ასი მანეთი მომიტანა და ასოცდაათი მანეთის ბარათზე ხელი მომანერია სარქისას გადასაცემად — გრიგოლასაც გაუსწორებია ანგარიში.

მე და გრიგოლა გავუდექით გზას. ნამეტანი დაქანცული ვიყავი, ძლივს მივათრევდი ფეხებს, მაგრამ დალოცვილი გრიგოლა მამხნევებდა და მართობდა გზაში. სხვათა შორის მითხრა:

— სარქისა ფანჩატურში ჩემმა ნალაპარაკევმა გადაგვკიდე. იგიც ქურდია. გარდა ჯამაგირისა, მეთედს შემოსავლისას ითვისებს. შენს ასოცდაათ მანეთს ხუთას მანეთად უანგარიშებს ანანოვებს.

— ასოცდაათი მანეთის ბარათის მეტი რომ არაფერი საბუთი აქვს ხელში? — ვკითხე მე.

— ეს არაფერია, კი გადააკეთებს, როგორც მისთვის იქნება საჭირო.

ლამის გათევა ჩემს ბიძასთან გვინდოდა საჩინოს, მაგრამ მისმა მეზობლებმა გზაში გვითხრეს — იქ სამი სულია მუცელათი ავადო და სადღაც სიმინდის ნალიას ქვეშ გავათიეთ ღამე. ჩემი გაყვითლებული სახე რომ დაინახეს, სახლში არავინ მიგვიღო, მუცელიანი იქნებაო: საჩინოვლებს ისე ეშინოდათ მუცელასი, როგორც ხოლერის.

შ. მშობლიურ ჭერქვეშ

როგორც იყო, დიდი გაჭირვებით მივედი შინ და ლოგინად ჩავვარდი. ორმოც დღეს უგონოთ ვინეკი თურმე: სახადათ გადაქცეულიყო ჩემი ციებ-ცხელება. ამ სნეულებამ დიდი სისუსტე დამიტოვა უეკი-მობისა და უნამლობის გამო. მაგრამ ახალგაზრდობამ, ჯანმრთელობამ, ამასთან ჩემი სოფლის საღმა ჰაერმაც ხელი შემიწყო — ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობას ცუდი შედეგი არ მოყოლია, ნელ-ნელა ისევ ჯანსაღი გავხდი.

ჩვენი ოჯახის უმწეომდგომარეობას ჩვენი მეზობლები გულწრფელი თანაგრძნობით უყურებდნენ. ზოგი მიჩვენდა სოფლის მწერლად დავმდგარიყავი და ამით შემემსუბუქებია ოჯახის გაჭირვება, ზოგი მასწავლებლის ადგილს მიძებნიდა. მწერლობა არ მინდოდა. მასწავლებლობის მეშინოდა: ვგრძნობდი უკანასკნელის სიძნელეს, მაგრამ დიდი ყოყმანის შემდეგ ისევ მასწავლებლობა ვარჩიე: ვფიქრობდი ნადიკვნარები თუ ენევიან მასწავლებლობას, რატომ მე ვერ მოვახერხებ მეთქი, მარა ცუდი ის იყო, რომ მასწავლებელს მწერლობაც

უნდა გაენია სოფლის სამმართველოში და ვეძებდი ისეთ სკოლას, სადაც არ შემხვდებოდა მწერლობა. ასეთი სკოლა მომიჩანეს.

თუმცა, ანანოვების მამულში ყოფნამ დიდი გაჭირვება გამოიწვია, მაგრამ უსარგებლოდ არ ჩაუვლია ჩემთვის: იმან გამაცნო მუშაობის ორგანიზაციას, ხალხის გაჭირვებას, ჯაფისა და ტანჯვის ატანას, ხაზინების „სინიდისს“. ერთნაირი სკოლა დარჩა ჩემთვის იქ ყოფნა. ცოტაოდენი განვითარება და ცოდნაც შევიძინე თავისუფალ დროს მეცადინეობის წყალობით.

3. მასწავლებლობა

ქ. ძიმითის და ბახვის საზოგადოება 1869-74 წლიდან.

ეს ორი საზოგადოება მდებარეობს მდინარე სუფსის შუა წელში, გაღმა-გამოღმით, ერთმანეთის პირდაპირ — ბახვი მარცხენა ნაპირზეა, აჭარა — გურიის მთის კალთების ბოლოებზე, ძიმითი⁹ კი მარჯვენა ნაპირზე, ნიგოთის ქედის სერებს შეხიზვნია.

ბახვის საზოგადოების სივრცის მეტი ნაწილი ვაკეს წარმოადგენს და ცოტაოდნათ დაქანებულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხოლო ძიმითის საზოგადოება — მთაგორიანია, სამხრეთით და დასავლეთით უხვმოსავლიანი სასიმიანდე სუფსის მერეები აკრავს.

ბახვის საზოგადოების ვაკეები და ეგრეთწოდებული „დობიროები“ იმ დროს დაფარული იყო გაუვალი მაღალი გვიმრით, ეკლით და თხემლის ხეებით, სადაც ხობხები მრავლდებოდნენ.

ორივე საზოგადოება სასოფლო მეურნეობით ცხოვრობდა. ძიმითის საზოგადოებაში გაცილებით მეტი სიმიანი და ღომი მოდიოდა, ვინემ ბახვის. მაგიერში, ბახვის საზოგადოებაში ძლიერ კარგი და ბევრი ღვინო მოდიოდა.

ორივე საზოგადოებაში, აბრეშუმის ქისის სნეულების გაჩენამდე, თანაბრათ ყოფილა გავრცელებული მეაბრეშუმეობა; მეფუტკრეობასაც ორივე საზოგადოება ეწეოდა, რადგან ამ დარგს მეურნეობისას ხელს უწყობდა სხვა და სხვა მცენარეულობით შემოსილი ტყეები; მაგრამ მეფუტკრეობა ორივეში პრიმიტიული იყო: მაღალ ხეებზე ედგათ სკები სრულიად მოუვლელად, მიუხედავად ამისა თაფლი, მაინც დიდძალი მოდიოდა.

ბახვს ორი პატარა მდინარე ჩამოედის — სამხრეთ-დასავლეთის სამზღვარზე — ნატანები, აღმოსავლეთით — ბახვის წყალი. ეს მდი-

ნარეები დაშორებულია ერთი მეორეს 5 ვერსით. ამის გამო ნისქვილები შორს ქონდათ მცხოვრებლებს და ძნელი იყო სიმინდის დაფქვა; სასმელი წყალი (წყაროებიც) ნაკლები იყო, ჭებსაც იშვიათად შეხვდებოდით. ძიმითსაც შორს უხდებოდა საფქვავეის ზიდვა, რადგან ერთად ერთი მდინარე სუფსა შორს არის შუაგულ სოფლებიდან, მამათის ლელე კი იმდენათ პატარაა, რომ მამათსაც ვერ აკმაყოფილებს. მაგიერში ძიმითის საზოგადოებაში წყაროები ბევრია.

ბახვის საზოგადოებაში სასოფლო მეურნეობას კარგი მომავალი ქონდა: აქაური ადგილების მდებარეობა და ნიადაგი უფრო ხელს უწყობს აქ ძვირფასი და ნაზი მცენარეების მოშენებას, ვინემ ძიმითის საზოგადოებაში.

ძიმითის საზოგადოება უფრო კულტურული იყო, ვინემ ბახვის პირველს შედარებით კარგი ერთკლასიანი სკოლა ქონდა ადრე გახსნილი და სწავლა-განათლებაზე ძალიან ზრუნავდნენ.

ბახველები უსკოლოთ იყვნენ; ამბობდნენ — აქ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი დააარსებს სკოლას თავის ხარჯითო, ამ სკოლის მოლოდინში ბახველები სკოლისთვის თავს არ იწუხებდნენ. გაბრიელ ეპისკოპოსი ბახვის სოფლის შვილი იყო და მართლა ბევრი კარგი იყო მისგან მოსალოდნელი. მის გვარეულობაში ბევრი იყო მისი დახმარებით გამოზრდილი და კარგი ადგილებიც ეჭირათ მთავრობის სამსახურში. ქიქოძეები (გაბრიელი ქიქოძე იყო) ერთადერთი გვარი იყო გურიამი, რომლებიც ყველა გვარზე წინ იდგა სწავლა-განათლებით მაშინ.

ბ

მთელი ძიმითის საზოგადოება ორ უმთავრეს ნაწილად იყო გაყოფილი — სამხრეთ ნაწილს შეადგენდა სოფელი ძიმითი, ჩრდილოეთს — მამათი, რომელიც წარმოადგენს დაცემულ ტაფობს, მოზრდილი სურებით გარშემოზღუდულს, ძიმითის საზოგადოების მცხოვრებნი, მცირეოდენ ეგრეთ წოდებული საეკლესიო და სახაზინო გლეხების გამორიცხვით, დროებით ვალდებული გლეხები იყვნენ და მებატონის მინებს ამუშავებდნენ სანახევროთ.

ბახველებს კი უფრო სასულიერო წოდება და ორიოდ თავად-აზნაური პატრონობდა და ესენიც სხვისი მიწის დამუშავებით იკვებებოდნენ. აქაური გლეხები უფრო დაჩაგრული და დამონავებული იყვნენ, ვინემ ძიმითელები.

ძიმიტში გაცილებით მეტი იყო წერა-კითხვის მცოდნე, ვინემ ბახ-ვში, რადგან იქაურ (ძიმიტის) თავადაზნაურობაში უფრო გავრცელებული იყო წერა-კითხვა და მნიგნობრობა და ამიტომ, ძიმიტის სოფლის გლეხობაშიაც შეუმჩნევლად ვრცელდებოდა იგი — სოფლის სამმართველოში ყველამ წერა-კითხვა იცოდა, მსაჯულები (სოფლის) განაჩენს თვითონ სწერდნენ.

ბ

წერა-კითხვა რომ შედარებით კარგათ იყო გავრცელებული არა თუ ძიმიტში, მის მეზობელ სოფლებშიაც — შემდეგი გარემოება ამტკიცებს: ჩემს ძიმიტში ყოფნის დროს (1869-1874 წ.) ერთი აზნაურისას წვეულება იყო გამართული. სხვათაშორის იქ მოწვეული იყო იმ დროს, ჩვენში კარგად ცნობილი, ბებურა ბებურიშვილიც¹⁰.

სანამ სადილს მართმევდნენ წვეულებას, ბებურამ გადასწყვიტა რამე გასართობის გამართვა. მან შეკრიბა დარბაზში ყველა მნიგნობარი სტუმარი და ჰკითხა:

— „ვინ იცის ზეპირად „ვეფხისტყაოსანიო?“

ბევრი არ აღმოჩნდა მათში ასეთი. ერთმა აზნაურმა თქვა:

— „აქ არიან მოსამსახურეთა შორის ისეთი გლეხები, რომელთაც ზეპირად იციან „ვეფხისტყაოსანიო“.

მართლაც, აღმოჩნდა რამდენიმე გლეხი, რომელიც ბებურას გამოადგა გასართობში. მაშინ ბებურამ უთხრა იმ აზნაურებს, ვინც არ ივარგა გასართობისთვის:

— „თქვენ წაბრძანდით და ღომი და ხარჩო გააკეთეთ ამ გლეხების მაგივრათ, ესენი კი (მიუთითა გლეხებზე) თქვენს მაგივრობას გასწევენ აქაო“.

ბებურამ ეს გასართობი ასე მოაწყო: ჩაამწკრივა სკამებზე „ვეფხისტყაოსნის“ მცოდნენი, თითონ იმათ წინ დადგა და დაიწყო:

— „მისწერა: ფრიდონ მაღალო, სვე სრულო მეფეთ მეფეო“...

და გამოიწვია ერთ-ერთი მწკრივში მყოფი, რომელმაც განაგრძო:

„ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო, შუქ-მოიფეო,

მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,

უმცროსმა ძმამან შორი-შორ სალამი დავიყუფეო“.

დაასრულა თუ არა ეს ტაეპი წამკითხველმა, ბებურამ ხელი ჩამოართვა და თავისი ადგილი დაუთმო მას. ახლა იმან დაიწყო სხვა ტაე-

პი და გააგრძობინა სხვას; ვინც ვერ განაგრძობდა დანყებულ ტაეპს — მწკრივიდან უნდა გამოსულიყო.

სანამ სუფრას გაშლიდნენ, ასე ივარჯიშეს „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპების კითხვაში. ასეთ გართობას ხშირად მართავდნენ ხოლმე გური-აში სხვაგანაც, სადაც ზოგჯერ მთელს „ვეფხისტყაოსანს“ ათავებდნენ ბოლომდი.

მეორე მაგალითი. თავად ყარამან თავდგირიძეს შემოღებულნი ქონდა: თუ წერა-კითხვის მცოდნე ვინმე ესტუმრებოდა — სტუმარს უთუოდ უნდა ჩაენერა რამე მის ალბომში. ერთხელ მისას, რაღაცა საქმის გამო, მივიდა აკეთის სოფლის „სუდია“ (მოსამართლე).

მასპინძელმა ალბომი მიანოდა მას და უბრძანა ჩაენერა შიგ ლექსი. გლახმა ცივი უარი უთხრა:

„— იმდენი მე რა ვიცი, რომ შენს წიგნში ჩავწეროო“.¹¹

ბევრი თხოვნა-მუდარის შემდეგ გლახი დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით კი, თუ მას მარტოთ დასტოებდნენ და ოთახში მასთან არავინ შევიდოდა. ჩაუკეტეს ოთახის კარები და დასტოვეს. მან დაავიანა გამოსვლა ოთახიდან. კაი ხანს უცადეს. გააღეს კარები — მსაჯული უკანა კარებიდან გაპარულიყო და ალბომი მაგიდაზე დაუტოებია. შიგ ჩაენერა შემდეგი ლექსი:

„სასამართლოს მონაწილე ლექსსა ვიტყვი მცირედს, უცებს,
არშიყული ლექსი უთქვამთ ქაქუთიდან მოსულ ხუცებს,
ანას მონაზნურებ უთქვამს, თინათინებრ ნაკეკლუცებს.

ამ გოჯასპირს რა უნდოდა — სამოცი წლის მონახუცებს?!*
ხსენებულ დროს, შედარებით, ძიმითის საზოგადოების გლახები

უფრო შეძლებული იყვნენ, ვინემ ბახვის.

შ

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ამ საზოგადოებას საყანე მინები სიმინდის და ღომის უხვ მოსავალს იძლეოდა — „მჭადით არ შიოდათ“. ამას გარდა მაშინ, როცა სხვაგან გურიში იშვიათად შეხვდე-

*. ეს პირები, რომელთაც გლახი შეეხო, თავდგირიძისას ყოფილან იმ დღეებში და ლექსები ჩაუნერიათ ალბომში. ანა წინეთ არშიყი ქალი ყოფილა, მერე ამონაზვნებულა. გოჯასპირი — ხანში შესული ყოფილა, მაგრამ თმასა და წვერ-ულვაშს შავათ იღებავდა და წლოვანებას იმოკლებდა თურმე.

ბოდით ხელოსნებს, ძიმითის საზოგადოების სოფ. მამათში და ბაილეთში ბევრი სხვა და სხვა დარგის ხელოსნები იყვნენ. მაგალითად: მხერხავები, ხუროები, საუკეთესო დურგლები, ოქრომჭედლები, ზეინკლები, მენალეები, ხარატები, მზარეულები და სხვ... ამ სოფელში ხელოსნების სიმრავლე გამოუწვევია შემდეგ გარემოებას:

გასული საუკუნის (XIX) დასაწყისში, სოფელ ბაილეთში მცხოვრებ თავად გიორგი გურიელს მოუწვევია უცხოეთიდან სხვა და სხვა დარგის ხელოსნები, აურჩევია თავის მამულში ახალგაზრდა და ჯანსაღი გლეხები და თვითონაც მათთან ერთად დაუწყია მუშაობა საგანგებოთ გაკეთებულ სახელოსნოში.

გურიელი მჭედლობის და ზეინკლობის სწავლას შესდგომია და როგორც ბაილეთელმა ხელოსნებმა მიამბეს, ძალიან გულმოდგინედ მუშაობდა თურმე.

უნდა აღვნიშნო, რომ გურიის ქალაქი ოზურგეთი ძლიერ მდიდარი იყო ერთ დროს სხვადასხვა დარგის ხელოსნებით, რომლებიც სულ ბაილეთიდან იყვნენ მოსული. აი, ასეთი იყო ეს ორი საზოგადოება ზემო აღნიშნულ დროს, როცა მე დავინყე მასწავლებლობა.

ე

გიორგობისთვის ნისლიანი საღამო იყო, როცა მე ძიმითიდან გავიარე ძიმითის ყელი — ეს ვიწრო გასავალი იმ სერში, რომელიც ძიმითის სოფლის საზოგადოებას ორ ნაწილათ ყოფს და გადავედი სოფ. მამათში. ყელიდან მოდიოდა ტყით ბილიკი. თითქმის ოცი წამი მომიწია ამ ბილიკის გავლა ცხენით და მივედი ძიმითის საზოგადოების სამმართველოზე, რომელიც მოთავსებული იყო ტყით შემორტყმულ მალლობზე. იქვე იყო სკოლაც, რომლის სტუმარიც მე ვიყავი. უკვე ბნელოდა, როცა შენობებს დავუახლოვედი და მეშინოდა, ვაითუ არავინ იყოს იქ მეთქი. მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოთ, კანცელარია განათებული იყო და იქიდან ლაპარაკიც ისმოდა. ჩამოვხტი ცხენიდან თუ არა, ვიღაცამ ცხენი ჩამომართვა; ვინაობა ვკითხე — დარაჯი აღმოჩნდა. შევედი „კანცელარიაში“, სადაც გლეხები ისხდნენ და რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ჩემს მისალმებაზე ზრდილობიანათ მიპასუხეს, ერთმა სკამი მომანოდა. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა მე შემომცქეროდა, რადგან უცხო ვიყავი. ბოლოს ერთი უფრო ხანში შესული შემეკითხა:

„— საიდან მობრძანდები?

— საერისთაოდან (გურიის აღმოსავლეთ ნაწილს ერქვა ეს სახელი) მეთქი.

— „უჩიტელი“ ხომ არ ხარ? — მკითხა.

— დიახ, მასწავლებელი ვარ მეთქი, ვუთხარი. ამ თქმის ცოცხა არ იყოს, კიდევაც შემრცხვა: სადაური მასწავლებელი ვარ მეთქი, ვიფიქრე ჩემს გულში.

— მართალი უთქვამს როსტომას (მამასახლისს), ამელამ მოვა „უჩიტელი“, უთხრა ამხანაგებს, მერე მე შემომხედა და მითხრა:

— აგერ ორი თვე იქნება, რაც ჩვენი „უჩიტელი“ წავიდა, დაგვიცთა, ბატონო, ბაღნები, აღარც შინ აკეთებენ რამეს და არც კლასში დადიან; აგაშენა ღმერთმა, რომ მოი, ხვალე გამოგზავნი ჩემ ბიჭს კლასში.

— ხვალ ნუ გამოგზავნით ბავშვებს, ვუთხარი მე, ჯერ გადაწყვეტილი არ არის ჩემი აქ დარჩენა. ხვალ მამასახლისს მოველაპარაკებ, თუ შევთანხმდით — თქვენც შეიტყობთ და მერე გამოგზავნით შვილებს სკოლაში-მეთქი.“

ამ დროს ერთმა გლეხმა წაიძრო ცერიდან დიდი თითფრის ბეჭედი, მომანოდა და მითხრა: „აბა, თუ წეიკითხავ, რა სწერია ამაზე?“ გამოვართვი, მიუახლოვე სანთელს და მკაფიოთ წავიკითხე: — „Добросовестный свидетель“.

ყველამ გაკვირვებით შეხედა. მეორე გლეხმა მკითხა:

„— რა არის ქართულათ იგი, რაც შენ წეიკითხე ბეჭედზე?

— კეთილსინდისიერი მონმე მეთქი, ვუპასუხე.“

გადახედეს გაკვირვებით ერთმანეთს, თითქოს დიდი რამ სასწაული მომეხდინოს.

„— აგი ძალუანი წეიკითხე შენ და კარქათაც გადათარგმნე, მეუბნება ის, ვინც ბეჭედი მომანოდა. უკუღმა რომ არ იყოს დანერილი — ადვილია, მარა მიკვირს, რავა ამეიკითხე, თავუკუღმა ამოჭრილი სიტყვა!

— ხუცუაის ლუკაიამ, თფილისშია დიდხანს ნამყოფი, და კაი სტალუ-ლიაო, ჩივიან, მარა თავი და ბოლო ვერ გამოუკლია,“ — სთქვა მეორემ.

ამასობაში მამასახლისიც მოვიდა. გლეხები ადგნენ და მდაბლად თავი დაუკრეს: მეც გავეცანი, ხელი ჩამომართვა და მკითხა:

„— დიდი ხანია მობრძანდით?“ — ესეც არის მოვედი მეთქი, ვუთხარი.

„— მე თქვენ სწორეთ დღეს მოგელოდი და კარგია რომ მოდი. ახლა გზაში ვფიქრობდი, ვაი თუ არ დამხვდეს მასწავლებელი მოსული მეთქი. ამაღამ ჩვენ მოვილაპარაკებთ, იმედია სასურველათ გადაწყდება საქმე და ხვალ თუ არა, ზეგ სწავლას დავიწყებთ; კაი ხანია რაც ჩვენს სკოლაში სწავლა შეწყვეტილია და სწუხს საზოგადოება, მაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ჯერ ამათ გავისტუმრებ (მიმითითა გლეხებზე).“

გლეხებს (კეთილსინდისიან მონმეებს) გამოუცხადა, რისთვისაც იყვნენ დაბარებული და გაუშვა. მერე დარაჯს დაუძახა და უბრძანა, ცეცხლი დაანთე მასწავლებლის ოთახშიო.

დარაჯი გავიდა, მარტონი დავრჩით და სიჩუმე ჩამოვარდა. მამასახლისმა რაღაც წერილი ამოიღო ჯიბიდან და თავისთვის კითხვა დაიწყო. მერე მომიბრუნდა და მითხრა:

„— ალბათ, თქვენც გეცოდინებათ ჩვენი პირობები?

— მე არაფერი ვიცი ჩვენი პირობების.“

კიდევ ჩახედა წერილში და სთქვა:

„— მართალია, მე ანდრია მწერს, არაფერი მითქვამს პირობებზე შარაშიძისათვის, მხოლოდ ვუთხარი მასწავლებლის ადგილია ძიმიტის სკოლაშიო. უნდა გითხრათ, გურიის ყველა საზოგადოებაში, სადაც სკოლა კია, მასწავლებელი ორ თანამდებობას ასრულებს — მასწავლებლობას და მწერლობასაც ეწევა კანცელარიაში, აქ კი მარტო მასწავლებლის მოვალეობა გეკისრებათ თქვენ, მწერალი ჩვენთვის საჭირო არაა, რადგან თითქმის ყველა მოხელეებმა ქართული წერაკითხვა გვარიანათ ვიცით.*

— ჯამაგირი რამდენი ეძლევა აქ მასწავლებელს?

— ჯამაგირი მართალია ძალიან ცოტაა ისე, რომ თქმაც კი მრცხვენია, მაგრამ სხვა პირობებია კარგი: გარდა ჯამაგირისა მას ეძლევა ბინა, შეშა, სასმელ-საჭმელი და მოსამსახურე, იგივე „სტაროჟი“.

— სთქვით, მაინც, რამდენია ჯამაგირი?

— ჯამაგირი 90 მანეთია წელიწადში გადაწყვეტილი და იგიც წლის ბოლოს ეძლევა მასწავლებელს, მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოს თქვენ: თუ მენდობით, სიტყვას გაძღვეთ ამ ფულს, მეტად თუ არა, სამას მანეთად მაინც შეგისრულებ და თავის დროზეც მიიღებთ. ამ გვართ ჩემი პირობები ასეთია: 1) მასწავლებელს აქ არ ევალება

*. მამასახლისობის შემოღების პირველ ხანებში ადმინისტრაცია ქართულ ენაზე აწარმოებდა მინერ-მონერას სოფლებში.

არავითარი სხვა საქმე, გარდა მასწავლებლობისა. 2) ეძლევა დამზადებული საჭმელ-სასმელი. 3) ექნება ბინა. 4) ეყოლება მოსამსახურე. 5) ეძლევა 90 მანეთი წელიწადში და ჩემი პატიოსანი სიტყვა, რომ ამ ფულს 300 მანეთად გავუხდი წელიწადში და თავის დროზეც მიიღებს და 6) ეძლევა ცხენი, როცა სკოლის საქმეზე მიდის სადმე. თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ.

— ეს არის ჩემი პირობები, განაგრძო მამასახლისმა, მაგრამ თქვენგანაც მოვითხოვ, რომ ბეჯითად და უცთურათ იმუშაოთ სკოლაში მთელი წელიწადი.

— როგორ მთელი წელიწადი?!

— მთელი 12 თვე უნდა იმეცადინოთ წელიწადში, გარდა დღესასწაულებისა, საზაფხულოთ აქ ბავშვებს არ ვითხოვთ, რადგან ეს ჩვენი სკოლის არემარე გრილი და სწორედ საზაფხულო ადგილია. გავაკეთოთ პირობა?

— გავაკეთოთ.

— პირობაში არ იქნება შეტანილი ჩემი პატიოსანი სიტყვა, იქ იქნება ჯამაგირის რაოდენობა გამოცხადებული. ისე, როგორც ოფიციალურათ არის დადგენილი. ამას გარდა პირობაში უნდა დაინეროს, თუ თქვენ აქედან წასვლას განიზრახავთ, ორი თვით ადრე უნდა განუცხადოთ ეს ადგილობრივ მამასახლისს, რომელსაც დრო ექნება სხვა მასწავლებელი მონახოს. ყაბულს ხართ?

— ყაბულს ვარ.“

პირობა თვით მამასახლისმა დასწერა და წამიკითხა. როცა პირობას ხელი მოვანერეთ, შევთანხმდით, სამი დღის შემდეგ დამეწყო მეცადინეობა სკოლაში, რადგან ჩემთვის საჭირო იყო ორი თავისუფალი დღე: შინ უნდა ჩავსულიყავი და აუცილებელი რამეები ჩამომეტანა.

ღამე „ჩემს“ ოთახში გავათიე. დანოლამდი და დღილობას ვგრძობდი და ვფიქრობდი, ადრე დავიძინებ მეთქი, მაგრამ დავნექი თუ არა, ძილის ნდომა გაქრა. უთვალავმა ფიქრებმა შემბოჭეს — რაც რამ მინახავს და განმიცდია ჩემს სიცოცხლეში, მგონი ყველა თვალწინ დამიდგა, ყველაფერი სწრაფად ირეოდა ჩემს თავში, ისე წამილო და გამიტაცა წასულისა და მომავლის ფიქრებმა, რომ მხოლოდ განთიადისას მომეკიდა ძილი.

შინიდან კვირა სალამოს ჩამოვედი. ორშაბათი ჩემი მასწავლებლობის დასაწყისი იყო. დილით ადრე ავდექი, ალელვებული ვიყავი,

მონაფეების შეკრებას ველოდი. სკოლის აივანის თავანზე მოდიდო ზარი ეკიდა, სოფ. კონჭკათის¹¹ დაყრუებული საყდრიდან იყო მოტანილი. შორს ისმოდა მისი რეკა: საათი არ მქონდა. მზის მსვლელობის მიხედვით ადრე დავრეკე ზარი. მონაფეები მოგროვდნენ. ამასობაში მამასახლისიც მოვიდა. შევედი კლასში. როსტომამ მონაფეებს გააცნო ჩემი თავი, დარიგება მისცა და უთხრა:

„თქვენ იცით, თუ სირცხვილს არ ჭამთ, არ იემშაკებთ, ბეჯითად ისწავლით, მასწავლებელს არ შეაწუხებთ თქვენი ცუდი ქცევითო“.

დაგვტოვა. ფეხზე მდგომი ბავშვები ჩემი ბრძანებით დასხდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა.

იმ დღეს ჩემს მეცადინეობას შეადგენდა მონაფეებთან ბაასი. გამოვკითხე სახელები, გვარები, წლოვანება, რომელი სოფლიდან დადიოდნენ სკოლაში, რა მანძილი იყო სკოლასა და მათ სახლებს შორის, ვინ რა ნოდებისაა და სხვა.

კითხვები წინაღამით მქონდა დამუშავებული. ერთი კარგი მასწავლებელი იყო სამაზრო სკოლაში, უფროს კლასებში ასწავლიდა. თუ რომელიმე მასწავლებელი დააკლდებოდა დაბალ კლასში — იგი შემოვიდოდა ხოლმე, ბაასში გაატარებდა გაკვეთილებს — იმას წავბაძე, მაგრამ ისე დალაგებულად ვერ მოვახერხე ზეპირათ კითხვების მიცემა, როგორც დაწერილი მქონდა. მაინც კმაყოფილი დავრჩი: კარგი პასუხები მივიღე მონაფეებისაგან, იმედი მომეცა — საქმე კარგათ წავიდოდა...

იმ დღეს კარგა ხანს გასტანა მეცადინეობამ, მზე შუადღეზე იყო გადახრილი, როცა მონაფეები დავითხოვე, ჩემს ოთახში შევედი, „ჩაფურცლული კალათი“ და დოქით ღვინო იდგა მაგიდაზე. შემოვიდა დარაჯი და მითხრა:

— ბატონო, აგი სადილი როსტომა ღლონტის მოტანილია, უნდა ჩავწეროთ მისი სახელი და გვარი, რომ არ დაგვაგინყდეს.

მერე ამოალაგა სადილი იქვე მაგიდაზე და აღმოჩნდა: ქათამი წვენი, ყველი. ერთი ნაჭერი ღორის შაშხი და ერთი პატარა დოქი ჩხავრის ღვინო. ეს სადილი ოთხ კაცს ეყოფოდა, მე და დარაჯმა ნახევარიც ვერ შევჭამეთ და დანარჩენი ვახშმისა და მეორე დღის საუზმისათვის გადავდეთ.

ნასადილევს სკოლის არემარე დავათვალიერე, ირგვლივ ტყის მეტი არაფერი ჩანდა, მხოლოდ ცის ტატნობზე ჩრდილოეთით, ნიგოითის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე ჯუმათის ეკლესია¹² მოჩანდა.

სოფელი მამათი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა სკოლიდან, ცოტა მოშორებით ჩამალულიყო, დაბლობებით და ხშირი თხემლის ხეებით დაბურული.

დავრწმუნდი, ადგილი ძლიერ მოსაწყენი იყო. შევბრუნდი ოთახში, კლასის ყურნალი გადავათვალიერე, ორმოცამდე შეგირდი იყო ჩანერილი ორ განყოფილებათ. გაკვეთილების ნუსხა ვერ ვნახე და რასაკვირველია, უნდა შემედგინა ისე, როგორც სამაზრო სკოლაში იყო შედგენილი.

სასოფლო სკოლას იმ დროს ხელმძღვანელი არ ყავდა, მთავრობის მხრით. მარტო მამასახლისი და მასწავლებელი იყო მისი ბატონ-პატრონი, მარტო ამ ორ კაცზე იყო მისი ბედ-ილბალი დამოკიდებული.

მეორე დღეს სახელმძღვანელოები დავათვალიერე სკოლაში. ანგარიშის სახელმძღვანელო არ აღმოჩნდა, ქართულში ისარლიშვილის ანბანი ქონდათ, რუსულის სასწავლათ კალანდარიშვილის „Начальный курсь русского языка для грузии“. ჯერ მოწაფეებს რვეულში არ ეწერათ, შიფერის დაფებზე სწერდნენ. წერა-კითხვის უცოდინარიც აღმოჩნდნენ ექვსამდე. არ ვიცოდი როგორ მესწავლება წერა-კითხვა: სამაზრო სასწავლებელში არ ასწავლიდნენ ამ საგანს, მხოლოდ გაკვეთილებს აძლევდნენ „აქიდან აქამდისო“. დანიშნავდნენ კარანდაშით წიგნში „სტარშები“ და იგინივე კითხავდნენ მეორე დღეს გაკვეთილს და შემდეგ მასწავლებელს მოახსენებდნენ. ამის გამო, თუ წერა-კითხვის მცოდნე არ შევიდოდა სკოლაში, იშვიათად ისწავლიდა წერა-კითხვას და ხშირად სწავლას თავს ანებებდა მონაფე.

ამისდაგვარად მე იმ მეთოდისთვის უნდა მიმემართა, რა მეთოდი-თაც თვითონ ვისწავლე წერა-კითხვა ბებიაჩემთან, მელანიასთან, რომელმაც კარგათ იცოდა წიგნი და მშვენიერი ხალხური ლექსების თქმა. ბებია ასე მასწავლიდა: ჯერ ანბანი გამეზეპირებია ამნაირათ: ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ და სხვა... ამას კაკალი ანბანის დასწავლა ერქვა. როცა ყველა ასოს გაცალკეებულათ ადვილათ გამოვიცნობდი — ვიცოდი ანბანი. ამის შემდეგ ხელნაწერ ბარათს მაკითხებდა. ე.ი. ჯერ თვითონ ნაიკითხავდა სიტყვას და მერე მე უნდა წამეკითხა. ეს იყო ამოსაღები, რომელსაც მაკითხებდა ბებია რამდენიმე თვეს. წლის ბოლოს კარგ გარკვეულ ნაწერს გვარიანად ვკითხულობდი.

წერას საქონლის ბეჭის ძვალზე ან გაფხეკილ მწარე კვახზე ან შქერის ფოთოლზე ვსწავლობდი: თუჯის ქვაბის ნაფხეკ მურს ვასველებ-

დით, შიგ ბამბის ნაგლეჯს მოვსვრიდით და სამელნეში ვსდებდით, ზედ ცოტა წითელ ღვინოს დავასხამდით. ეს მელანი იყო, ხოლო კალმათ ბატის ფრთას მოვქნიდით ხოლმე.

მე ძალიან მაინტერესებდა ეს სხვა და სხვაობა წერის სასწავლო ნივთების და სულ ვიჩხრიკებოდი ხან ბეჭზე, ხან კვახზე და ხან შქერის ფოთოლზე. შქერის ფოთოლზე ბეზიას მოკითხვის ნიგნს მივსწერდი ხოლმე და ძალიან უხაროდა — ააპყრობდა ხელს და ღმერთს მადლობას უძღვნიდა. შევადარე ბეზია ჩემის მეთოდი ისარლიშვილისას, უკანასკნელი უკეთესად მეჩვენა და ეს მეთოდი ავირჩიე.

წლის ბოლოს ყველამ იცოდა წერა-კითხვა ჩემს სკოლაში და საზოგადოთ წინსვლაც ეტყობოდა სკოლას. გამოცდაზე, მამასახლისი, მსაჯულები და გლეხებიდან ყველა კუთხის კეთილსინდისიანი მოწმენი დავისწარი. სხვათა შორის ერთი თავადიც ერია, იგი რუსეთში იყო ჯარში ნამსახური და მოილიბერალებდა. გამოცდამ კარგად ჩაიარა: შეგირდები ყველა კმაყოფილი დარჩა, დამსწრენიც კმაყოფილი იყვნენ. მხოლოდ ერთმა შეგირდმა მიხეილ სიხარულიძემ, რომელიც 18-19 წ. იყო, განმიცხადა:

„— მე დიდი ვარ, ბაღნებთან ჯდომა მრცხვენია და მთხოვა, თუ შეიძლება ცალკე მომამზადე და გემსახურებო“.

მე უარი ვერ ვუთხარი, თუმცა ნიჭი ნაკლები ქონდა და მასთან ახირებულად ეჭირა თავი სკოლაში.

ზევით მოვიხსენიე, სკოლა ტყეში იყო აშენებული და ძლიერ მოსაწყენი იყო საცხოვრებლად, მარტო-მარტო ვცხოვრობდი ამ ზღვა ტყის კუნძულზე; ჩემი დარაჯი ხშირად შინ მიდიოდა ღამის გასათევად, არც მე ვუშლიდი. რას გამიკეთებდა. დაღამდებოდა თუ არა, ივანშმებდა და წავიდოდა „კანცელარიაში“ დასაძინებლათ. მე კი გამიტყდებოდა ძილი, გამიტაცებდა ათასგვარი ფიქრები, ამასობაში ატყდებოდა მგლების გულშემზარავი ღმუილი: ჯერ შორიდან მოისმოდა ერთი მგლის ხმა, მერე — ტყის მეორე კუთხიდან, ამას მოსდევდა აქა-იქ გუნდ-გუნდათ გამოძახილი და გაჩაღდებოდა მგლების კონცერტი, თითქოს იმათ ამ ახირებული სიმღერის გამართვა წინდანი ქონდათ მოფიქრებული; ამათ ხშირად ტურები, ბუები, ჭოტები და სხვა ღამის ფრინველებიც ემატებოდნენ და ყველა ერთად არეული ამათი ხმაურობა ჯოჯოხეთურ კონცერტს წარმოადგენდა.

მოდი და დაიძინე ამ ყოფაში! სანამ ამ ახირებულ მდგომარეობას შევეჩვეოდი, ზოგჯერ ალიონამდი ძილი არ მეკარებოდა, ციბრუტი-

ვით ვტრიალებდი ლოგინში! მაგრამ ადამიანი რას არ შეეჩვევა?! მეც მალე შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას და თანდათანობით ძილიც გამიტკბა. დღისითაც ძნელი იყო აქ ცხოვრება: მამასახლისი იშვიათად მოდიოდა აქ, უფრო სოფლებში დაყავდათ საქმეების გამო, თუ არა ოზურგეთში იყო ხშირად. აქ, როგორც მიყრუებულ ადგილას, საქმე ცოტა იყო, ხალხი ცოტა დადიოდა, გარდა უქმე დღეებისა, ნიგნები ვერ ვიშოვნე პირველ ხანებში, რომ მეკითხა. ერთად ერთი, „ვეფხისტყაოსანი“ მქონდა, რომელსაც ხშირად ვკითხულობდი. დიდი სასიამოვნო იყო ჩემთვის ამ თხზულების კითხვა, როცა უქმე დღეობით მოხუცი ქაიხოსრო ანდღულაძე შემოვიდოდა ჩემთან და მოყოლობდა მსჯელობას „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ (ქაიხოსრო სოფლის მსაჯული იყო).

3

დილდილობით და საღამოობით ერთგვარი ფიზიკური ვარჯიშობა გავმართე. სოფლის სამმართველოდან ძიმითის სოფლისაკენ რომ გატყეპნილი გზა მიდიოდა, დავადგებოდი იმ გზას, დანიშნულ ადგილზე და გავრბოდი ყოველდღე 5-6-ჯერ: პირველად გავირბინე ასი (100) ფეხის ნაბიჯი, მერე 120, და ასე ოც-ოცი ფეხის ნაბიჯის მატებით ექვსასამდე (600) ავედი, მეტის მომატება აღარ შეიძლებოდა, რადგან იმ მანძილს იქით, ფერდობში, მოუხერხებელი იყო გაქცევა. ერთი კვირის რბენის შემდეგ დავრწმუნდი გვარიან ცქვიტად გავრბოდი. რომ შემემონმებია, თუ რამდენად მართალი იყო ეს ჩემი დარწმუნება, ვსთხოვე ერთ ახალგაზრდა გლეხს, რომელსაც გაქცევას უქებდნენ, გავქცეულიყავით — გვესინჯა, რამდენად გამასწრობდა ის. პირველად ძალიან შორს დამტოვა. კინალამ გული ამიცრუვდა ვარჯიშობაზე, მაგრამ ორი კვირის ხელახალი ვარჯიშობის შემდეგ მე გაუუსწარი. ამის შემდეგ ჩემი გაქცევის ამბავი ისე გააზვიადეს, რომ ზღაპრული ხასიათი მისცეს სოფელში:

„გაქცეულ კურდღელს იჭერს უჩიტელი — ისე კარგად გარბისო“.

სირბილში ვარჯიშობა არ შემინყვევტია და სკოლაშიც შემოვიღე ეს და სხვა მრავალი თამაში, რაც მე ვიცოდი. ზოგი მონაფე ისე დახელოვნდა სირბილში, რომ მე ვერიდებოდი იმასთან გაქცევას: მეშინოდა არ გამასწროს და ავტორიტეტი არ დაკარგო მონაფეებში

მეთქი.* ზოგჯერ გაგვიტაცებდა ხოლმე თამაშობა და ბავშვები აგვიანებდნენ შინ მისვლას. ამის გამო ცოტაოდენი საყვედურები კანტიკუნტათ ისმოდა ხალხში — „თამაშობა აღდომას ვიცით ჩვენ, კლასში არ გამიგონია“.

სიმართლე უნდა ვსთქვა, მე მარტოობა რომ თავიდან ამეცდინა, არ მინდოდა და მალე ვშორდებოდი ბავშვებს, რომლებიც სიამოვნებით ითამაშებდნენ საღამომდინაც, თუ ნება ექნებოდათ და ამიტომ ხანდისხან ვაჭარბებდით — ვაგრძელებდით თამაშობას.

ჩემი დამოკიდებულება შეგირდებთან შედარებით ნორმალური იყო, რადგან ჩვენ, ჩვენი სკოლის იზოლაციის გამო, მოშორებული ვიყავით არსებულ რეჟიმს და მისგან შექმნილ მონამულულ ატმოსფეროს, რომელშიაც მაშინდელი სკოლა იხრჩობოდა. მე და ჩემი ძიმი-თელი შეგირდები ამ იზოლაციამ დაგვაახლოვა, დაგვამეგობრა და გაგვაცნო ერთმანეთს.

ჩემი მასწავლებლობის ორი წლის განმავლობაში ორი მოხელე მოვიდა აქ, მაზრის უფროსის თარჯიმანი, რალაც ჯარიმების ასაღებათ და მომრიგებელი შუამავალი მიხეილ ნაკაშიძე (მამა მიშა და იესიკასი). ამ უკანასკნელმა (შუამავალმა) დაათვალიერა სკოლა, მოისმინა გაკვეთილი, მომკიდა ხელი, გამიყვანა სკოლის აივანზე, დაუძახა მამასახლისის და ჰკითხა:

— როსტომა! რამდენი აქვს ჯამაგირი ამ ყმანვილს?

— ოთხმოცდაათი მანეთი წელიწადში, ბატონო, უკასუხა მამასახლისმა.

— ოთხმოცდაათი მანეთი?! გაკვირვებით გაიმეორა შუამავალმა, ასი მანეთი იასაულს ეძლევა და ნუთუ შენ ფიქრობ ამ კაცს (მიუთითა ჩემზე) მეტი სარგებლობა არ მოაქვს! ეს ნამეტანი გლახა საქმე მოგსვლია, როსტომ! ამას შენგან არ მოველოდი!

— სოფელმა ამის მეტის მიცემა ვერ შესძლო, მე კი არა მაქვს შეძლება, რომ ჩემი ჯიბიდან შევუსრულო შესაფერი ჯამაგირი. რადგან თქვენ საჭირო პირებით მიუმატეთ მასწავლებლის შრომის ფასი, ნება მიბოძეთ გამოვძებნო საშვალეობა, რომლითაც მაგასაც დავაკმაყოფილებთ და სხვასაც წავადგებით.

— აბა, რა საშვალეობაა?

— იესე გურიელი ახსნის „ნადელს“ თავის დროებით ვალდებულ ყმებს — 70 კომლს, ქალაქები თქვენმა საქმის მწარმოებელმა უნ-

*. მე არ მწამს უავტორიტეტო მასწავლებელი.

და გააკეთოს, რომელიც თითოში ახდევინებს 6 მანეთს. თუ თქვენ ნებას მისცემთ მასწავლებელს ეს ქალაქები მან დასწეროს — სამი მანეთის მეტს არ აიღებს ცალში, ამ ნაირად თავის ჯამაგირსაც აისრულებს და გლახებსაც შეღავათი ექნებათ.

— ეს ხომ ჯამაგირის მომატება არ იქნება — ეს იქნება მეტი შრომის ფასი, სთქვა შუამავალმა... მაგრამ თუ მასწავლებელი ამის თანახმა გახდება, მე ჩემის მხრით მზად ვარ შენი წინადადება შევასრულო.“

მე თანხმობა განვაცხადე.

დაუძახეს საქმის მწარმოებელს, ქაჯაიას, რომელსაც შუამავალმა უბრძანა, ახლავე შეედგინა გამოსყიდვითი პირობის შავი და გადმოეცა ჩემთვის. რასაკვირველია, საქმის მწარმოებელს ცოტა არ იყო, არ ეჭაჷნიკა ეს, რას გახდებოდა ისეთ კაცთან, რომელიც თავის ნათქვამ სიტყვას არ შესცვლიდა. ქაჯაიამ შეასრულა შუამავლის ბრძანება, გააკეთა პირობის ქალაქი, რომელიც მთავრად შუამავალს; შუამავალმა გადაათვალიერა და მამასახლისს გადასცა. ორ კვირაში ყველა ქალაქები მზად იყო. მამასახლისმა წაიღო ეს ქალაქები შუამავალთან, რომელმაც ნება დართო მამასახლისს 210 მანეთი ჩემთვის გადმოეცა. ამ ნაირათ როსტომამ შეასრულა თავისი პატიოსანი სიტყვა, მოცემული ჩემი მასწავლებლად დადგომის დროს.

ზ

შუამავლის მიერ ჩემი სკოლის დათვალიერების შედეგმა ძლიერ გამამხნევა და დამაიმედა, შუამავალს ძალიან მოეწონა სხვათა შორის ბავშვების ნაწერები — „ჩემი თვლით რომ არ მეყურებია წერაზე, არ დავიჯერებდი, რომ ეს სოფლის სკოლის მოსწავლის ნაწერიო“. ჩაილაპარაკა მან რუსულათ, როცა წერის დროს მესამე განყოფილების ბავშვების წინ გადაშლილ რვეულებს ჩამოუარა და დაათვალიერა.

იმ დროს ყველა დიდ ყურადღებას აქცევდა სუფთა წერას, რადგან გადამწერთა მოთხოვნილება დიდი იყო მთავრობის ყველა დანესებულებაში. წერა რომ კარგად იცოდნენ ძიმითის სკოლის მოწაფეებმა, ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: იმ დროს, როგორც სამაზრო, ისე სასოფლო სკოლებში შემოღებული იყო წერის ნიმუშათ ერთნაირი დედანი, რომელიც ძალიან ლამაზი ნაწერიდან იყო ლითოგრაფიით გადაბეჭდილი. ამ დედანს პირველ ფურცელზე გარე-

დან შემოხაზული ქონდა წრე გველის ტანის მსგავსი ხაზი, რომელიც გველისავე თავის ნასახით ბოლოვდებოდა წრეს გარეშე. დედანი გაყოფილი იყო სამ ნაწილად. პირველ ნაწილს შეადგენდა მსხვილი მრგვალი ხელი, 2-ს საშუალო და 3-ს წვრილი ხელი. ყველა ნაწერი ძლიერ ლამაზი იყო. ამ დედნის შინაარსიდან მხოლოდ ერთი ადგილი მახსოვს „...სიმდიდრე არს ორლანო ყოველთა ვნებათა, სიმდიდრე აწარმოებს ყოველთა ბინიერებათა“... ასეთი დედანი ქონდათ ძიმი-თის სკოლის მონაფეთაც. ისე დახელოვდნენ კალიგრაფიაში, ბოლო დროს მოხსენებულ დედანს სწერდნენ ისე, რომ ვერ გამოიცნობდი ნაბეჭდისაგან და ყიდდნენ ოზურგეთის სკოლებში იმ ფასად (მგონი ათ შაურად), რა ფასათაც ნამდვილი დედანი ღირდა. მონაფეთების კალიგრაფიაში ასეთი განვითარება იმას უნდა მიეწეროს, რომ, როცა მასწავლებელი I და II განყოფილებაში მეცადინეობდა, მე-III-ს მეტ ნაწილად წერა ჰქონდა.

მ

1871 წ. (მგონი აპრილი იყო) სრულიად მოულოდნელად მენვია ძი-მითში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების პირველი ახალ და-ნიშნული მეთვალყურე ვიქტორ ნიკოლოზის ძე ტროიე (ეს ის ტროიე იყო, რომელიც აკაკი წერეთელს ყავს მოხსენებული თავის „მოგონე-ბაში“).¹³ მე სკოლაში ვმეცადინეობდი, როცა კარებზე მომადგა ახო-ვანი, სიმპატიური გარეგნობის მქონე მოხუცი. უცხო კაცის მოულოდ-ნელმა მოსვლამ ამაღელვა. თუმცა ნამდვილათ არ ვიცოდი ვინ იყო, მაგრამ ვგრძნობდი კი, ვინმე ჩემი უფროსთაგან უნდა ყოფილიყო და ვიფიქრე, ვაი თუ ამ უცხო კაცთან ბავშვები დაიბნენ მეთქი. მივუახ-ლოვდი, ხელი ჩამომართვა და ღიმილით მითხრა: „მე ვარ სახალხო სკოლების მეთვალყურე (ინსპექტორ) ვიქტორ ნიკოლოზის ძე ტროიე, მოვედი თქვენთან სტუმრად სულ ცოტა ხნით, მინდა ჩავინერო ცნო-ბები თქვენი სკოლის შესახებ. თუ შესაძლო იქნება მონაფეთები დაას-ვენეთ, ცოტა ხნით გარეთ გაუშვით!“

ამასობაში მაგიდას მოუახლოვდა და ზედ მოზრდილი დავთარი დადო. მე შეგირდები წყვილ-წყვილად გავუშვი გარეთ და დარიგება მივეცი, ნუ იცელებთ-მეთქი.

„— იცელებენ, არაფერია, დიდხანს ვერ იცელებენ, მალე დაბრუნ-დებიან კლასში, — ღიმილით სთქვა სტუმარმა. მერე ჩაინერა და-

თარში, რაც საჭირო იყო და მთხოვა ბავშვები შემომეყვანა. გავედი აივანზე და ორ-სამჯერ შემოვკარი ზარს.

„— ეს კარგია, რომ დიდი ზარი გქონიათ“, მითხრა, როცა დავბრუნდი კლასში. ბავშვები ფეხაკრებით, ფრთხილად შემოდოდნენ: ჯერ უცხო ვინმე აქ არ ენახათ და უთუოდ ამიტომ ერიდებოდნენ სტუმარს, ამასობაში ტროიემ მიმითითა კლასის დაფაზე და მითხრა:

„— ვისი დანერილია ეს წინადადებები, ხომ თქვენი?

— მონაფის ნანერია, მეთქი, ვუპასუხე.

— აბა მიჩვენე ის მონაფე, რომელმაც ეს დასწერა.

მივუთითე.

— რა გვარი ხარ? — ეკითხება მეთვალყურე.

— სამსონია.

— შენი სახელი?

— ტატო.

— შენ დასწერე ეს? — ეკითხება მონაფეს რუსულად.

— დიახ!

— აბა, კიდეც დასწერე, როგორც აქ არის დანერილი“.

ბავშვმა აიღო ცარცი და გადმოწერა წინადადებები ისე, როგორც დაფაზე ეწერა.

„— კალიგრაფიაში მოვრჩით გამოცდას“, სთქვა და სხვა საგნებს მიჰყო ხელი. ისეთ კითხვებს აძლევდა, რომლებიც სრულად ეგუებოდნენ ბავშვების ცოდნას, პასუხებსაც გაუჭირვებლათ იძლეოდნენ ბავშვები. როგორც ეტყობოდა, ყოველივე შიში და მორცხვობა გამქრალიყო მათში. უკანასკნელი შეგირდიც კი აალაპარაკა ამ დალოცვილმა, ეტყობოდა, ნამდვილი მასწავლებელი იყო. მაგრამ ერთი რამ მაკვირვებდა — ჩემი მასწავლებელი სამაზრო სკოლაში ასე ზრდილობით, უბრალო და მდაბიო კითხვებით თავის დღეში არ მოგვმართავდენ ჩვენ. ეს კაცი იმათი უფროსიც უნდა იყოს და რა არის, ასე უბრალოთ რომ ლაპარაკობს მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს გაკვირვებული. გაათავა გამოცდა და მითხრა: „გამოცდილი მასწავლებელი გარედანაც კი შეატყობს, რა შინაარსის არის სკოლა: თუ მასწავლებელი ბევრს ლაპარაკობს და მონაფეები წყნარად სხედან, სდუმან — სკოლა არ ვარგა, თუ მასწავლებელი სდუმს და მონაფეებს ალაპარაკებს — სკოლა კარგია. მაშინ ამ სიტყვების მნიშვნელობა მე ვერ გავიგე. ამის შემდეგ ტროიემ საკლასო ჟურნალი და გაკვეთილების ნუსხა გადაათვალიერა და მითხრა:

„— მომავალი მაისის ათიდან ოცდახუთამდე, ოზურგეთის სამაზ-
რო სკოლაში ჩვენ გვექნება კრება; ამ კრებაზე მონვეული იქნებიან
გურიის მასწავლებლები და იმედია, თქვენც მოხვალთ იქ. მონვევის
ბარათს მიიღებთ. ახლა ვჩქარი, ერთ სკოლას კიდევ უნდა გადავავე-
ლო თვალი დღეს. სხვა დროს უფრო დიდი ხნით გესტუმრებით“. გა-
მომეთხოვა, შეჯდა ცხენზე და ჯუმათისკენ გასწია.

II

ტროიეს წასვლის შემდეგ ერთი სულ ჩვეულებრივი შემთხვევა
მოხდა ჩემს სკოლაში, რომელმაც ბოლოს ძალიან მწვავე ხასიათი
მიიღო და მეც უსიამოვნება მომაცენა. სკოლის უფროს განყოფილე-
ბაში, სხვათა შორის, სწავლობდა 16-17 წლის ყმაწვილი მუხაშავერია,
რომელიც ნიჭიერი იყო, გაკვეთილს არ აკლდებოდა: ბეჯითი იყო.
ერთ დღეს სკოლაში არ გამოცხადდა ეს ბავშვი; ვიფიქრე, უთუოდ
ავად არის მეთქი და მივმართე მის მეზობელ ბავშვს:

„— როგორ არის სამსონა?

— კარგათ, ბატონო, მიპასუხა ბავშვმა.

— თუ კარგათაა, რატომ გაკვეთილებზე არ მოვიდა?

— ანდრიამ თქვა, გუშინ საღამოს ივანემ ნეიყვანაო (ანდრია ბავ-
შვის მამას ერქვა).

— ვინ ივანემ?

— ჯუმათის უჩიტელმა, კანდელაკმა.

— რატომ ნაიყვანა?

— მწერლათ, ბატონო, კანცელარიაში, კაი წერა იცისო“.

ძალიან მეწყინა ეს ამბავი: მინდოდა ოზურგეთის სკოლაში შე-
მეყვანა სწავლის გასაგრძობათ, რადგან მამა შეძლებული ყავდა.
გადავსწყვიტე, როგორმე დამებრუნებია ბავშვი. ორი თვე უკლდა
ამ სკოლაში სწავლის დასრულებას, იმედი მქონდა, უარს არ იტყოდ-
ნენ დაბრუნებაზე არც მშობლები, არც კანდელაკი და გადავსწყვიტე
ჯერ მშობლები მენახა და მერე მასწავლებელი კანდელაკი. ბავშვის
მამამ, ანდრია მუხაშავერიამ, რომელიც ვინახულეთ მე და როსტომამ,
სიამოვნებით მიიღო ჩვენი რჩევა — ბავშვი ამ ორ თვეს დარჩენილი-
ყო სკოლაში სწავლის დასამთავრებლათ. დიდი მადლობა კი გვითხ-
რა ასეთი მზრუნველობისათვის. მე შესიამოვნა ეს, მამასახლისს კი
არაფერი სჯეროდა ანდრიასი: „ანდრია ყოვლად უსინდისო და ცბიე-

რი გლახია, ის რომ გეთანხმება რამეში, სულ წინააღმდეგს ფიქრობს და ცდილობს როგორმე სხვა ნაირათ მოიქცეს, მოგატყუოს და რამე შარიც მოგდვას. მაგას არაფერი დაეჯერება.

— პირიქით, საფრთხილოა, მაგასთან საქმის დაჭერა. მე დარწმუნებული ვარ, კანდელაკი დაითხოვს ბავშვს, მაგრამ ანდრია არ შეგარჩენს, ბავშვს რომ ადგილიდან დაათხოვიებთ და მაგიერს გადაგიხდის. მირჩევდა თავი დამენებებია ამ საქმისთვის, აღარ წავსულიყავ კანდელაკთან. მე ძალიან გამაკვირვეს როსტომას სიტყვებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გლახი არა სიმპატიური გარეგნობის იყო, ჩვენ ისე კარგათ, ისე სიხარულით მიგვიღო, ისეთი მადლობელი იყო ჩვენი რჩევისთვის მისი შვილის შესახებ, რომ ეჭვის შეტანა მის გულწრფელობაში შეუძლებელი გახდა ჩემთვის.

მასწავლებელმა კანდელაკმა ეს ბავშვი (მუხაშავრია) ჩემის თხოვნით მართლა გაათავისუფლა, შინ გაუშვა სწავლის დამთავრებამდე, მარა სკოლაში აღარ დაბრუნებულა. ანდრიას ლანჩხუთში წაეყვანა, „მენფრიმალის“ დუქანში მიებარებია ვაჭრობის შესასწავლათ. ანდრია კი, როცა შემხვდებოდა, ამის შემდეგაც მონიწებით, დაბლათ და ღიმილით მიკრავდა თავს.

ქ

მასწავლებლების კრებაზე მონვევის ქალაქი ადრე მივიღე და გადაწყვიტე ერთი დღით ადრე მივსულიყავი ჩემს მეგობარ მასწავლებელ იოსებ ალექსანდრეს ძე თაყაიშვილთან¹⁴ და შემეტყო კრებამდე ყოველივე, რაც კრებაზე მოხდებოდა: მე არ ვიცოდი, რა დანიშნულება ქონდა ამ კრებას. იოსებმა ჯერ მეთვალყურის ვინაობა მამცნო: „ბიკტორ ნიკოლოზის ძე ტროიე ტომით ფრანგი, საქართველოშია გაზრდილი; უსწავლია ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მარა კურსი არ გაუთავებია. რისთვის და რომელი კლასიდან გამოვიდა არ ვიცი. ვიცი, რომ ტროიე პირველ ხანებში მოქეიფე ახალგაზრდა იყო და ხშირად თვრებოდა. ერთხელ, ხონის დაბალი სკოლის მასწავლებლობის დროს, იქაურ მღვდელს ლუკა ბახტაძეს (მწერალი ილია ხონელის მამას) უნახავს ღამე ქუჩაში მთვრალი, ტალახში მწოლიარე, აუყვანია და თავის სახლში მიუყვანია. მეორე დღეს, გამოფხიზლებული ტროიე ძალიან დარცხვენილი ყოფილა, მადლობა გადაუხდია ბახტაძისათვის და სიტყვა მიუცია, ამიერიდან აღარ დავთვ-

რებიო. ტროიეს თავისი სიტყვა არ გაუტეხია. სწავლების საუცხოვრო ნიჭი გამოუჩენია ხონის სკოლაში და მთავრობის ყურადღება მიუქცევია, რისთვისაც ხონიდან ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებლად გადაუყვანიათ დაბალ კლასებში. იქაც დიდი პედაგოგიური ნიჭი გამოუჩენია, მთელი გიმნაზია მოუხიბლავს თავისი ადამიანური მოპყრობით ბავშვებისადმი და ხერხიანი სწავლებით. „ხშირად მომხდარაო, — თქვა თაყაიშვილმა, — გიმნაზიის ორ კლასში, ორ ოთახში მდგომი ბავშვებისათვის უსწავლებია ერთსა და იმავე დროს. ასე რომ, მეორე მასწავლებლის დაკლების გამო კლასს არაფერი ზიანი მისცემია, არ დამცდარა. ბოლოს ტროიე ახალციხის სამაზრო სკოლის უფროსათ გადაუყვანიათ და იქაც სახელი გაუთქვამს. ეს სკოლა მის ხელში საუკეთესო სკოლად გამხდარა მთელ გუბერნიაში და ამიტომ, მიუციათ მეთვალყურეობა ქუთაისის გუბერნიის სკოლებში. ტროიეს გარდა ყველა მეთვალყურენი უმაღლესი სწავლით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტროიემ საუკეთესო პროგრამა შეადგინა სასოფლო სკოლებისათვის. აწინდელი კრების მნიშვნელობაზე მე არაფერს გეტყვი: შენ თვითონ დაწვრილებით, თვალსაჩინოთ შეისწავლი იმას, თვითონ დააფასებ მის მუშაობას, მის მიერ მოტანილ სარგებლობას ჩვენი ნორჩი სკოლებისა და გამოუცდელი მასწავლებლებისათვის“.

10 მაისს ბევრი მასწავლებელი შეიკრიბა სამაზრო სკოლის დარბაზში: თითქმის ყოველ საზოგადოებაში იყო სკოლა, რომელიც უმეტეს ნაწილათ მოთავსებული იყო სამმართველოს ერთ-ერთ ოთახში და სოფლის მწერალი კითხულობდა მასწავლებლობის თანამდებობას, როცა „საკანცელარიო“ საქმეს მორჩებოდა. მათ შორის, უმეტესად ნადიაკვნარები იყვნენ, რუსულის არაფერი გაეგებოდათ და ამიტომ, ბევრი იმათგანი წავიდა შინ, როცა შეიტყვეს რუსულის ცოდნაა საქიროო: გამოცდის ეშინოდათ. ოზურგეთის მასწავლებელთა კრებას ნადიაკვნარ მასწავლებელთაგან სულ 10 კაცი დაესწრო. კიდევ ბევრი დასტოვებდა კრებას, რომ ტროიეს თავის დროზე არ დაემოშმინებია მღელვარება. ტროიემ კრებას დაახლოებით შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა:

„ბატონო სოფლის მასწავლებელნო! ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ შეგანუხეთ და აქ შეგკრიბეთ, მაგრამ ამ კრების მიზანი ისე დიდია, რომ არ შემეძლო ასე არ მოვქცეულიყავ. მე წილად მარგუნა ბედმა თანამშრომლობა იმ დიდებული დანესებულებისა, რომელსაც

სოფლის სკოლა ეწოდება და რომელმაც განათლების სხივი უნდა შე-
აშუქოს იქ, სადაც წყვილი და შეუგნებლობა სუფევს. გილოცავთ
თქვენც, ბატონებო, სოფლებში ცოდნის და შეგნების პირველ მახა-
რობელ მერცხლებად გახდომას. არ იფიქროთ, რომ მე თქვენ გამო-
მენვიით გამოსაცდელად, ეგ ზამენებისათვის. ჩვენი შეკრების მიზა-
ნია ერთმანეთი გავიცნოთ, გავიაზროთ ჩვენი ცოდნა-გამოცდილება
სწავლების საქმეში და ისე დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენს ადგილებზე. მე
არ ვარ თქვენი უფროსი (начальник), თქვენი დამტუქსავი; ჩვენ ნმინ-
და საქმეს ტუქსვა და სიმკაცრე არ შეჰფერის. მე დამნიშნა მთავრო-
ბამ სწავლების საქმეში ხელმძღვანელად. ვეცადოთ, შეძლებისდაგ-
ვარად ურთიერთდახმარებით წესიერ გზაზე დავაყენოთ სწავლა
სოფლის სკოლებში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, ბატონებო, რომ ჩვენ
დიდი საქმე გვაქვს ნაკისრები; მასწავლებლობა ძნელი და დიდი საქ-
მეა და ამიტომ, ბევრი შრომა გვმართებს: თვითგანვითარებით უნდა
ავმაღლდეთ ზნეობრივად და გონებრივად. ჩვენ მარტო ახალგაზრ-
დების მასწავლებლები როდი ვართ; ჩვენი პატიოსანი და სპეტაკი
ცხოვრებით და შრომისმოყვარეობით ვაგრძნობინოთ შეგირდების
მშობლებსაც, რომ ღირსნი ვართ მასწავლებლის სახელისა, ვაჩვენ-
ოთ იმათ წესიერი შრომის ატანის და ზნეობის სიფაქიზის მაგალი-
თი და შევაგნებოთ მოვალეობა შვილების წესიერათ აღზრდა-გა-
ნათლებისა. თუ ასე მოვიქცევით — მაშინ, მერწმუნეთ, გავხდებით
ღირსნი იმ დიდებული სახელისა, რომელსაც ატარებდა კაცობრიო-
ბის დიდი მოძღვარი იესო ქრისტე“.

ამ სიტყვამ დამფრთხალ მასწავლებლებს ყოველივე შიში მოუს-
პო. ასე გაიხსნა განზრახული მასწავლებელთა კრება, რომელმაც
15 დღეს გასტანა. ტროიემ ამ კრებაზე ბევრი რამ შესძინა, როგორც
მონვეულ სოფლის მასწავლებლებს, აგრეთვე ადგილობრივი სამაზ-
რო სკოლისაც; უკანასკნელნი, თუმცა აქტიურ მონაწილეობას არ
ღებულობდნენ მეცადინეობაში, მაგრამ ვალდებულნი იყვნენ დასწ-
რებოდნენ ყოველდღე მუშაობას.

დირექტორი გამოცდილი და ნიჭიერი პედაგოგი იყო, კარგად ქონ-
და შესწავლილი და თავისებურად პრაქტიკულად შემუშავებული გა-
ნახლებული პედაგოგიური ხელოვნება. ისე უბრალო, ცხადი და გარ-
კვეული იყო მისი სანიმუშო გაკვეთილები, რომ მონაფეებს სწავლის
ღრმა ინტერესს უღვიძებდა, ხოლო გამოუცდელ და დამფრთხალ
მასწავლებლებს — იმედს, რომ იგინი შესძლებდნენ მასწავლებლო-

ბას, რასაკვირველია თუ ტროიეს დარიგების თანახმად თვითგანვითარებისათვის მეცადინეობას არ დაიზარებენ.

ადგილობრივი (ქ. ოზურგეთის) სასწავლებლის მასწავლებელთა უმეტესობას არ მოსწონდათ ტროიეს ხერხიანი სწავლება და დამსწრე საზოგადოებას ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს დირექტორის ახალი მეთოდი სასაცილო იყო ძველ მეთოდებთან შედარებით. მასწავლებელთა კრების მიმდინარეობის ანერას აქ ვერ შევუდგები, რადგან ერთხელ უკვე დაბეჭდილი იყო იგი ჟურნალ „განათლებას“ ნომრებში¹⁵, ჩემ მიერ შედგენილი იმ კრების ანგარიში. ასეთი კრება ტროიემ ოთხჯერ გამართა თავის დირექტორობის დროს — 1872, 1873, 1874 და 1876 წლებში. I კრება ოზურგეთში გამართა, დანარჩენი სამი — ხონში, როგორც ქუთაისის გუბერნიის ცენტრში.

ამ კრებებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს მაშინდელ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებს. ტროიეს კონკრეტული მეცადინეობა, სწორედ მისწრება იყო ჩვენთვის. ტროიე ორიგინალური პედაგოგი და ნამდვილი ადამიანი იყო. მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი მაშინდელი საზღვარგარეთული და რუსეთის პედაგოგიკა და თავისებურად შემუშავებული. მისი პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობა პარალელურად მიმდინარეობდა. მისი ლექციებიც მოკლე, მაგრამ შინაარსიანი და ადვილად შესათვისებელი იყო გამოუცდელი და საზოგადოთ სუსტი მასწავლებლებისათვისაც კი. ამიტომ, დიდი ინტერესით ისმენდა ყველა, განსაკუთრებით ხონის კრებებზე, სადაც დიდი ძალი მასწავლებლობა იკრიბებოდა. ტროიე მასწავლებელთა თვითგანვითარებაში ხედავდა სკოლების კარგი მიღწევების პირობას და ურჩევდა ამ გზას დადგომოდა ყველა, ვისაც სკოლის სიკეთე სურდა. მაშინდელი სოფლის მასწავლებელი დაუღალავად სწავლობდა და ასწავლიდა სკოლაში; სიხარულით მოელოდა იმ დროს, როცა ტროიე სკოლის დასათვალიერებლად მოვიდოდა: იცოდა, რომ ერთ მოსვლაზედაც ბევრ რასმე ისწავლიდა მისგან კაცი.

ამ კრებებზე სრული თავისუფლები ვიყავით, არავისი გვეშინოდა, არა ვისგან არავითარ შევიწროებას არ ველოდით. ამიტომ, როცა ჩვენს სპეციალურ საქმეს მოვრჩებოდით — პოლიტიკურ მდგომარეობაზეც გვქონდა ხოლმე სჯა-ბაასი — აქ ჩაეყარა საფუძველი მაშინდელ მასწავლებელთა მომავალ პოლიტიკურ მოძრაობას. არ შემიძლია აქ ცოტა არ შევჩერდე და მოკლედ არ შევეხო ამ საგანს.

პოლიტიკური მოძრაობა მასწავლებლებში

უკანასკნელი კრება ყველა კრებებზე უფრო საინტერესო იყო — ამ კრებაზე (1876 წ.) ბევრი კარგი მასწავლებელი შეგვემატა. სხვათა შორის ცხარე მონაწილეობას ლებულობდა ახალგაზრდა მასწავლებელი ანთიმოზ ჯუღელი.

გარდა ოფიციალური კრებებისა, არა ოფიციალური კრებებიც იმართებოდა, რასაც ესწრებოდა უფრო შეგნებული მასწავლებლობა. ერთს ასეთს კრებაზე ანთიმოზმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, დაახლოებით ასეთი შინაარსის:

„მასწავლებლობამ ყური უნდა უგდოს იმასაც, თურა ხდება ქვეყანაზე, შეიტყოს, ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე, ვინ უშლის ხელს სწავლის საქმეს — ვის უნდა ბნელში და უვიცობაში დარჩეს ხალხი. როცა ეს გვეცოდინება — უკეთესი მასწავლებლები ვიქნებითო. აქვე აღიძრა კითხვები მასწავლებლების შეკავშირების და ურთიერთდახმარების შესახებ. „ანთიმოზ ჯუღელმა წინადადება შემოიტანა მასწავლებელთა საურთიერთო სალაროს დაარსების და პროექტიც წარმოადგინა, მაგრამ ეს პროექტი უმეტესობამ უარყო, რადგან ასეთი სალაროს დაარსება, დროთა ვითარების გამო, შეუძლებელი იყო და არც მასწავლებლობა იყო საამისოთ მომზადებული. მასში ბევრი ბნელი ელემენტები შედიოდა, რომლებიც სიამოვნებით შეატყობიბდნენ, სადაც ჯერ იყო ყველაფერს, რაც არსებული მთავრობის საწინააღმდეგო ითქმებოდა. ეს საღამო უფრო პოლიტიკური მოსაზრებით არსდებოდა.

ხალხისნური მოძრაობა

იმ დროს გურიაშიც იჩინა თავი წაროდნიკულმა მოძრაობამ.* განსვენებული მიშა ყიფიანი ხშირად დადიოდა ჩვენში (გურიაში). აქ ორგანიზაცია მოვანყვეთ შვეიცარიაში დაბეჭდილი რუსული ლიტერატურის რუსეთში გადაზიდვისა, კონტრაბანდის სახით ცხენებით ქობულეთიდან ბახვით ნაგომარზე, იქიდან კი — ეტლით რკინის გზამდე. მთავარი საწყობი გამოტანილი წიგნებისა ბახვის ტყეში „ნასაკირალზე“ იყო. იქ იყო ჩაწყობილი წიგნები საგანგებოთ მიწაში ჩარგულ ჭურში, რომლის არსებობა გარდა ორი სანდო გლეხისა არავინ იცოდა. ჩალვადრებათ ლიხაურლები იყვნენ — სამუელ და ან-

*. იხ. რევოლუციის მატინე. 1925 წ. გამოცემული „წაროდნიკების არა ლეგალური მუშაობა საქართველოში“. 60 გვ. N1.

ტონ შავიშვილები, რომლებიც მარჯვე, გამოცდილი და სანდო მეკონტრაბანდები იყვნენ და ლიტერატურა უფასოთ გადმოქონდათ.

ჩვენი ორგანიზაცია ბოლო დროს გაფართოვდა, ბახვიდან სხვა მეზობელ სოფლებში გადავიდა. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ. ჩვენს სოფელში იმალებოდა პეტერბურგიდან გამოქცეული მეოთხე კურსის სტუდენტი ისიდორე ქიქოძე; მცხოვრებლები სიამოვნებით იცავდნენ მთავრობის თავდასხმიდან, მალავდნენ მას, იცოდნენ რისთვის იყო გაქცეული. ეს გარემოება აადვილებდა აგიტაციას მთავრობის წინააღმდეგ.

აქა-იქ ხელნაწერ ლიტერატურასაც შეხვდებით გურიაში. იმ დროს, ერთხელ, როცა ძიმითის მამასახლისს ჩამოვუგდეთ ლაპარაკი გურიაში მოძრაობის დაწყების შესახებ — გვინდოდა შეგვეტყო, იცოდა თუ არა, მან, რომ ძიმითშიაც იყო მუშაობა. ეთქვა: „ბევრი ლაპარაკი მეტია — თუ საჭირო იქნება, მთელს საზოგადოებას მარტო მე გამოვიყვანო“. მან არც კი იცოდა, თუ მის საზოგადოებაში იყვნენ შეგნებული პირები, რომლებიც მ.ყიფიანის წყალობით გაცნობილი იყვნენ ხალხოსნურ იდეებს.

17 სექტემბერს, დავბრუნდი ბახვში ხონიდან, ცუდი ამბავი დამხვდა: სამი დღის წინეთ ჩემს მისვლამდი, ღამით ალყა შემოერტყათ გადავარდნილი ისიდორე ქიქოძის სახლისათვის ოზურგეთიდან მოსულ ჯარისკაცებს, მაგრამ შინ ვერ ენახათ: ვილაცას ადრე შეუტყობინებია — „როტა“ მოდის შენს დასაჭერად, თავს უშველეო! იგი სოფ. ორაგვეში წაუყვანიათ მეზობლებს და დაუმალავთ.

„შენ (მე) მაზრის უფროსი გიბარებს, არა ოფიციალურად საჩქაროდო“, გადმომცეს. ერთი სიტყვით, საქმე არეულ-დარეული დამხვდა. მეორე დღეს გამოვეცხადე მაზრის უფროსს, ჩემს ნაცნობ ვახრამოვს, რომელმაც საყვედურიანი კილოთი მითხრა: „მე არ მეგონა, თუ ასეთი სახიფათო საქმისთვის მოიცლიდით და მთავრობის ღალატში გაერეოდით. საპასუხოთ არ დამიბარებიხართ — კარგად ვიცი, რასაც სჩადიხართ. ძალიან მებრალებიან ქიქოძის მშობლები: მამა ვარ და ვიცი შვილის სიყვარული, მაგრამ ვერ დავზოგავ, უთუოდ უნდა დავატუსალო გაქცეული. თქვენც იგივე ბედი გეწევთ, რაც ქიქოძეს მოუვა, თუ თავს არ დაანებებთ ამ საშინელ საქმეს“. მინდოდა თავი მემართლებია, მარა სიტყვა არ დამანება. მისი ნალაპარაკევიდან ეს დასკვნა გამოვიტანე: ქიქოძე მალე მოსცილდეს მაზრას, შენ კი თავი დაანებე პოლიტიკასო.

იმ ხანებში გაქცეული ქიქოძის ოჯახს, ქუთაისიდან გამოგზავნილი პოლიციის აგენტი ესტუმრა კაზაკებით, მარა ვერაფერი გააწყობა, ვერ დაიჭირა: „— როცა ჩვენ საჯავახოს გადმოვალთ მატარებლიდან, ამათ ეს უკვე იციან ბახვშიო“, სთქვა თურმე პოლიციელმა.

იმავე წლის გიორგობისთვის პირველ რიცხვებში, 10 საათი იქნებოდა — გაიღო კარები და შემოვიდა კლასის ოთახში უზარმაზარი ჟანდარმის კაპიტანი ევდოკიმოვი. მეორე გაკვეთილი დაწყებული იყო. კაპიტანს ერთი ჟანდარმი და მაზრის უფროსის თანაშემწე ახლდა ოზურგეთიდან. შემოდგა კლასში ფეხი თუ არა, კაპიტანმა დაბალი ხმით დაიწყო ბუტბუტი:

„მეფის ბრძანებით მოვდივარ თქვენს გასაჩხრეკათო, გთხოვთ მიჩვენოთ თქვენი ბინაო. მე სკოლის ზედა სართულზე მივუთითე და ვუთხარი: იქ არის ჩემი ბინა მეთქი.

— არა, უთქვენოთ არ შეიძლება, თქვენ უნდა ნამიძღვეთო და თან დაატანა: მონაფეხებიც უნდა გავუშვათ სახლშიო“.

ჯიბეში ძიმითელი ამხანაგის წერილი მქონდა, რაშიაც მწერდა: „არ შეშინდე, მე მაქვს ყველა ქალაღებო“.

საქმე, აი, რა იყო: ქუთაისიდან სვანეთის ბოქაულის მიერ ბეჭედდასმული პასპორტები უნდა მიმეღო, დაგვიანდა მიღება. მასთან შევიტყვე, რომ ყოფიანი (მიშო) დაჭერილი იყო და ვშიშობდი, ვაი, თუ მიშოს უნახეს ეს ქალაღები მეთქი. მაგრამ, ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა: მიშოს პასპორტები დაჭერამდე ერთი დღით ადრე, ჩემი მეგობარი ბეჟანისათვის (ჯეგეშია) გადაუცია. ჯეგეშიას წერილი ჯიბეში დამრჩა და შემეშინდა არ გამიჩხრიკონ ჯიბე მეთქი, მაგრამ არ გავუჩხრეკივარ — ჯიბეები არ გაუსინჯავთ.

გავალე ჩემი ბინის კარები და შიგ შევიპატიჟე „სასურველი სტუმრები“. ცოტა სიცივე იყო. — „ეს არის ჩემი ბინა მეთქი“, ვუთხარი კაპიტანს. დაიწყო ჩხრეკა. ჯერ ჩემი საწერი მაგიდა გაჩხრიკა. გადააწყობა ძველი ხელნაწერები (ქართული) და ზღაპრები, რომელთაც უფროსი განყოფილების შეგირდები მიგროვებდნენ და პეტრე უმიკაშვილისთვის¹⁶ უნდა გამეგზავნა. მერე ლოგინი არივ-დარიეს, ლები დამირღვიეს და მერე შკაფის კლიტე მომთხოვეს. განჯინაში საიმისო ვერაფერი ნახეს, გარდა წიგნების გამომცემელი — არსენ კალანდაძის წერილებისა; იგი ქართულ საბავშვო წიგნებს მიგზავნიდა გორიდან. ამ წერილებს განსაკუთრებით ყურადღება მიაქცევს. თურმე არსენი დაჭერილი იყო. ბოლოს წააწყდენ ფოთის პოლისმეის-

ტერის ანტონ ნაკაშიძის რუსულად მოწერილ წერილს, რომელშიაც ის მთხვავდა, ახალგაზრდა დავით მახარაძისთვის ნება მიმეცა გაკვეთილზე დამსწრებოდა: „იგი მასწავლებლობას აპირებსო“. ამას გარდა მწერდა: „ტროიე ვნახე და მითხრა, თუ გურიის მასწავლებლები კვლავაც ასე განაგრძობენ მეცადინეობას — გურიის სკოლები მალე აყვავდებიანო“. ამ წერილმა გააკვირვა ბ. კაპიტანი.

— „ნუ თუ თავად ანტონ ლაზარეს ძეს თქვენთან მიწერ-მოწერა აქვსო?!“ წერილი მეორეჯერ გადაიკითხა და მითხრა: — „საიდან იცნობ თავადსო?

— იგი ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე იყო, სკოლებს ხშირად ნახულობდა, უყვარდა სკოლები და ჩვენც ხელს გვიწყობდა მეთქი“. კაპიტანი თავისი ამალით და ნაპოვნი საბუთებით ოთახიდან გავიდა, მე კი დარაჯი მომიყვანა და მიბრძანა სალამოს სოფლის კანცელარიაზე მივსულიყავი.

სალამოს 7 საათი იქნებოდა, როცა კაზაკები მოვიდნენ და კანცელარიის კარებთან და ფანჯრებთან დარაჯობა დაიწყეს. იმ დღეს ჩვენი მეკონტრაბანდეები შავიშვილები დაეჭირათ, მათთან ერთად მელქისედგე მახარაძეც. კაპიტანი ჩემთან შემოვიდა და განმიცხადა: თქვენ გიხსნისთ დატუსაღებისაგან მხოლოდ სიმართლის ჩვენება და შეუდგა საქმეს. ჩვენებას თვითონ სწერდა, დიდხანს მოუწდა, ჩვენების ჩამორთმევას.

მე ადრე ვიცოდი, რა უნდა მეთქვა: წერილი მქონდა მიღებული, რომელშიაც მატყობინებდნენ, რაც მიშომ აჩვენა ჟანდარმებს დატუსაღების დროს. ჩემზე ეთქვა ვერ ვიცნობ შარაშიძესო. მეც ასე ვაჩვენე ევდოკიმოვს, მიშო ყიფიანს ვერ ვიცნობ მეთქი. ბევრ რამეზე უარი უთხარი კაპიტანს და ძლიერ განრისხებული დარჩა ჩემზე. სხვათა შორის გორელ მღვდელს თუ იცნობო (გვარი დამავინყდა). როგორც მერე შევიტყვე, ეს მღვდელი დატუსაღებული იყო: ბევრი აკრძალული წიგნები ეპოვნათ მისთვის ტრაპეზს ქვეშ დანყობილი. გარდა ამისა, მეკითხება არსენ კალანდაძეზე, ციციანოვზე, მერე მეკითხება კრაფჩინსკი თუ გაგიგონია, ბარბოუსები ხომ არ წაგიკითხავს პუგაჩოვზე ან სტეფან რაზინზეო. ბოლოს მეკითხება: რა ქალაქი იყო ის, რომელიც ანთიმოზ ჯუღელმა წაგიკითხა 1876 წ. მასწავლებელთა კრებაზე და ხელს განერიებდაო და სხვ. ჩვენებაზე ხელის მოწერის შემდეგ გამომიცხადა, თქვენ მალე იქნებით დატუსაღებულიო.

იმ დღეს შავიშვილების და მახარაძის დატუსაღების შემდეგ ბევრი ეძებნათ ნასაკირალზე ტყეში წიგნებიანი ქური, მარა ვერ ენახათ. სამიზნე ვიყავი პოლიციის მხედველობაში და მერე დირექტორ ტროიეს დახმარებით მომხსნეს ეს „მხედველობა“. ამასობაში რუს-ოსმალს ომი დაიწყო, გაქცეული ქიქოძე ოსმალეთში გაიპარა; ნაროდნიკული მოძრაობაც მიყუჩდა ჩვენში.

მასწავლებლობამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში შემდეგაც დიდი მონაწილეობა მიიღო გურიაში.

ოზურგეთის კრების გათავებისას (პირველი კრების) ტროიემ ზოგიერთ მასწავლებლებს პედაგოგიური ახალი თხზულება დაგვირგია. სხვათაშორის ქართული წიგნები და ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონიც, რომელიც აუცილებელი იყო მასწავლებლისათვის, განსაკუთრებით იმ დროს. გვასწავლა როგორ შეგვედგინა ამ წიგნების კატალოგი და დავთრებიც დაგვირგია.

დაიხურა მასწავლებელთა კრება. სკოლაში კმაყოფილი დავბრუნდი. კვირა დღე იყო, მიხაროდა ორშაბათის გათენება: ჩემს შეგირდებთან ვსინჯავ იმ ახალი მეთოდით სწავლებას, რომელიც ასე კარგად გვიჩვენა ტროიემ კრებაზე. იმ დღეს ახალ მიღებული წიგნების კატალოგი შევადგინე.

ჩემი მონაფე სიხარულიძე, რომელზედაც ზევით მქონდა ლაპარაკი, იქვე გაჩნდა და წიგნების დაიწყო სინჯვა. ჩუბინაშვილის ლექსიკონი მოეწონა და მითხრა: „ეს წიგნი უნდა მათხოვო, ვიკითხავ, კარგი ყოფილა რუსულის სასწავლადო.“

მე ავუხსენი იმ წიგნის მნიშვნელობა. ვუთხარი — საკითხავად არ ხმარობენ ასეთ წიგნს მეთქი, შინ ვერ გაგატან — მე თვითონ მჭირია, მეთქი. გაიბუტა და წავიდა.

ორშაბათს ჩემს ბავშვებს დიდი ზეიმი ჰქონდათ. ისინი ჩემგან მოტანილი სურათების დანახვამ აღტაცებაში მოიყვანა. მართალია, ტროიემ დაგვარგია, სურათები არ გვეჩვენებია ბავშვებისათვის ერთბაშად, საჭიროების მიხედვით უნდა გამოგვეტანა, რომ ინტერესი არ დაკარგოდათ, მარა ვერ მოვითმინე და ზოგი სურათი ვაჩვენე. იმ დღის გაკვეთილები ძალიან ცოცხალი გამოდგა: თვალსაჩინოების მიხედვით ვასწავლიდი და ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ გაკვეთილებით.

ივნისის პირველ რიცხვებში ოზურგეთის სამაზრო სამმართველოში დამიბარეს. კარგად მახსოვს, პარასკევს მაცნობა ეს მამასახლისმა; ბავშვები წასული იყვნენ სკოლიდან და არ იცოდნენ, თუ შაბათს სკოლაში არ ვიქნებოდი. წასვლის დროს მიხეილ სინარულიძემ მკითხა: „რატომ გიბარებენ, ხვალინდელი დღე ხომ გვეკარგებაო“! მე არაფერი ვუპასუხე, გული კი მომივიდა, რა ამხირებია ეს ბიჭი მეთქი.

ლ

გამოვცხადდი დანიშნულ დღეს სამაზრო სამმართველოში, მაზრის უფროსად მაშინ თბილისელი სომეხი პოლკოვნიკი ვახრამოვი იყო, რომელმაც ისე კარგად იცოდა ქართული, რომ ქართველში ვერ გაარჩევდი. მოახსენეს ჩემი მისვლა, გამოვიდა კანცელარიაში. ხალხი ბლომად იყო თავმოყრილი. რალაც ქალაქი ეჭირა ხელში, მოვიდა ჩემთან, მომესალმა და მითხრა ქართულად: გილოცავთ, რომ თქვენ ძალიან მშრომელი ყოფილხართ, დირექტორს (ტროიე უკვე დირექტორი გამხდარა) თქვენი შრომა კარგად დაუფასებია, თქვენთვის საუკეთესო მონმობა გამოუგზავნია. შეკეცილი ფურცელი გახსნა და წაიკითხა შემდეგი:

მონმობა

ესე ეძლევა ძიმითის სკოლის მასწავლებელს გიგო (გიორგი) დავითის ძე შარაშიძეს მას შინა, რომ მას ეძლევა ქუთაისის გუბერნიაში სახალხო სკოლის მასწავლებლობის უფლება. ეს მონმობა მან უნდა წარუდგინოს დირექტორს, ან მის თანაშემწეს, ყოველთვის, როცა იგი მის სკოლას დაათვალიერებს, შესაფერი ღებრის დასასმელად. ბეჭდების რიცხვი ამ მონმობაზე ხაზს ქვევით ნიშნავს სკოლის დათვალიერების რაოდენობას, ხოლო ფერი წარმატებას სასწავლებელში, სახელდობრ: წითელი ღებრი ნიშნავს კარგ წარმატებას, ლურჯი — საშუალოს, ხოლო შავი — ცუდს.

ივნისის 2 დღეს 1871 წელს. ქ. ქუთაისი

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ვ.ტროიე (ბეჭედი (წითელი ლუქით)).

როცა გაათავა კითხვა, გადმომცა ქალღმერთი და მითხრა: გადაეცით მამასახლისს, ჩემს მაგიერ, რომ ეს მონაშობა „ნაუკითხოს სოფლის ყრილობას“, დეე გლეხებმა შეიტყონ, როგორი სკოლა აქვთ იმათ.

ძალიან მოხარული გამოვედი კანცელარიიდან. მთელს ოზურგეთს შეეცყო — ძიმითის მასწავლებელ შარაშიძეს წითელი ბეჭდვანი მონაშობა მოუვიდა დირექტორიდანო. ეს დიდი ახალი ამბავი იყო მაშინ ოზურგეთისთვის: ნაცნობები მილოცავდნენ გამარჯვებას.

იოსებთან შევედი, ძალიან მხიარული შემხვდა. დაიწყო მისებურად ხარხარი და სთქვა: „ძლიერ მოხერხებული პედაგოგია ეს ტროიე: ეს მონაშობა ძალიან დაამუშავებს მასწავლებლებს, ვისაც ცოტაოდენი უნარი კი აქვს მასწავლებლობის და მასთან თავმოყვარეობის ნატამალიც გააჩნია — დღე და ღამე არ იძინებს. მით უმეტეს, რომ ყველა მონაშობა, რომელსაც წაიღებს დირექტორი სკოლიდან დათვალიერების შემდეგ, მაზრის უფროსს უნდა დაუბრუნდეს და იმან მერე მამასახლისებს უნდა დაურიგოს. ეს უკანასკნელები ვალდებულნი იქნებიან სოფლის საზოგადოებას ნაუკითხოს ყრილობაზე და აჩვენოს როგორ აბეჭდია ზედ დასმული წითელი, ლურჯი თუ შავი — კარგად უსწავლება მასწავლებელს წლის განმავლობაში, საშუალოდ თუ ცუდად. ამ გვარად შენი სკოლის შეფასებას ტყობილობს სამაზრო ადმინისტრაცია და მასთან მთელი ქალაქი, სოფლის ყრილობის საშვლებით, საზოგადოება და სკოლა, რომელშიაც შენ ასწავლი; შავი ბეჭედი რომ დაგირტყან მონაშობაზე, სადღა გამოყოფ თავს?!. ამიტომ ყველა მასწავლებელი ეცდება წითელი ბეჭდის მიღებას და თავდადებით იმუშავებს შეძლებისდაგვარად. ეს ხერხი სწორედ დროის შესაფერია“ — სთქვა იოსებმა.

მ

კვირას ადრე დავბრუნდი სკოლაში. მონაშობა ვაჩვენე მამასახლისს და თან მაზრის უფროსის სიტყვებიც გადავეცი. ძალიან გაუხარდა როსტომას ჩვენი სკოლის გამარჯვება და მომილოცა. დიდხანს ვილაპარაკეთ იმ საღამოს. მამასახლისთან გლეხებიც იყვნენ. სულ სკოლაზე და წითელ ბეჭედზე გვქონდა ლაპარაკი. იმ ღამეს ადრე დამეძინა, დაღლილი ვიყავი, მეორე დღეს დილას ჩვენი ზარის ხმამ გამაღვიძა. გავიხედე ფანჯარაში — ჯერ მზე არ იყო ამოსული. გამიკვირდა, ვის

უნდა დაერეკა ზარი ასე ადრე. თვალი მოვკარი ვიღაც სამი გარბოდა ძიმითის სოფლისკენ. ვაკე ადგილი რომ გაირბინეს, ფერდობს მიეფარენ. მე საჩქაროდ ბლუზა გადავიცვი და ფეხშიშველი გამოვუდექი იმათ უკან, ისინი ვერ მხედავდნენ და მოულოდნელად თავს წავადექი. ორი ბავშვი, ხინთიბიძეები იქვე ბალახებზე წამონოლილიყვნენ, მესამე, მიხეილ სიხარულიძე, ფეხზე იდგა და ჯაყვა დანით ჩხირს თლიდა. რა დამინახეს, შეშინდნენ, გაქცევა მოინდომეს, მარა წინ გადავუდექი, არ გავუშვი: მინდოდა შემეტყო რატომ იქცეოდნენ ასე:

„— თქვენ დარეკეთ ზარი? — ვკითხე.

— ჰო, მე დავრეკეო, მიპასუხა მიხეილმა.

— მერე ვინ მოგანდო შენ ზარის დარეკვა, ან რა დროს დარეკვა ახლა, ამ ალიონზე?! ამასობაში მე შეუმჩნევლად ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი მიხეილს: მინდოდა დანა წამერთმია, რომლითაც ის ჯოხს ჩიჩქნიდა.

— შე დალოცვილო, ჩვენ ვცდებით, კლასში არაფერს ვაკეთებთ, თამაშობაში ვკარგავთ დროს, შაბათს სულ არ გვექონებია სწავლა, დღეს მაინც ადრე დაგეწყო — ამიტომ დავრეკე“.

ამ ლაპარაკში ისე დავუახლოვდი, რომ დანიანი ხელის მაჯაში ცალი ხელით ვწვდი და დავუყვირე:

— „გააგდე ხელიდან დანა მეთქი!“ ძალიან შეშინდა, გაფითრდა და მითხრა:

— „მიირთვიო, ბატონო, დანაო“.

დანა გამოვართვი, პატარა ბავშვები წინ წავიძლოლე და წავედი სკოლაში. სანამ ტანთ ჩავიცვამდი, სიხარულიძე ჩემს ოთახში იყო, პატარები კი გაპარულიყვნენ. ძალიან მინდოდა შემეტყო, ვინ აიძულა სიხარულიძე, რომ ასეთი საქმე ჩაიდინა, ბევრი ვეხვეწე, კიდევაც დავემუქრე პოლიციაში გაგზავნით, მარა ვერას გავხდი. მემუდარებოდა გამეშვა სახლში, ალბათ ეშინოდა მამასახლისის მოსვლით და ჩქარობდა წასვლას. იმდენი მეჩიჩინა, რომ შემაცოდა თავი: ამასთან, არ მინდოდა დაენახა ბავშვებს დატყვევებული ამხანაგი ჩემს ოთახში, მივეცი დანა და გავუშვი. წასვლისას მითხრა:... „ამ საქმის გარემოებას, რომელიც ჩვენ ჩავიდინეთ, დაწვრილებით შეიტყობთ უჩემოდაცო“ და წავიდა.

ამასობაში ბავშვებმაც იწყეს მოგროვება, მამასახლისიც მოვიდა აღელვებული; გზაში შეეტყო ეს ამბავი. სიხარულიძის განთავისუფლებისათვის საყვედური მითხრა, რად დამიკარგე შემთხვევა მეთქმე-

ვინებია იმ ბიჭისთვის დაწვრილებით ყველაფერიო. თუმცა მე ადრე ვიცოდი ანდრია შურს იძიებდა თქვენზე, მარა მინდოდა სიხარულიდის პირით გამეგონა ყველაფერი მართალი“. მე ვუთხარი ყველაფერი, რაც სიხარულიდემ მითხრა. როცა ბავშვები მოგროვდნენ, შეეკითხა როსტომმა, რა მოხდა აქ შაბათსო?

„— შაბათს მიხეილ სიხარულიდემ ბევრი კალამი მოიტანა, დაგვირიგა და გვითხრა: ორშაბათს ნუ მოხვალთ კლასში, ამ უჩიტელს დაითხოვენ და კარგს გამოგვიგზავნიანო.

— მარტო მიხელა გელაპარაკებოდათ ასე, თუ კიდევ იყო ვინმე?

— იმასთან ორი ხინთიბიძე იყო, იგინი მიხელას დაყობოდნენ და რასაც იგი იტყოდა, მართალიაო დაიძახებდნენ. მეტს არაფერს ამბობდნენ“.

მამასახლისმაც იმავე დღეს დაიბარა ნაცვლები, ყველა კუთხიდან და დაავალა მოეწვიათ მომავალ პარასკევს ყრილობა — არავინ არ დააკლდეს ყრილობას, თითოეული ოჯახიდან ხმის მიცემის უფლების მქონე უთუოდ უნდა დაესწროს, დიდი საქმეა გადასაწყვეტიო. წერილობითი ბრძანებაც ჩააბარა და გაუშვა.

დანიშნულ დღეს ხალხმა ადრე იწყო დენა სამმართველოსკენ და სადილობის დროს (12 საათზე) დიდძალი ხალხი შეგროვდა.

საზოგადოებაში გავრცელებული იყო ხმა: „ანდრია მუხაშავერიამ კლასის ბაღნები ააბუნტაო და იმიტომ შეჰყარა მამასახლისმა ყრილობაო“. გლეხებს გარდა სხვა ნოდების ხალხიც გამოცხადდა.

მამასახლისმა მოიწვია ყრილობა სამმართველოს წინ და მოახსენა დაწვრილებით საქმის გარემოება. პატარა მუხაშავერიას სკოლის მიტოვებიდან დაწყებული მიხეილ სიხარულიდის თავზედურ მოქმედებამდე. ბოლოს დაუმატა: „მე კეთილსინდისიანების თანდასწრებით გამოვიძიე ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ყველა ფერი, რაც მოხდა, ანდრია მუხაშავერიას ნამუშევარია, რაზედაც ოქმი შევადგინე. თუ სურს ყრილობას, აირჩიოს სანდო პირები და გადაიკითხონ ეს ოქმი, რომელიც ცხადათ ამტკიცებს ანდრიას დანაშაულობას.

— არა, არაა საჭირო! ჩვენც ვიცით, რომ მისი მოხერხებულისა ყველაფერი, გაისმა ყრილობაში.

— ამას გარდა, დაუმატა მამასახლისმა, მე მაქვს უტყუარი ცნობა, რომ ორი ბავშვი, ხინთიბიძეები, ანდრიას ნათლულები, საწიგნეებით გამოცხადებიან მაზრის უფროსს: როცა იმას უკითხავს იმათთვის სადაური ხართ და რატომ მოსულხართო, — ბავშვებს უთქვამთ

სადაურიც იყვნენ და უთხოვნიათ, უჩიტელი გამოგვიცვალე, სხვა დაგვინიშნეო.

— რომელი უჩიტელი გირჩევნიათ აცანის თუ ჯუმათის? — უკითხავს უფროსს.

— სულ ერთია ჩვენთვის, ოღონდ ეს ნუ იქნებაო.

— რატომ არ გინდათ, მაგი უჩიტელიო?

— არაფერს გვასწავლის, გვათამაშებს, ტყვილა ვცდებითო, უპასუხნიათ ბავშვებს.“

მაშინ უფროსს მოუხბმო ვახუშტია (ვახუშტა ცნობილი იასაული იყო) და უბრძანებია: „ესენი წაიყვანე აქედან, დააყენე ძიმითის გზაზე, თითო ოროლა წკეპლი უცხუნე და გაუშვიო“.

„უცხოხდა მამა!“ — გაისმა ხალხში.

ახლა სასჯელის გადაწყვეტაზე მიდგა ჯერი, მამასახლისმაც წინადადებით მიმართა ყრილობას: მოილაპარაკეთ და გადაწყვიტეთ: დამნაშავენი არიან თუ არა ანდრია და ბავშვები და თუ დამნაშავენი არიან, რა სასჯელი უნდა გადაუწყვიტოთ. ყრილობა ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და მოლაპარაკებას შეუდგა.

ამასობაში შემოვიდა ჩემთან ცნობილი თავადი სვიმონ გუგუნავა¹⁷ მოწყენილი და მითხრა:

„— თქვენ თუ რამეს უშველით, თუ არა ანდრია მუხამავრიას გადაასახლებენ, ისე გაჯავრებულია მასზე ხალხიო.

— მე პირადად ხომ არ შემეხება ეს საქმე, მუხამავრიას საზოგადოებასთან აქვს დანაშაული და სოფელი გამოიყვანს იმას მავნე პირად, მე რა უნდა ვქნა მეთქი“.

ამ დროს მამასახლისიც შემოვიდა ჩვენთან და გუგუნავას სიცილით უთხრა:

„— თქვენი ბრალია, კნიაზო, რომ ანდრია ასე სძულთ გლეხებს. თქვენ, თავადებს გინყობსთ ხელს, როცა გლეხებთან გაქვთ საქმეო.

— ჩვენ კი არა, თავის ჯიბეს უწყობს ხელს ეს შეჩვენებული, მარა მაინც ცოდვავა, უთუოდ გადასახლებას გადაუწყვეტენ. ეე, გესმის, დავეკარგოთო, ყვირიან მისი მეზობლები. როსტომ, უთუოდ უნდა უშველო შენ რამე, თუ არა დაილუპება წვრილშვილების პატრონი ყაზახი.

— თუმცა ციმბირის ღირსია, თავადო სვიმონ, ანდრია, მაგრამ, ნუ შესწუხდებით, არსად წავა, აქ გეყოლებაო. ხომ იცით, ჩვენი კანონების წერა: ისე მოჭახრაკებულია იგი, რომ არც მწვადს წვავს და

არც შამფურს. გლესს კი ერთი აბაზი რომ მიემატოს გადასახადი, ყველაფერზე უარს გეტყვის. ანდრიას აქედან გადასახლებას ფული სჭირდება, კაი ძალი ფული!

— რათ უნდა ფული გადასახლებას?

— ერთი რომ თვითონ ანდრიას უნდა გზის ხარჯად, მეორე იქ, სადაც აგზავნიან, საჭიროა საცხოვრებლად ფული, რომელიც სოფლის საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს, თუ არა მთავრობა არ დათანხმდება გადასახლებაზე. ამიტომ, როგორც კი შეიტყობს ამას ყრილობა, მაშინვე შესცვლის თავის გადანყვეტილებას. სხვა უფრო მსუბუქ სასჯელზე. ამნაირად, ანდრიას არსად არ გადასახლებენ“.

მამასახლისის სამმართველოს აივანზე ავიდა, მოუყარა თავი ყრილობას და ჰკითხა:

„— აბა, რა ქენით, როგორ გადასწყვიტეთ ეს საქმე?“ გამოვიდა ერთი გლესი წინ, მიუახლოვდა აივანს და თქვა:

„— ანდრია უნდა მოვაშოროთ ჩვენს საზოგადოებას — გადავა-სახლოთ სადმე სამის წლით, როგორც „ბინიერი და საზოგადოების მავნე წევრი“, მიხელა სიხარულიძე სკოლიდან გამოირიცხოს, ხოლო პატარა ხინთიბიძეების დასჯა მიენდოს მასწავლებელს.

— ნამდვილია, ნამდვილი! — ერთხმად დაადასტურა ყრილობამ.

— შევადგინოთ განაჩენი? — ჰკითხა მამასახლისმა.

— შეადგინე, შეადგინე! დაიძახა ყრილობამ.

— უნდა იცოდეთ, ანდრიას გადასახლებას რაც ხარჯები დასჭირდება, თქვენ უნდა იკისროთ. ე.ი. გზის ფული და სასმელ-საჭმელის“, — სთქვა მამასახლისმა. ამ სიტყვებზე ყრილობა ჩაფიქრდა, მერე ჩორქოლი მორთეს, ანდრიას მომხრეებმა, რომელნიც ამ დრომდე სდუმდნენ, ხმა ამოიღეს და აშკარად ლაპარაკი დაიწყეს გადასახლების წინააღმდეგ. ხალხი შეირყა. ყრილობამ მოლაპარაკების დრო ითხოვა. მამასახლისმა ნება დართო, როცა ხალხი ხელახლა შეიკრიბა, წამოდგა ერთი ანდრიას მომხრეთაგანი და გამოუცხადა მამასახლისს: „— სიხარულიძის და ხინთიბიძის შესახებ ყრილობა არ სცვლის გადანყვეტილებას, ანდრია მუხაშავერიას კი გადასახლება შეეცვალოს ერთი კვირით პოლიციაში დატუსაღებით ადმინისტრაციის წესით. ამასთან, მიეცეს გაფრთხილება: — შემდეგში არ გაბედოს საზოგადოების საზიანო საქმის ჩადენა.

— კაია, კაიაო!“ — დასძახა ყრილობამ და დაიშალა.

6

იმ ზაფხულს ჩვენ სოფელს ესტუმრა პეტრე უმიკაშვილი, ცნობილ სტამბის პატრონს ექვთიმე ხელაძეს¹⁸ ჩამოყვანა თბილისიდან, და მისს სახლში დაბანაკდა სოფელ მამათში.

პეტრე უმიკაშვილი დიდი ქართველი პატრიოტი იყო. ჩინებულად იცოდა ქართული ენა, დიდ მონაწილეობას იღებდა მაშინდელ ჩვენს მწერლობაში, ჰქონდა საკუთარი ორგანო „სასოფლო გაზეთი“¹⁹, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა თბილისში. იმ დროის მიხედვით გვარიანად ვრცელდებოდა სოფლებში. შინაარსით ეს გაზეთი გლეხების განვითარებას უწყობდა ხელს, როგორც სასოფლო სამეურნეო დარგებში, აგრეთვე ზოგად განვითარებაში: აქ იბეჭდებოდა სტატიები გლეხების ყოველდღიურ ჭირ-ვარამზე და მასთან ბრძოლაზე.

პეტრეს ჩამოსვლის მიზანი იყო პირადად გაცნობოდა გურიას, შეეგროვებია თავის გაზეთისთვის მასალები და აგრეთვე შეეკრიბა ხელთანერი ნიგნები, ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ამოცანები, ისტორიული ზეპირგადმოცემები; შეესწავლა გურულების ზნე-ჩვეულება, ენის კილო და სხვ... ამისთვის ესწრებოდა ტირილს, ქორწილს, დღეობებს, ნახულობდა ეკლესიების ნანგრევებს და მონასტრებს.

როგორც მახსოვს, ორი კვირა დარჩა ხელაძისას. მოდიოდა ჩემთან სკოლაში, მეზაასებოდა ჩვენ მაშინდელ მდგომარეობაზე, მთავრობის გამარუსებელ პოლიტიკაზე, საქართველოს ბრწყინვალე წარსულზე, მისი დაცემის მიზეზზე; მიხსნიდა სწავლა-აღზრდის საქმეში სამშობლო ენის მნიშვნელობას და მიჩვენდა, რაც შეიძლებოდა მეტი ყურადღება მიმექცია ქართული ენისთვის სკოლაში, და მარწმუნებდა, რომ მაშინ უცხო (რუსულ) ენასაც მეტი წარმატება ექნებოდა. ერთხელ ჩემთან ბაასის დროს, მან ამოიღო ჯიბიდან კავკასიის ოფიციალური რუსული გაზეთი „Кавкази“-ს ნახევი და მითხრა: „აი, აქ არის დაბეჭდილი თქვენი დირექტორის მიერ ქუთაისის გუბერნიის სკოლების ანგარიში, სადაც თქვენ კარგად გიხსენიებს, გაქებს. იმედია არ გაგიტაცებთ თქვენ ამისთანები, არ დაგავინებთ თქვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე — დედაენას თქვენს სკოლაში ყოველთვის პირველი ადგილი ექნება“.

პეტრე ქართული ენის მასწავლებელი იყო, მგონი სათავადაზნაურო სკოლაში თბილისში და გამიგონია, ბოლო დროს ახალგაზრდა

ქართველ მაჰმადიანებს ასწავლიდა ქართულს — ქობულ რეჯებ ნი-
ჟარაძეს და გულო კაიკაციშვილის ვაჟს (სახელი არ ვიცი). ეს ყმან-
ვილები ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდნენ მერე და, როგორც
ამბობენ, კარგი სტუდენტებიც იყვნენ. სამწუხაროდ, კაიკაციშვილი
ადრე გარდაიცვალა, ნიჟარაძემ კი უნივერსიტეტი დაამთავრა და
კარგი საზოგადო მოღვაწე გახდა.

პეტრეს ძლიერ აინტერესებდა გურული კილო. დიდ ყურადღებას
აქცევდა გურულ ლაპარაკს. ბევრი გაუგებარი სიტყვები ახსნა, მაგა-
ლითად, ზოგ ადგილას გურიაში ხშირად ურევდნენ ლაპარაკში სიტყ-
ვებს: „ანყაი“, „კილაჲ“ და სხვ. პეტრემ ეს სიტყვები ასე ახსნა: ანყაი
— ან ლა, კილაჲ — კვლაჲ (კვალად) და სხვა.

ექვთიმე ხელაძეს პეტრეს იქ ყოფნის დროს ჯუმათელი აზნაური
იესე კანდელაკი ესტუმრა. პეტრე გააცნო მას მასპინძელმა, სტუმარ-
მა შეხედა პეტრეს (პეტრე წვერ-ულვაშს ატარებდა), მასპინძელს მი-
უბრუნდა და უთხრა:

„— რეგვენი კაცი ყოფილა, ეს შენი სტუმარიო“. ცოტა არ იყოს
შეწუხდით, პეტრეს არ ეწყინოსო, მარა პეტრე მიხვდა რა მნიშვნე-
ლობით ხმარობდნენ ამ სიტყვას გურიაში და აგვისხნა მაშინვე:

„— გურიაში რეგვენი ნიშნავს ახალგაზრდას, ქართლში და კახეთ-
ში კი — სულელსო“. ჩვენ დავმშვიდდით.

პეტრე მამათიდან ოზურგეთში გადავიდა — ნასვლისას მთხოვა,
შემეკრიბა მისთვის გურული ზღაპრები და სხვა, რაც მას აინტერე-
სებდა და აღმითქვა ქართული წიგნები და „სასოფლო გაზეთის“ გაგ-
ზავნა.

ძალიან მომეწონა და შემეყვარდა ეს პატიოსანი და კეთილი კა-
ცი. ჩვენ შორის დიდხანს კავშირი არ განწყვეტილა. ყოველთვის, რო-
ცა ქართულ ენას ვასწავლიდი სკოლაში, წარმომესახებოდა პეტრე,
თითქოს დარაჯად მედგა, აბა რას შვრება — გულმოდგინედ ასწავ-
ლის, თუ არა სამშობლო ენასო.

პეტრე ნაგომარში ბაზრობაზე გაცენეო ჭანებს (ლაზებს), რომ-
ლებიც ოზურგეთიდან იყვნენ აქ სავაჭროთ დროებით. ისინი მარტო
ფართლელებს ყიდდენ. ძლიერ მოეწონა პეტრეს ეს ლაზები და გა-
დასწყვიტა უფრო ახლოს გაცნობოდა ამ ხალხს ოზურგეთში, სადაც
ქალაქის მთელი უბანი მაგათ ეჭირათ. მშვენიერი წერილი დაბეჭდა
პეტრემ ლაზების შესახებ „დროებაში“. ის ამტკიცებდა, რომ ეს მშვე-
ნიერი დარბაისელი ხალხი ქართველების ახლო ნათესავი არის.

ქ

როგორც ზევით მოვიხსენიე, პირველად მეტად მეძნელებოდა ძიებითი ცხოვრება, მაგრამ ბოლოს ისე შევეჩვიე და შემიყვარდა ეს კუთხე, რომ არ ვფიქრობდი აქედან დაძვრას, რადგან ბოლო ხანებში წიგნებიც ბლომად მქონდა საკითხავი. ორიოდ პერიოდულ გამოცემასაც, „სასოფლო გაზეთს“ და ჟურნალ „კრებულს“²⁰ ვღებულობდი (გაზეთს პეტრე მიგზავნიდა უფასოთ, ჟურნალს რედაქცია პეტრესვე შუამდგომლობით). ამას გარდა აქ მასწავლებლობის ეგზამენებისათვის მომზადებაც უფრო ადვილი იყო ჩემთვის, ვინემ სხვაგან. დიდი სიწყნარე იყო, არავინ შემიშლიდა ხელს მეცადინეობაში და ოზურგეთზეც ახლოს ვიყავი შედარებით, სადაც ჩემი ხელმძღვანელი იოსები ცხოვრობდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი ჩემს წასვლას ძიებითიდან: როგორც ზემოთ მქონდა ნათქვამი, ოზურგეთის I კრების შემდეგ ყოველ წელს ხდებოდა მასწავლებელთა ყრილობა სექტემბერში, 15 დღით, დაბა ხონში.

ყრილობის გათავების შემდეგ (ეს იყო, როგორც მახსოვს 1874 წელს), ტროიემ დამიბარა ბინაზე და მითხრა: „იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა მთხოვა დავენიშნო მის ახალაგებულ სკოლაში სოფელ ბახვს, გამოცდილი გურული მასწავლებელი. ხომ არ ისურვებთ იქ გადასვლასო? იქ გექნებათ ჯამაგირი 300 მანეთი, ბინა, შეშა, მოსამსახურე და სანათი. ამას გარდა, გაბრიელის სკოლას დიდი მომავალი ექნება: იმის შენახვაში მთავრობაც მიიღებს მონაწილეობას, მალე მეორე მასწავლებელიც დაინიშნება. გირჩევთ გადახვიდეთ“. მე მადლობა ვუთხარი და ვსთხოვე, ხვალემდი ედროვებია პასუხის მიცემა.

არ იყო ჩემთვის ადვილი იმის გადაწყვეტა, თუ როგორი პასუხი მიმეცა: მე უნდა გადავსულიყავ ძიებითის სკოლიდან ისეთი კაცის სკოლაში და სოფელში, სადაც ხშირად ინტელიგენტებთან მექნებოდა საქმე. თვით გაბრიელი ხომ რალაც მიუწვდომელ ზეკაცად მყავდა წარმოდგენილი: ყველა ლაპარაკობდა, გაბრიელი დიდი ნიჭიერი და მცოდნე კაცია, მთელს რუსეთის იმპერიაში იმისი ბადალი სასულიერო პირი არ მოიპოვება; დიდი გავლენა აქვს მთავრობაზე, მეფის მოადგილისაგან ხომ დიდად პატივცემულია და სხვ. აი, ეს გარემოება მაფიქრებდა და მეშინოდა, ვაი თუ არ ვივარგო, ამ დიდი კაცის სკოლაში და სირცხვილი ვჭამო-მეთქი. მაგრამ, ესეც ვიფიქრე, სანამ-

დი უნდა ვიყო ძიმითის სკოლაში, ადვილად შეიძლება აქედან ჩემდა უნებურად გადამიყვანოს მთავრობამ შორს სადმე, ჩემიანებს მომწყვითოს და მაშინ ჩემი დაობლებული ოჯახი, ჩემი მცირეწლოვანი ძმები და დები ხომ უპატრონოდ დარჩებიან მეთქი. ამ უკანასკნელმა წარმოსახვამ გადამანყვევტინა მიმელო დირექტორის წინადადება, მივედი მეორე დილას მასთან და თანხმობა განვუცხადე ბახვში გადასვლაზე.

როცა დავბრუნდი სკოლაში, პირობის თანახმად, განვუცხადე მამასახლისს (როსტომი აღარ იყო მამასახლისად), რომ მომავალი 8 ნოემბრიდან მე ბახვის სკოლაში ვიყავი გადაყვანილი. ძალიან ინყინეს გლეხებმა, მთხოვეს დავრჩენილიყავი, ჯამაგირს ისინიც იმდენს მომცემდნენ, რამდენსაც ბახვში მაძლევდნენ, მარა გადაჭრით უარი ვუთხარი.

ჩემმა მეგობარმა და მასწავლებელმა იოსებმა რომ შეიტყო ჩემი ბახვში დანიშვნა, ძლიერ გაუხარდა, მომილოცა და მითხრა:

„— დიდი კაცის ხელში ჩავარდნილხარ, სკოლის საქმეც კარგად წავა და შენიცო. ის მასწავლებლად ნამყოფია და მასთან ყოველმხრივ განვითარებული კაციო — ბევრს რამეს ისწავლი იქ, თუ იმეცადინებო. ტროიეს სწავლების ახალმა მეთოდებმა სახელი გაითქვა ჩვენში, ალბათ გაბრიელმაც იცის ეს და მოსწონს, ამიტომ შენ ფიქრინუ გაქვს, ვერაფერს დაგინუნებსო“.

იშვიათი ხალხი ცხოვრობდა ძიმითის საზოგადოებაში საერთოდ და განსაკუთრებით, სოფელ მამათში, რომელიც დასახლებული იყო მარტო გლეხებით და სხვა წოდების გავლენა მათზე არ ხდებოდა. ამიტომ, იქაური გლეხოზა იყო შრომის მოყვარე, კეთილი, სტუმართმოყვარე, მხიარული, მომღერალი, სიცოცხლის მოტრფიალე, ჯანსაღი, ახოვანი, ლამაზი. თვალწინ მესახებიან ჩემი მეგობრები, გოლიათები: ჯეგეშია, ბერეჟიანი, ხუტუა, ლლონტი, გიტო ხელაძე და სხვ. ჩემმა ხუთი წლის ამ ტყის სოფელში ყოფნამ ბევრი რამ ქვეშარიტება შემაგნებია; ბევრი გულწრფელი და უანგარო პატივისცემა, ნამდვილი ზნეობრივი სიამოვნება განმიცდია აქ, ამიტომ სანანებლად დამირჩა ამ სოფლის მოშორება.

მეორე ნაწილი

ბახვის სკოლისაკენ

მთელი ჩემი გულისყური, ფიქრები და საზრუნავი ჩემი მომავალი მუშაობისა და ბახვის ახალი სკოლის გარშემო ტრიალებდნენ. ათასი თავსატეხი საკითხი მეზადებოდა. ვგრძნობდი, რომ მარტო წერაკითხვის სწავლებით და სკოლის მასწავლებლის როლით არ უნდა განსაზღვრულიყო ჩემი მომავალი მეცადინეობა, რომ მდგომარეობა ბევრ სხვა რასამე მავალეზდა და ვცდილობდი ნათლად გამერკვია ჩემი მისია ახალ ადგილზე და ახალ საქმეში. აქ ხელი შემიწყობ პეტრეს „სასოფლო გაზეთმა“ და ზოგი კითხვების გადაჭრა გამიადვილა, მახსოვს ერთი წერილი, რომელიც არკვევდა სოფლის მასწავლებლის მოვალეობას სოფელში და სხვათა შორის, იმ აზრსაც გამოთქვამდა, მასწავლებელი უნდა ეცადოს გარდა ზოგადი საგნების სწავლებისა, შეძლებისდაგვარად სასოფლო მეურნეობის სფეროშიაც დახმარება გაუწიოს სოფელსო.

დირექტორის ოფიციალური მონერილობის თანახმად მე-8 ნოემბერს, 1874 წ. გამოვცხადდი ბახვს, სადაც გაბრიელ ეპისკოპოზი (სკოლის დამარსებელი) მის ძმასთან, მღვდელ ათანასე ქიქოძესთან²¹ დაბინავებული იყო.

როგორც საზოგადოთ მოხელე კაცს, მეც ძლიერ მეძნელებოდა მასთან მისვლა: მისი ხასიათის შესახებ ბევრი რამ ისეთი გამეგონა, რაც მის პიროვნებას ჩრდილს აყენებდა და არა სიმპატიურ კაცად გამოიყვანდა. ასეთი არასასურველი ხმების გავრცელებას გაბრიელზე, როგორც შემდეგში შევიტყვე, გურიის სამღვდელოება და თავადაზნაურობა ცდილობდა, რადგან პირველს (სამღვდელოება), ემინოდა, გურიის ეპარხია არ შეეერთებიათ ქუთაისის ეპარხიასთან: სამღვდელოება ნამეტანი ჩამორჩენილი იყო და გაბრიელი ხომ უვიც მღვდლებს არ დაინდობდა. თავადაზნაურობა კი იმიტომ ემტერებოდა გაბრიელს, რომ იგი უბრალოდ და უცერემონიოდ ეპყრობოდა „ნარჩინებულებს“ ისე, როგორც სხვა წოდების ხალხს. მასთან თავის ქადაგებაში დაუზოგავად ამხილებდა თავადაზნაურობის ცუდ ყოფაქცევას და გლახების განთავისუფლების დიდი მომხრე იყო.

გიორგობისთვის ნარვსდექი მის წინაშე; აი როგორ მოხდა ეს ამბავი: აივანზე რამდენიმე მღვდელი იჯდა, ეპისკოპოზი არსად ჩანდა, ყველას უბრალო შლიაპები ეხურა. დამინახა თუ არა ერთ-მა ჩემმა ნაცნობმა მღვდელმა, მომკიდა ხელი და მიმიყვანა ერთ მღვდელთან. თურმე ეს იყო ეპისკოპოზი, იმასაც უბრალო შლიაპა ეხურა თავზე და უბრალო ძველი ანაფორა ეცვა; ამის გამო ძნელი გამოსაცნობი იყო სხვებში. გაბრიელი წამოდგა, ოთახში შემიყვანა, სკამი მომანოდა, მითხრა: „უთუოდ გეტყოდათ ტროიე ჯამაგირის რაოდენობას — ჯერჯერობით 300 მანეთი გექნებათ წელიწადში, ბინა, შეშა და მოსამსახურე. შემდეგში ვეცდები მოგიმატოთ. ახლა წადით, დაათვალიერეთ სკოლის შენობა. თუ რამე აკლია, მითხარით და გავაკეთებ“. იქავე მღვდელს უბრძანა წამყოლოდა და ეჩვენებია ყველაფერი სკოლის შენობაში.

ეკლესიის გალავანში²² აუშენებიათ შენობა სკოლისთვის. გალავნის ცოტა ნაწილი, რომელიც თავისუფალი იყო, გაბრიელს ეყიდა და გადაემიჯნათ გზად, დანარჩენზე კი მიცვალებულებს ასაფლავებდნენ — სკოლა სასაფლაოზე დაედგათ. გაბრიელს სოფლისთვის წინადადება მიეცა, სკოლის დასადგამი მიწა დაეთმოთ, მაგრამ (მ)ღვდლებს საუმჯობესოდ დაენახათ ეკლესიასთან ერთად ყოფილიყო სკოლაც, რადგან ეკლესიის შენობაც გაბრიელის ხარჯით იყო აშენებული.

სკოლის შენობა იყო ორსართულიანი, ყავრით დახურული, ქვედა სართული, რომელიც ორი დიდი დარბაზიდან შესდგებოდა ქვის იყო, ფანჯრები ცოტა ქონდა. ბნელოდა შიგ. ზედა კი ხის მასალიდან აეშენებიათ და შესდგებოდა ერთი მოზრდილი დარბაზიდან და ორი უფრო პატარა ოთახიდან, ზედა სართულის ოთახები უბუხრო იყო, იატაკი და ჭური ფარღალალა. ეს სართული მასწავლებლის ბინათ იყო დანიშნული. კლასის ავეჯეულება საკმაო იყო, მარა ძალიან უხეირო. სკოლას არც სამზარეულო ქონდა და არც ფეხის ალაგი.

ყოველივე ჩემ მიერ შემჩნეული გაბრიელს მოვახსენე, განსაკუთრებით ხაზი გავუსვი სკოლის სასაფლაოზე დგომის უხერხულობას. გაბრიელმა შენობის მეთვალყურე დაიბარა, საყვედური გამოუცხადა, უბრძანა დაუყონებლივ გაეკეთებია შენობაში, რაც აუცილებელი და შესაძლებელი იყო. ეტყობოდა, თვითონაც სწყინდა სკოლის ასე უხერხულ ადგილზე და სრულიად უგეგმოდ აშენება, მაგრამ გვიანდა იყო, გამოსწორება ძნელი იყო, ფული კი ბევრი დაეხარჯა ამ უხეირო შენობის აგებაში მეთვალყურეს.

მეორე დღეს, ორშაბათს, ბავშვები უნდა მიგველო. სკოლაში ღამის გათევა შეუძლებელი იყო: მე ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა გლახმა, მასიკო ანდლულაძემ, გამათევია ღამე.

დილას ადრე ამოვედი სკოლაში, სადაც უკვე შეკრებილი იყვნენ მშობლები თავიანთი შვილებით. სანამ გაბრიელი მოვიდოდა, მე იქ მყოფი ბავშვების სია შევადგინე — ვინც მოისურვა ჩანერილიყო-ჩავწერე. 200 მსურველი აღმოჩნდა სკოლაში შესვლის. ამასობაში გაბრიელიც მობრძანდა. სკოლის ეზო რო სავსე ნახა ბავშვებით, გაუკვირდა და სთქვა:

„— ძალიან გაჭირვებული ყოფილან უსკოლოდ, ძლიერ სწყურებიათ სწავლა“.

ცოტაოდენი თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ სკოლაში მიგველო 8-15 წლის ორივე სქესის ბავშვები. წლოვანება მშობლების დაკითხვით უნდა შეგვეტყო და თუ რომ მოცემული ცნობები საეჭვო იქნებოდა, მეტრიკა უნდა მოგვეთხოვა, მარა აღარ დარჩა საჭირო, რადგან მშობლებმა და მეზობლებმა დაახლოებით სწორი ცნობები მოგვცეს. ორასი ბავშვიდან 41 არ დარჩა სასკოლო ასაკის. მივიღეთ 129 კაცი. ამდენი მონაფის გაძლოა ერთი მასწავლებლისთვის ძლიერ საძნელო იყო, მით უმეტეს, რომ ერთ ოთახში ვერ მოთავსდებოდნენ. ნამეტანი შეწუხდა გაბრიელი. მე მოვახსენე: „ბატონო, შევიტყოთ, რამდენია მიღებულ ბავშვებში სკოლაში ნამყოფი, რომელ განყოფილებაში სწავლობს და მაშინ შეიძლება დაიყოს ჯგუფებად და ორ ოთახში მოვათავსოთ“. თუმცა ერთი მასწავლებელი ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ორ ოთახში მოთავსებულ 129 ბავშვთან, გაბრიელს მოეწონა ეს აზრი. შევეკითხეთ მონაფეებს ვინ სად სწავლობდა და რომელ განყოფილებაში. აღმოჩნდა 56 სხვადასხვა სკოლაში ნასწავლი. ამგვარად საშუალება მოგვეცა მონაფეთა მთელი რიცხვი ორად გაგვეყო და ორ ოთახში მოგვეთავსებია, ხოლო სკოლაში ნამყოფს წერა-კითხვის მცოდნე ბავშვებს, მე თვითონ გავანანილებდი გამოცდის შემდეგ.

გაბრიელი ერთ კვირას დარჩა ბახვში. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე შევხვდებოდი მას. იგი სკოლაშიაც შემოვიდა სამხელ, გაკვეთილებს დაესწრა და ბავშვების დანანილებაში დამეხმარა. სულ ვფიქრობდი და მიკვირდა: რატომ არის ადამიანი ასე ბოროტი, რომ თავის საკუთარი სარგებლობისთვის არ დაინდობს სხვას, ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააშავოს მის მიერ ნიშანში ამოღებული კაცი რაც კარგი ღირსებით, ზნეობით უნდა იყოს იგი

დაჯილდოებული, თუ არა რა ხელი ქონდათ ამ ყოვლად პატიოსანს, სპეტიკს და სულ უბრალო, მარა იმავე დროს დიდ კაცთან! რატომ აძულებენ ქვეყანას შეთხზული ჭორებით, გაბრიელს.

იგი ცხოვრობდა სულ უბრალოდ და ზედმინევნით კეთილი ადამიანი იყო. მახსოვს, ერთხელ ბახვში მასთან მოიყვანეს პატარა ბავშვი, რომელსაც გულის ავადმყოფობა ქონდა და იტანჯებოდა. მიიყვანეს გაბრიელთან იმიტომ, რომ ფულით დახმარება აღმოეჩინა. ბავშვი გაფითრებული იყო, ჩქარი სუნთქვა ქონდა და კვნესოდა. ეს რომ დაინახა გაბრიელმა, მივარდა მას, ჩაიკრა გულში. დაუნყო ტარება ეზოში, ეფერებოდა და შენუხებული სახით ამბობდა. „— რა ვქნა, რით შეუმჩატო ამ უბედურს ეს გაჭირვება“. მერე ბავშვი უცბად დედას გადასცა, აჩუქა საექიმო ფული და უთხრა:

— ექიმთან, ექიმთან, ჩქარა, ეგებ რამე უშველოს ამ სანყალსო!

დავუბრუნდეთ სკოლას. ის 129 ახალი მიღებული ბავშვი 3 ჯგუფად გაყავი: პირველ ჯგუფში მოხვდნენ წერა-კითხვის სრულიად უცოდინარები — 73 ბავშვი, მეორეში — 40 წერა-კითხვის სუსტად მცოდნე, მესამე ჯგუფში კი 16 — ბავშვი წერა-კითხვის და ანგარიშის მცოდნენი, რომლებიც სოფლის სკოლის პროგრამის მიხედვით I | განყოფილებას მიუდგებოდა. I ჯგუფი დიდ ოთახში მოვათავსე, II და III — უნცროსში. ეს ოთახები კარებით იყო შეერთებული.

თუ წინა კარებს, რომლებიც ჩრდილოეთის კედლებში იყო ამოყვანილი და პირდაპირ სასაფლაოზე გაჰყავდა ბავშვები, არ გააღებდით, სკოლაში წიგნს ვერ წაიკითხავდი, ბნელოდა; ოთხი ფანჯარა (ესეც ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან ყრუ კედელი იყო), სრულიად არ აკმაყოფილებდა ოთახებს სინათლით — ასეთ პირობებში ამოდენა ბავშვების მოვლისათვის დიდი ხერხი და ტაკტი იყო საჭირო მასწავლებლის მხრით.

გარდა წერა-კითხვის I-სა და II ჯგუფს სხვა საგნები ერთად უნდა ესწავლათ. წერა-კითხვის სწავლება ბგერითი კი არა, ხმის მიბაძვითი მეთოდით ვაწარმოვე, რადგან პირველი უფრო განყენებულია, მეორეზე — ხმის მიბაძვითი მეთოდი, ჩემის აზრით, ყველა თანამედროვე მეთოდებზე უფრო კონკრეტული, შინაარსიანი და ადვილად გასაგებია სოფლელი ბავშვებისათვის.

გარდა წერა-კითხვის I-სა და II ჯგუფს სხვა საგნები ერთად უნდა ესწავლათ. წერა-კითხვის სწავლება ბგერითი კი არა, ხმის მიბაძვითი მეთოდით ვაწარმოვე, რადგან პირველი უფრო განყენებულია

მეორეზე — ხმის მიბაძვითი მეთოდი, ჩემის აზრით, ყველა თანამედროვე მეთოდებზე უფრო კონკრეტული, შინაარსიანი და ადვილად გასაგებია სოფლელი ბავშვებისათვის.

საგნების სწავლება საზოგადოთ კონცენტრირული წრით წარმოებდა, თანდათან ფართოვდებოდა მონაფეთა განვითარების მიხედვით და ეყრდნობოდა უფრო თვალსაჩინოებას. თვალსაჩინო სწავლა ცალკე საგნადაც იყო აღიარებული პროგრამაში. მის მიზანს შეადგენდა ახლობელი საგნების შესწავლა; იგი იწყებოდა (პროგრამით) I განყოფილებაში და თავდებოდა II-ში.

გარდა ამისა, ბავშვების გასართობათ და დასამშვიდებლათ ბახვის სკოლაში საზოგადოთ სხვა საშვალეებასაც ვხმარობდით ხოლმე. ეს ის ხალხური გასართობებია, რომლითაც გურულები ერთობდნენ ხოლმე თავისუფალ დროზე, სახელდობრ: „აა, ჩიტი“, „ბერი ჩამოხტა“, „ანზე ვისი კაცი ხარ“ და სხვ. ამ გასართობებს გარდა ბავშვების დამშვიდებისა, პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს: ხელს უწყობენ ზალოგიის, გეოგრაფიის, ბოტანიკის და ფიზიოლოგიის შეუმჩნევლად შესწავლას. ამ საშუალებებს ყოველთვის ვხმარობდით სკოლაში, რასაც დიდი გავლენა ქონდა ბავშვების სიმშვიდებზე და ზნეობაზე.

მაგრამ, სკოლის არსებობის პირველ წელიწადში დიდ გაჭირვებაში ჩავარდა — 129 ბავშვი, რომ ჯგუფათ გაყოფილის, ორ ოთახში მოთავსებულს სწავლება, კლასის ოთახების მოუნყობლობა და უსინათლობა, სათამაშო ეზოს უქონლობა (სასაფლაო ეზო სავსე იყო ეკვტრებით, სადაც ამოდენა ბავშვების თამაშობა უმარცხოთ არ თავდებოდა) ორ თვეზე მეტით სწავლის დაწყების დაგვიანებად, თითქმის ყველა საგნების რუსულათ შესწავლა შეუძლებლათ ხდიდნენ ერთი მასწავლებლისთვის პროგრამის გავლას. მაგრამ რალა გზა მქონდა, გადავსწყვიტე, ჩემი ძალ-ლონე არ დამეზოგა და რამე მაინც უნდა გამეკეთებია, რომ სირცხვილში არ ჩავარდნილიყავ ასეთი დიდი კაცის წინაშე, როგორც გაბრიელი იყო და არც დირექტორი გამენბილებია: გურიის ყველა მასწავლებელში მე ამირჩია მასწავლებლად.

გაბრიელის (ბახვის) სკოლის დაპატრონება, თავის უწყების სკოლად მონათვლა, განეზრახა გურიის სამღვდელოებას. ამისათვის დელეგაციაც კი გაეგზავნათ გაბრიელისათვის ქუთაისში, იმას ცივი უარი ეთქვა დელეგაციისთვის: „სასულიერო უწყებას ვერ მივბა-

რებ ჩემს სკოლას: ვიცი კარგ ხელმძღვანელობას ვერ გაუნევეს იგი. ამ საქმისთვის სამოქალაქო უწყება უფრო მომზადებულია, შედარებით, მეტი და კარგი პედაგოგები ყავს, მეტი საშუალებაც აქვთ და ამიტომ. ეს სკოლა იმ უწყებას უნდა ჩავაბაროთ”.

ქუთაისის წასვლისას გაბრიელმა დირექტორის გამოგზავნილი მოზრდილი ამანათი გადმომცა. ამ ამანათში კარგა ბლომათ წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების გარდა აღმოჩნდა სკოლის პროგრამა, რომელშიაც შედიოდა სხვათა შორის შემდეგი საგნები: გეომეტრიული სხეულების განხილვა, თვალსაჩინო სწავლა, სამშობლოს შესწავლა და მოკლე ცნობები მსოფლიოზე (მსოფლიოს მცოდნეობა).

ეს პროგრამა მეორე დღეს (კვირას) წავიღე იოსებთან. იმან გადაათვალიერა და მითხრა: „პროგრამა კარგია — ქართულად რომ ისწავლებოდეს ჩვენს სკოლაში შიგ მოთავსებული საგნები. ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ იგი. ჯერ ქართულად შევასწავლოთ შეძლებისდაგვარად, მერე მოკლედ — რუსულად. ამისათვის საჭიროა მასწავლებელმა თვითგანვითარებას მოახმაროს დღეში ორი საათი მაინც, გარდა იმისა, რაც გაკვეთილების მომზადებას დასჭირდება, მაგრამ წიგნები რომ არა გვაქვს? — წიგნები ბლომად გამოგზავნა დირექტორმა, ვუთხარი მე, ამოვიღე სია, რომელიც თან მქონდა და ვუჩვენე.

„— როგორც სათაურებიდან სჩანს, კარგი წიგნები უნდა იყოს, პოპულარული, ტროიე პრაქტიკული პედაგოგია, კარგ წიგნებს გამოგზავნიდა. ჩუბინაშვილის ლექსიკონის დახმარებით ჯერ ქართულად უნდა შეისწავლო თვითონ ეს* საგნები და მერე ადვილია. პროგრამის მიხედვით ეს საგნები III განყოფილებაში იწყება და მანამდე კი მოასწრებ გაცნობას და ცოტად თუ ბევრად შესწავლას. ერთი სიტყვით შენ დიდი ჯაფა გიდგას წინ, თუ ეცდები გაბრიელის სკოლა ძალიან საინტერესო გზას ადგება: მთავრობა ვერ გაბედავს, რომ ხელი არ მოუწყოს ამ სკოლას, მალე მეორე მასწავლებელსაც დაგინიშნავენ. როცა დრო გექნება, თუ ჩამოხვალ ჩემთან, დაგეხმარები შეძლებისდაგვარად: საჭიროა საზოგადო საგნებსაც გადავხედოთ. დიდი მოვალეობა აწევს სოფლის მასწავლებელს საზოგადოთ და განსაკუთრებით შენ, როგორც გაბრიელის სკოლის მასწავლებელს.

ჩემდა საბედნიეროთ იმ წლის ზამთარი ერთი იმ ზამთართაგანი გამოდგა, რომელიც გურიაში ხშირია: მისი ამინდი თბილისის და

*. ამ საგნებზე დირექტორი ლექციას კითხულობდა კურსებზე.

წყნარ გაზაფხულის ამინდებს წააგავს და ზოგჯერ მცენარეებიც კი აყვავდებიან ხოლმე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ჩემს მეცადინეობას, ბევრ დაბრკოლებას ამაცდინა: სკოლის კარები და ფანჯრები მეცადინობის დროს ყოველთვის ღია იყო, მაგრამ სიცივეს ნახევრად შიშველი ბაშვები მაინც არ გრძნობდნენ. თებერვლის ბოლო რიცხვებში პირველი ჯგუფის მოწაფეთა დიდმა უმეტესობამ ქართული წერა-კითხვა იცოდა, დანარჩენები რუსული კითხვის სწავლის დროსაც შეისრულებდნენ, რაც აკლდათ.

რუსულ კითხვას შედარებითი მეთოდის საშვალეებით ვასწავლიდი: ვსწერდი ქართულად კლასის დაფაზე სიტყვებს და წინადადებებს სტამბური ხელით და იქვე თითოეულ ქართულ ასოს მიუწერდით ქვეშიდან რუსულ ნაბეჭდის მსგავს ასოებს (მოძრავი ასოები არ იყო). ამ ასოებს ადარებდნენ ერთმანეთს მოწაფეები, თვითონაც სწერდნენ და ამ რიგად, რუსულ წერა-კითხვასაც სწავლობდნენ და ქართულსაც იმეორებდნენ.

მაისში დირექტორი მესტუმრა, თუმცა თვიურ ანგარიშს ყოველთვის დანვრილებით ვსწერდი სკოლის შესახებ, მაგრამ გაუკვირდა, როცა თავის თვალთ ნახა ამოდენა ბავშვი და სკოლის მდგომარეობის უხერხულობა, გაუკვირდა ისიც, რაც იცოდნენ ბავშვებმა და მირჩია, მომავალ აკადემიურ წელში ახალი მოწაფეები არ მიმელო, მიღებულებისთვის იმავე განყოფილებაში მესწავლებია, რადგან, თუ ეს განყოფილებები კარგად არ იქნებოდნენ მომზადებული, სკოლა ყოველთვის სუსტი დარჩებოდა. ამასთან დასძინა:

„— მიმართეთ მოხსენებით ეპისკოპოსს, რომ მან მალე ინებოს მეორე მასწავლებლის დანიშვნა და აუხსენით: ასეთ მრავალრიცხოვან სკოლაში საეჭვოა, რომ ერთი მასწავლებლის სწავლებამ რამე ნაყოფი გამოიღოს“.

ასპარეზის გაფართოება

იმ წელში გაბრიელი არ ჩამოსულა ბახვში; როცა საზაფხულოდ დავითხოვე შეგირდები, მან დამიბარა ქუთაისში. გამიკვირდა, რატომ მიბარებს მეთქი. ჯერ ტროიესთან შევედი, იმანაც მხრები შეიშმუშნა, როცა ჩემი ქუთაისის მისვლის მიზეზი გაიგო, მთხოვა შევსულიყავი მასთან მაშინვე, გაბრიელის ნახვის შემდეგ.

სწორედ 12 საათი იყო, როცა არქიელის სახლში მივედი. მოახსენეს ჩემი მისვლა და მალე შემიყვანეს მასთან კაბინეტში. მისი

ახლობელი ნათესავი იყო იქ. გაბრიელმა გამომკითხა სკოლის ამბავი. მოვახსენე ყველაფერი დაწვრილებით, არც ის დამიმალავს, რაც ტროიემ მითხრა სკოლის დათვალიერების დროს ახალი ბავშვების მიღების შესახებ და სხვ. მასაც მოეწონა ტროიეს რჩევა და ნათესავს უთხრა: „არ შეიძლება იმოტოლა ბავშვებს, რაც ბახვის სკოლაშია, ერთმა მასწავლებელმა გაუძლოს და რამე ასწავლოს; ერთი მასწავლებელი უთუოდ უნდა მიემატოს, მაგრამ, მგონი, არც ის იკმარება“.

ამასობაში მაგიდის განჯინა გამოალო, იქიდან რაღაც ბროშურები ამოიღო, გადმომცა და მითხრა:

„— მე განვიზრახე ბახვში სასოფლო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის გახსნა, გადაათვალიერეთ ეს წესდების პროექტი და წესები, რომლებითაც იხელმძღვანელებთ წესდების შედგენის დროს, სალამოს შემოდით და მითხარით, თუ შესძლებთ ამ საქმის გაძლოლას“. ძლიერ გამიხარდა და მაშინვე ტროისთან გავიქეცი. ტროისაც ძლიერ გაუხარდა, რომ შეიტყო, რისთვის მიბარებდა გაბრიელი, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

„— მომილოცავს, ასე მალე დაგიმსახურებიათ ასეთი დიდი კაცის ნდობა ისეთ სერიოზულ საქმეში, როგორც საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელობააო“. ტროიემ გადაფურცლა ქაღალდები და მითხრა:

„— ყველაფერი ცხადად უნდა იყოს ახსნილი, არ შეფიქრდე, ადვილად გაუძღვები ამ საქმესაცო“.

სალამოს გაბრიელთან მივედი და მოვახსენე:

„— ვეცდები თქვენი სურვილი შევასრულო, წავიღებ ამ ქაღალდებს, გულდასმით გავეცნობი წესდების პროექტს, ვფიქრობ, ეს საქმე მოვაგვარო მეთქი.

— აბა, ნაიღეთ ეს ბროშურები — ერთ თვეში ძირითადი თანხის ფულსაც გამოვგზავნიო. როცა ფულს მიიღებთ ჩემგან — წესდებას წარადგენთ დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არსო“.

ზევით მქონდა მოხსენებული, რომ ბახვის ბატონ-პატრონი იქაური მღვდლები და ორიოდ თავად-აზნაური იყვნენ მეთქი.* მღვდლები მართლა დაპატრონებოდნენ ბახველ გლეხებს. ძლიერ გამოაცა იმ განსხვავებამ, რომელიც ძიმითელებსა და ბახველ გლეხებს შორის შევნიშნე.

*. ამათში არ შედიოდნენ ბახვის წყლის გაღმელი აზნაურები.

ძიმიტელი და განსაკუთრებით მამათელი გლეხები, როგორც ზევით იყო ნათქვამი მკვირცხლი, მხიარული და მომავალი იმედებით იყო გამსჭვალული, ბახველი კი — დაღონებული, მუდამ დაღვრემილი, იმედ დაკარგული იყო, რომელსაც მონობის უღელი კიდევ აჩნდა: იგი მღვდლების მონა-მორჩილი იყო. მღვდელი ღმერთიც იყო მისი და ხელმწიფეც. გარდა იმისა, რომ სამღვთო წესების შესრულებაში მღვდლები ტყავს აძრობდენ გლეხებს, თითქმის ყველა გლეხს ემართა ფული: ფული და

ყოველივე სხვა სიმდიდრე მღვდლების ხელში იყო დაგროვილი. რამდენი თუმანი ემართა გლეხსო მღვდლის, იმდენ მზიან დღეს უნდა ემუშავნა იმის ყანაში. ამიტომ იყო საჭირო აქ საკრედიტო ამხანაგობა, მხოლოდ ის გაათავისუფლებდა გლეხებს ამ მდგომარეობიდან.

უ

ჩავედი თუ არა ბახვეში, ვსთხოვე მამასახლისს დახმარება. იმავე დღეს გავაკარით განცხადება, ვაცნობებდით ყველას, რომ გაბრიელ ეპისკოპოზმა ინება გახსნას ბახვეში სასოფლო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომლის ძირითად თანხად შემოაქვს ამხანაგობაში საჭირო ფული. თან მოკლედ იყო განმარტებული ამხანაგობის მიზანი. ვსთხოვდით ყველას, გაურჩევლად წოდებისა, მოსულიყვნენ დანიშნულ დღეს სკოლის დარბაზში, სადაც ამხანაგობის დამფუძნებელი კრება იყო მოწვეული.

სანამ კრების დღე დადგებოდა, შეხვედრილ გლეხს ვუხსნიდით ამხანაგობის სარგებლობას და ვავალებდით მას სხვისთვისაც გაეზიარებია ეს ამბავი.

ჭკვიანი მღვდლები მიხვდნენ, რომ ეს ამხანაგობა ძირს უთხრიდა ექსპლოატაციას, მაგრამ სდუმდნენ: ანგარიშს უწევდნენ გაბრიელს, ცხადად ვერას ბედავდნენ, ფარულად კი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ საქმე ჩაფუშულიყო, მარა ვერაფერს გახდნენ: 25 კაცის მაგიერათ 30 მოაწერა ხელი წესდებას, რომელიც კრების მეორე დღეს წარდგენილ იქმნა სამინისტროში.

ერთ თვეში მივიღეთ დამტკიცებული წესდება სამინისტროდან. გაბრიელმაც გამოგზავნა სათადარიგო თანხა 600 მანეთი. საჭირო იყო კრების მოწვევა და ამხანაგობის შედგენა. უნდა არჩეულიყო სამი გამგეობის წევრი და მათი კანდიდატები, საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე და სამი კაცი სარევიზიო კომისიაში. ესენი,

რასაკვირველია, წევრებს შორის უნდა არჩეულიყვნენ, რომელთაც წერა-კითხვა მაინც უნდა სცოდნოდათ. გადავათვალიერე წევრების სია, არც ერთი ჩვენი ამხანაგობის დამფუძნებელთაგანი არ გამოდგებოდა ამ საქმისათვის. აქ გარდა ცოდნისა, ზნეობრივი მხარეც მისაღები იყო სახეში. ერთად ერთი წევრთაგანი იყო, რომელიც შესძლებდა გამგეობის წევრობას — ის ბათუმში მდიდარ სავაჭრო სახლში იყო ნამსახური, ანგარიში და წერა-კითხვა იცოდა და ხელმძღვანელის დახმარებით იმუშავებდა. ეს პირი იყო გიგო მგალობლიშვილი. თავმჯდომარეთ ჩემი კანდიდატურა უნდა წარმედგინა კრებისათვის, რადგან მაშინ მექნებოდა საშუალება ახლოს ვყოფილიყავი საქმესთან: გამგეობაშიც მე უნდა გამეკეთებია ყველაფერი.

კვირა დღეს შესდგა ამხანაგობის კრება, რომელსაც არც ერთი სხვა წოდების კაცი არ დასწრებია გარდა გლეხებისა. გლეხები მოვიდნენ და შეშინებულებით, მორცხვად შემოდრიოდნენ დარბაზში, სადაც მასპინძლის როლს მე ვასრულებდი: ვეპატიჟებოდი დამსხდარიყვნენ სკამებზე და სხვა... ასეთი ზრდილობიანი მოპყრობა კიდევაც უკვირდათ: არ იყვნენ მიჩვეულნი ასეთ შეხვედრას. 40 კაცი შეგროვდა. კრების თავმჯდომარეობა და წეს-რიგის დაცვა მე შემხვდა.

ჯერ კრებას მოვასხენე ამხანაგობის დაარსების ისტორია, ავუხსენი მისი მნიშვნელობა — როგორი სიფრთხილით უნდა მოეპყრათ, ამ ჩვენს საკუთარ საქმეს, როგორ უნდა მოიქცეს თითოეული ამხანაგი და სხვა. და მერე ვსთხოვე თავმჯდომარე აერჩიათ, რომ კრებას გაძლოლოდა.

„ვინ უნდა გაუძღვეს კრებას, შენ უნდა ქნა აგი“, — სთქვა ერთმა გლეხმა, რომელსაც სოფლის ყრილობას გარდა არ უნახავს სხვაგვარი ყრილობა. ცოტა ჩოჩქოლი შეიქნა პარტებზე, ავდექი, თვალი გადავაველე ყრილობას, ვსინჯე სკოლის ტაკტიკა თუ გამოდგება მეთქი — დანყნარდენ. ყველანი შემომაჩერდნენ.

ვკითხე: „— მე თქვენ მირჩევთ თავმჯდომარეთ?

— შენ, აბა ჩვენ რა ვიცით! იყო პასუხი.

— ხელები ააშვირეთ, ვინც მირჩევთ!“

ყველამ ასწია ხელი. წესდების ძალით კენჭისყრით უნდა მომხდარიყო არჩევნები, მარა ყუთები არ იყო. ოქმში ჩავწერე, ამდენი შავი და ამდენი თეთრი მოუვიდა ასარჩევსო.

მე სრული დიქტატორი ვიყავი ამ კრებაზე. კრებამაც წესიერად ჩაიარა. წევრებიც საკმაოდ ჩაინერა ამხანაგობაში, უწესობაც არავის ჩაუდენია. ვცდილობდი არ დაგვერღვია წესდების არც ერთი

მუხლი და წევრები შემეჩვია წესიერებას და თავის აზრის თამამად გამოთქმას. კრებაზე არჩეულ იქმნა საბჭო, მისი თავმჯდომარე, გამგეობის სამი წევრი, რომელთაგან მხოლოდ ერთმა იცოდა წერა-კითხვა და ანგარიში (ეს იყო ზემოთ მოხსენებული გიგო მგალობლიშვილი) და სარევიზიო კომისიის წევრები. იმ დღეს მეტი დრო წესდების ახსნას დასჭირდა და ოპერაციების დაწყება მომავალი კვირისთვის გადავდევით. გადაწყდა კვირაობით საქმის წარმოება.

ყოველგვარი მუშაობა ამხანაგობაში მე დამეკისრა: შეუძლებელი იყო სხვას გაეკეთებია იქ რამე, პირველ ხანებში მაინც. საჭირო იყო აღზრდა ამხანაგობისთვის მუშაკის. მაგრამ უსასყიდლოდ არავის სურდა მუშაობა, მე კი ძალიან ბევრი დრო მეკარგებოდა. ერთადერთი გიგო მგალობლიშვილი დადიოდა კვირაობით და მონაწილეობას ღებულობდა მუშაობაში.

ერთ წელიწადში იმდენად გაეჩვია იგი, რომ დაბრუნებული სესხის მიღება და სესხის გაცემა შეძლო. მაშინ კრებამ დაუნიშნა მას ჯამაგირი, დაავალა ემუშავნა გამგეობაში.

დიდი სარგებლობა მოუტანა ბახვის სოფლის საზოგადოებას ამხანაგობამ როგორც ქონებრივად, ისე ზნეობრივად — გაათავისუფლა იგი მევახშეობიდან, საშუალება მისცა თავის ოჯახში ემუშავნა და საკუთარი მეურნეობა გაეუმჯობესებია. შეაჩვია საერთო საქმეს და მასზე აზროვნებას. ამხანაგობის დახმარებით სოფელმა გამოიყვანა მდინარე ნატანების ტოტი ბახვში, ბევრ ახალგაზრდას მიეცა საშუალება ამხანაგობის მოგებიდან გადადებული თანხით განეგრძო სწავლა და სხვა... ამხანაგობამ თითქმის 30 წელი იარსება.

20 წლის განმავლობაში ძალაუვნებურად მე მისი ხელმძღვანელი ვიყავი, ყოველი ცოტად თუ ბევრად სერიოზული მუშაობა: წლიური ანგარიშის შედგენა, დივიდენდის გამოანგარიშება და წევრებზე დარიგება და სხვა მე მეკისრებოდა. დამაარსებელი გაბრიელიც, რასაკვირველია ყურადღებით ეპყრობოდა ამხანაგობას. გამგეობა ყოველ წლივით უგზავნიდა მას ამხანაგობის ანგარიშის პირს.

ამავე წელში, გიორგობისთვეში გაბრიელი ესტუმრა ბახვს. სკოლა დაათვალიერა და კმაყოფილი დარჩა. მეორე დღეს დღესასწაული იყო, წირვის შემდეგ ჩვეულებრივად ხალხს ებაასა. კარგ სანახაობას წარმოადგენდა იმ დღეს ეკლესიის ეზო: მრავალწლოვანი მოხუცი უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ, საჯდომ ბოკონზე იდგა გაბრიელი და მისებურად ებაასებოდა გურიის ყველა კუთხიდან მოზღვავებულ სმე-

ნად გადაქცეულ ხალხს, „ცოდვაზე, რომლისთვისაც სიცოცხლეშივე ისჯება ადამიანი“. ეს ცოდვა იყო სქესობრივი თავშეუკავებლობით სნეულობა, ადამიანის ერთი უსაშინლესი მტერთაგანი, რომელიც ევლინება კაცს სხვა და სხვა უკურნებელ სენის სახით (ჭლექის, სიგიჟის და სხვ...). გაბრიელმა ისე ხელოვნურად და მჭერმეტყველად, მაგრამ მარტივად ასწერა ამ სნეულებისაგან გამონვეული ტანჯვა, რომ მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: ყველა ჩააფიქრა, თითქო მთელი ყრილობა შეშინდაო, როცა გაბრიელმა გაათავა სიტყვა, ხალხი არ დაიშალა, ჯგუფებად დაიყო და გაბრიელის სიტყვის გამო სჯა-ბაასი გამართა. ერთმა ადგილობრივმა აზნაურმა სთქვა: „მე საშინელ მდგომარეობაში ჩამაყენა ეპისკოპოსის ქადაგებამ: ჩემზე ლაპარაკობდა მეგონა, დამალვა მინდოდა, ხან იქით მივანყდი, ხან აქეთ, მარა ვერ მოვახერხე, ვერსად შევაფარე თავიო“.

გაბრიელი ბაასის დასრულების შემდეგ სკოლის ზედა სართულის აივანზე ავიდა; ბახველ გლეხებს მოუწოდა და უთხრა:

„— მე სკოლა დავათვალიერე, ეტყობა მასწავლებელს კარგად უშრომია, მაგრამ იგი შრომის ფასს ცოტას ღებულობს, 300 მანეთს ვაძლევ წელიწადში, ჯერჯერობით მეტის მიცემა არ შემიძლია. ეს ფული აქ არ შეინახავს მას, ოჯახი კი, სადაც მას ყოლია მოხუცი* მამა და მცირეწლოვანი ძმები და დები ექვსი სული; უპატრონოდ რჩება. თქვენც დამეხმარეთ — მიეცით სურსათი, რომ თავი გამოიკვებოს თქვენი მოტანილი ხორაგით“.

მე არ მომეწონა ეპისკოპოსის წინადადება, ინსტიკტმა მიკარნახა, რომ ამ საქმეს ცუდი ბოლო ექნებოდა ჩემთვის, უსიამოვნებას გამოიწვევდა და ვუთხარი გაბრიელს:

„— ბატონო, არ ივარგებს ხარჯის ძლევა, ცუდი ბოლო ექნება ამას მეთქი“.

მაშინვე გამაჩერა და მითხრა:

„— რუსეთში მასწავლებლები ფულის მაგივრათ „ნატურით“ ღებულობენო“.

კრებამ კაცები აირჩია, რომლებმაც გადასწყვიტეს ეძლიათ ჩემთვის წელიწადში მოწაფის თავზე: ოყა ღომი, ქათამი, ერთი ყველი, ერთი დოქი ღვინო. ეს იყო გადაწყვეტილი სიტყვიერათ, არაოფიციალურად, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ ქონებია. მარა მე ამა-

*. ეს ცნობები მღვდლებს მიუციათ გაბრიელისთვის: მაშინ იგინი კარგად იყვნენ ჩემთან

ზე არაფერი მიტყვამს: ვგრძნობდი, ვიმეორებ, რომ ეს მე უსიამოვნებას მომაყენებდა... და ბოლოს კიდევაც ასრულდა ჩემი მოლოდინი. მაგრამ ამაზე არაფერს ვიტყვი.

გაბრიელი ბახვიმ ორი კვირა დარჩა. სკოლაში ათევედა ღამეს, ძალიან ცოტა ეძინა, ბევრს სწერდა და კითხულობდა. დღისით ხომ სულ დადიოდა: ერთი ადგილი ქონდა აჩენილი ღელის პირში, სადაც რამოდენიმე ნიფლის ხე იდგა და სიმშრალე იყო, იქ ხშირად იცოდა ჯდომა ბექობზე. როცა ეკლესიის გალავანში ჩამოვიდოდა ცაცხვის ქვეშე ჩამოცვენილ ფოთლებს ააცვამდა ჯოხის წვეტიან რკინის ბოლოზე, შორს გადაისროდა ხოლმე და ფანტავდა ფოთლებს.

წასვლისას გაბრიელმა სთქვა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან იგი დანიშნავს ბახვის სკოლაში მეორე მასწავლებელს თავისი ხარჯით. ამ ამბავმა მე ძლიერ გამახარა: ჩემს მძიმე შრომას მეორე მასწავლებლის დანიშვნა ძალიან შეამჩატებდა და სწავლის საქმეც, რა თქმა უნდა, უკეთ წავიდოდა. ამის გარდა, იმედი მომეცა, ჩემი ოცნება, სკოლაში სასოფლო მეურნეობის სწავლების შეტანა განხორციელდებოდა. ეს ჩემი განზრახვა გაბრიელისთვის არ გამიმხელია, ვიცოდი იგი წინააღმდეგი არ იქნებოდა, რადგან საერთოთ ჩვენში, განსაკუთრებით ბახვიმ, სამეურნეო კულტურის მაშინ ხსენებაც არ ყოფილა.

ბ

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ბახვიმ იმ დროს ვერც ხეირიან ვენახს შეხვდებოდი, ვერც ისეთ ხილს, რომელიც ბაზარზე გასატანად ვარგებულებოდა; ვენახები (ძველი) დაზიანებული იყო ჭრატით, ნაცრით და ფილოქსერით. აბრეშუმის ჭიის მოშენებას არავინ კიდებდა ხელს. ორმოცდათორმეტიან წლებში ყირიმის ომის დროს ევროპიდან გადმოტანილმა სხვადასხვა სნეულობამ მოსპო მეაბრეშუმეობა ჩვენში. გაზეთებში ვკითხულობდით, ევროპაში ყველა ამ სოფლის მეურნეობის მტერთა საწინააღმდეგო საშუალებას მიაგნესო, ჩქარა ყველა სამეურნეო დარგები გამობრუნდებოდა კულტურული ბრძოლის წყალობითო. ჩვენში, საქართველოში, სულ სხვანაირად უყურებდნენ ამ სახალხო უბედურებას, კუდიანებსა და ზაკვავებს აბრალდებდნენ ამ მოვლენას, ზოგი კი მზის დაბნელების გავლენას სთვლიდა მიზეზად.

არ შემიძლია აქ არ მოვიგონო ერთი უბედური შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩემ სოფელში ჩემი ბიჭობის დროს.

ჩვენს ვენახებს, რომლებიც განთქმული იყო აღმოსავლეთ გურიის ნინათ, ერთბაშად გაუჩნდა ნაცარი და მტევნები სულ ერთბაშად გაუხმო. ხალხი საგონებელში ჩავარდა: ნინა წლებში „ცეცხლივით“ ღვინოებით ქონდა ჭურები სავსე, წელს წვეთი არ დაუყენებია, ხოლო უღვინოდ ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მისთვის. ამიტომ ხელი მიყვეს მოცვის და წყლის ღვინოს დაყენებას, მაგრამ მოცვის შოვნა გაჭირდა, ცოტა იყო იქ, წყლის ღვინო კი უგემური და თან მანყინარი გამოდგა. ხალხი სასონარკვეთას მიეცა, კუდიანების და ზაკვაკების ძებნა დაიწყო. ვენახების გაფუჭების ბრალი იმათ დასდო. ერთმა გლეხმა სთქვა: მე ჩემის თვალთ დავინახე ივანიკა მეფარიშვილი, რომ მთვარიან ღამეში დაფრინავდა ჰაერში და ნაცარს აყრიდა ვენახებსო. ჩვენი ვენახების გაფუჭება სულ მისი ბრალიაო. ივანიკას წინათაც სწამებდნენ კუდიანობას: იგი მუყაითი და მომჭირნე გლეხი იყო და ყოველთვის დოვლათიანი ოჯახი ჰქონდა.

დაიჭირეს ივანიკა ცრუ მონმეებით დაბრმავებულმა გლეხებმა, ნაიყვანეს „გურის ტბას“*, ჩააბეს წელში ბანარი და ხიდიდან გადაუშვეს მდინარეში. თუ აიტვიტვივებდა წყალი ივანეს – იგი კუდიანი იყო, თუ არა მართალი კაცი, ივანიკა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა არ ჩაძირულიყო. დახრჩობის ემინოდა, ბანარიც ხელს უწყობდა ატვიტვივებაში და ამიტომ, დაამტკიცა მისი კუდიანობა. გლეხებმა შანთით დადაღეს იგი (ტიტველ საჯდომზე დააღეს შანთი) და გაანთავისუფლეს. დადაღულს ეკარგებოდა ჯადოსნობის ძალა.

ეხლა თუმცა დადაღვა არ ხდებოდა, მაგრამ ყოველივე ზიანს: საქონლის დაკლებას, ფრინველის ჭირისგან დახოცვას და სხვას კუდიანებს აბრალებდნენ. ამიტომ, მე ვფიქრობდი ცრუ მონმეების მოსპობას უფრო უწყობდა ხელს საერთო განვითარებასთან თანმიყო-ლებით სამეურნეო კულტურის შეპარება ხალხში, როგორც სკოლის საშუალებით, აგრეთვე პრაქტიკული, დემონსტრაციული მუშაობა.

ბ

გადავწყვიტე დაუყონებლივ შევსდგომოდი ამ განზრახვის პრაქტიკულად განხორციელებას — გამეშენებია პატარა ბოსტანი ხეხილის სანერგე. მაგრამ ძნელი ის იყო, სკოლას ადგილი არ მოეპოვებოდა,

* ჩოხატაურის რაიონში, სოფ. ბუკისციხეშია

სკოლის გარშემო ყველა მიწები მღვდლებს ეკუთვნოდა. აქვე სკოლის ახლოს კარგი საბოსტნე ადგილი იყო. ამ ადგილზე მონოზენები ცხოვრობდნენ, რომელთაც საქონელი ყავდათ: ადგილი განაყოფიერებული იყო. მივმართე პატრონს თხოვნით, რომ ეს მიწა ჩემთვის დაეთმო ხუთი წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ გაშენებული ადგილი მას დარჩებოდა, მღვდელი დამეთანხმა: იგი გაბრიელის ძმა იყო და უარი ვერ მითხრა, მონაზვნებს მიწა დააცლევინა. ეს ადგილი შევლობე მეგობარი გლეხების და შეგირდების დახმარებით. გადავბარე შემოდგომაზე და გაზაფხულისთვის დავამზადე დასათესავათ: ბოსტნეულის თესლი ბევრნაირი გამოვიწერე მოსკოვიდან*, მოვიწვიე, ერთი კვირით მცოდნე მეზოსტნე. ყოფილი ჩემი ამხანაგი ქუთაისის მაზრის სკოლაში, ჩემი მეზობელი გიგო ჟღენტი, რომელმაც დაგეგმა ბოსტანი და მშვენიერი გარეგნობა მისცა. სახელმძღვანელოდ განთქმული მოსკოველი მეზოსტნის შრედერის წიგნი მქონდა.

ბოსტანშივე ერთ კუთხეში ვენახის და ხეხილის სანერგე მოვანყვე, სამი სკა ფუტკრებით გავიჩინე, რომელიც აგრონომმა ერმილე ნაკაშიძემ²³ მაჩუქა პირადად მე. ამგვარად ერთი წლის მუშაობით კარგი ბოსტანი, სანერგე და საფუტკრე მოვანყვე.

ღ

მეორე წელიწადს სკოლა რომ დაათვალიერა, გაბრიელმაც ინახულა, მოეწონა და სთქვა: ერთ მოსახლე გლეხს შეინახავს ქალაქის ადგილზე ეს ბოსტანი და საფუტკრეო.

„— ბატონო, კარგი იყო სკოლას რომ ადგილი ქონოდა საკუთარი, იქ უფრო ფართოდ მოვანყობდით სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანდა აქაურ გლეხობას მეთქი, მოვახსენე მე.

— თუ აჩენთ ადგილს, ვეცდები ვიყიდო, თუ იგი შესაფერი იქნება როგორც სკოლის ეზოთ, აგრეთვე ბალისთვისაც. ჩემი სახლის კაცები საერთო მამაპაპეულ ადგილებს იყოფენ, იმ ადგილებში მეც მიდევს წილი, მივმართავ იმათ, ეგებ დამითმონ ჩემს წილში სკოლისთვის რამოდენიმე ქცევა მიწა, მაგრამ იმედი არა მაქვს, უთუოდ უარს მეტყვიან. იმათ იცინან, რომ ბერს უფლება არა აქვს კანონით მამაპაპეული ადგილების პატრონობის“.

*. თესლი ძვირი არ იყო, ჩემი საშუალებით გამოვიწერე.

გაბრიელმა მართლა სთხოვა სახლის კაცებს მის წილში იმდენი მინა დაეთმოთ, რომ სკოლა მოეთავსებია ზედ, მარა უთხრეს: ჯერ გაყოფთ, მერე შეიძლება დაგითმოთო. ეს წმიდა უარი იყო: გაყოფის შემდეგ არაეინ დაუთმობდა გაბრიელს მინას.

იმავე წლის ზაფხულში ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი პიპინოვი ჩამოვიდა ბახვში ქიქოძეების საერთო ადგილების გამო ატეხილი საჩივრების გასარჩევად. ყველა ქიქოძეებმა თავი მოიყარეს ბახვს. შორს სამსახურში მყოფნიც დაესწრნენ ამ საქმეს. თათბირი გამართეს და გადასწყვიტეს: ურთიერთშეთანხმებით გაეყოთ მიწები და წარედგინათ დასამტკიცებლად სასამართლოს წევრისთვის. შეადგინეს გაყოფის პროექტი და წარუდგინეს წევრს, რომელმაც მოიწონა და დაამტკიცა. ამ გაყოფის ხელწერილში შედიოდა ერთი ნაკვეთი მინა „ნასიეს სოული«, რომელიც იქვე ახლოს იყო სკოლასთან და საუკეთესო ადგილი იყო, როგორც მდებარეობით, აგრეთვე სიმშრალით. ეს „ნასენაკარი« (5 ქცევა) და ათი ქცევა ე. წ. „ენერი«, სოფლის კიდეში მდებარეობდა, არეშის მაზრის უფროს მიხეილ დიმიტრის ძე ქიქოძეს არგუნეს, იმ მოსაზრებით, რომ მისგან ჩალის ფასად შეიძენდნენ, რადგან იცოდენ იგი (ქიქოძე) ბახვში აღარ დაბრუნდებოდა არასოდეს.

ეს შევიტყვე და საღამოს შევედი მასთან. იქვე ახლოს იყო ჩამომხტარი. იგი მარტო იჯდა ოთახში. ძალიან ამაყი და უსიამოვნო კაცი იყო მიხეილი. ჩემს დანახვაზე უფრო მკაცრი სახე მიიღო, სკამზე მიმითითა, დაბრძანდით მითხრა.

„— მე თქვენთან ორიოდ სიტყვის სათქმელად გაიხელით-მეთქი.

— რა გნებავსო მკითხა?

— გაბრიელს სურს სკოლისთვის მინა შეიძინოს, ხომ არ ინებებთ მიყიდოთ მას „ნასენაკარი«, რომელიც თქვენ გხვდათ წილში სახლის კაცებისაგან?“

ამის თქმაზე სახე გამოეცვალა, მხიარულად შემომხედა და მითხრა:

„— დიახ, მე ორი ნაჭერი მინა მახვედრეს ძმებმა, „ნასიესოული« და „ენერი«. პირველს დიდის სიამოვნებით მივართმევ გაბრიელს, „ენერს« ვერ გაყვიდი, ის სახლიკაცებს უნდა მიყვიდოო.

— რადგან თქვენ თანახმა ხართ „ნასიეს სოულის« გაყიდვის, მე ხვალვე ნავალ ქუთაისს, შევატყობინებ გაბრიელს თქვენს თანხმობას, როცა დაბრუნდებით აქედან, ქუთაისში გაივლით, ფასზე მოილაპარაკებთ და მიიღებთ.

— ძალიან კარგი. მე ამ ორ დღეში უთუოდ ქუთაისში ვიქნები“.

მე ნამეტანი ნასიამოვნები გამოვედი მისგან ამ საქმის ასეთი დასაწყისით, მაგრამ მეორე მხრით ის მაშინებდა, „ნასიეს სოული» ძალიან სახარბიელო ადგილი იყო საზოგადოთ და განსაკუთრებით ქიქოძეებისთვის. პატარა სახლიც კი ედგა შიგ ერთ მღვდელს, მიხეილის ძმას, იმ მიზნით სხვა ვერაფერ შესცილებოდა იმ მიწაში. ამიტომ, ადვილად არ დათმობდა, დავიდარაბას ასტეხდა.

გადავსწყვიტე, ბოლომდე მედევნა ამ საქმისთვის და „ცხელ გულზე» მომესწრო მოგვარება. ამ მიზნით გავემგზავრე ქუთაისს გაბრიელთან, იქვე დავუცადე მიხეილ ქიქოძეს და დიდი დავიდარაბის შემდეგ, როგორც იყო, მოვახერხეთ „ნასენაკარის» შექმნა. ეს მოხდა 1876 წელში.

ჩემი ქუთაისიდან ჩამოსვლის მეორე დღეს სკოლის აივანზე გამოვედი. ახალი ნაყიდი ადგილის მხრიდან, რომელიც სამხრეთით ელო სკოლის შენობას, ხმაურობა მომესმა, გავიხედე იქითკენ და ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ:

ქიქოძეების გვარიდან, ვინც დაინტერესებული იყო „ნასენაკარის» შერჩენაში, ყველას თავი მოუყრია შორს გათხოვილი ქალებიც კი მოუწვევიათ, თითქოს ამ ადგილს გამოტირილი იყოს: ათვალიერებენ ადგილს, ყვირიან, უწმანური სიტყვებით იგინებიან, იმუქრებიან; სხვათა შორის, ნათლად გავიგონე: ვიცით ვინც წაგვართვა ეს ადგილი, ვინ გამოგვჭრა ყელი, მაგრამ გადავუხდით სამაგიეროს ისე, რომ თავის დღეში არ დაივინყოსო. ბევრი უზრდელი და შეუსაბამო სიტყვები დახარჯეს, დაილაღენ, ალბათ და დაიშალენ.

მე სკოლის ეზოში გამოვედი, ერთი იმათგანი იქ შემხვდა, „ინტელიგენტი» ახალგაზრდა კაცი იყო:

„— იყიდეთ ადგილი? — აღელვებულმა მკითხა.

— იყიდა გაბრიელმა „ნასენაკარი», სკოლისათვის, ვუპასუხე.

— როგორ იყიდა?

— ხუთას მანეთად.

— ეს ხომ ჩვენი გვარის დამცირებაა, რაც თქვენი მოხერხებულისა. მარა, თუ კაცი ვარ არ შეგარჩენ ამ ჩემს დაჩაგვრას, დროს შეგიჩვენე და წვერნატეხილი დანით გამოგჭრი ყელს!“

მე ზურგი შევაქციე, და დუქნისაკენ გავსწიე, ხმა არ გამიცია. იმ დღიდან განიზრახეს ჩემი მტრობა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ რამე ევნოთ ჩემთვის. მარა ჯერ-ჯერობით სდუმან: მოხერხებულ დროს უცდიან.

2

1886 წლის 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე მიმინვიეს კურსებზე კავკასიის სააბრეშუმო სადგურში; ჩემი ცოლიც (მასწავლებელი ნინო ქიქოძის ქალი შარაშიძისა) თავის სურვილით წამოვიდა; იგიც მიიღეს მსმენელთა რიცხვში. მსმენელი ბევრი არ ყოფილა, კავკასიიდან სულ 15 კაცი იქნებოდა — უფრო სარაიონო სააბრეშუმო რაიონებიდან იყვნენ მონვეულნი.

ლექციას კითხულობდა სადგურის გამგე ნ.შავროვი და მისი თანამშრომლები; თბილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოხელენი. პროგრამა შეიცავდა შემდეგ საგნებს: მებარეშუმეობა, მიკროსკოპია, გრენაჟი (აბრეშუმის ჭიის თესლის გარჩევა), თუთის ხის მოვლა-მოშენება, მისი წესიერად გასხლვა; მეფუტკრეობა (თეორიულად); სკების სისტემის შესწავლა და შედარება; ვაზის ნამლობის ახსნა — ბორდოს სითხის დამზადება; ვერბერელის მანქანის და საბერველის ხმარება. საღამოობით ლექციებს ვისმენდით, დილიდან ორ საათამდე პრაქტიკულ საქმეს ვენეოდით — პასტერის სისტემით აბრეშუმის ჭიის საღი თესლის გამორჩევას ვსწავლობდით მიკროსკოპით. ჩვენ ვიყავით მიწვეული სამოსწავლო ოლქის ხარჯით თბილისში. თითოეულმა მსმენელმა 60 მანეთი მიიღო ხარჯის ფულად. კურსების გათავების შემდეგ მიკროსკოპები დაგვირიგეს თავის წყობილობით.

3

თბილისიდან ბახვში 9 იანვარს დავბრუნდით. ახლა უფრო იმედი მომეცა ჩემს ოცნებას, სკოლასთან სამეურნეო განყოფილების მოწყობას, სინამდვილეთ ვაქცევდი.

უმთავრესი სამუშაო საბალე ადგილის შეღობვა იყო, მაგრამ იგი სიძნელეს არ წარმოადგენდა: იმ ადგილში იმდენი შეშა მოიჭრებოდა, რომ იმის ფასით რალაც შეიღობებოდა და იარაღებისა და თესლების ყიდვაც შეიძლებოდა. ბალის დამუშავება გლეხების დაუხმარებლად უნდა მომხდარიყო, რადგან იგინი ამ საქმეს ეჭვის თვალთ უყურებდნენ. მაშინდელი ხელმძღვანელი ჯგუფები სხვადასხვა მოსაზრებით წინააღმდეგი იყვნენ ხალხში მეურნეობის გაუმჯობესების.

ამ დროს სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა და სოფლის საზოგად-

დოებამ ერთი მასწავლებლის ჯამაგირი იკისრა — ეხლა სკოლას სამი მასწავლებელი ყავდა, მონაფეების რიცხვიც გადიდდა და სკოლის ბალსაც მუშა მოემატა. რამდენიმე წლის განმავლობაში ბალი დამთავრდა. იგი შესდგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: I. დეკორატიული ბალი. II. ხეხილის ბალი. III. ვენახი. IV. ბოსტანი. V. სანერგე. ბალშივე იყო მონყობილი საფუტკრე.

დეკორატიული ბალი

დეკორატიული ბალი გაშენდა სკოლის ადგილის მაღლობ ვაკეზე. ეს ადგილი აღმოსავლეთით და სამხრეთით ძალიან დაფერდებულია და ჩადის პატარა მდინარე დურლანამდის, რომლის ნაპირი ვაკეს წარმოადგენს. აქ მშვენიერი წყარო იყო, რომლითაც სკოლა სარგებლობდა. მეორე ფერდობიც ვაკით თავდება, რომელიც ბოსტნისა და ხეხილის ბალისათვის გადავმიჯნეთ. დეკორატიული ბალის მოსაწყობი ზოგი მასალა ძველ ბოსტანში გვექონდა სანერგეში დამარაგებული. მაგ; იტალიური ფიჭვის ნერგები; დანარჩენი მასალის შესაძენათ მივმართეთ თხოვნით ბათუმის ქალაქის გამგეობას, რომელმაც მრავალი სხვა და სხვა ნერგები გამოუგზავნა სკოლას უფასოდ. ბორდიურებისათვის საჭირო ზვისა და სხვა წვრილი ნერგების ტყეში მოგროვების ნება დაგვართო ადგილობრივმა ტყეების გამგემ, რის შემდეგ მონაფეების დახმარებით შევაგროვეთ ექსკურსიის დროს ნერგების საკმარისი რიცხვი. ამ ნაირად დაგროვდა კაი ძალი მასალა, რომელიც დროებით შევინახეთ, ფესვებზე მინა-მიყრილი. ამ მასალის შესაფერ ადგილზე დარგვა იკისრეს იალტიდან სააღდგომოდ ჩამოსულმა ბახვის სკოლის ყოფილმა მონაფეებმა — აგრონომებმა. შემდეგში ლამაზი საყვავილედ მოვანყვეთ; დეკორატიულ ბალში აქა-იქ შესაფერ ადგილას ჩარგული იყო სხვა და სხვა ყვავილოვანი ბუჩქები, რომლებსაც ზოგს ადგილობრივ ვაგროვებდით, ზოგისას თესლებს ვინერდით მოსკოვიდან. ძალიან ლამაზი გამოვიდა მავრიტანული გაზონი, მრავალფეროვანი სურნელოვანი ყვავილებისაგან შედგენილი.

დეკორატიული ბალის ლამაზად გაშენებას სკოლის ხელმძღვანელები განსაკუთრებულის ყურადღებით ვეპყრობოდით, რომ ამით ხელი შეგვეწყო მონაფეებში ესთეტიური გრძნობის განვითარებისათვის. ოთხ-ხუთ წელიწადში ბახვის სკოლის ბალი ძალიან კარგი სანახავი გახდა და ბევრ მნახველებს იზიდავდა. მაგრამ პირველ ხანებში,

სანამ შეეჩვეოდნენ, დიდი სიფრთხილე დაგვეჭირდა, რომ ყვავილები დაგლუჯისაგან დაგვეცვა. გაზონები არ გაეთელათ და საერთოდ, ბალი არ გაეძარცვათ.

აღმოსავლეთის კუთხეში, პანანა კონცხზე, საიდანაც ცხადად მოსჩანან კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალები, „გამოჩინებულის“ სერები და აჭარა-გურიის ლამაზი მთები, რომელიც რკალივით აკრავს გურიას სამხრეთიდან, დადგმული იყო ცოცხალ გრეხილოვან მცენარეებში გახვეული მშვენიერი ტალავერი.

ბალი თანდათან ივსებოდა ყოფილი მონაფეების დახმარებით, რომელნიც საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში იყვნენ დაფანტული: უცხო მცენარეები მოჰქონდათ სოხუმიდან, იალტის სამეურნეო სასწავლებლიდან, ბათომიდან, ნყალნითელადან (ქუთაისის მიდამოშია)... მოტანილ მცენარეებში სხვათა შორის იყო: ქაფურის ხე ევკალიპტუსი, პალმები, მიმოზა, კამელია თეთრი და წითელი, კვიპაროსები, ზეთისხილის ხე, ქალაღდის ხე, დრაცენა, იაპონური ხურმა, პურის ხე, კალათის საღობავი ძენა და სხვა...

ადგილის სივინროვის გამო შეგროვილ ნერგებს ყველას ვერ ვათავსებდით ბაღში; ზედმეტი მასალა უფასოდ ეძლეოდა ბაღში მომუშავე მონაფეებს.

ვენახი

როგორც ვთქვი, ვენახს მივუჩინეთ სამხრეთის ფერდობი. აქ საცდელათ დავრგეთ იალტიდან მიღებული 16 ჯიშის ვაზის ლერწი, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე ჯიში შეეგუა აქაურ ჰავას: კაბერნე, პინო და ტრაგინერი, დანარჩენები მეტად ხარბად გაიზარდა და მტევნები დამნიფების დროს დაღპა, თუმცა მოვლა წესიერი ჰქონდა. აქვე ცნობილმა სტაროსელსკიმ ერთი კუნჭული მიიჩინა და იმერული ჯიშები დარგო საცდელად. მარა, ამ ჯიშებიდანაც მხოლოდ ერთი გამოდგა ჩვენი ჰავის შესაფერი, სახელდობრ ცოლიკოური.

სკოლის შენობის გვერდით ერთ ხურმის ხეზე დარჩენილი იყო ძველად გაშენებული ჩვენებური ჩხავერის ვენახი, რომელიც მოისხამდა, მარა ნაცრისგან...

სტაროსელსკის რჩევით, ეს ვენახი ჩამოვიღეთ ხიდან, დავამაგინეთ, ფორჩხები მივუსვეთ და ვუნამლეთ წესიერად. იმავე წელიწადს საუცხოვოდ მოისხა და დამნიფდა. მარა ამის დაცვას მონაფეებისაგან დიდი ყურადღება და ჩიჩინი დასჭირდა, სანამ ბავშვები არ შეეჩ-

ვიენ სახარბიელო მტევნების გულგრილად ცქერას და არ შეიგნეს იმის დაცვის აუცილებლობა. ამის შემდეგ საუკეთესო მონაფეები თითონ იცავდენ ყურძენს მოუთმენელი ამხანაგებისაგან: ჩვენი ნამუშევარია და როგორ უნდა გავანადგუროთო, უსაყვედურებდნენ მსუნაგ ამხანაგებს.

იმ დროს ჩვენში ვენახის წესიერი მოვლა არ იცოდენ. ძველი ჯიშის ვენახები დაავადებული და მომსპარი იყო; ადგილობრივი ჯიშების ნაცვლად ამ დროს გავრცელდა გურიიში იზაბელას (ადესა) ვენახი, რომელსაც სენი ვერ ერევა, ბევრსაც ისხამს, მარა ღვინოს დაბალი ხარისხისას იძლევა. საჭირო იყო ხალხი შეჩვეოდა ვაზის წესიერად მოვლა-მოშენებას და დაენყო ადგილობრივი ჯიშების გამობრუნება, რომლებიც წინეთ საუცხოვო ღვინოს იძლეოდენ. სკოლის ვენახი ამისათვის კარგი მაგალითის მაჩვენებელი გახდა. გლეხობა პირველად ამ მუშაობას ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ როცა სახელგანთქმული ძველი ჩხავერი ნახეს სკოლასთან გამობრუნებული და მშვენიერად მოსხმული — დამნიფებული, ეჭვი ყველას გაეფანტა: თურმე კი შეიძლებოდა ძველი ვენახების გამობრუნებაო, ამბობდნენ ისინი. სტაროსელსკის საცდელ იმერულ განყოფილებაშიაც ცოლიკაურმა მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. გლეხებს ძალიან მოეწონათ ეს ჯიში, რომელიც ბევრს ისხამდა და კარგადაც მნიფდებოდა. სტაროსელსკი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის საცდელ განყოფილებას ჩვენს ბაღში: აგ ზავნიდა საქაროდან მცოდნე მეურნეს, რომელიც გვარიგებდა, თუ როგორ მოგვევლო ვენახისათვის. რამდენჯერმე თვითონაც ინახულა სკოლის ბაღი საცდელი ვენახით და ძალიან კმაყოფილი დარჩა. მოიარა თავისი ყოფილი მონაფეებიც, რომლებსაც ჩვენი სკოლის დამთავრების შემდეგ მის მიერ საქარაში დაარსებულ პრაქტიკულ სკოლაში ესწავლათ და შემდეგ თავიანთ ეზოებში დაენყოთ მუშაობა. დიდის ყურადღებით დაათვალიერა მათი ნამუშევარი და ყველას შესაფერი დარიგება მისცა.

სტაროსელსკი იყო მცოდნე, ნიჭიერი, მშრომელი, უბრალო და ღარიბების მოყვარული კაცი. იმის წყალობით გამობრუნდა შორაპნის მაზრაში გაფუჭებული ვენახები. ის იმ თავიდანვე დაუახლოვდა იქაურ მევენახე გლეხებს, რომელთაც ძალიან უყვარდათ თავისი მოამაგე მეგობარი.

„— გავლოთდით, შემომჩვივლა, აქ ყოფნაში: სადაც მივალ შორაპანში გლეხებისას, ყოველგან წვეულებას მართავენ, ღვინოს მაძა-

ლებენ, თუ არ დავლიე, შეურაცხყოფათ მიიღებენ და ამიტომ, ძალა-უნებურათ, ჩამითრიეს ღვინის სმაში, რაც ჩემთვის ძალიან მავნებელიაო“. სუსტი იყო აგებულებით. მისი პოლიტიკური მიმართულება ყველამ კარგათ იცოდა ჩვენში. რეაქციის წყალობით პარიზში გადაიხვეწა და იქ დალია ძლიერი სული უკიდურეს გაჭირვებაში.

სკოლასთან სამეურნეო მუშაობის ნაყოფიერმა შედეგებმა გამოიწვიეს ბახვის სკოლასთან სამეურნეო განყოფილების გახსნა. აგრონომიული განყოფილების ოფიციალურად გახსნის შემდეგ სკოლაში დაინიშნა აგრონომი-მასწავლებელი. ამის შემდეგ დაიწყეს ვენახის მონყობაც: ამცნობდნენ ამერიკულ საძირეზე ჩხავერს, ტევანდიდს, ცოლიკოურს, კაბერნეს და სხვას აქაური ჰავის შესაფერ ჯიშებს. ეს ნამყენები იყიდებოდა იაფ ფასებში და ვრცელდებოდა ხალხში, რომელიც ცოტ-ცოტათი ეჩვეოდა დამყნილი დაბალი ვენახის გაშენებას.

ხეხილის ბალი

ხეხილის ბალში გადმოვიტანეთ დამყნილი ჯიშები ძველი სანერგიდან; ევროპული ჯიშების ზოგი ხეხილის სამცნობი პონკები და ნამყენები გამოვიწერეთ ნიკიტას მებაღეობის სასწავლებიდან (იალტაშია), წყალნითელას საცდელი სანერგიდან, ფრიდონოვების მამულიდან და თბილისის ბოტანიკური ბალიდან. მოვანყვეთ პატარა სანერგე, საიდანაც სოფლებებს მიჰქონდათ ნამყენები იაფ ფასებში, რაც იწერებოდა სკოლის შემოსავალში. განსაკუთრებით ვცემდით ფრანგულ რენეტს, ოსმალურ ხაზიან ვაშლებს, რომელსაც გურიაში დაარქვეს „ხაზარულა“ — ეს ვაშლი ძალიან გამძლეა, მაისამდე ინახება, გარეგნობითაც ლამაზია, ხოლო რენეტი მეტად გემრიელია, გარეგნობაც ორიგინალური აქვს და თუმცა ძალიან ნაზია, დიდ ხანს ვერ ძლებს, მარა მაინც კარგ ფასებში იყიდება. ეს ორი ჯიში ძალიან გავრცელებულია გურიაში და დიდ შემოსავალს აძლევს მოსახლეობას. თბილისის ბაზარზე რენეტს „გურულ ვაშლს“ უწოდებენ. მსხლებიც რჩეული ჯიშის გვქონდა. სკოლის ბაღის მაგალითით ბევრმა ხეხილის ბალი გააშენა. ბახვში და მეზობელ სოფლებშიაც ამჟამად დიდძალი ხილი იყიდება.

ჩაი

ჩვენს ბაღს ჩაის მცენარეც შეემატა. 1903 წელში ჩვენს სკოლას ეწვია აგრონომი ტიმოფეევი და მისი თანამუშაკი ერმილე ნაკაშიძე, რომლებმაც ჩამოიტანეს ეტლით ჩაის ნერგები. ეს ნერგები დარგო

სკოლის აგრონომმა მოსული სტუმრების თანდასწრებით. დასარგავი ადგილი ადრე იყო დამზადებული, რადგან ადრევე გვექონდა მიღებული ცნობა ამის შესახებ. ჩაიმ კარგად გაიხარა და მესამე წელიწადს მოსავალიც მოგვცა. პირველი მონევა ჩაი დაამზადა ბახვის სკოლის ყოფილმა მონაფემ არსენ გოგონაძემ, რომელიც წინა წლებში მივლინებული იყო ჩაქვის მამულიდან სპარსეთში ჩაის პლანტაციების მოსაწყობათ. გოგონაძე სულ უბრალოდ, ყველასათვის ხელმისაწვდომი საშვალეებით ამზადებდა ჩაის ფოთლებს და კარგი ჩაიც დაამზადა. შემდეგ წლებში სკოლის მონაფეები თითონ ამზადებდნენ ბაღში მოსულ ჩაის ფოთლებს ცოტ-ცოტაობით, რადგან ამ მცენარეს სულ რამდენიმე კვადრატული საჟენი სივრცე ეკავა და ჩაის მოშენებას მხოლოდ საჩვენებელი მიზანი ჰქონდა.

მეფუტკრეობა

ძველ ბოსტანში უკვე სამი სკა გვედგა.* ერთი, — საცდელი, სასწორზე იყო მოთავსებული და ყოველ დილა-სალამოს იწონებოდა, იწერებოდა დღე და ღამის თაფლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამ ცნობებს სკოლა ტფილისის სააბრეშუმო სადგურსაც უზიარებდა, რომელსაც მჭიდრო კავშირი ქონდა მასთან, რადგან კავკასიის მეფუტკრეობის ცენტრი იქ იყო და დახმარებას უწევდა სკოლას. მეფუტკრეობა სკოლასთან საცდელი იყო. ბოსტნიდან სკები ახალ ბაღში გადმოვიტანეთ საგანგებოდ გაკეთებულ საფუტკრეში. ორ წელიწადში ათამდი ავიდა სკების რიცხვი. რადგან სკოლას საკუთარი სადურგლო ქონდა, — საშუალება მოგვეცა სხვადასხვა სისტემის სკები გაგვეკეთებინა. გავაკეთეთ ზუბარიოვის, ლაიანსის, დადანის და დანილევსკის სისტემის სკები; ყველაზე უკეთესი გამოდგა დადანის სისტემის სკა.

მეფუტკრეობის ხელმძღვანელი მე ვიყავი და ვცდილობდი მეტი შემოსავალი ქონოდა სკოლას ამ დარგიდან, ხალხშიაც გავრცელებული იყო წესიერი მეფუტკრეობა. რადგან თაფლის გაყიდვით შემოსავალი ცოტა მოდიოდა — თაფლის არაყს ვხდიდით და ბოთლებით ვყიდდით. ამით სკოლას შემოსავალი ემატებოდა.

ძნელი იყო თაფლის არყის გამოხდა, რადგან სააქციზო კანონებში მოხსენიებულიც არ იყოს თაფლის არყის გამოხდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებდით ცოტ-ცოტათი არყის გამოხდას.

*. სამივე ეს სკა ჩემს საკუთრებას შეადგენდა. ეს სკები მაჩუქა აგრ. ერმილე ნაკაშიძემ. სკოლას მაშინ თავისი საკუთარი სკები არ ქონდა.

ერთხელ სააქციზო ოლქის მეთვალყურე ესტუმრა ჩვენ სკოლას ბალის დასათვალისებლად, მას დაბალი მოხელეებიც ახლდნენ. როცა საფუტკრე დაათვალისებრეს, მკითხა მეთვალყურემ:

რამდენ შემოსავალს იძლევა თქვენი საფუტკრე?

— თქვენი ჩინოვნიკები არ მაძლევენ თაფლის არყის გამოხდის ნების, თორემ გვარიანი შემოსავალი ექნებოდა სკოლას საფუტკრიდან მეთქი“, ვუთხარი მე.

მან უბრძანა მოხელეებს: „რადგან კანონში არაფერია, თაფლის არყის გამოხდაზე — თქვენ ნუ ერევით ამ საქმეშიო“.

თაფლს არაყი ბევრი გამოდის. საზოგადოდ, მეფუტკრეობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა ხალხისათვის. ზოგმა ჩარჩოებიანი სკებიც კი შემოიღო. როცა ვინმეს ფუტკარი იყრიდა — სკოლაში მორბოდა: „უჩინიკები მათხოვე ფუტკრის ჩამოსაყვანათ და დასაბინავებლადო“. ვცდილობდი მესწავლებია მცხოვრებლებისთვის ფუტკრის რიგიანი მოვლა-მოშენება, თაფლის დანურვა, ნმიდა სანთლის წესიერად გადნობა და სხვ.

მეაბრეშუმეობა

80-იან წლებში, მეაბრეშუმეობაზე, საერთოდ, გურიაში ხალხი გულგატეხილი იყო, რადგან ის საშინელი სენი (პებრინი), რომელმაც 60-იან წლებში მთელი ევროპის სააბრეშუმო რაიონები მოიარა და გაანადგურა აბრეშუმის ქია, უკვე გურიაშიც მძვინვარებდა. ხალხი აღარ მოელოდა ამ წარმოების გამობრუნებას და ბჟოლის (თუთის) ხეებსაც დაუზოგავად სპობდა. ამასობაში ევროპაში მეაბრეშუმეობა უკვე გამობრუნებული იყო პასტერის სისტემით გარჩეული სალი (ცელულლიარული) თესლის ხმარებით.

ეს ამბავი თბილისის მაშინდელ გაზეთებშიაც იბეჭდებოდა და ბახვის სკოლა ცდილობდა ემოვნა საცდელად ასეთი გრენა. სწორედ ამ დროს გურიაში კარგად ცნობილს და მეურნეობის მოყვარულს ლიბერალს თავადს გრიგოლ გურიელს²⁴ მოსვლოდა რამდენიმე მისხალი სალი თესლი თბილისის სააბრეშუმო სადგურის გამგის შავროვისაგან, რომელიც უცხოეთში იყო მივლინებული მეაბრეშუმეობის შესასწავლად. ეს თესლი შავროვს ჩამოუტანა იტალიიდან. ეს ის დრო იყო, როდესაც დაიწყო თბილისის სააბრეშუმო სადგურის შენება 1886 წელში. ბახვის სკოლამ გრიგოლ გურიელისგან შეიძინა ორი მისხალი თესლი, რომელიც მოვათავსეთ სკოლის უფრო შესაფერ ოთახში და

შევუდექით ჭიების გამოყვანას ივერსენის სახელმძღვანელო წიგნის დახმარებით.

ბახვის სკოლის შენობა იმ დროს ეკლესიის გალავანში იდგა, ხალხი წირვა-ლოცვაზე ბევრი მოდიოდა, განსაკუთრებით — ქალები. ამ შემთხვევით ისარგებლა სკოლის მასწავლებელმა ქალმა (ნინო შარაშიძისამ), რომელიც ლოცვის შემდეგ იწვევდა ქალებს აბრეშუმის ჭიის სანახავად და უხსნიდა მებარეშუმეობის გამობრუნების შესაძლებლობას. ქალები დიდად დააინტერესა სალი ჭიის ნახვამ: ყველა გაკვირვებული იყო ჭიის სისხლით. საბედნიეროთ, მეზობლებს ჭიები არ ყავდათ, რის გამოც საჭიე ოთახი უზრუნველყოფილი იყო მოტანილი სენის გადადებისაგან. მნახველი ქალების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ზოგჯერ იმდენი მნახველი გროვდებოდა, რომ ოთახი ძლივს იტევდა. ჭიის მოშენება საუცხოოდ დამთავრდა: ცახები სულ დაფარული აღმოჩნდა მაგარი და სალი პარკებით.

კვირა დღეს ეს ცახები სკოლის ეზოში გამოვაფინეთ, რომ წირვის შემდეგ ხალხს ენახა. ყველას აკვირვებდა საუცხოოვით ნაკეთები პარკები. ყველა გვთხოვდა გამოგვეჩვენა მათთვის ასეთი თესლი მომავალი წლისათვის. მივმართეთ ტფილისის საბრეშუმო სადგურის გამგეს შავროვს დაგვხმარებოდა ამ საქმეში. შავროვის რჩევით თესლი გამოვინერეთ იტალიიდან, მოსკოველი აგენტის, ბერგმანის საშუალებით. სამწუხაროდ, გამონერილი თესლის მიღება დაგვიანდა, მხოლოდ მაისის პირველ რიცხვებში მივიღეთ უკვე გამოსული და დახოცილი ჭიები. გვეზარალა მთელი 25 მისხალი. ამ გარემოებამ საქმე მხოლოდ ოდნავ შეაფერხა, რადგან იტალიური თესლის დაგვიანების გამო ადრევე გამოვინერეთ თესლი ტფილისის სამეურნეო საზოგადოებისგან და დავურიგეთ კიდევ მსურველებს. თუმცა ეს თესლი იმ დროს ჩვენში არ იყო, ამიტომ, მოწეულ პარკებს თითონ ახვევდნენ მებარეშუმე ქალები და კარგ ფასებში ყიდდნენ. იტალიიდან გამონერილი გზაში გაფუჭებული თესლის მაგივრად იქაურმა მეთესლმერთი-ორად აგვინაზღაურა: შემდეგ წელში 50 მისხალი საუკეთესო თესლი მოუვიდა სკოლას. ამ თესლმა მშვენიერი მოსავალი მისცა მებარეშუმეებს, რადგან საუკეთესო ფორმის (სუზანის) თესლი გამოვეზავნათ.

ამ გარემოებამ კიდევ მეტად დააინტერესა ადგილობრივი მებარეშუმეები. ამრიგად, აბრეშუმის კეთების საქმე თანდათან ფართოვდებოდა. თუთის ხეების გაშენებასაც მიყვეს ხელი. ნერგები ზოგი

სკოლის სანერგიდან მიჰქონდათ, ზოგს ტყეებში აგროვებდნენ და რგავდნენ ეზოებში. გრენის მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა. თესლის გამოწერის მსურველები მოდიოდნენ ყველა მახლობელ სოფლიდან: დვაბზუდან, ძიმითიდან, ნიგოთიდან, აკეთიდან, ასკანიდან, ჩოხატაურიდან და სხვა სოფლებიდანაც.

1887-89 წ.წ. ბახვის სკოლის საშუალებით გამოიწერეს 377 მისხალი ცელლულიარული თესლი, რომლიდანაც მარტო ბახვის საზოგადოების მეაბრეშუმეებმა თავისივე ოჯახში ამოხვეული აბრეშუმის გაყიდვით (მაშინ პარკს მყიდველი არ ყავდა) მიიღეს 1815 მანეთი. თუ ამ თანხას მივუმატებთ აბრეშუმის იმ ნაწილს, რომელიც საოჯახო საჭიროებისათვის რჩება ოჯახში (საბარე და სადარაიე აბრეშუმში, ყაჭი...), რომლის ღირებულება საერთოდ სამას მანეთამდე მაინც ივარაუდება, მთელი მოსავლის წმინდა მისაგები რჩებათ მეაბრეშუმეებს 2000 მანეთზე მეტი, ვინაიდან ხარჯი ამ წარმოებისათვის ძალიან მცირე გაუდიდათ — მხოლოდ გრენის ფასი, დანარჩენი მასალა ყველაფერი ოჯახშივე უყიდლათ ეშოვებოდათ.

თვით ბახვის სკოლაში ყოველწლივით წარმოებდა აბრეშუმის ჭიის მოშენება და კარგ შედეგსაც იძლეოდა. 1887 წელს სკოლის საჩვენებელ საჭიეში მოწეული პარკები გაგზავნილი იყო ქ. ხარკოვს, სადაც გაიმართა სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენა. გაგზავნილი პარკების კარგი ღირსებისათვის სკოლას მიესაჯა ქების ფურცელი.

იმის შემდეგ, რაც სკოლის მასწავლებლები (გიგო და ნინო შარაშიძეები) გაცენენ თბილისის სააბრეშუმო სადგურზე მეაბრეშუმეობისა და მეურნეობის წესს, ბახვის სკოლის მოწაფეებიც ეცნობოდნენ პასტერის სისტემით ცელლულიარი თესლის გარჩევას მიკროსკოპის საშუალებით. ასეთი მეცადინეობა მიზნად ისახავდა პრაქტიკაში ამ ცოდნის გამოყენებას კი არა, არამედ პასტერის სისტემით თესლის დამზადების გაცნობას და ასეთი თესლის მნიშვნელობას მეაბრეშუმეობაში (...) მოწაფეები დიდის ინტერესით მუშაობდნენ გრენის დამზადებაში და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ მიკროსკოპს. გარდა მატერიალური სარგებლობის მოტანისა, სკოლაში მეაბრეშუმეობის წარმოებამ ძალიან შეუწყო ხელი გურიაში გავრცელებულ სხვა და სხვა ცრუმორწმუნეობის ამოფხვრას. მაგ: ჩვენში აბრეშუმის ჭიის დასნეულება (პუბრინით) დაიწყო. 1855 წელს, სწორედ ამ წელში მოხდა მზის სრული დაბნელება საქართველოში. გურიის ხალხის აზრით, მეაბრეშუმეობის გამობრუნება მხოლოდ იმის შემ-

დეგ იქნებოდა შესაძლებელი, როცა მზის დაბნელება მეორედ მოხდებოდა. ამ ცრუ აზრს ისე მტკიცედ ჰქონდა ჩვენში ფესვი გადგმული, რომ მებაბრეშუმეობის გამობრუნებაზე აღარავინ ფიქრობდა.

ბახვის სკოლის მაგალითით ეს ცრუ მორწმუნეობა სავსებით აღმოიფხვრა და ახალი მებაბრეშუმეობა სასწრაფოდ გავრცელდა გურიაში.

ამნაირად ბახვის სკოლა გახდა განახლებული მებაბრეშუმეობის კერად.

ბახვის სკოლის საბოლოო დამოყალიბება

ბახვის სკოლამ ჩემს იქ ყოფნის დროს განვლო სამი საფეხური: ერთკლასიანი სკოლის, ორკლასიანის და ორკლასიანისა — აგრონომიული განყოფილებით.

პირველ საფეხურზე დგომის დროს სკოლის დაარსების მეორე წლიდან ორი მასწავლებელი ყავდა სკოლას და შეძლებისდაგვარად სრულად გადიოდა არსებულ პროგრამას. პროგრამის გარეშე სწავლობდნენ შეგირდები, მაგ: საქართველოს ელემენტარულ ისტორიას,* გეოგრაფიას, უფრო ვრცლად, ვიდრე პროგრამით, სიმღერებს ადგილობრივს და აგრეთვე, რუსულსაც, ტანთ ვარჯიშობას, როგორც საკლასოს, ისე ცის ქვეშ. ყველა საგნის სწავლება რუსულად იყო პროგრამაში აღნიშნული. მაგრამ, სკოლაში ჯერ შეძლებისდაგვარად ყველაფერი ქართულად ისწავლებოდა, მერე — რუსულად. მაგ; საღმრთო სჯული, რომელსაც მეფის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა, ჯერ ქართულად ისწავლებოდა, მერე რუსულად: მონაფეს შეეძლო ქართულად დანყებული მოთხრობა რუსულად განეგრძო და პირიქით. სკოლა ხშირად აწყობდა ექსკურსიებს და ასეთი სეირნობა დიდად უწყობდა ხელს მონაფეების განვითარებას. ამ დროს აგროვებდნენ ისეთ საგნებს, რომლებიც ბავშვებს ახალ ცოდნას აძლევდა. მათ უფრო აინტერესებდათ გაზაფხულზე სხვადასხვა მწერების შეგ-

*. ბახვის სკოლის ყოფილმა მოსწავლემ (შალვა შარაშიძემ), რომელიც ქუთაისის გიმნაზიაში განაგრძობდა სწავლას, გვიამბო: ბახვის სკოლაში დანერგულ საქართველოს ისტორიის კონსპექტს ვკითხულობდი, დასვენების დროს ეზოში. ერთმა მეშვიდე კლასის მონაფემ ყური მოკრა ჩემს კითხვას, მომიახლოვდა და მკითხა: „რას კითხულობ, ქართული ლექსი ხომ არაა რამე კარგიო?“ — ქართული ლექსი არა და საქართველოს ისტორიის კონსპექტი კია მეთქი, — ვუპასუხე. „— განა საქართველოს ისტორია აქვს?“ — გაკვირვებული მეკითხება ის. პასუხი არ დამაცადა, ამხანაგებს მიაძახა: „ბიჭებო, მოდი, რა გითხრათ!“ მე შემომქალტეს გიმნაზიელებმა, მათქმევინეს რამოდენიმე მოთხრობა ჩვენი ისტორიიდან და გაკვირვებული დაიშალნენ“. აი, ასე იცოდნენ „გიმნაზისტებმა“ თავიანთი სამშობლოს ისტორია მეფის დროს.

როვება, დაკვირვება, თავკომბალების გაჩენაზე, მათ გარდაქმნაზე, განვითარებაზე და სხვა.

სკოლა, შეძლებისდაგვარად, ცდილობდა, უყურადღებოთ არ გაეშვა არც ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც ბავშვებს დაინტერესებდა და გამოსადეგი იქნებოდა მათი განვითარებისათვის. მაგ: ერთს თბილ იანვრის დღეს სკოლის ბალიდგან პირველი ჯგუფის მონაფემ გაყინული ბაყაყი მოიტანა. იგი ნამყენის დასარგავად დამზადებულ ორმოში ეპოვა. ბაყაყი გამხმარს ჰგავდა: ფეხები გაჩხირებოდა და აქეთ-იქით ქონდა გაშვერილი, როგორც ფრინვის დროს ფრინველის ფრთები. ბავშვმა ჩხირებით მომიტანა ბაყაყი, დამიდო წინ და მითხრა: „ბატონო, ღვაჭიჭაი მომკტარა, ხომ არ შეინახავო?“ მე ავიღე ხელში გაყინული ბაყაყი, სკოლის შენობის ჩრდილში შევიტანე — მზე უმზერდა და მეშინოდა, სითბოსაგან მალე არ გაცოცხლებულიყო. ბავშვები შეგროვდნენ, იმათ ვაჩვენე ეს გაყინული ბაყაყი. მერე მზის ყურში გავიტანე და მიწაზე დავდე. ბავშვები თვალს არ აშორებდნენ. ცოტა ხანში ბაყაყი გათბა, გაინძრა, ფეხებს თავი მოუყარა, დაჯდა. ამ მდგომარეობაში კარგა ხანს დარჩა, თითქო დაისვენა — მერე გადახტა — ნასვლას აპირებდა. ამ შემთხვევამ მონაფეები განცვიფრებაში და აღტაცებაში მოიყვანა. კითხვები მომაცარეს:

„— რა იყო, რა მოხდაო“?

ასეთი შემთხვევები ძალიან გვინყობდა ხელს ბავშვებში ინტერესის გაღვიძებას.

ბახვის სკოლას, შედარებით კარგი კოლექციები ქონდა. — ბოტანიკის — მცენარეები სულ მონაფეების მოგროვილი და გაშრობილი იყომასწავლებლების ხელმძღვანელობით. ზოოლოგიის — ფრინველთა და ცხოველთა ფიტულები, ქვეწარმავალთა, მწერთა და პეპლების კოლექციები. კოლექციები მეაზრემუშემობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის და სხვა სამეურნეო დარგებისთვის. საზოგადოდ ჩვენს სკოლაში საგნების სწავლება, რასაკვირველია, ელემენტარული იყო, მაგრამ ნაყოფი შედარებით კარგი ჰქონდა.

სკოლის მიზანი იყო გარკვეულად და მტკიცედ სცოდნოდათ განვლილი საგანი კურსის დასრულების შემდეგ. თუ ვინმე მოინდომებდა სწავლის გაგრძობას, ვცდილობდით ასეთი ბავშვი შინ არ დარჩენილიყო, ხელს ვუწყობდით მომზადებით და შეძლებისდაგვარად ნივთიერ დახმარებასაც ვუწევდით.

წერით ვარჯიშობასაც განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიეცეული. სუფთა წერა კარგად იცოდნენ და ყოველ შემთხვევის აღწერაც თავისუფლად შეეძლოთ. ასეთი მეცადინეობა სავალდებულო იყო, განსაკუთრებით უფროს განყოფილებათათვის და ხშირად ძალიან საინტერესო ნაწერებიც მოჰქონდათ სკოლაში. თუ რამ გადასაწერი ექნებოდა სკოლას — თვითონ და წლიური ანგარიში სკოლის ან განცხადება სკოლისა და საკრედიტო ამხანაგობის, აგრეთვე კერძო პირების ქორწილის წერილები და სხვა — სულ მონაფეების ხელით იწერებოდა. ასეთ სამუშაოს სიამოვნებით ასრულებდნენ მონაფეები. ხშირად შინიდანაც მოქონდათ საამისოდ დაწერილი ტექსტები, რის გამოც საწერი მასალა მუდამ იყრიდა თავს. მოჰქონდათ სახლიდან აგრეთვე სხვადასხვა გამოცანები, ანდაზები, ზღაპრები, და უკითხავდნენ ამხანაგებს. ასეთი ნაწერები ზოგჯერ დასაბეჭდათაც იგზავნებოდა საბავშვო ჟურნალებში, რადგან ნანაკითხის გავლენით ხშირად თვითონაც ადგენდნენ რეზუსებს. მახსოვს, მეორე კლასის მონაფეებმა სხვათა შორის, შეადგინეს შემდეგი რეზუსი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუგინდ ხვადია“ და „ჯეჯილს“²⁵ გადაუგზავნეს დასაბეჭდათ.

მატერიალურადაც ვშველიდით მონაფეებს. პატარა ფონდიც ჰქონდა სკოლას და აქედან სხვა უმაღლეს სკოლაში გადასვლის დროს, გზის ფულს ვანვდიდით მონაფეებს. უმაღლესი საფეხურის სასწავლებლები კარგად იცნობდნენ ბახვის სკოლას და ხალისიანად ღებულობდნენ აქ სწავლა-დასრულებულებს. ჩვენი გადანყვებილება იყო, რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი გვყოლოდა. ვგზავნიდით შეგირდებს სამასწავლებლო სემინარიებში, სამეურნეო და საფერშლო სკოლებში. ვისაც შეძლება შესწევდა, კლასიკურ გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებლებში, სადაც საუკეთესოდ სწავლობდნენ. ვინც სიღარიბის გამო საშუალო სასწავლებელში ვერ მიდიოდა, სამსახურში შედიოდა: ტელეგრაფის სადგურში, რკინის გზაში, ბათომის „ზაოდებში“ და მდიდარ მალაზიებში ნოქრებად; ნაცნობების და ბოლო ხანებში, ყოფილი მონაფეების დახმარებით, ადგილებს ადვილად ვპოულობდით ამათთვის.

როცა ორკლასიანად გადაკეთდა ჩვენი სკოლა, ერთი მასწავლებელი მიემატა და მონაფეთა რიცხვი გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ბახველებსაც ძლივს აკმაყოფილებდა, გურიის ყველა კუთხიდან აწყდებოდნენ ამ სასწავლებელს. ამ შემთხვევაში სკო-

ლის დამაარსებელს — თვითონ გაბრიელს — მიმართავდნენ ხოლმე თხოვნით, რომლის რეზოლუციით ლეზულობდა სკოლა გარეშე ბავშვებსაც. ხშირად უთქვამს გაბრიელს:

„— მე ეს სკოლა მარტო ბავშვებისთვის არ გამიხსნია, შეძლებისდაგვარად, ყველამ უნდა ისარგებლოს ამ სკოლით“.

მართლაც, ამ სკოლაში სამასამდე ვაჟი და ქალი სწავლობდა და სამი მასწავლებელი დიდის გაჭირვებით ახერხებდა მრავალრიცხოვანი მოწაფეების გაძღოლას.

აგრონომიული განყოფილების გახსნამ სკოლასთან ძლიერ შეამსუბუქა საქმის სიმძიმე: მოგვემატა აგრონომი ნიკიგის სამეურნეო სკოლის კურსდამთავრებული, აგრეთვე დურგალი, რომელსაც ბათომის სახელოსნო სკოლა დაემთავრებია და საღვთო სჯულის მასწავლებელი — სემინარიელი მღვდელი, ამათაც მიიღეს მონაწილეობა საზოგადო საგნების სწავლებაში. ამის შემდეგ ორი ფილიალური განყოფილებაც გაიხსნა — ვაკეჯვარში და მშვიდობაურზე. ამ სახით ბახვის სკოლაში შვიდმა მასწავლებელმა მოიყარა თავი, თან პროგრამაც გართულდა აგრონომიული განყოფილების და სადურგლო სახელოსნოს გახსნით.

ჩემი გამგეობის დროს ბახვის სკოლამ საზოგადოებას შესძინა შემდეგი სპეციალურად მომზადებული მუშაკი:

უმალღეს სწავლა-დამთავრებული მეურნე — 2

სამასწავლებლო სემინარია დამთავრებული — 7

სამასწავლებლო ინსტიტუტ-დამთავრებული — 4

ნიკიტის სამეურნეო სკოლა-დამთავრებული — 8 (ამათგან ერთი გადავიდა მედიკურ ფაკულტეტზე და ამჟამად მუშაობს ლენინგრადის უნივერსიტეტში დოცენტის ხარისხით)

წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში — 5

თბილისის საბალოსნო სკოლაში — 4

ქუთაისის სამეურნეო სკოლა-დამთავრებული — 16

ზესტაფონის სანერგეში სტაროსელსკის გამგეობის დროს ნასწავლი — 2

თბილისის საფერშლო სკოლაში და საბებო ინსტიტუტში კურსდამთავრებული — 12

ამას გარდა, უმალღეს სწავლა-დამთავრებული რუსეთში და საზღვარგარედ საკმაოდ ბევრია ბახვის სკოლისანი.

თბილისში ბუჰხალტერიის კურსებზე ნასწავლი მუშაკი — 9

გარდა ამისა, არიან რკინის გზებზე და ფოსტა-ტელეგრაფის და-წესებულებაში მომუშავე პირები, რომელთაც ამჟამად საკმაოდ მნიშ-ვნელოვანი ალაგი უჭირავთ და თავიანთ საქმეს პირ-ნათლად ასრუ-ლებენ.

ამნაირად, სკოლის გახსნამდე კულტურულად ჩამორჩენილი ბახ-ვის საზოგადოება, სკოლის წყალობით გარდაიქცა საუკეთესო მონი-ნავე საზოგადოებად მთელს გურიაში.

ბიბლიოთეკა

დროთა განმავლობაში იზრდებოდა სკოლაში სწავლა-დამთავრე-ბულთა რიცხვი. ამათგან მხოლოდ უმცირესობა ახერხებდა სწავლის გაგრძობას. დანარჩენები — უმთავრესი მასა 13-14 წლიდან სოფლის ცხოვრებაში ებმოდა და შედარებით ადვილად ივიწყებდა სკოლაში შეძენილ ცოდნას. ამ გარემოებამ წარმოშვა ბიბლიოთეკის მოწყობის აუცილებელი საჭიროება. 1893 წლიდან ენერგიულად შევედექით ბიბლიოთეკისათვის საშუალების გამოძენას: ვდგამდით წარმოდგე-ნებს. ამ საქმეში ხელს გვინყობდა გურიის მასწავლებლობაც. მაგრამ მაშინდელი წარმოდგენებიდან დიდი არაფერი რჩებოდა. ვაქირავებ-დით ქორწილებში ივანე ბოლქვაძის მიერ შემოწირულ ზარბაზნს. შემოსული ფული ბიბლიოთეკის თანხას ემატებოდა. მაგრამ, ყველა-ზე საიმედო იყო ის 60 მანეთი, რომელიც შემნახველ-გამსესხებელ ამ-ხანაგობისათვის ეპ. გაბრიელის მიერ შეტანილი ძირითადი თანხის — 600 მანეთის წლიური სარგებლის სახით რჩებოდა. საგანგებოდ დაბეჭდილი ტექსტის (მიმართვა) დარიგებით გროვდებოდა კერძო შემოწირულობა.

ბიბლიოთეკის დაარსების აზრს თანაგრძნობით შეხვდნენ და იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა შეგროვდა. შემოწირულების მაქსიმუმი თითო კაცისგან 30 (ოცდაათი) მანეთი იყო. ამ გზით შეგ-როვდა ფულად 456 მანეთამდე. გარდა ამისა, სხვა და სხვა პირებმა შემოსწირა 500 ტომზე მეტი წიგნად — ქართველი და უცხოელი მწერ-ლების რჩეული ნაწერები და ჟურნალ-გაზეთები. 1895 წელში, გამგე-ობამ, რომელიც თავიდანვე იყო არჩეული (გამგეობაში იყვნენ: გიგო შარაშიძე, ნინო შარაშიძისა და იაგორ ჭელიძე), შეიძინა ბიბლიოთე-კისათვის საჭირო ინვენტარი და სახლი.

ბიბლიოთეკის შენობა პირველად სკოლის ეზოში დაიდგა და მას განაგებდა სკოლის ხელმძღვანელი. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა

ბიბლიოთეკა-სამკითხველომ, ბევრი მკითხველები მოიზიდა, შეიძინა საკუთარი ადგილი იქ, სადაც ამჟამად იმყოფება — ბახვის ცენტრში. ამის შემდეგ ბიბლიოთეკას ყავდა საკუთარი ბიბლიოთეკარი.

1905 წლის რევოლუციის დროს მეფის მთავრობამ დახურა ბიბლიოთეკა. ამან იგი დიდათ დააზარალა: ბევრი წიგნები დაიკარგა. რეაქციის შესუსტების შემდეგ ბიბლიოთეკა ხელახლა გაიხსნა. ბიბლიოთეკა თავიდანვე ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ცხოვრებას — იძენდა ახალ გამოსულ წიგნებს, იწერდა ყველა ქართულსა და რუსულ საუკეთესო პერიოდულ გამოცემებს, როგორც საბავშვოს, აგრეთვე მოზრდილთათვისაც.

არხის გათხრა და წყლის გამოყვანა მდინარე ნატანებიდან სოფელ ბახვზე

პირველად 1867 წელს სცადა გაბრიელ ეპისკოპოსმა მდინარე ნატანებიდან ბახვზე წყლის გამოყვანა. მან გაგზავნა მცოდნე პირები ნატანების ნაპირების დასათვალიერებლად და ისეთი ადგილის გამოსანახავად, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა წყლის გამოყვანა. გაგზავნილმა პირებმა მიაგნეს კიდეც ასეთ ადგილს და გაბრიელს მოახსენეს.

ეს ამბავი შეიტყვეს ბახველმა მღვდლებმა, რომელთაც საკუთარი დოლაბები ჰქონდათ გამართული ბახვის წყალზე (სოფლის განაპირას) და ამ დოლაბების გაუქმების ეშინოდათ. მღვდლები ეწერაგულად შეუდგნენ წყლის გამოყვანის ჩაშლას: ფარულად აფრინეს კაცი ნატანების გაღმა მცხოვრებ თავადებთან და შეუთვალეს: „— ბახველები მთელი ნატანების ბახვზე გადმოყვანას აპირებენ, თქვენ უწყლოდ გტოვებენო. ამ საქმეს ისეთი დიდი კაცი თაობს, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსია — და უთუოდ მოიყვანს სისრულეში, თუ დროზე ზომები არ მიიღეთ“.

ამავე დღეს მიუგზავნეს თავადებმა მოციქულები გაბრიელს:

„— თქვენი დანებებული საქმე სისხლის ღვრას გამოიწვევს ბახველებსა და ჩვენს შორის, ქრისტეს მაგიერი კაცი ბრძანდებით და ძმას ძმის სისხლს ნუ დააღვრევენებთო“.

გაბრიელმა მაშინვე შესწვვიტა წყლის გამოყვანის სამზადისი. მარამ ამ პირველ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: ხალხის ხსოვნაში ჩარჩა ეს გარემოება და სასურველი საქმის განახლების იმედი ღვივოდა, თუმცა სკეპტიკოსებიც ბევრნი იყვნენ, რომლებიც ასე მსჯელობდნენ: ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, წყალიც დაუნაწილა, მარა ბახვს არ არგუნა. ახლა

კაცს როგორ შეუძლია ამ საქმის გამოსწორებაო. ასეთი პირები უნებლიეთ ამაგრებდნენ წყლის გამოყვანის მონინალმდეგეთა ბანაკს — ოზურგეთის და დვაბზუს საზოგადოებას, სადაც დაიჯერეს ის ზღაპარი, თითქოს ბახველებს განეზრახათ ნატანების მთლიანად ბახვზე გადმოყვანა და სამკვედრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ ბახველებს.

საჭირო იყო სკეპტიკოსების ეჭვების გაფანტვა. იმედიანობის გამტკიცება და მონინალმდეგეთა ალაგმვა. მონინალმდეგეთა ჩაჩუმება არც ისე ძნელი საქმე იქნებოდა, თუ წყალთა სამმართველოს ნებართვის მიღება მოხერხდებოდა. მაგრამ ამ ნებართვას დიდი ხარჯი და ცოდვილი სჭირდებოდა. მხოლოდ ხალხის შეგნების ამოძრავებით შეიძლებოდა ყველა ამ დაბრკოლების გადალახვა, რისთვისაც საჭირო იყო სოფლის მონინავე პირების საშვალებით ფართო საზოგადოების ნებისყოფის ამ მიზნისკენ მიმართვა.

გავიდა 14 წელი მას შემდეგ, რაც გაბრიელ ეპისკოპოსმა ბახვზე წყლის გამოყვანა განიზრახა და სწორედ ხსენებული გზით დაიწყო ამ საქმის განხორციელება. 1872 წელს ახლად დაარსებული სკოლა ბუნებრივად უნდა ჩაბმულიყო სოფლის ცხოვრების ქირ-ვარამში. წყლის გამოყვანის უშედეგო ცდის ამბავმა და წყლის დიდმა საჭიროებამ მიიქცია სკოლის ყურადღება. დაიწყო სოფლის მონინავე ნაწილსა და სკოლის მესვეურებს შორის ამ საგანზე ზრუნვა-მსჯელობა. დროთა განმავლობაში ცხადი ხდებოდა, რომ ამ საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა. დიდი სიფრთხილით, რომ მტრების ყურადღება არ მიგვეპყრო, შევუდექით ხალხის თვითმოქმედების ამ მხრით მიმართვას. ვცდილობდით ჩაგვეგონებია, რომ ყველასთვის მხოლოდ მთელი მოსახლეობის ფიზიკური, ნივთიერი და ზნეობრივი ძალღონის ამოძრავებით მოხერხდებოდა საქმის კეთილად დაბოლოვება. პირველ ხანებში გაბრიელს არ ვუზიარებდით ჩვენს განზრახვას, რომ ისევ რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდა. ხალხი დიდ იმედს ამყარებდა გაბრიელის მიერ გახსნილ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე და წყლის გამოყვანის სამუშაოს დაწყებისათვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავ თანხებს აქედან მოელოდა სესხის სახით.

1886 წელში ნიადაგი საკმარისად იყო მომზადებული. საქმე იმდენად გაიზარდა, რომ სიფრთხილით და მალვით მუშაობა აღარ ეწყობოდა: ბახვის საზოგადოებამ დასაბუთებული თხოვნით მიმართა მაზრის უფროსს წყლის გამოყვანის საჭიროებაზე. მაზრის უფროსმა სასურველი რეზოლუცია დაანერა თხოვნაზე.

მალე უბრალო ნისქვილის ოსტატის გოჯასპირ შარაშიძის მიერ შედგენილ იქნა ნატანების შტოს გამოყვანის გეგმა და სარების დასობით აღინიშნა ის ადგილები, სადაც უნდა გაჭრილიყო არხი. ამ დროსაც არ იყვნენ დამცხხრალი ამ საქმის მტრები: სცადეს სარების ამოძრობით ამ საქმის ჩაშლა. ამის შემდეგ ღამლამობით ას-ასი კაცი მიდიოდა ბახვის საზოგადოებიდან ნატანების სათავანისკენ მტრის დასაზვერავ-დასაშინებლად. უმეტეს მათგანს თოფის ნაცვლად მხარზე უბრალო ტიკი ქონდა გადაბუღი. მაგრამ საქმე თითქმის უკვე გაჩარხული იყო: საჯარო ვაჭრობით გავცეით კიდეც წყლის გამოყვანის მთელი საქმე 2500 მანეთში. მხოლოდ ამის შემდეგ გავნიეთ გაბრიელთან ქუთაისის საქმის ვითარების მოსახსენებლად მე და მეორე მასწავლებელმა ნინო ქიქოძის ასულმა შარაშიძისამ.

გაბრიელი უდიდესი თანაგრძნობით და სიხარულით შეხვდა ამ საქმეს. წყალის გამოყვანას მან შესწირა შვიდასი მანეთი საკუთარი ფული. ამ წყლის გამოყვანის მუშაობამ ორ წელიწად-ნახევარს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ ინახულა ეს სამუშაო გაბრიელ ეპისკოპოსმა.

ნატანებიდან გამოყვანილი რუ რწყავს შემდეგ სოფლებს: ბახვს, ვაკიჯვარს, ბაღდადს, ფამფალეთს, დვაბზუს ნანილს და გურიანთის ნანილს. არხებს უჭირავს დაახლოებით 48 კვადრატული ვერსის სივრცე. ამ რიგად განხორციელდა ბახვის მოსახლეობის დიდი ხნის ნატვრა-სურვილი: უწყლო სოფელი უხვად მოირწყო გამქანვარე წყლით. ბახვის საზოგადოება დაისერა რამდენიმე არხით, რომლებზედაც სწრაფად გაჩნდა პატარ-პატარა ნისქვილები და ღომის საცეხვი ჩამურები, დაძაბუნებული საქონელი დაენაფა მონატრებულ სასამელს, გვიმრით მოფენილი უნაყოფო მინდვრები მოირწყო, მოილუქა და განოყიერდა, ნიადაგი გასუქდა და აქამდის უნაყოფო მიწები უხვი, მოსავლიანი ყანებით დაიფარა. ამასთან წყლის არხებში თავი მოიყარა უნინ ჭაობების სახით ჩამდგარმა წყალმა და ხელი შეუწყო ნესტიანი ნიადაგის გამრობას. წყლის არხები ამავე დროს საწრეტ მიღებათაც გამოდგა.

სელნანერთა ინსტიტუტი.

ქრ. შარაშიძის ფ. № 168

ნერილები

ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან

ვუძღვნი არსენ ნითლიძეს²⁶

ბატონყმობის გათიშვისთანავე (1864 წ.) გურიის გლეხკაცობამ* ხელი მიჰყო სკოლების გახსნას, ასე რომ 1869 წელში თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებას ჰქონდა თავისი სკოლა. რასაკვირველია, მაშინდელ სკოლის ღირსება-ნაკლულევანებაზე ლაპარაკიც არ ღირს, რადგან იმ დროს რიგიანი მასწავლებელი სანთლით საძებარი იყო; სკოლების უმეტესი ნაწილი სოფლის სამმართველოს შენობებში იყო მოთავსებული — სკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა; მასწავლებლებად სოფლისავე სამმართველოს მწერლები იყვნენ. მაშინდელი მწერლების უმეტესობა კი ან სოფლის მღვდლების ნადიაკვნარი იყო ან და „ხუცის კლასში“ (ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელს უწოდებდნენ ასე) ნამყოფი და ზოგი კურსდამთავრებული. იმ დროს გურიის სოფლის სამმართველოებში საქმის წარმოება ქართულათ ხდებოდა — ყოველივე მინერ-მონერა, ოქმების და განაჩენების შედგენა და სხვა სულ ქართულათ წარმოებდა და ამიტომ იყო, რომ ასე მცირე ცოდნით აღჭურვილ მწერლებს არ უჭირდათ საქმის წარმოება. არ შემიძლია აქ არ მოვიხსენიო ერთი ფაქტი, რომელიც ახასიათებს მაშინდელ ადმინისტრაციას. იმ დროს ოზურგეთის მაზრის უფროსათ იყო ბ.ვახრამოვი, ტომით სომეხი, რომელმაც ჩინებულათ იცოდა ქართული. მას დაუნიშნეს თანაშემწეთ ვიღაც მალოროსი — სემენენკო. სემენენკომ სასოფლო სამმართველოებში საქმეების რუსულ ენაზე წარმოება მოითხოვა. ვახრამოვს არ მოეწონა თავისი თანაშემწის საქციელი და წინადადება მისცა ან ქართული ენა შეესწავლა, თუ არა და სხვაგან გადასულიყო სამსახურში. მართლაც, სემენენკო იძულებული შეიქნა მალე დათხოვოდა გურიაში სამსახურს.

სკოლებს ამ დროს პროგრამა არ ჰქონდა, ვისაც რა მოესურვებოდა იმას ასწავლიდა. უმეტეს დროს მასწავლებელი კანცელარიაში ატარებდა, იქ „მუშაობდა“; მხოლოდ დრო გამოშვებით, როცა ბავშვები ჯდომით და უსაქმობით დაიღლებოდნენ და ხმაურობას ასტებდნენ, მასწავლებელი „**тише**“ -ს ძახილით კლასში შედიოდა, სტუქ-

* სხვა წოდებას სკოლების გახსნაში არავითარი წილი არ უდევს.

სავდა ბავშვებს და „დამნაშავის“ აღმოჩენას უნდებოდა. ბავშვებში მახეზღარობა ძალიან განვითარებული იყო, ხშირათ „ემმაკობაში“ დამნაშავეთ სრულიათ უდანაშაულო ბავშვები გამოყავდათ. სასჯელი „დამნაშავე“ მონაფეებისთვის შემოღებული იყო ოზურგეთის საერო და სასულიერო სასწავლებლების მიხედვით და განიყოფებოდა შემდეგ კატეგორიებათ: სიტყვით დატუქსვა, ყურის აწვევა, თმების ქიჩვა, დაჩოქება, სახაზავით ხელის გულზე ცემა, სახაზავითვე შარვალს ზევიდან და შარვლის ჩახდით საჯდომზე დარტყმა და „როზგი“. ხშირათ მინახავს შეკრული „როზგი“, ბუხრის თავზე შემოდებული, სკოლაში თვალსაჩინოთ, როცა ერთ მასწავლებელს ვკითხე, რა საჭიროა ეს შეკრული წკნელები რომ დაგინწყიათ მეთქი, მიმითითა სკამებზე წყნარათ ჩამწკრივებულ ბავშვებზე და მითხრა: „ეს ამათი ჭკუის მასწავლებელია“.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სასჯელი სოფლის სკოლებში ქალაქის სკოლებიდან იყო გადმოტანილი მეთქი. მეც ასეთ სასწავლებელში ვსწავლობდი და სხვათა შორის, ერთი შემთხვევა, რომლის მოწმეთ მე გავხდი მონაფეობის დროს, ჩემს სიცოცხლეში არ დამავინწყდება და არ შემიძლია აქ არ მოვიხსენიო. ჩემთან ერთად სასწავლებელში შემოვიდა ერთი ჩემი მეზობელი ბავშვი. ორივენი ერთ ოჯახში ვიდექით. მე წერა-კითხვა შინ მქონდა ნასწავლი, იმან კი არ იცოდა პირველი გაკვეთილი. მღვდელმა მოგვცა — „აქედან აქნობამდეო“ გვითხრა და დაგვინიშნა კარანდაშით წიგნში ის, რაც მეორე დღეს უნდა გვცოდნოდა. გაკვეთილად ხუცური ანბანი გვქონდა დასასწავლი. ხუცური კითხვა არც მე ვიცოდი, მაგრამ როგორც იყო მხედრული ანბანის შემწეობით შევიგნე და დავისწავლე. საბრალო ჩემმა ამხანაგმა ვერაფერი გააწყო, ვერ ისწავლა. აბა როგორ უნდა ესწავლა აუხსნელათ პირველი გაკვეთილი! მეც ვერაფერი ვუშველე. რადგან სასჯელის მეშინოდა და მთელი დღე უაზრო ანბანის ზეპირობას მოვანდომე! მეორე დღეს გამოგვცადა „სტარშმა“ (უფროსი განყოფილების მოსწავლე იყო, რომელიც მასწავლებელს ჰყავდა დაყენებული). ჩემმა ამხანაგმა ვერ „მიუგო“. ეს „სტარშმა“ მოახსენა მღვდელს, რომელმაც პირველი კატეგორიის სასჯელი გადაუწყვიტა ბავშვს. გაკვეთილი ვერც შემდეგ დღეებში დაისწავლა ბავშვმა, რადგან წინადღის გაკვეთილს მეორე დღის ახალი გაკვეთილი ემატებოდა. ბოლოს სულ დაანება თავი მეცადინეობას, გული აუცრუვდა სწავლაზე. სრულიად ჯანსაღი ბავშვი ცოტა ხანში გახდა, სნება

მოხდის დაემსგავსა ყოველ დღე და თანდათან უდიდესი სასჯელის მიყენებით. ბოლოს საქმე შარვალზე სახაზავის დარტყმამდე მივიდა. მასწავლებლის ბრძანებით „სტარშმა“ ბავში პარტაზე პირქვე მიანვინა. სასწავლებლის მცველს დაუძახეს, რომელმაც ექვსჯერ დაჰკრა რაც შეეძლო დიდი სახაზავი რბილს ადგილზე. ბავშს ხმა არ ამოუღია, მე შიშისაგან ავკანკალდი, არ მოკვდეს მეთქი ვიფიქრე, დავიხარე და პირის სახეზე შევხედე — ცვლილება ვერავითარი შევნიშნე, ის ისე გამხდარი და გაყვითლებული იყო, როგორც სასჯელის წინ, მაგრამ მშვიდათ მეჩვენა. როცა პროცესი გათავდა, ბავში თავჩაქინდრული ადგა, თავის სკამზე დაჯდა, ხელები პირის სახეზე დაიფარა და თავი მაგიდაზე დასდო. სახლში წავედით. გზაში ბავში სდუმდა, ჩემს კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, სევდიანობა ეტყობოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა წამოსცდა: „შინ წავალ“. მისი „შინა“ 25 ვერსზე იყო ქალაქიდან დაშორებული და გზაში მოზრდილი მდინარე ჰქონდა გადასასვლელი. მე ავუხსენი ეს გარემოება და ვუთხარი, შინ ვერ წახვალ მეთქი. იმ დღეს ბავშს სადილი არ უჭამია, დაღვრემილი დადიოდა, თითქო რაღაც წინასწარი გრძნობა ანუხებდა. მეორე დღეს არ უნდოდა სკოლაში წასვლა, მაგრამ მასპინძელმა ქალმა ურჩია და ისიც წავიდა. იმ დღესაც წინადღის სასჯელი გაუმეორეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეტი სცემეს სახაზავით იმავე ადგილას. ბავშმა წინანდებურათ ჩუმათ აიტანა სასჯელი. ყველას გაუკვირდა ასეთი მოვლენა. მასწავლებელმა დააკვირდა ბავშვის პირის სახეს და რაკი ტკივილისაგან ტანჯვა ვერ შეატყო ზედ, განრისხებულმა დაიყვირა: „ჩახადეთო!“ მხოლოდ ამ სიტყვის შემდეგ მორთო ბავშმა ტირილი. დარაჯმა დაუყოვნებლივ შეასრულა ბრძანება და რა ვნახეთ! ბავშს სადღაც „ქვინჩის“ (ცხვრის ტყავის საზამთრო ტანსაცმელია) ნაჭერი ეპოვნა და შარვალზე მატყლის მხრით მიეკერებია, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ცემას მოელოდა. ამიტომ იყო თურმე, რომ ტკივილს ვერ გრძნობდა. მღვდელმა ეს ამბავი ზედამხედველს მოახსენა. მალე ზედამხედველიც შემოვიდა და ეს რომ დაინახა, განრისხებულმა შეჰყვირა: „როზგო“. დარაჯი შურდულოვით წამსვე გარეთ გავარდა და შეკრული წკნელები შემოიტანა. მთელ კლასს შიშის ზარი დაეცა. მე ვკანკალებ, სული მეხუთება, მუხლები მეკეცება. ბავში გაფითრებული სდგას უძრავათ. „разложить!“ — ბრძანა ზედამხედველმა. იქვე პარტების წინ სამასწავლებლო დიდი მაგიდა იდგა. სტაცეს ხელი საბრალო ბავშს და

თვალის დახამხამებაში მაგიდაზე პირქვე დაანვინეს და ზედ დაან-
ვენ: ზოგი ზურგზე, ზოგი ფეხებზე, ზოგიც თავსა და ხელებს უჭერ-
დენ — გაქაჩეს საბრალო „დამნაშავე“. ამ საქმეში უფროსი კლასის
შეგირდებიც იღებდნენ მონაწილეობას. დარაჯმა როზგი აიღო და
ხელში მოიმარჯვა, ზედამხედველმა დაუძახა რუსულათ: „ერთი“
— ო და ბავშვის გულშემზარავი ყვირილი გაისმა მთელს კლასში. მე
მეტი აღარაფერი გამიგონია: გულწასული სკამზე დავშვებულყა-
ვი, როცა გონს მოვედი, ჩემი ამხანაგი აცახცახებული და გაფითრე-
ბული იდგა, შეშლილივით აქეთ-იქით აფეთებდა თვალებს. ერთი
ბავში სარტყელს უსკვნიდა. უკანასკნელი საათი იყო სწავლისა, სახ-
ლში გაგვიშვეს. დასჯილი ბავშვი ბარბაცით გამომყვა, არ ტიროდა,
გამშრალი იყო. შინ რომ მივედით, საშინელი ზღუექუნი მორთო, პირ-
ქვე დაემხო თავის ლოგინზე და მთელი დღე იტირა. ამის შემდეგ
იგი სკოლაში აღარ წასულა, სწავლას თავი დაანება, მშობლებთან
ნაიყვანეს.

როგორც სასჯელი, ისე სწავლების მეთოდიც, სოფლის სკოლებ-
ში ქალაქის სკოლების და მღვდლებისგან იყო გადმოღებული; წერა
— კითხვის სწავლებას დიდ დროს ანდომებდნენ. ჯერ უნდა გაეზეპი-
რებია მოსწავლეს ეგრეთ წოდებული „კაკალი ანბანი“. მაგ. ასე: ან,
ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, აე, თან, ინ და სხ. მერე ხმოვანი და თანხ-
მოვანი ასოების შეერთებას სწავლობდენ; მაგალითად:

ბან — ან — ბა

გან — ან — გა

დონ — ან — და

ვინ — ან — ვა

ზენ — ან — ზა

თან — ან — თა და სხვ.

შემდეგ, როცა ყველა თანხმოვან და ხმოვან ასოების შეერთებას
გაიზეპირებდენ, მარცვლების შეერთებას მიყოფდენ ხელს, მაგალი-
თად, ვა-ზა, ბა-გა, ზა-რი, ზო-დი, კი-რი და სხვ. ამას მისდევდა ფრა-
ზების და წინადადებათა კითხვა და სხვ.

მაშინდელი სკოლა ექვემდებარებოდა საზოგადო ადმინისტრა-
ციას — მაზრის უფროსს და მომრიგებელ შუამავლებს, რომელნიც,
როცა სხვა და სხვა საქმეების გამო სოფლის კანცელარიას ესტუმ-
რებოდენ — სკოლასაც ათვალეიერებდენ; თავიანთ შთაბეჭდილებას
ხშირათ სოფლის ადმინისტრაციას უზიარებდენ საზოგადოების სა-

ყურადღებოთ, მაგრამ იშვიათად მოხდება ხოლმე, მასწავლებელს რომ საყვედური შეხვედროდა სკოლის ცუდი მდგომარეობისათვის, რადგან გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა: „მოუცლელიობა კანცელარიის საქმეების გამო“. სკოლის ანგარიში — მოსწავლეების რიცხვი, მასწავლებლის ვინაობა და სხვა ყოველ წელს ადგილობრივ მაზრის უფროსს ეგზავნებოდა შემოღებულ ფორმის თანახმად. ასეთ ყოფაში იყო გურიაში სკოლა 1870 წლამდე, როცა ქუთაისის გუბერნიაში სახალხო სკოლების ინსპექცია გაიხსნა.

1872 წელში, თუ არ ვცდები პირველად დაათვალიერა გურიის სოფლის სკოლები სახალხო სკოლების ინსპექტორმა ვიქტორ ნიკოლოზის ძე ტროიემ. ეს ის ტროიე იყო, რომელმაც ჩვენი დიდებული პოეტი აკაკი გაროზგვას გადაარჩინა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოწაფეთ ყოფნის დროს. ტროიე თავისი საკუთარი ცხენით დადიოდა სკოლების დასათვალიერებლად გურიაში თავისივე მოსამსახურის თანხლებით. პირველი მისი რევიზიის მიზანი იყო შეემონმებია სკოლების რიცხვი, რომელიც ადგილობრივ ადმინისტრაციას ჰქონდა მოხსენებული მასთან წარდგენილ ანგარიშში და ძლიერაც გაუკვირდა, როცა ნახა ის, რასაც სწერდენ. „მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით გურიაში სკოლები მოუწყობელია და სწავლების საქმე ცუდად არის დაყენებულიო, უთხრა მან თავად გრიგოლ გურიელს.* ამ კუთხეში ისე ძლიერი ყოფილა სწავლის სურვილი, რომ, თუ აქაურ სკოლებს კარგი ხელმძღვანელი დაურჩა, მალე განათლდება ეს მშვენიერი ქვეყანაო“. ბ.ტროიეს ძლიერ მოსწონებოდა აქაური ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ხალხის სიმკვირცხლე და სილამაზე.

ტროიე მეტად მიმზიდველი გარეგნობისა იყო: მისი ახოვანი, გამხდარი, სიმპატიური სახე, თოვლის ფანტელივით თეთრი თმა და წვერ-ულვაში, ჭკვიანი და მახვილი თვალები, პირველსავე შეხედვაზე მიიქცევდა მნახველის ყურადღებას. ესლაც თვალწინ მიდგას თეთრ ცხენზე შემჯდარი, ტყავის სამგზავრო ტუფურკიანი მოხუცი; განსაკუთრებით მისი უცნაური, ვეებერთელა კალთებიანი ქუდი, რომელსაც გრძელი დოლბანდი ჰქონდა კუმტულზე შემოხვეული და შემდეგ უკან გადაგდებული. ტროიე ზედ გამოჭრილი ძველი დროის მქადაგებელი იყო გარეგნობით.

* გრიგოლ გურიელი ცნობილი იყო ჩვენი როგორც კეთილი და სწავლა-განათლების გავრცელების ხელის შემწყობი.

1872-ვე წელში შემოდგომაზე ტროიემ მოახდინა გურიის მასწავლებელთა კრება. ამ კრებას დაესწრო გურიის თითქმის ყველა სოფლის სკოლების მასწავლებელი. კრება გაიმართა მაშინდელ სამაზრო სასწავლებელში. ახირებულ სურათს წარმოადგენდა ეს ყრილობა: მონვეულთა ნახევარზე მეტი წილი გრძელ ჩოხებში იყო გამოწყობილი (ზოგს ხანჯლებიც კი ეკიდა), დანარჩენს კი სერთუკ-პიჯაკები ეცვათ. განათლებით ასე იყვენ განაწილებული: ნადიაკვნარები, „ხუცის კლას“ დასრულებულნი და ოთხი-ხუთი კაცი სამაზრო სასწავლებელში კურსდამთავრებულნი; კრებაში აქტიურ მონაწილეობას ესენი ღებულობდენ, დანარჩენები უბრალო მსმენელებივით ისხდნენ.

მეცადინეობის დაწყების წინ ვილაცამ ხმა გაავრცელა: დირექტორმა მასწავლებლები უნდა გამოსცადოს, ეგზამენი უნდა დააჭერინოსო. ამ ამბავმა მასწავლებლები დააფრთხო, ზოგი სახლშიაც გაიპარა, დანარჩენები შიშით მოელოდნენ კრების გახსნას. ამ ხმებმა დირექტორის ყურამდეც მიაღწია. მაშინ მან რამდენიმე მასწავლებელი დაიბარა და სთხოვა გადაეცათ სხვებისთვის, რომ არავითარი გამოცდა იქ არ მოხდებოდა.

კრება გაიხსნა სამაზრო სასწავლებლის დარბაზში; გარეშენიც დაესწრენ კრების გახსნას. დირექტორმა კრებას დაახლოებით შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა:

„ბატონო სოფლის მასწავლებელნო! ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ შეგანუხეთ და აქ შეგკრიბეთ, მაგრამ მიზანი ამ კრებისა ისე დია, რომ არ შემეძლო ასე არ მოვქცეულიყავი. მე წილად მარგუნა ბედმა თანამშრომლობა იმ დიდებული დანესებულებისა, რომელსაც სოფლის სკოლა ეწოდება და რომელმაც განათლების სხივი უნდა შეაშუქოს იქ, სადაც საუკუნოებით წყვდიადი და შეუგნებლობა სუფევს. გილოცავთ თქვენც, ბატონებო, სოფლებში ცოდნის და შეგნების პირველ მახარობელ მერცხლებათ გახდომას. არ იფიქროთ, რომ მე თქვენ მომეწვიოთ გამოსაცდელათ, ეგზამენებისათვის. ჩვენი შეკრების მიზანია, ერთმანეთი გავიცნოთ, გავიზიაროთ ჩვენი ცოდნა-გამოცდილება სწავლების საქმეში და ისე დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენ ადგილებზე. მე არ ვარ თქვენი უფროსი (начальник), თქვენი დამტუქსავი, ჩვენს წმინდა საქმეს ტუქსვა და სიმკაცრე არ შეფერის, — მე დამნიშნა მთავრობამ სწავლების საქმეში ხელმძღვანელათ. ვეცადოთ შეძლების დაგვარად ურთიერთ დახმარებით წესიერ გზაზე დავაყენოთ სწავლა სოფლის სკოლებში. მუდამ უნდა გვახსოვდეს,

ბატონებო, რომ ჩვენ დიდი საქმე გვაქვს ნაკისრები; მასწავლებლობა ძნელი და დიდი საქმეა და ამიტომ ბევრი შრომა გვმართებს: თვითგანვითარებით უნდა ავმალდეთ ზნეობრივად და გონებრივად. ჩვენ მარტო ახალგაზრდების მასწავლებლები როდი ვართ, ჩვენ პატიოსანი და სპეტაკი ცხოვრებით და შრომის მოყვარეობით ვაგრძნობინოთ შეგირდების მშობლებსაც, რომ ღირსნი ვართ მასწავლებლის სახელისა, ვაჩვენოთ იმათ წესიერი შრომის ატანის და ზნეობის სიფაქიზის მაგალითი და შევავნებოთ მოვალეობა შვილების წესიერად აღზრდა-განათლებისა. თუ ასე მოვიქცევით — მაშინ, მერწმუნეთ, გავხდებით ღირსნი იმ დიდებული სახელისა, რომელსაც ატარებდა კაცობრიობის დიდი მოძღვარი იესო ქრისტე“.

ამ სიტყვამ დააშოშმინა დამფრთხალი მასწავლებლები და მოუხპო შიში ეგზამენების დაჭერისა.

დაიწყო მეცადინეობა. დირექტორმა პირველად აჩვენა კრებას, როგორ დაემზადებიათ მოსწავლეთათვის წინდანინ სასწავლო ნივთები; ასწავლა კარანდაშების არჩევა და თავების მოქნა, კალმების და მისი ტარების არჩევა, რვეულების შეკერვა, ოთხკუთხი სახაზავების ზომა და რვეულების ხაზვა (იმ დროს დახაზული რვეულები არ იყო შემოღებული) და სხვ. ყველა იმას, რის გაკეთებაც იქ შეიძლებოდა, თვითონ თავის ხელით აკეთებდა, თვით კრების წინ, თვალსაჩინოთ, საკვირველი სისწრაფით, ხერხით და ხელოვნებით. მაგალითად, როცა ოთხკუთხი სახაზავის დახმარებით ხაზავდა კარანდაშით რვეულს, გეგონებოდათ ამ კაცს სულ ეს უმუშავია თავის სიცოცხლეშიო, ისე სწრაფად და საუცხოვოთ აკეთებდა ამ საქმეს.

მე აქ არ შეუდგები იმ ყრილობის მიმდინარეობის დანვრილებით აღწერას, რადგან მას შემდეგ აგერ ნახევარი საუკუნე გადის და მეშინია შეცდომაში არ შევიყვანო მკითხველი გულმავინყობის გამო, ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი იყო წინამორბედი ჩვენი სკოლის შეგნებისა და განვითარებისა; იმ ყრილობამ უარყო ძველი სკოლების ბატონყმური სისასტიკე, შეუბრალებლობა, მოზარდი თაობის დამაჩლუნგებელი და გამაბოროტებელი წესები სკოლაში; სამაგიეროთ აღიარა და შემოიღო სწავლების ახალი მეთოდი. იმის წყალობით გურიის სკოლასაც წვდა ის ნათელი და სპეტაკი სხივი, რომელიც რუსეთის სკოლებს უკვე ნელ-ნელა უნათებდა და უთბობდა სულსა და გულს მაშინდელი უცხოეთის და რუსეთის საუკეთესო პედაგოგების: კომენსკის, დისტერვეგის, უშინსკის, პიროგოვის, ბარონ კორ-

ფის და სხვების წყალობით. ბატონი ტროიეც ღირსეული მოციქული იყო იმ პედაგოგებისა, იმათ თეორიას დახელოვნებული პრაქტიკით ახორციელებდა ჩვენს სკოლაში. იმან შემოიღო წერა-კითხვის სწავლების ახალი საშუალება, გაკვეთილების ნათლათ და დანვრილებით ახსნა და სკოლაშივე დასწავლა თვალსაჩინო საგნებისა და სურათების დახმარებით, გაკვეთილების წესიერი განაწილება, შეგირდების ხშირი დასვენება და სუფთა ჰაერზე თავისუფლათ თამაშობა, გარეთ და კლასში გიმნასტიკის ხმარება, საკლასო სიმღერების საჭიროება, ანგარიშის სწავლების თვალსაჩინო საგნების დახმარებით ცხადყოფა და სხვა ყოველივე, რასაც სწავლების ახალი წესი მოითხოვდა. ყველა ამას სამაზრო სასწავლებლის ძველი მასწავლებლები, გარდა ერთი ორისა განცვიფრებულეი ეჭვის თვალით უგდებდენ ყურს და რაღაც უკმაყოფილება ეხატებოდათ სახეებზე: არ სწამდათ ეს ახალი წესები სკოლაში. ბევრს გარეშესაც არ ეჭაშნიკა ძველი წესების სკოლიდან განდევნა, რადგან იმათი აზრით სიყვარული და მეგობრობა მოსწავლეთა და მასწავლებელთ შორის საქმის დამღუპველი იყო: „შვილი მტრულათ გაზარდე — მოყვრულათ გამოგადგება“. ამ ანდაზას ხელმძღვანელობდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება და სკოლა ბავშვების აღზრდაში, რადგან ბატონყმურის თვალსაზრისით უყურებდენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობას.

ტროიე გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებელი იყო, სანიმუშო გაკვეთილებს თვითონ აძლევდა და ჩინებული შედეგიც ჰქონდა მის გაკვეთილებს. თითქმის ყველა საგნებში მისცა იმან გაკვეთილი და მერე რიგრიგობით, შეძლებისდაგვარათ, ხელმძღვანელის მიზაძვით, მასწავლებლებიც მეცადინობედენ. გაკვეთილების გარჩევა, იმათი ღირსება-ნაკლულევანების დაფასება, გარეშე საზოგადოების დაუსწრებლათ ხდებოდა ტროიეს ბინაზე.* კამათი როგორც რუსულათ, აგრეთვე ქართულათაც იმართებოდა. ტროიეს ქართული ესმოდა და წერა-კითხვაც იცოდა.

მეტი არ იქნება მკითხველი გავაცნო იმ წესს, რომელიც ტროიემ წერა-კითხვის სწავლებაში იხმარა კრებაზე. როცა თავის მეთოდით მისცა გაკვეთილი პირველ განყოფილებაში და კარგი შედეგით გათავდა ის, მისმა ყოფილმა მოწაფემ ი.ა.თაყაიშვილმა შენიშნა:

„პირველ განყოფილებაში ბევრია ძველი მოწაფე დარჩენილი, რო-

* მას ეწინოდა ისედაც დამფრთხალი მასწავლებლები გარეშე საზოგადოების დასწრებით არ შემცდარიყვენ, არ დაბნეულიყვენ.

მელთაჲც წერა-კითხვა ცოტათ თუ ბევრათ იციან და ამიტომ იყო, რომ ასე კარგათ შეითვისეს თქვენი გაკვეთილიო“. ამის პასუხათ ტროიემ სთხოვა მას მოეყვანა მისთვის წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი ბავშვი ამ საცილობელი საკითხის ობიექტათ — „მე თქვენ დაგიმტკიცებთ ამ მეთოდის უპირატესობას სხვა მეთოდებთან შედარებით; მაგრამ ბავშვი იდიოტი კი არ უნდა იყოსო“. მართლაც მეორე დღეს მოიყვანეს 10-11 წ. სოფლელი ბავშვი. ტროიე გაცნო მას — გამოჰკითხა სახელი, გვარი, მშობლების სახელები, რა ხელობის არის მამა, რას აკეთებს სახლში იმისი დედა და თვითონ ბავშვი; ჰყავს თუ არა ძმები და დები და სხვ. ბავშვი ძალიან მიმხვდარი და მკვირცხლი გამოდგა — ყველაფერში შესაფერი პასუხი მისცა და ძალიან ცნობის მოყვარეობა გამოიჩინა. ამის შემდეგ ტროიემ მიიყვანა იგი საკლასო დაფასთან, სადაც გაჩაღდა მათ შორის დაახლოებით შემდეგი დიალოგი.*

ტროიე. — გიგო, ცხვარი გყავთ შინ?

ბავში. — არა, ბატონო.

ტროიე. — გინახავს ცხვარი?

ბ. — რავა არა, ბატონო.

ტ. — რა ქვია ცხვრის შვილს, თუ იცი?

ბ. — კრავი, ბატონო.

ტ. — ძალი გყავთ?

ბ. — კი, ბატონო.

ტ. — მგელი გინახავს?

ბ. — არა, მარა მგლის ტყავი კი მინახავს.

ტ. — როგორ გგონია, მგელი უფრო დიდია, თუ ძალი?

ბ. — მგელი. ბაბამ (მამამ) თქვა, მგელი ცხენს მიერევაო.

ტ. — დათვი თუ გინახავს, ან გაგიგონია მისი ამბავი?

ბ. — არ მინახავს, მარა შარშან ბაბაი ჩიოდა ტყის ყანა სულერთიანათ შემიჭამა დათვმაო.

ტ. — ხო, დათვი და მგელი ტყეში ცხოვრობენ. (აჩვენებს სურათებს, რომელზედაც მარტო დათვი და მგელი მოჩანან, დანარჩენი დაფარულია ქინძისთავებით მიმაგრებული ქალაღით.) რომელია აქ მგელი?

*. ეს სანიმუშო გაკვეთილი ჩანერილი არ მქონდა და აღვადგინე მხოლოდ ჩემი მეხსიერების მიხედვით, მაგრამ, მე მგონია, ეხლა ჩვენთვის ამ დიალოგის სტენოგრაფიული სისწორე იმდენათ საყურადღებო არაა, რამდენათ სწავლების მეთოდი. კითხვებს ტროიე ქართულათ აძლევდა ბავშვს, როგორც მოახერხებდა; როცა გაუჭირდებოდა, მასწ. თაყაიშვილს დაიხმარებდა ხოლმე.

ბ. — აგი უნდა იყოს, სულ ამისთანა ბალანი და კუდი ქონდა ტყავს.

ტ. — (ადებს სახაზავს დათვის სურათს) ეს რის სურათი უნდა იყოს?

ბ. — აგი არ ვიცი. დათვი ხომ არაა?

ტ. — ჰო, დათვია. კარგათ შეხედე და დაიხსომე, როგორი კუდი აქვს მგელს და დათვს.

ბ. — მგელს გრძელი კუდი აქვს, დათვს ცოტა აჩნია.

ტ. — რომელი უფრო სხვილია?

ბ. — დათვი.

ტ. — აბა ჩამოთვალე, რომელ ცხოველებზე ვილაპარაკეთ?

ბ. — ჩვენ ვილაპარაკეთ ცხვარზე, დათვზე, მგელზე, ძაღლზე.

ტ. — თქვენი ძაღლი ავია?

ბ. — ავი კი არა, იგი ძაღლი ძაღუანი კაია. ბაბამ თქვა მერცხალა რომ არ იყოს, ქათმებს სულ ნეილებდა ტურაო.

ტ. — (მოზრუნდება რაღაცას თაყაიშვილს ეჩურჩულება, მერე ბავშუს მიუბრუნდება) მე მინდოდა მეკითხა, ბლეზი* თუა თქვენი ძაღლი მეთქი.

ბ. — ძაღუანი ბლეზია, გარეთ გაგდებს რომ დაუპირებ, ღრინავს, ღამე სულ ყეფს და ეზოში არა კაცს არ უშვებს.

ტ. — აბა გააჯავრე, როგორ ღრინავს.

ბ. — რომ გავაჯავრო დამჭამს, ბატონო.

ტ. — არა, შენც ისე დაიღრინე, როგორც ის ღრინავს.

ბ. — რ-რ-რ-რ.

ტ. — ძალიან კარგი. ძაღლი ღრინავს როცა ჯავრობს, მგელი?

ბ. — არ ვიცი.

ტ. — მგელი ღმუის — უ-უ-უ იძახის, როცა თავის ტოლებს უხ-მობს ხოლმე. გაიმეორე!

ბ. — უ-უ-უ, ასე ღმუის მგელი.

ტ. — აბა გაიმეორე, როგორ ღრინავს ძაღლი?

ბ. — რ-რ-რ-რ.

ტ. — მგელი როგორ ღმუის?

ბ. — უ-უ-უ-უ-უ.

ტ. — დათვი როგორ იძახის, თუ გაგიგონია?

ბ. — არ გამიგონია, ბატონო.

*. გურიში ავ ძაღლს ბლეზს უწოდებენ.

ტ. — დათვი ასე იძახის: ო-ო-ო-ო. გაიმეორე!

ბ. (იმეორებს რამდენიმეჯერ) ო-ო-ო-ო.

ტ. — ეხლა გაიმეორე ყველას ძახილი.

ბ. — იმეორებს.

ტ. — ცხვარი როგორ უხმობს კრავს, როცა იგი შორდება დედას?

ბ. — ე-ე-ე-ე.

ტ. — გიყურებია შენ?

ბ. — კი, ბატონო.

ტ. — პირზე თუ შეგიხედავს?

ბ. — რავა არა.

ტ. — ცხვარმა რომ პირი დაალო და დაიპეტელა, რა დაუნახე პირში?

ბ. — ენა გამოაგდო.

ტ. — მაშინ ცხვარმა როგორ დაიძახა?

ბ. — ე-ე-ე-ე.

ტ. — აბა დავხატოთ ცხვრის ენა, რომ უფრო კარგათ დავიხსო-
მთ მისი ხმა. (სწერს ასო ე-ს). ეგებ შენც დახატო ცხვრის ენა, ზევი-
დან ქვევით უნდა ჩამოუსვა ხაზი.

ბ. — (გაჭირვებით სწერს ასო ე-ს, მასწავლებელი ამეორებინებს
წერას, სანამ გვარიანათ არ დაანერინებს).

ტ. — შეშას რითი ზიდავთ შორიდან?

ბ. — ურმით.

ტ. — ურემი რაზე დგას, როცა ხარები არ უბია?

ბ. — მიწაზე, ბატონო.

ტ. — რით სდგას მიწაზე ურემი?

ბ. — გოგრებით (თვლებით).

ტ. — რაზეა წამოცმული გოგრები?

ბ. — ლილვზე (ღერძზე).

ტ. — როცა ლილვი მშრალია, არ სცხია არც საპონი, არც ქონი
და მძიმე ტვირთით მიაქანებს იმას ხარები, როგორ ხმაურობს მაშინ
ურემი?

ბ. — მაშინ ურემი კრიჭინებს (ჭრიალებს).

ტ. — ხომ არ შეგიძლია შენ ურმის კრიჭინით ხმა გამოსცე?

ბ. — კი, ბატონო, ი-ი-ი-ი, ასე იძახის.

ტ. — (ხატავს დაფაზე ურმის თვლებს, რომელთა ნახევარს ქვევი-
დან ცარცის წასმით ფარავს). რა დავხატე?

ბ. — შენ დახატე გოგრები, მერე ქვეიდან წაშალე.

ტ. — ეს გოგრები ვითომ ტალახშია ჩაფლული, მხოლოდ ნახევრები მოჩანან. გაიმეორე, როგორ კრიჭინებს ურემი?

ბ. — ი-ი-ი-ი.

ტ. — აბა გადმოხატე ჩემი დახატული; ხატვა აქედან უნდა დაიწყოს (აჩვენებს).

ბ. — (სწერს ი-ს რამდენიმეჯერ).

ტ. — ეს ნახატი მოგვაგონებს ურმის კრიჭინს, დაიხსომე! როგორ კრიჭინებს ურემი?

ბ. — ი-ი-ი-ი.

ტ. — ეხლა ძალიან დაადე პირი, ენა დაიმოკლე და ხმა მაღლა დაიდახე.

ბ. — (ვერ ახერხებს).

ტ. — აბა შემხედე და ყური დამიგდე (წარმოსთქვამს: ა-ა-ა-ა) გაიმეორე შენც!

ბ. — ა-ა-ა-ა.

ტ. — კარგი. ეს ხმა რომ კარგათ დავიხსომოთ, დავხატოთ პირის ქვედა ნახევარი, ქვედა ბაგე. (სწერს ა-ს). ხომ შეგიძლია შენც დახატო?

ბ. — (ართმევს ცარცს და გაჭირვებით სწერს ა-ს).

ტ. — ძალიან კარგათ დახატე. კიდევ, კიდევ დახატე!

ბ. — (სწერს ა-ს რამოდენიმე ჯერ და თან და თან უკეთესათ გამოჰყავს).

ტ. — დავიხსომოთ, რომ ეს ქვედა ბაგის ნახატია და მოგვაგონებს კაცის ხმას, როცა იგი პირს აღებს, ენას იმოკლებს და ისე იდახის. ამას დავარქვათ ქვედა ბაგე. როგორი ხმა გესმის?

ბ. — ა-ა-ა-ა.

ტ. — აბა თუ გახსოვს, როგორ ღმუის მგელი?

ბ. — უ-უ-უ-უ.

ტ. — მე დავხატავ მგლის კუდას, რომ უფრო დავიხსომოთ ღმუილი (სწერს უ-ს და თითს ადებს). აი ეს ქვევით ჩამოშვებული ხაზი კუდია, მაგრამ ზევიდან ცოტა ტანის ნაწილიც ახლავს. ეგებ შენც დახატო?

ბ. — (ძლივს-ძლიობით ამსგავსებს უ-ს და წყენით ამბობს: ვერ დავხატე, ბატონო!

ტ. — ძალიან კარგათ დახატე; ცოტა აქ უნდა შესწორება (ასწორებს).

ბ. — (კიდევ სწერს უ-ს თანდათან უკეთესათ).

ტ. — გაიხსენე, გიგო, რის დახატვა ვიციტ ჩვენ ეხლა?

ბ. — კაცის პირის, მგლის კუდის, ცხვრის ენის და ნახევარი გოგორის.

ტ. — ჩვენ ას (უჩვენებს ა-ზე) დავარქვით ქვედა ბაგე, შენ კი კაცის პირი დაუძახე. კარგი, ვსთქვათ შენებურათ კაცის პირი, მაგრამ არ გამოვა კარგათ: როცა წარმოვსთქვამ ა-ს, პირს ვაღებ და მხოლოდ ქვედა ბაგე მოსჩანს, ზედა კი დაფარულია უღვაშებით. აბა შემხედე (წარმოსთქვამს ა-ს გრძლათ).

ბ. — (სწერს ა-ს).

ტ. — დახატე ეხლა ცხვრის ენა!

ბ. — (სწერს ე-ს)

ტ. — ნახევარი გოგორა დახატე.

ბ. — (სწერს ი-ს).

ტ. — ახლა დახატე მგლის კუდი.

ბ. — (სწერს უ-ს).

ტ. — ეხლა ჩვენ უნდა დავხატოთ ძაღლის ღრინვის დასამახსოვრებელი ნიშანი.

ბ. — ძაღლი დავხატოთ.

ტ. — არა ძაღლის დახატვა ძნელია, ჩვენ დავხატოთ ძაღლის ფეხი, შეხედე, (სწერს რ-ს) ჩამოგავს ძაღლის ფეხს?

ბ. — კი, ბატონო.

ტ. — დახატე შენც, მაგრამ ხატვა ზევიდან უნდა დაიწყო ისე, როგორც მე დავიწყე.

ბ. — (გაჭირვებით სწერს რ-ს, მასწავლებელი უსწორებს და რამდენიმეჯერ აწერინებს).

ტ. — გაიხსენე, როგორ ხმაურობს დათვი?

ბ. — ო-ო-ო-ო.

ტ. — აბა მიგდე ყური, მე დავხატავ დათვს, მაგრამ ისე, რომ ცოტათი წააგავს (სწერს ო-ს). აი, ამით დავიხსომებთ დათვის ხმაურობას (შლის და კიდევ სწერს ო-ს, მაგრამ ნელათ) ეგებ შენც დახატო?

ბ. — (უჭირს დაწერა, მაგრამ როგორცაა სწერს ო-ს, მასწავლებელი ამეორებიებს წერას, სანამ გვარიანათ არ დასწერს ბავშვი; შემდეგ ტ.: ამეორებიებს ნაცნობი ხმების გამოთქმას და შესაფერი ნიშნების წერას. ამის მერე მოაქვს მოძრავი ასოები, რომელნიც თვითონ შეუდგენია ამ გაკვეთილისთვის ქაღალდის ნაჭრებზე, აწყობს ყველას მაგიდაზე და ეკითხება მოსწავლეს) აბა, გიგო აარჩიე აქ, მაჩვენე ქვედა ბაგე.

ბ. — (იღებს ასო ა-ს) აგია, ბატონო.

ტ. — ახლა ცხვარის ენა მაჩვენე.

ბ. — (აძლევს ე-ს) აჰა, ცხვარის ენა.

ასე არჩევს ბავში ყველა ასოებს, რომელიც მან ისწავლა გაკვეთილზე.

ტ. — (სწერს დაფაზე სიტყვას: „ორი“) როგორ ხმაურობს პირველი ნახატი?

ბ. — ო-ო-ო.

ტ. — მეორე?

ბ. — რ-რ-რ.

ტ. — მესამე?

ბ. — ი-ი-ი.

ტ. — ეხლა ყველა ნახატები უნდა აახმაურო, წაიკითხო, ისე კი, რომ ხმაგაუნწყვეტლათ გააერთიანო, მაგრამ ძაღლის ფეხი ძალიან მოკლეთ უნდა გამოთქვა.

ბ. — (აგრძელებს) ო-ო-ო-რ-რ-რ-ი-ი-ი!

ტ. — შენ კარგი ქენი, რომ დათვი და ნახევარი გოგორა გრძლათ წაიკითხე, მაგრამ ძაღლის ფეხი სულ ძალიან მოკლეთ უნდა აახმაურო.

ბ. — კითხულობს თავისთვის, ცნობილობს სიტყვას და სიხარულით ამოიკითხავს: ორი!

ტ. — კარგი! (შლის პირველსა და უკანასკნელ ასოებს და მაგივრათ სწერს ორივე ალავს ა-ს) წაიკითხე, მარა არ დაივიწყო ძაღლის ფეხის მოკლეთ გამოთქმა.

ბ. — (ბავში კითხულობს გვარიანათ) „არა“.

ამ რიგათ მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეს სიტყვებს: ურო, ერი, ურა და სხვას, რაც შესდგება ამ ექვსი ასოდან. მერე მოძრავ ასოებში არჩევს ბავში ცნობილ ასოებს და ადგენს სიტყვებს; ამის შემდეგ მასწავლებელი ჰაერში ასახვიებს ყველა ასოებს სალოკი თითო.

დასასრულ ტროიე იღებს ჯიბიდან ქართულ გაზეთს და კარანდაშს, აძლევს ბავშს და ეუბნება: ეს გაზეთია, ამაში სწერია სიტყვები, რომელშიც ურევია ის ხმები, რომლებიც შენ ისწავლე; ნაილე სახლში და როცა მოიცალო, მონახე შიგ შენი ნაცნობი ხმები ყოველგან, სადაც იპოვო, დანიშნე ასე (აჩვენებს) კარანდაშით და ხვალ მაჩვენე მე.

უმთავრეს ყურადღებას ტროიე თვალსაჩინო საგნების დახმარებით სწავლებას აქცევდა. ამიტომ, ის ავალბედა მასწავლებლებს სკოლაში უთუოთ საგნების და სურათების კოლექცია ქონოდათ. მისი აზრით, ამ საქმეში ყოველი საგანი და სურათი, რაც უნდა უბრალო იყოს იგი, გამოსადეგი იქნებოდა. შეგირდების სასეირნოთ წაყვანასაც (ექსკურსია) დიდ მნიშვნელობას აძლევდა, მაგრამ აფრთხილებდა მასწავლებლებს, რომ ექსკურსიისათვის თვითონ წინასწარ კარგათ მომზადებულიყვნენ: „თუ მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა კარგათ ვერ დააკმაყოფილეთ, თუ ყველა კითხვაზე სეირნობის დროს შესაფერი პასუხი ვერ მიეცით, ყოველივე გავლენას და პატივისცემას დაჰკარგავთ და უმჯობესია სრულიათ თავი დაანებოთ ამ საქმესო“.

იმას არ მოსწონდა მასწავლებლის მრავალსიტყვაობა, — „ბევრის მოლაპარაკე მასწავლებელი, რაც უნდა კარგი მომზადებული იყოს იგი, ვერაფერს გააწყობს სკოლაში გარდა იმისა, რომ შეგირდებს თავს მოაბეზრებს თავის მრავალ სიტყვაობით და დასასწავლი საგნის ინტერესს დაუკარგავსო. კარგი მასწავლებელი ის არის, ვინც თვითონ ცოტას ლაპარაკობს და შეგირდებს ბევრს ალაპარაკებსო. კარგი მასწავლებელი თავისი მოკლე, ხერხიანი და ჭკვიანური კითხვებით დასასწავლი საგნის ინტერესს გაუღვიძებს თავის შეგირდებს. მასწავლებელმა მოთმინებით უნდა მოუსმინოს მოსწავლეს პასუხი, რაც უნდა უხეირო იყოს იგი. ჩამორჩენილ მოწაფეს უნდა აქცევდეს ყურადღებას, რომ ის წინ წასწიოს, უკეთესს შეგირდებს გაუსწოროს. მან მოსწავლეებისადმი მიმართულ თავისავე კითხვას არას შემთხვევაში თვითონ პასუხი არ უნდა გასცეს. თუ ვინიცობა ვერც ერთმა შეგირდმა ამ კითხვაზე ჯეროვანი პასუხი ვერ მისცა, მაშინ მასწავლებელი კითხვის ფორმას სცვლის და იმდენს ეცდება, რომ რიგიანს და შესაფერ პასუხს თვით მოსწავლეს ათქმევინებს. თუ ესეც არ მოხერხდა, მაშინ საუკეთესო მოსწავლეებს დაიხმარიებს. ერთი სიტყვით ბავშვი უნდა მიეჩვიოს დაფიქრებას, თუ გსურთ თვითგანვითარების გზაზე დააყენოთ იგი.

ყველა შეცდომის გასწორება, რასაც ბავშვი ჩაიდენს გაკვეთილზე სარგებლობას არ მოიტანს. მისი აზრით, საკმაოა 3-4 უდიდესი შეცდომის გასწორება, ბევრი შეცდომის გასწორება სწავლის ხალისს უკარგავს ბავშვს, გულს უცრუებს სწავლაზე. ამაში ხედავს თავის უიღბლობას და ნიჭის სისუსტეს. შეცდომები კლასში უნდა სწორდებოდეს მეთოდურიათ, თანდათანობით — რამდენათ ბავშვი წინ მიდის

სწავლაში, იმდენათ მეტი შეცდომის გასწორება შეიძლება, თუ საჭირო იქნება.

ყოველივე საზეპირო, ლექსი იქნება იგი, იგავ-არაკი, თუ სხვა რამ, კლასში უნდა იქნეს დასწავლილი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. სახლში გაკვეთილათ საზეპიროს გატანება არ ვარგა: ბავში უაზროთ ზეპირობს მას, უხეიროთ კითხულობს, ნიშნებზე ვერ ჩერდება, თუთიყუშივით სწავლობს სიტყვებს, წაკითხული არც თვითონ ესმის და ვერც სხვას გააგებებს. ამისათვის აუცილებელია საზეპიროს შინაარსის დაწვლილებით ახსნა და ცხადყოფა შეგირდებისთვის და მერე კლასშივე ზეპირათ დასწავლა განსაკუთრებით სოფლის სკოლაში.

ზეპირათ სწავლის მეთოდი ტროიეს ასეთი ქონდა: მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე საკლასო დაფაზე სწერს ლამაზი და გარკვეული ხელით დასასწავლი ლექსის იმდენ ნაწილს, რამდენის მოსწრებაც შეიძლება განსაზღვრულ დროში. გაკვეთილის დაწყების დროს კლასი ვერ ხედავს ნაწერს: დაფის დაწერილი მხარე მიზრუნებულია კედლისკენ. მასწავლებელი უხსნის შეგირდებს ლექსის გაუგებარ სიტყვებს და აზრს: მან წინდანი იცის, რომელი სიტყვები და წინადადებანი არ ესმით ბავშებს და აი, სწორეთ იმას უხსნის, ასწავლის, რაც არ იციან — წინდანივე მომზადებული მასწავლებელი ტყვილა უბრალოთ დროს აღარ დაკარგავს. თუ დასასწავლ ლექსს შეეფერება, სურათებს და საგნებსაც იხმარებს გაკვეთილის ასახსნელათ — ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ დასასწავლი ლექსის შინაარსი კარგათ შეიგნონ ბავშებმა. ამის შემდეგ მოაბრუნებს დაფის დაწერილ მხარეს კლასისკენ. კლასი ინტერესით ათვალიერებს და კითხულობს ჩუმათ. მასწავლებელი ერთ ალაგას დგას და სდუმს, კლასს თვალს არ ამორებს; მოსწავლეები ჯერ განაგრძობენ ჩუმათ ლექსის კითხვას, ეცნობიან მას; შემდეგ თვით მასწავლებელი კითხულობს გარკვევით, მაგრამ უბრალოთ, თითქო ზეპირათ ბაასობსო. ბოლოს სახაზავს ან წკეპლს ადებს პირველ სიტყვას, ანიშნებს კლასს — ერთად წაკითხეთო. კლასი კითხულობს როგორც ერთი კაცი ტაკტით, რომელსაც მასწავლებელი დაწერილი ლექსის თითოეულ სიტყვაზე სახაზავის დადებით აღნიშნავს, ყოველ შესასვენებელ ნიშანზე შეაჩერებს ხოლმე. ორსამჯერ ასე წაკითხვით შეგირდები ერგვიან გვარიან კითხვას და მერე მასწავლებლის დაუხმარებლათაც კითხულობენ. ამასობაში მასწავლებელი გზადაგზა შლის ისეთ ასოებს,

რომელთა წერა საზოგადოთ ძნელია — ფ, ჟ, ტ, ძ და სხვ.; თანდათანობით სხვა ასოებსაც შლის სიტყვებში, დასაწყის და ბოლო ასოებს გარდა, კლასი განაგრძობს კითხვას, სანამ დაფაზე მთელი ნაწერი არ წაიშლება და თან ძალაუწებურათ იხსომებს, რომელ სიტყვაში რა ასო წაიშალა. გაკვეთილი თავდება უძაბუნეს მოსწავლეთა გამოცდით. ბოლოს მასწავლებელი ამოალებიებს კლასს წიგნებს, უჩვენებს წიგნის გვერდს, რომელზედაც დაბეჭდილია დასასწავლი ლექსი და მოითხოვს, წაიკითხონ სახლში და კარგათ დაისწავლონ გაკვეთილი.

ქართული საზეპიროს დასწავლის მეთოდიც ისეთია, როგორც რუსულის. დასწავლილი ლექსი, იგაგ-არაკი და სხვა მოსწავლემ უთუთოთ წერით უნდა გაიმეოროს. წერის დაწყების უმალ მასწავლებელი კითხვების საშუალებით უსწორებს ხოლმე მოსწავლეებს მოსალოდნელ შეცდომებს.

რვეულები მასწავლებელს სახლში არ მიაქვს გასასწორებლათ — კლასშივე ასწორებს შეგირდების დახმარებით. ამისათვის მთელი კლასიდან ერთი შეგირდი მიბრუნებული საკლასო დაფაზე სწერს, ისე კი რომ დანარჩენი, რომლებიც რვეულებში სწერენ მას, ვერ ხედავენ. მასწავლებელს დაფასთან ყოველთვის საშუალო მოსწავლე გამოჰყავს. როცა წერას მოასრულებენ, დაფას კლასისკენ მოაბრუნებენ. კლასი ათვალიერებს ნაწერს, თითოეული მონაფე ადარებს თავის რვეულში დაფაზე დაწერილს, შეცდომებს ეძებს და აამკარავებს. აქაც მასწავლებელს შემთხვევა ეძლევა კამათი გამოიწვიოს ამა თუ იმ შეცდომის გამო. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს, რომელმაც დაასახელა შეცდომა — რატომ არის ეს შეცდომა? მოსწავლე შეძლებისდაგვარათ შეცდომის სინამდვილეს უმტკიცებს. ეს გამოიწვევს მოსწავლეებში კამათს, რაც ძალიან საჭიროა აზროვნების და ენის განვითარებისათვის. კარნახი ძალიან იშვიათად იხმარებოდა სკოლაში.

ყოველი გაკვეთილი საზოგადოთ რომელიმე საერო საბავშო სიმღერით თავდება. რუსულის სწავლება ტროიეს პროგრამის თანახმად მაშინ იწყება — როცა ბავში ქართულ წერა-კითხვას შედარებით რიგიანათ დაისწავლის.

გარდა წერა-კითხვისა, ანგარიშისა, საღვთო სჯულისა, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ქართულათ და შეძლების დაგვარათ, რუსულათაც თვალსაჩინოთ გარე მყოფი საგნებიც. ეს საგნები პირველი წლიდანვე იწყება, მაგრამ ძალიან უბრალოთ და მოკლეთ, შემდეგში

კი კონცენტრირებული რგოლით თანდათან ფართოვდება. ბუნების მოვლენათა გაცნობაც სავალდებულოა. ამისთვის საუკეთესო სახელმძღვანელოთ ტროიეს ი.გოგებაშვილის „ბუნების კარი“ მიაჩნია. ზოგიერთი გეომეტრიული სხეულის ანერაც სავალდებულოა სოფლის სკოლაში.* სავალდებულოა აგრეთვე მოკლეთ სამშობლოს შესწავლაც. დირექტორი სწავლების საქმეში უდიდეს ყურადღებას აქცევს მასწავლებლის მიერ გაკვეთილების მომზადებას. რაც არ უნდა განვითარებული და დახელოვნებული პედაგოგი იყოს მასწავლებელი, თუ გაკვეთილი ცხადათ არ აქვს გათვალისწინებული და დასწავლილი — მისი სწავლებიდან არაფერი გამოვა. მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა, კარგათ შეისწავლოს იგი და ჩაინეროს რვეულში თავისი კითხვები და შეგირდებისაგან მოსალოდნელი პასუხებიც კი.

სწავლების დროს მასწავლებელი უთუოდ კლასის წინ უნდა იდგეს ისე, რომ თითოეული შეგირდი და მასწავლებელი კარგათ ხედავდნენ ერთი მეორეს — მასწავლებლის ყურადღება ბავშვების ყურადღებასთან უნდა იყოს შეერთებული და ყოველივე, რასაც ის ასწავლის, ისე უნდა გადადიოდეს მოსწავლეებზე, როგორც მზის სხივები გადადიან დედა მიწაზე მოწმენდილ დღეში. ამ დროს ისე უნდა იყოს მოწადობებული მთელი კლასი, რომ ვერავითარმა ჩვეულებრივმა გარეგანმა მოვლენამ იგი ვერ ააცდინოს თავის მიზანს. აი, მაშინ ექნება ხვალი მუშაობასო, ამბობდა ტროიე.

ყველა გაკვეთილები ლოგიკურათ უნდა იყოს შეკავშირებული ერთი მეორესთან. ამისათვის დიდი ყურადღებაა საჭირო მასწავლებლის მხრით. მან გაკვეთილის მომზადების დროს უნდა აირჩიოს ისეთი მასალა, რომელიც შეადგენს წინანდელი მასალის გაგრძელებას; ყველა დასწავლილი გაკვეთილი ისე უნდა იყოს შეკავშირებული ერთი მეორესთან, როგორც ჯაჭვის რკინებია გადაბმული რგოლების საშუალებით. ამასთან, საჭიროა ყოველი ახალი გაკვეთილის ბოლოს წინეთ დასწავლილი გაკვეთილების მოკლეთ განმეორება კითხვების დახმარებით. ეს არასოდეს არ უნდა იქნეს დავინწყებული.

რომელიმე საგნის აღწერა სინტეზით იწყება და ანალიზით თავდება. აღწერილი სხვადასხვა გვარი საგნების შედარება — მსგავსება — განსხვავების შესწავლა — აუცილებელია, თუ გინდათ ცხადი წარმოდგენა ჰქონდეს ამ საგანზე.

*. მაშინ ჩვენში ყველა სკოლები სამწლიანი იყო.

სუფთა წერასაც (კალიგრაფია) დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიეცეული. ისე მექანიკურათ არ უნდა ისწავლებოდეს. ასოების წერა ელემენტების კარგათ შესწავლით უნდა იწყებოდეს და ხშირი ვარჯიშობით უნდა იქნეს გაგრძობილი. ხატვა-ხაზვაში ხატვას უნდა მიეცეს უპირატესობა. შეგირდები თავისთავათ ხატვენ შეძლების დაგვართ ავეჯეულებას, ჭურჭლებს, ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს და სხვა საგნებს.

დასვენების დროს თამაშობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ტროიეს აზრით ბავშვების ფიზიკურათ და გონებრივათ განვითარებაში, აქ ადგილობრივი თამაშობა უფრო სასარგებლოთ მიაჩნია; ხშირათ მასწავლებელიც იღებს მონაწილეობას ამ საქმეში. ის უფრო გონივრული, სასარგებლო თამაშობით ართობს იმათ, მასწავლებელი, სხვათა შორის, ავარჯიშებს მანძილის, რომელიმე საგნის სიგრძის, სისქის, სიმაღლის თვალთ გაზომვაში, სხვა და სხვა მცენარეთა ყნოსვით გამოცნობაში და სხვ. ერთი სიტყვით მასწავლებელი აქაც ცდილობს თავის შეგირდების ყველა გარეგანი გრძნობების განვითარებას.

ადგილობრივ ზღაპრებს, გამოცანებს, ანდაზებს და სხვა გასართობებსაც არ ივინებს მასწავლებელი. რადგან ამათ დიდი აღმზრდელი და განმავითარებელი მნიშვნელობა აქვს.*

კრებამ თერთმეტ დღეს გასტანა და მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას გული აუცრუა თავის თანამდებობაზე: ცხადათ დაინახეს, რომ იმათ არ შეეძლოთ თავიანთი ცოდნით და ზნეობით ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებიათ ის მოთხოვნილებანი, რაც ამ კრებაზე იყო გამოთქმული დირექტორის მიერ. ბევრმა სამუდამოდ ხელი აიღო მასწავლებლობაზე, შინ გაიპარა სოფლის კანცელარიაში „მუშაობის“ გასაგრძობათ.

კრების დაშლისას მასწავლებლის დარბაზში შეკრებულ მასწავლებელთ ტროიემ პედაგოგიური წიგნები დაურიგა და ასწავლა, როგორ ჩაენერათ წიგნები სკოლის კატალოგში.

*. არ მახსოვს რომელ წელს იყო, ან განსვენებულმა ბებურა ბებურიშვილმა შეკრიბა გურიაში საუკეთესო გასართობები და ეს კრებული პეტროგრადში რუსულ ენაზე გამოსცა წიგნაკებათ. ამ გამოცემამ ალტაცებაში მოიყვანა მაშინდელი პეტროგრადის პრესა. იგი ურჩევდა რუსთა საზოგადოებას, შეეძინათ სახალხლო საჩუქრათ თავიანთი ბავშვებისათვის. ამასთან, დასძენდა ერთი გაზეთი: დიდი წარსული უნდა ჰქონდეს იმ ხალხს, რომელსაც ასეთი ჭკვიანური ხალხური ზეპირგადმოცემა აქვსო. ჩვენშიაც მოიპოებოდა აქა-იქ ეს წიგნაკი გასაყიდათ, მაგრამ, სამწუხაროთ, დიდი ხანია არ შევხვედრივართ. გ.შ.

ამის შემდეგ ყრილობას შეატყობია, რომ ამიერიდან ყოველ წელიწადს მთელი ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები იქნებიან ხოლმე შეკრებილნი დაბა ხონში და დახურა კრება.

გავიდა ცოტა ხანი პირველი კრების შემდეგ და მასწავლებლებს შემდეგი შინაარსის მონმობა მიუვიდათ დირექტორისაგან ფოსტით:

Свидетельство дано предъявителю сего, жителю Еркетскаго общества Ивану Кишвардіевичу Чантладзе въ томъ, что ему дозволено обучать детей в сельскихъ общественныхъ училищахъ Кутаисской губернии.

Свидетельство это должно быть предъявляемо Директору народныхъ училищъ, или его помощнику, каждый разъ, какъ посетить кто либо изъ нихъ вверенное ему училище для наложенія на свидетельство надлежащей печати.

Общее число печатей подъ чертой означаетъ количество ревизій, произведенныхъ у сего учителя; цветъ же печатей означаетъ результатъ сихъ ревизій, а именно: красная печать означаетъ хорошіе, синяя — посредственные, а черная — плохіе успехи по училищу. 1873 года, іюля 3 дня г. Кутаисъ.

Директоръ народныхъ училищъ
Кутаисской губ. В.Тройе.

(ბეჭედი და თარიღი, როდის იყო დათვალიერებული სკოლა).

რევიზიის შემდეგ მთელი მაზრის მასწავლებლებს ასეთი მონმობები შესაფერი ბეჭდის დასმით ეგზავნებოდა დირექციიდან მაზრის უფროსს, რომელიც ურიგებდა სოფლის მამასახლისებს, ეს უკანასკნელები კი, სანამ მასწავლებლებს გადასცემდნენ, მცხოვრებლებს ატყობინებდნენ, თუ როგორ მიდიოდა სწავლის საქმე სკოლებში — კარგათ, საშუალოთ თუ ცუდათ — წითელი ბილეთი იყო მონმობაზე დასმული, ლურჯი, თუ შავი. იმ დროს მასწავლებლებს საზოგადოება იწვევდა და დირექტორთან აგზავნიდა დასამტკიცებლათ. დირექტორი გამოცდიდა იმას და, თუ ღირსათ იცნობდა, ზემოხსენებულ მონმობას აძლევდა. თუ მასწავლებელი ორჯერ მიიღებდა შავ ბეჭედს, სოფელი იმას ადგილს აცლევინებდა და სხვა, უკეთესს მასწავლებლებს ეძებდა.

ტროიე სკოლებს წელიწადში ერთხელ მაინც ინახულებდა ხოლმე, მეტჯერ ვერ ასწრებდა, რადგან დიდი რაიონი ჰქონდა მოსავლელი, სიამოვნებით ელოდებოდნენ იმის მოსვლას მასწავლებლები. ამხა-

ნაგური მოპყრობა იცოდა და კარგათაც აფასებდა მასწავლებლის შრომას. შეგირდებსაც ძალიან უყვარდათ იგი, რადგან უბრალო და ჭკვიანური კითხვების მიცემა იცოდა კლასში; მასთან შეგირდებს მეტი სიცოცხლე და გულის ყური ეტყობოდათ. სკოლაში უთუოთ ერთი დღე და ღამე უნდა დარჩენილიყო. იმ დროის განმავლობაში, როცა სკოლის დათვალიერებას მორჩებოდა, სულ მასწავლებელს ებაახებოდა და ისე არ წავიდოდა, რომ მსმენელს რამე ახალი არ შეეძინა მისგან. სკოლის საჭიროების გამო უფრო სოფლის გავლენიან გლეხებს მიმართავდა ხოლმე: „მამასახლისს ბევრი უფროსები ყვანან და ამიტომ, დრო არ აქვს სკოლის საქმეებზე იზრუნოს. თვით ხალხმა უნდა ითავოს მისი სკოლის საქმეები, მამინ უფრო შეიყვარებს სკოლას და მეტ სარგებლობას მოატანინებს“.

1873 წლის 15 სექტემბერს დაპირებისამებრ ტროიემ მთელი ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები მოიწვია დაბა ხონში. გზის, ბინის და სასმელ-საჭმელის ხარჯი ხაზინიდან ეძლეოდათ მასწავლებლებს. კრება გაიხსნა ხონის მაშინდელ ორკლასიან სასწავლებელში. ეს კრება ოზურგეთის კრებიდან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ ყველაფერი გათვალისწინებული იყო, ისე ნაუცბადევით არ იყო მოწყობილი, როგორც ოზურგეთში: სკოლის დარბაზის კედლები თვით ტროიეს ხელით დანერილი კრების მსვლელობის წეს-რიგის ქალაქდებით იყო აჭრელებული. კრების მეცადინეობა სამ ნაწილათ იყოფოდა: სანიმუშო და საცდელი გაკვეთილები, გაკვეთილების გარჩევა-დაფასება და ლექციების კითხვა. სხვათა შორის, ლექციებსაც თვითონ ტროიე კითხულობდა პედაგოგიიდან, დიდაქტიკიდან და სხვა საზოგადო საგნებიდან. ეს ლექციები ძალიან საინტერესო იყო. მსმენელთა გონებრივ განვითარებასთან შეთანხმებულათ იყო შედგენილი — რაც შეიძლებოდა პოპულიარულათ. მასწავლებლები ამ კრებაზე ბევრათ უკეთესი მომზადებული აღმოჩნდნენ, ვინემ ოზურგეთში. შედარებით უფრო მეტი ცოდნა და სიცოცხლე ქუთაისის სასულიერო სკოლაში კურს დამთავრებულებს ეტყობოდათ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ესენი განსვენებული ნიჭიერი პედაგოგის გერასიმე კალანდრიშვილის შეგირდები იყვნენ.

მასწავლებლებში ოფიციალური კრების გარეშეც აღიძრა კითხვები შეკავშირების და ურთიერთ დახმარების შესახებ. ა.ჯ.-მა წინადადება შემოიტანა მასწავლებელთა კასის დაარსების შესახებ. და პროექტიც ჰქონდა დამზადებული; ეს პროექტი არ განხორციელდა,

რადგან მასწავლებლების უმეტესობა ჯერ არ იყო ამ საქმისთვის მომზადებული, თუმცა ბევრი სჯა და ბაასი კი გამოიწვია მასწავლებლებში. იმ დროს ჩვენშიაც იჩინა თავი რუსეთის „ნაროდნიკულმა“ მოძრაობამ, ამიტომ ადმინისტრაცია ფხიზლათ ადევნებდა თვალყურს ყოველსავე ახალ მოვლენას ჩვენში. პროექტის შინაარსი ვილაცამ სულ სხვანაირათ გადასცა ჟანდარმერიას, რის გამო ზოგიერთი სკოლები გაჩხრიკეს — სხვათა შორის ა.ჯ.-ლის პროექტს ეძებდნენ. ბევრი მასწავლებელი დაიტანჯებოდა ტყვილა უბრალოთ, რომ აქაც ტროიე არ დახმარებოდა.

ამ კრებამ ხუთმეტ დღეს გასტანა და ძლიერ კარგათაც იმოქმედა მასწავლებლებზე: სულ ერთიან გამოცოცხლებულნი და იმედით აღსავსენი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სკოლებში.

უკანასკნელ კრებას, რომელიც გაიმართა დ. ხონში* ორი ხელმძღვანელი ყავდა ბ.ტროიე და მისი თანაშემწე კ.ქ.-ლი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ტროიეს სურვილის თანახმად დანიშნა მთავრობამ. ქ-ლი სანიმუშო გაკვეთილებს აძლევდა ხოლმე კრებაზე და კარგიც იყო მისი გაკვეთილები, ტროიე კი ლექციებს კითხულობდა და გაკვეთილების გარჩევის დროს თავმჯდომარეობდა კრებას. ამ კრებაზე კიდევ უკეთესად მიდიოდა საქმე, რადგან ტროიეს სწავლების სისტემა ბევრს კარგათ შეეთვისებია და ახალი მასწავლებლებიც შედარებით კარგები შემატებოდა ჩვენს სკოლას წლის განმავლობაში.

ეს კრებაც ჩვეულებრივ ძალიან საინტერესო იყო, როგორც პრაქტიკული მეცადინეობით, ისე ლექციებით და გარეშე საზოგადოებაც მეტი ესწრებოდა. კრება ჩვეულებრივ დირექტორის გამოსათხოვარი სიტყვით დასრულდა. ამ სიტყვაში მან კრებას, სხვათა შორის, სკოლების წინა სამოსწავლო წლის დათვალეირების შედეგები შეატყობია და სიხარული გამოთქვა, რომ ქუთაისის გუბერნიის სკოლების საქმე საზოგადოთ წინ მიდის. ამასთან, ზოგიერთი ნაკლიც აღნიშნა და ამ ნაკლის გასწორების საშუალებაზეც მიუთითა მასწავლებლებს.

ამ კრებით გათავდა ტროიეს მოღვაწეობა. ამის შემდეგ იმას ჩვენი სკოლები აღარ დაუთვალეირებია, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1881 წელში მიიცვალა. სიკვდილის წინ ძალიან სწუხდა, რომ

*. ტროიემ თავის დირექტორობაში სულ 4 კრება გამართა მასწავლებლებისა: ოზურგეთში 1872 წ. 7-18 სექტემბრამდე
ხონში 1873 წ. 15-30 სექტემბრამდე
ხონში 1874 წ. 15-26 სექტემბრამდე
ხონში 1876 წ. 16-30 სექტემბრამდე.

მისი ნაკვეთი-ნაღვანი სკოლები ისეთი კაცის ხელში გადავიდა, რომელსაც ამ საქმის მაინცა და მაინც ბევრი არაფერი გაეგებოდა. ეს კაცი ბ.მარსოვი იყო. ის არ იყო ურიგო კაცი, მაგრამ როგორც პედაგოგი სუსტობდა. მარსოვი ერთი დიდი კაცის გუვერნიორათ ნამყოფი იყო და პროტექციით იშოვა ეს ადგილი.

გურიის სკოლების არსებობის პირველ ხანებში მასწავლებლობა მეტად საძნელო იყო. მაშინდელი სოფლის სკოლა მოთავსებული იყო ან სოფლის კანცელარიის ერთ-ერთ ოთახში, სადაც კანცელარიაში შეკრებილი ხალხის ხმაურობა ხშირათ ხელს უშლიდა მასწავლებელს, ან და რომელსამე ორ თვალ ფარღალალა ხის ოდაში, სადაც ზამთრობით აუტანელი სიცივე იყო. ასეთ ოდის ერთ თვალში, რასაკვირველია, უმცროსში, მასწავლებლის ბინა იყო მოთავსებული, ხოლო მეორეში — კლასი. კლასის ოთახი ასე იყო მოწყობილი: გახუნებული, უხეირო კლასის დაფა, თითქმის კედლიდან კედლამდე გამწვანე გრძელი მაგიდები, რომელთ ერთი მხრიდან მიშენებული ჰქონდა იმავე სიგრძის უზურგო სკამები. ასეთი პარტების წინ იდგა ერთი „ტაბურეტი“ მასწავლებლისათვის. ერთ კუთხეში იყო ამოყვანილი უზარმაზარი ბუხარი, რომელშიც ზამთრობით, სწავლის დროს, განუწყვეტლივ უნდა ნთებულიყო ცეცხლი, რომ შორიდან მოსული წვიმიტა და თოვლ-ჭყაპით განუწული შეგირდები ცოტათი შემთბარიყვენ და ტანზე სველი ტანისამოსი შემოშრობოდათ. მაგრამ ხშირად შეშის უქონლობის გამო ბუხარი ცივი იყო, რის გამო მასწავლებელი და უფრო შეგირდები სიცივისაგან კანკალებდნ. სკოლა იმ დროს ყველა ერთ კლასიანი იყო, მასწავლებელს სამ განყოფილებაში უწევდა მეცადინეობა, რადგან თითოეულ სკოლაში თითო მასწავლებელი იყო.

ამას უნდა დაუმატოთ მაშინდელი სოფლის მაუწყებლობა — მეტადრე გზების უკიდურესი უვარგისობა; ზოგი შეგირდების შორი მანძილიდან სკოლაში სიარული (თითოეულ სოფლის საზოგადოებაში მაშინ მხოლოდ თითო სკოლა იყო, რის გამოც ხშირად საზოგადოების განაპირა ადგილებში მცხოვრებ შეგირდებს დაახლოებით დღეში 5-6 ვერსი გზის გავლა უხდებოდა, გურიის სოფლების დიდ სივრცეზე გაფანტვის გამო), შეუგნებლობა, სიღარიბე, სკოლის კარგათ მოწყობის მნიშვნელობის არ ცოდნა, ხშირად მასწავლებლისადმი უსამართლოდ მოპყრობა და სხვ.

მასწავლებლების განვითარებას, მათი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არაფერი არ უწყობდა ხელს მაშინდელ სოფელ-

ში; ერთად ერთი ნეტარხსენებული პეტრე უმიკაშვილის „სასოფლო გაზეთი“ მოდიოდა სოფლის სამმართველოში. არავითარი კულტურული დაწესებულება არსად არ მოიპოვებოდა; ვერც ერთ ინტელიგენტს ვერ ნახავდით იქ. გასართობათ შესაკრებელი ადგილი იყო სოფლის „კანცელარია“, ინტელიგენტი — სოფლის მწერალი. მაშინდელი უკეთესი სკოლის წიგთ-საცავს შეადგენდა დირექტორის მიერ გამოგზავნილი რამდენიმე პედაგოგიური წიგნები და ბროშურები, გოგებაშვილის „ბუნების კარი“, კალანდარიშვილის „Курс русского языка для грузинь“ და იშვიათად „ვეფხის ტყაოსანი“.

მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობაც, რა თქმა უნდა, ვერ იყო სახარბიელო. სოფლის მასწავლებლებისათვის ჯამაგირის ნორმა არ ყოფილა დაწესებული. თითოეული საზოგადოება მასწავლებელს ჯამაგირში ვაჭრობით ურიგდებოდა, რის გამო ზოგს 90 მანეთი ჰქონდა წელიწადში, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები, მაგრამ ამასაც წლის ბოლოს იღებდა დიდი გაჭირვებით. გლეხები მასწავლებლობას იმ დროს შრომათ არ სთვლიდენ, როცა საზოგადოება მასწავლებელს ურიგდებოდა — პირობაზე ხელს აწერიანებდა, რომ თუ ვინიცობაა ერთი წლის მერე მონიდომებდა სხვაგან გადასვლას ან მასწავლებლობის თავის დაწებებას — ორი თვით წინ-და-წინ შეატყობინებდა „სოფელს“, რომ ამ ხნის განმავლობაში ახალი მასწავლებელი მოეძებნათ.

ასეთ გარემოებაში მყოფ მასწავლებელს ბევრს ვერას მოსთხოვდი, მაგრამ მიუხედავად ამისა ის, შეძლების დავგარად, ბევრს შრომობდა; უკეთ, რომ ვსთქვათ, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ კარგი მონაფეები ყოლოდა წლის ბოლოს. მან იცოდა რა გაეკეთებია სკოლაში — ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა, რომლისგანაც ნება ჰქონდა დართული ისე ემუშავნა სკოლაში, როგორც თვითონ ეადვილებოდა, ოღონდ კარგი შედეგი მოჰყოლოდა ამ მუშაობას. ტროიეს, როგორც ხერხიან პედაგოგს, ისე ქონდა მონყობილი საქმე, რომ მასწავლებელი, რაც უნდა ზარმაცი და დაუდევარი ყოფილიყო, შრომას ვერ აუხვევდა გვერდს: მისი შრომის ნაყოფი საყოველთაოდ, აშკარავდებოდა ხოლმე მოსალოდნელი რევიზიის წყალობით — სკოლაში წარმატების შესაფერი ბეჭდის დასმით მონმოზაზე. ამას გარდა მასწავლებლებს დავალებული ჰქონდათ ყოველ ორ თვეში სკოლაში დასწავლილი საგნების კონსპექტი გაეგზავნათ დირექტორისათვის.

როცა სწავლის წელიწადი გათავდებოდა და ეგზამენები ახლოვდებოდა — მასწავლებლები რაიონებად ჰყოფდნენ სკოლებს და ჯგუ-

ფებად იყოფოდნენ. თითოეული ჯგუფის შემადგენელი მასწავლებლები ერთი მეორის სკოლის ეგზამენებზე ესწრებოდნენ, ეცნობოდნენ სკოლებს, ადარებდნენ ერთი მეორეს და ღირსება-ნაკლულეევანებას აღნიშნავდნენ ხოლმე.

სოფელი სკოლას წმინდა პრაკტიკულის თვალსაზრისით უყურებდა; კურს დამთავრებულებს ხშირათ სოფლის მწერლების თანაშემწით აძლევდა, რომ შემდეგში მწერალი გამხდარიყო და ჯამაგირი ჰქონოდა ან და ვინმე სოფლის მედუქნეს მიაბარებდა. უფრო შეუგნებელ გლეხს სკოლიდან გამოყავდა შვილი და ყანის მუშაობაში იშველიებდა. ერთ სკოლაში გურული გლეხი შევიდა და გაკვეთილებს დაესწრო. ამ გლეხის შვილიც სწავლობდა იქ. გლეხი ყველა გაკვეთილების გათავებამდე კლასში დარჩა და თავის შვილს ადევნებდა თვალყურს. სხვათა შორის მასწავლებელმა, როცა ბავშვს შეატყო დაღალვა და იმით გამონვეული უყურადღებობა სწავლისადმი — ფანჯრები გააღო და შეგირდებს საკლასო გიმნასტიკაში ვარჯიშობა დაანყებია; გლეხი გულ-მოდგინეთ უგდებდა ყურს ყველა ამას. გათავდა გაკვეთილები. ყველანი კლასიდან სკოლის ეზოში გავიდნენ. გლეხი მიდის მასწავლებელთან, თან თავის შვილს მიიყვანს და ეუბნება: „დიდი მადლობელი ვარ, უჩიტელო! ამ ჩემს ბიჭს, რაც მისდა საჭირო იყო, ყველაყაი უსტავლია. ამდენ ხანს იმისთანა ზარმაცი იყო, რომ სანამდი ნაღობარს არ გადავატეხდი ზურგზე, ვერ ავაყენებდი. ახლა, აგიშენდა ოჯახი, გამაკეთე კაცი: შენ რომ ერთი დაუძახე, ადექიო — ადგა, დაჯექიო — დაჯდა; წიგნიც ქე უსტავლია და ციფრიც ორმოცამდი ცოდნია. მე ამდენიც არ მინდოდა — სტორეთ ოზდაათი ფხარი ლოზე შეხვთება მაგას გასალობი,* ამას ქე იანგარიშებს, მოკითხვის წიგნსაც წამიკითხავს და დამინერს; მეტი სტავლა არ მინდა მაგის. მიდი ნიკოია, ხელზე აკოცე უჩიტელს და შინ წევიდეთ“. მასწავლებელს ჯერ ეს ხუმრობა ეგონა, მერე, როცა დარწმუნდა, გლეხი აღარ ხუმრობსო, ბევრი ეხვეწა არ გამოეყვანა ბავშვი სკოლიდან, მაგრამ ვერაფერი გაანყო. ამ გვართ ბევრი ნიჭიერი ბავშვი დაკარგვია სკოლას.

ქალებს სკოლაში მაშინ აძლევდნენ, თუ ვაჟებს ადგილი გადარჩებოდათ. ეს ძლიერ იშვიათად მოხდებოდა ხოლმე: სკოლები სულ ყოველ-

*. გურიამი იმ დროს ყანას ყოველ წელიწადს ღობავდნენ: თხემლას წნელი ერთი წლის მეტს ვერ სძლებს.

თვის სავსე იყო შეგირდებით და ვაჟებიც ბევრი რჩებოდა სკოლის გარეთ. „რათ უნდა ციცკას სწავლა, მწერლათ და ჩინონიკათ ხომ ვერ წავა და ჯამაგირში ვერ დადგება: ქალი შინ უნდა იყოს, მისი საქმე ქმარი და ოჯახობაა“. ასე სჯიდა მაშინდელი გურული გლეხი. ამ გარემოებას მაშინდელი უფრო შეგნებული მასწავლებლები ჩაუფიქრდნენ და ერთ შემთხვევით თავშეყრილობაზე საჯაროთ სიტყვა მისცეს ერთმანეთს: არამც და არამც უსწავლელი, სოფლის სკოლა დაუმთავრებელი ქალი არავინ მათგანმა მაინც არ შეირთოს ცოლათ. ეს ამბავი ჩქარა გავრცელდა ხალხში და მართლაც, ცოტა არ იყოს, ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო და დრომაც თავისი გაიტანა: ბოლო ხანს ქალის სწავლასაც მიაქციეს გურულებმა ყურადღება და დარწმუნდნენ, რომ ნასწავლი ქალი ვაჟებზე უფრო მოყვარული და ერთგულია მშობლებისა და საქმიანობაშიც უკან არ ჩამორჩება თავის ძმას.

შინ დარჩენილი სოფლის სკოლის კურს დამთავრებული ბავში ვერას ხდებოდა სოფელში. დროის განმავლობაში ის ისეთივე უფიც გლეხათ რჩებოდა, როგორიც იმისი მამა იყო. თვით განვითარებას ხალხში სრულიად ხელს არაფერი უწყობდა. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სოფელში მაშინ ვერავითარ კულტურულ დაწესებულებას ვერ შეხვდებოდით. აუარებული მოთხოვნილება: სასოფლო და სახელმწიფო გადასახადები, ფულის ნაკლებობა, მიწის სივიწროვე, ნადელები, დრამის ფული, მებატონის მიწაზე სანახევროთ მუშაობა და სხვა ილაჯს უწყვეტდა გლეხს, თითქმის მთელ წელიწადში ფიზიკურ აუტანელ შრომაში და ტანჯვაში იყო ჩაბმული და ცოლშვილის გამოსაკვებ მჭადს ძლივს იწევდა. ასეთს გარემოებაში ჩავარდნილი, სამ განყოფილებიან სკოლაში კურს დამთავრებული სოფელში პირუტყვივით ყოველ ცისმარად დღე ფიზიკურ შრომის უღელში გაბმული გლეხის ბავში როგორ წავიდოდა წინ? როგორ გამოადგებოდა ოჯახს, სოფელს! პირიქით — იმასაც ივიწყებდა, რაც სკოლაში შეიძინა. ამ გარემოებასაც შეძლების დაგვარათ ანგარიშს უწევდა მაშინდელი უფრო შეგნებული ნაწილი მასწავლებლებისა. ის ყოველ ღონისძიებას ხმარობდა გზა გაეკვლია თავისი შეგირდებისთვის: უფრო ნიჭიერები ქალაქის სკოლებში მიეზარებია სწავლის გასაგრძობათ, ხოლო სხვები რამე ხელობაში ჩაეყენებია — რკინის გზის დებოში, რკინის გზისავე დაბალ მოსამსახურეთ, ნოქრებათ და სხვ. ეს საჭირო იყო მისთვის, რომ სოფელს სკოლაზე გული არ აეყარა, სკოლას რაც შეიძლება მეტი ფასი დასდებოდა გლეხების თვალში.

ცნობილია, რომ გურული გლეხი საზოგადოთ არ არის ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხის გლეხებზე კონსერვატორი, იმას ერთ ადგილას ბეკნა, ძველებურათ ცხოვრება არ უყვარს — ის ბუნებით პროგრესის მოყვარულია, წინ იცქირება, ცხოვრების განახლებას ცდილობს; უსარგებლო ძველ ჩვეულებას ადვილათ იშორებს თავიდან, ახალსაც ადვილად ეგუება, ადვილათაც დაითანხმებ საქმეში, ამყოლია.

გურული გლეხის ასეთი თვისებები ხელსაყრელი დარჩა მასწავლებლისათვის: უმეტესობა მასწავლებლის რჩევა-დარიგებას დაენდო, ყანაში და ოჯახში მშველელი შვილი გვერდიდან მოიგლიჯა, ქალაქის სასწავლებელში მიაბარა. ღარიბი გლეხი არ ზოგავს თავს, ყიდის სახლს, ძროხას, ხარებს და ალებულ ფულს შვილის გამოზრდაში ხარჯავს: იმედი აქვს მისი შვილი სწავლას დაასრულებს, კაცებში გაერევა, ოჯახისა და ქვეყნის სასარგებლო კაცი გახდება.

მაშინდელ საუკეთესო სკოლაში კურს დამთავრებულმა ბავშვმა იცოდა: ქართული ენიდან უცნობი სტატიების გარკვეულათ კითხვა, თავისი სიტყვებით შინაარსის მოკლეთ გადმოცემა და დაწერა; აგრეთვე ნახულისა და გაგონილის გადმოცემა და დაწერა, რამოდენიმე ლექსები ზეპირათ, ამ ლექსების ავტორის ვინაობა მოკლეთ და სუფთა წერა*. სამოციანი წლების გატაცება და გამოცოცხლება რეაქციით შეიცვალა. პოლიტიკურისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში მაჯის ცემა შეწყდა და მთელი რუსეთი უძრავ ჭაობს დაემსგავსა. ყველა უწყებებში მკვდარი უსულო ბიუროკრატიზმი გამეფდა. სახალხო სკოლაც საერთო ბედის მოზიარე გახდა. ახალი მზრუნველი, ბიანოვსკი ამ ხანის ტიპიური წარმომადგენელი იყო; მოსვლისთანავე ძველს სკოლას ომი გამოუცხადა — შიგ პოლიტიკა გაამეფა. თითო ოროლა ჩვენი საზოგადოების გულშემატივარმა

* თუ რამდენად კარგად იცოდენ მოსწავლეებმა სუფთა წერა მაშინდელ უკეთეს სკოლებში, შემდეგი მაგალითიდან სჩანს: იმ დროს ქალაქის სკოლებში შემოღებული იყო სუფთა წერის სანიმუშოთ თბილისში დაბეჭდილი დედანი, რომელსაც კანზე ეწერა „ქართული პროპისი“. ამ „პროპისის“ კანზევე ლამაზად იყო დახატული გველის ტანის დიდი რგოლი, ხახა დაღებული და ისარ გამოწვილი, თავი გველს ზევით ჰქონდა აღერილი. ამ „პროპისის“ ტექსტში შეგხვდებოდათ ასეთი ფრაზები: „სიმდიდრე არს ორღანო ყოველთა ვნებათა...“ ნიმუშები ლამაზად იყო დაწერილი. ეს დედანი ხმარებაში იყო ოზურგეთის 1 საერო და სასულიერო სკოლებში. რადგან წიგნები და სასწავლო ნივთები ოზურგეთში არ იყიდებოდა, ეს დედანიც ძნელი საშოვარი იყო. ერთი სოფლის სკოლის მონაწიეებს ეშოვნათ ასეთი დედანი და ისე უნაკლულთ გადაეღოთ, რომ ნამდვილ დედნათ ასალებდენ ოზურგეთის სასწავლებლის შეგირდებში იმავე ფასათ, რა ფასშიც იყიდებოდა ნაბეჭდი დედანი.

შეგნებულმა პირებმა ამ მოვლენის წინააღმდეგობის განწევა სცადეს, მაგრამ ეს ცდა თითქმის ყოველთვის მარცხით გადავდა: ხალხი მათ ზურგს არ უმაგრებდა, მოქალაქეობრივი გაბედულობა და სამშობლოს სიყვარული ჩვენში სუსტი იყო. იმ დროს ინტელიგენცია ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვებოდა, მაგრამ იმას გარდა იმ მცირე ნაწილსა, რომელიც უფრო მწერლობის ასპარეზზე მუშაობდა, ქვეყნის საერთო გაჭირვება არაფრად მიაჩნდა; ხალხთან დაახლოვებას და მისი ჭირ-ვარამის გაგებას არ კადრულობდა. უნიჭიერესი ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა ქვეყნის სამსახურს ვექილობაზე ცვლიდა, მარტო თავის საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა მუდამ, გარეშე ამისა ფიქრი სისულელეთ მიაჩნდა. აქ მოვიყვან მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის დამახასიათებელ ერთ ფაქტს. ერთხელ, როცა ბ.იანოვსკიმ და კომპანიამ ჩვენს სამღვდელოებაზე უწმინდეს სინოდს დაბეზღების ქალაღი გაუგზავნა — ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოება ხელს უშლის ამ გუბერნიაში რუსის კულტურის გავრცელებას* და ნეტარხსენებულმა იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა შესაფერი პასუხი დაამზადა სინოდში გასაგზავნათ, ქუთაისის ინტელიგენციამ შეიტყო ეს, შეშინდა და გაბრიელს დეპუტაცია გაუგზავნა: „არ დაგვლუპო, არამც და არამც არ გაგზავნო სინოდში ეს ქალაღი, თორემ ცუდ დღეს დაგაყენებენ“. ეპისკოპოზმა დეპუტაცია საკადრისი პასუხით გამოისტუმრა: „ეს პირადი ჩემი საქმეა, თქვენ არ შეგეხებათ და ნურც ინუხებთ ჩემთვის თავსო“. გაბრიელმა, რა თქმა უნდა, მანც გაგზავნა თავისი პასუხი, რომელიც ისე ნიჭიერათ, ისეთი გაბედული და გულწრფელი კილოთი იყო დაწერილი, რომ სინოდის წევრებში და ობერ-პროკურორ პობედონოსცევზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამავე დროს საშუალო და დაბალ სკოლებში კურს დამთავრებული ახალგაზრდობა და ბევრი უმაღლესი სწავლით აღჭურვილიც ჩინოვნიკობას ეტანებოდენ და მხოლოდ თავიანთ საკუთარ მომავალზე ზრუნავდენ. ამიტომ „სამსახურს“ გადაჭარბებული ერთგულებით და ბეჯითობით ასრულებდენ, უფროსების ყურადღების დამსახურების მოლოდინში თავიანთ მოძმეთ დაუზოგავათ ეპყრობოდენ, ზნეობრივათ ამდაბლებდენ და ქონებრივ ზიანსაც აყენებდენ; ისინი ისეთ რამეებს სჩადიოდენ ჩვენში, რაც რუს „ჩინოვნიკს“ ფიქრადაც

* იხ. 1911 წ. „Закавказ. Речь“-ის NN164 და 165, სადაც მოთავსებულია სხვათა შორის იანოვსკის საჩივარი და გაბრიელ ეპისკოპოზის პასუხი.

არ მოუვიდოდა. ხშირად გამიგონია გლეხებისგან: „რუსი ჩინოვნიკი ბევრათ უკეთესია ჩვენთვის, ვინემ ქართველიო“; გაცოცხლებული იყვნენ ზოგიერთების უდიერი საქციელით. ეხლაც წყევლა-კრულვით იხსენიებს ხალხი იმათ ხსოვნას გურიაში.

ამავე დროს ინტელიგენტთა და ჩინოვნიკთა ოჯახებში მშობლები უცხო ენის და ზნე-ჩვეულების გამტკიცებას ენეოდენ: დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდენ იმათი შვილები ჩინოვნიკურ ზნე-ჩვეულებას და დაბეჩავებული დაბალი ხალხის მწველელ ფურათ მიჩნევას. ყოველივე ჩვენებური აქ სირცხვილათ მიაჩნდათ; კაცი იგი იყო, ვინც რუსულათ ლაპარაკობდა, თუნდაც ის სხვაფრივ ზნე დაცემული და უვიცი ყოფილიყო. ერთი სიტყვით ჩვენში ქვეყნის შემძლებელი და ნასწავლი ნაწილის დიდი უმეტესობა მომავალ თაობას თავის ნებით მიერეკებოდა იმ კალაპოტისაკენ, რომელსაც ბ.ბ.იანოვსკები უმზადებდენ ჩვენ ქვეყანას. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ზოგი ჩვენი მასწავლებელიც პირადი სარგებლობისათვის ხელს უწყობდა მთავრობის პოლიტიკას და ეროვნულ სკოლას ღალატობდა თავისი მიზნის მისაღწევათ.

ამ გარემოებაში აბა რას გააწყობდა ერთი-ორი და თუ გინდ ათიც გულშემატკივარი პირი იანოვსკისთან, იმ ნიჭიერ ბიუროკრატთან, რომელსაც ცენტრალური მთავრობა გვერდში ედგა მშველელათ.

1880 წელში ბ.იანოვსკის ნებით ქუთაისში მასწავლებლების კრება გაიმართა. ამ კრებას დიდი სიხარულით და იმედებით შეხვდა ზოგი ჩვენი გულუბრყვილო საზოგადო მოღვაწე, რადგან მის (კრების) უმთავრეს მიზანს შეადგენდა ჩვენი სკოლებისთვის ახალი პროგრამის შედგენა და ადგილობრივ საზოგადოებასაც ვითომ სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული მონაწილეობა მიელო კრების საკითხების გადანყვეტაში. ამ გვართ გარეგანი შეხედულებით ეს კრება მიმართული იყო ჩვენი დაბალი სკოლების ეროვნულ ნორმალურ ნიადაგზე დაყენებისაკენ. მაგრამ შედეგმა, რომელიც მოჰყვა კრებას, ნათლად დაგვანახვა, რომ ის პროვოკაცია იყო. ერთის მხრით მზრუნველს სურდა მასწავლებლების და საზოგადოების გამოცდა, იმათი სურვილების შეტყობა და ამ სურვილების ასრულებისკენ მიმართული გზის დახშობა; მეორე მხრით, სურდა ძველი მოხელეების, რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გაჟღენთილი იმ ანტიპედაგოგიური მისწრაფებით, რომელსაც იგი აწარმოებდა ჩვენს სკოლაში, „ჭკუის სწავლება“ ან სრულიად თავიდან მოშორება და იმათ ადგილებზე თავისი

კანდიდატების დანიშვნა. ეს მართლაც ასე მოხდა, მასწავლებლის მიერ ახალი პროგრამა არა თუ არ დაამტკიცა, დანაშაულათაც ჩაუთვალა იმის შედგენა, ხოლო დირექტორი მარსოვი, რომელიც კრებას ხელმძღვანელობდა, და ცნობილი პედაგოგი, გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი ბ.სემენოვი, მისივე (იანოვსკის) განკარგულებით გამოგზავნილი კრებაზე დასასწრებლათ, ადგილებიდან დაითხოვა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ მასწავლებელთა კრება აღარ მოუხდენიათ. ამ გვარათ იანოვსკიმ მოუსპო სახალხო მასწავლებლებს ერთმანეთთან დაახლოვების, შეკავშირებით, გაერთიანებული ძალით თავიანთ სკოლების სასარგებლოთ მუშაობის და თვით განვითარების საშუალება. თუ სადმე მოხდა კრება ერთი ან ორი დღით და ისიც მხოლოდ ძალიან ვიწრო რაიონის მასწავლებელთა, მთავრობის პოლიტიკის გასაყვანათ. დაქსაქსული მასწავლებლები უფროსების ბრძანების ბეჯითი ამსრულებელნი შეიქნენ; გარკვეული პროგრამა სკოლაში არ მოიპოვებოდა, თუ 1881 წლის სასწავლ გეგმას არ ჩავსთვლით პროგრამათ. თითოეული უფროსი, ინსპექტორიდან დაწყებული ვიდრე მზრუნველამდი, რომელიც დაათვალიერებდა სკოლას, თავის საკუთარი პედაგოგიური შეგნების თანახმათ თხოულობდა სწავლების მეთოდს, თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებდა. მასწავლებელმა არ იცოდა ვისთვის დაეჯერებია და რა ესწავლებია. ერთი სიტყვით სახალხო სკოლას გზა აერია და საბოლოათ დაჰკარგა გარკვეული სახე და მიმართულება.

ქუთაისის კრების შესახებაც ბევრს ვერ ვიტყვით. კრება ორგანიზაციულათ ვერ იყო რიგიანათ მონყობილი. ეტყობოდა გამოცდილი ხელმძღვანელი არ ჰყავდა. იქაური პროფესიანული სკოლის დარბაზი, რომელშიაც შესდგა კრება, ძალიან ვიწრო გამოდგა კრებისთვის, რადგან დიდძალი მასწავლებლები იყო მონვეული და საზოგადოებაც ბლომად ესწრებოდა, მხოლოთ სასეიროთ, განსაკუთრებით ქალები. ამასთან არავითარი გეგმა არ უნდა ყოფილიყო ამ კრებისათვის წინ წინ შემუშავებული; წეს-რიგი სუსტობდა. კრებას ხელმძღვანელოდა დირექტორი მარსოვი. თუმცა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ადგილობრივ მცხოვრებლებსაც ჰქონდათ ნება დართული სასწავლო მთავრობისგან კრების მეცადინეობაში მონაწილეობის მიღებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო პატივცემული კ.ბ.ლ-ნიძე და ბ.ი.ფ-ძე იღებდენ მონაწილეობას ბაასში. უკანასკნელი (ფ-ძე) ძლიერ შეუსაბამოთ იქცეოდა, ისეთ რამეებს მოითხოვდა ხოლმე, რაც არ უდგე-

ბოდა განახლებულ სკოლას. ის უფრო ძველი სკოლის წესების აღდგენისაკენ მიისწრაფებოდა, მაგალითად, სხვათა შორის, მან ასეთი წინადადება შემოიტანა: თითოეული გაკვეთილის წინ და გათავების შემდეგ ლოცვა შემოვიღოთ სოფლის სკოლაშიო. ამის დაგვართ ხუთი გაკვეთილის გათავებამდი ათჯერ უნდა ელოცნათ მოსწავლეებს! ეს წინადადება, რომელმაც სიცილი გამოიწვია კრებაში, რასაკვირველია, უარყოფილ იქმნა.

კრების მუშაობა ასე იყო განაწილებული: დილის 8 საათიდან 2 საათამდე სანიმუშო და საცდელ გაკვეთილებს აძლევდენ. საღამოს 6 საათიდან იწყებოდა გაკვეთილების გარჩევა-დაფასება, ამის შემდეგ პროგრამის შესახებ ბაასი. კრების პირველ ხანებში მარტო მარსოვი იყო ხელმძღვანელი. ბინის სივინროვის გამო კრება ქალაქის თვითმმართველობის სახლში გადადის. ამასობაში ბ.სემენოვიც მოვიდა. როგორც მაშინ ამბობდენ, ის გაგზავნილი იყო სამხრეთ რუსეთში იქაური სასოფლო სკოლების შესასწავლათ და იქიდან დაებარებია მზრუნველს ქუთაისის მასწავლებლების კრებაზე დასასწრებლად. სემენოვს დიდი ამბით შეხვდა დირექ. მარსოვი; იმას „ძვირფასი სტუმრის“ სახელით იხსენიებდა ხოლმე კრებაზე. პროგრამის შემდგენელნი სექციებად იყვნენ დაყოფილი. ქართული სექციის თავმჯდომარეთ ბ.ა.ჭ-ძე იყო, ართმეტიკის, თუ არ ცვდები, მასწავლებელი ნი-ძე, სამღვთო სჯულის ან განსვენებული დეკანოზი დავით ღამბაშიძე, წარსულში, მგონი, მაშინდელი პროგიმნაზიის მასწავლებელი ბა-ჩი. კრების პრაქტიკული მუშაობა, გაკვეთილების მიცემა მრევლოვის ნორმალურ პირველ დანყებით სკოლაში ხდებოდა. მეცადინეობა საღვთო სჯულიდან დაიწყო. ამ საგანში სანიმუშო გაკვეთილი ჩვენში კარგათ ცნობილმა დეკანოზმა დ.ღამბაშიძემ მისცა. ამ გაკვეთილს ნეტარხსენებული იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი უნდა დასწრებოდა. ამიტომ მთელი კრება, მისი ხელმძღვანელნი და ქუთაისის თითქმის ყველა მასწავლებლის უფროსები სკოლის ეზოში უცდიდნენ მას. დილით ათი საათი იქნებოდა, როცა გაბრიელის ეტლი სკოლის ალაყაფის კარებს მოადგა, უფროსები მისცვივდნენ მას და ჩამოიყვანეს ეტლიდან. ის არ შეჩერებულა, ყველას, როგორც უფროსებს, ისე სოფლის მასწავლებლებს საერთო ჯვარი გადასახა და ჩქარის ნაბიჯით სკოლისკენ გაეშურა. სკოლაში ყველაფერი მზათ იყო. შეგირდები თავიანთ პარტებს უსხდნენ. როგორც მახსოვს, გაკვეთილი ქალწული მარიამის დაბადებას შეეხებოდა. მასწავლებელი რუსუ-

ლათ ასწავლიდა ამ მოთხრობას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, ბევრი დრო მოანდომა, მაგრამ მაინც ვერ შეითვისეს გაკვეთილი შეგირდებმა უცხო ენაზე, გაბრიელს სახეზე წყენა დაეცყო, მასწავლებელი შეაჩერა და ზრდილობიანათ სთხოვა ბავშვები გაეთავისუფლებია.

ამის შემდეგ ეპისკოპოზმა მიმართა მასწავლებლებს უბრალო, მშვენიერი გარკვეული სიტყვით. ამ სიტყვაში პირველათ მოაგონათ, თუ რა დიდი და ძნელი მოვალეობა აწევთ კისრათ, რამდენი გაჭირვება და დაბრკოლება გადაელობება იმათ წინ თავიანთ წმინდა მოვალეობის ასრულების დროს. მაგრამ როგორ მედგრათ და მოთმინებით უნდა აიტანონ ყოველივე ეს იმ იმედით, რომ იმათი ღვაწლი სარგებლობას მოუტანს ახალთაობას. შემდეგ გადავიდა სამშობლო ენის მნიშვნელობაზე სკოლაში და დიდ ხანს ილაპარაკა ამ საკითხის შესახებ. თუ სწავლა სკოლაში სამშობლო ენაზე არ წარმოებს — ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა. არა თუ დაბალ სკოლებში, გიმნაზიაშიც სწავლა სამშობლო ენაზე უნდა იყოსო. რა დიდი მეცდომია, როცა ზოგიერთების აზრით არა თუ სხვა საგნები, ასე გასინჯეთ საღვთო სჯულები უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს! ეს ხომ მომაკვდინებელი ცოდვაა და პირ და პირ ხელს შეუწყობს იმას, რომ ახალი თაობა სარწმუნოებაზე გულს აიყრისო და სხვ. ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებით დამსწრე რუს პედაგოგებზე. გაბრიელის სიტყვას ხშირათ მოიხსენებდა ხოლმე კრებაზე დირექტორი მარსოვი.

ქართული ენის ხელმძღვანელობა კრებაზე ა.ჭ-ნაძეს დააკისრეს. ის ღირსეულათ ასრულებდა ამ საქმეს. მის გაკვეთილებს საქმის მცოდნე და მოყვარული მასწავლებლის უნარი ეტყობოდა და ყოველთვის შესაფერი წარმატებით თავდებოდა. უმაღლესი სწავლით აღჭურვილი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი მასწავლებელი იყო ბ.ა.ჭ-ნაძე. მას საკუთარი კერძო სასწავლებელი ჰქონდა ქუთაისში და კარგადაც უძღვებოდა. მე მომისმენია იმ დროს მისი წერილი, მეგობრისადმი მიწერილი, რომელშიც ატყობიებდა თავის გაჭირვებას თავისივე სკოლის საქმეში სხვა და სხვა გარეშე დაბრკოლებათა წყალობით. ა.ჭ-ძემ თავისი სიმშვიდით, თავმდაბლობით და სერიოზული საქმიანობით მასწავლებელთა საერთო სიმპატია დაიმსახურა კრებაზე. პროგრამა მან შეადგინა და წაუკითხა კრებას. იმ პროგრამით ჩვენს სკოლაში სწავლის კურსი 4 წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო. ყოველი საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა, რუსული კი

ცალკე — როგორც საგანი. კრებამ მიიღო ეს პროგრამა და მზრუნველს წარუდგინა დასამტკიცებლათ, მაგრამ იგი არ დაამტკიცებს, დაინწყების ყუთში უკრეს თავი და მის მაგივრათ ჩვენს სკოლებს ეგრეთ წოდებული 1881 წლის სასწავლო გეგმა (учебный планъ 1881 г) შესთავაზეს. ყველამ იცის თუ რას წარმოადგენს თავის თავად ეს გეგმა, მაგრამ ჩვენი სკოლა ძალა უნებურათ დაკმაყოფილდა ამ ნაბოძები წყალობით.

კრების უმთავრესი ყურადღება პროგრამის შედგენას ჰქონდა მიქცეული. დიდათ საინტერესო კამათი გამოიწვია ამ საკითხმა, ამიტომ უმნიშვნელო არ იქნება მოკლეთ მოვიყვანო აქ საერთოთ იმის შინაარსი.

ოლქის მზრუნველის მიერ ცხრა კითხვა იყო დასმული, რომლებიდანაც მოვიყვან ჩვენთვის უფრო საინტერესო პირველ ოთხ კითხვას: 1. რომელ ენაზე უნდა იყოს საგნების სწავლება სოფლის სკოლაში? 2. რომელი წლიდან უნდა იწყებოდეს რუსული ენის სწავლება და რა მიმართულებით? 3. თვალსაჩინო სწავლა ცალკე საგნათ უნდა დაისვას თუ სხვა საგნებს უნდა შეუერთდეს? 4. რა მიზნისკენ უნდა მიისწრაფოდეს სოფლის სკოლა? და სხვ.

სემენოვმა (მზრუნველის რწმუნებულმა) ამ კითხვებს ესეთი ფორმა მისცა მსჯელობის დროს: გამოიწვია ერთ სხდომაზე კრებიდან სალაპარაკოთ ერთი მასწავლებელი, რომელთანაც გამართა კამათი.*

სემენოვი. რომელ ენაზე სჯობია სწავლის დანყება?

მასწავლებელი. რასაკვირველია, დედა ენაზე.

სემენოვი. მართალს ამბობთ, ქართველს ქართულ ენაზე უნდა ასწავლოთ უთუოდ, მაგრამ, რა სარგებლობა გამოდის აქედან?

მასწავლებელი. ბავშვს უნდა ელაპარაკო იმ ენაზე, რომელიც მას ესმის, რომ კარგად შეიგნოს ის საგანი, რასაც ასწავლიან.

სემენოვი. მართალია, მაგას თხოულობს პედაგოგის კანონი და სალი გონებაც; გარდა ამისა კიდევ რით არის კარგი დედა ენაზე სწავლება?

მასწავლებელი. როდესაც კაცი უხსნის...

სემენოვი. (ანწყვეტინებს) მართალია ფსიხოლოგიის კანონითაც სჩანს, რომ ბავშვს მის დედა ენაზე უნდა ვასწავლოთ, მაგრამ რუსული ენა არ უნდა ვისწავლოთ? დიახ, რუსული ენა უნდა ვისწავლოთ იმიტომ, რომ ის სახელმწიფო ენაა, გარდა ამისა კაცი სხვა და სხვა

*. იხ. სექტემბრის NN 1880 წ. „დროება“.

ენების სწავლით გონებრივად ვითარდება, რამდენათ მეტი ენაც იცის კაცმა, იმდენათ მეტად განვითარებულია. ამიტომ საჭიროა რუსული ენის სწავლება სოფლის სკოლაში.

მასწავლებელი. აქ, საქართველოში თუ გონების გასავითარებლათ მიუცილებელია რუსული ენის სწავლა, რატომ რუსეთშიაც არ ასწავლიან ამავე მიზნით რომელსამე უცხო ენას სახალხო სკოლებში.

სემენოვი. ქართულ ენაზე არ არსებობს არც საზოგადო გეოგრაფია, არც გეომეტრია, არც არითმეტიკა, არც ისტორია, არც ფიზიკა და სხვა წიგნები, რომ ყმანვილმა აიღოს ხელში და შეისწავლოს სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ; არც საჭირო ტერმინები არის ქართულ ენაზე. ამასთან, რას უნდა მივანეროთ ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ნასწავლ ქართველს — ქალსაც და კაცსაც — უფრო ეადვილება სჯა-ბაასი რუსულ ენაზე, ვინემ ქართულზე. მე თვითონ მინახავს: ქართველს ჯერ დაუწყია ბაასი ქართულათ და, როცა ველარ მოუხერხებია, გადასულა რუსულ ენაზე. გარდა ამისა ფორმალური ქალღებები სასამართლოებში და სხვაგან რუსულ ენაზე იწერება. ამისათვის უმჯობესი იქნება რუსულ ენას მიაქციოთ მეტი ყურადღება სოფლის სკოლაში და ლექსიური სწავლა რუსულისა პირველსავე წელიწადს დაიწყეთ. მაშინ, იმედია, რიგიანათ შეისწავლიან რუსულ ენას; რუსული ენის ქართულთან შესწავლა არა თუ არ ავნებს ქართულ ენას, არამედ კიდევაც გააადვილებს, რადგან შედარებითი სწავლა ორი ენის სიტყვებისა და ფრაზების არის ერთი გამაადვილებელი საშუალებათაგანი ენის შესწავლისა და სხვა.

კირილე ლორთქიფანიძე. თუ ჩვენ, ქართველებს, ამ დრომდე არ გვქონია სახელმძღვანელო წიგნები (არც ხელ მოკლებული ვყოფილვართ ამას, როგორც ზოგიერთებს გონია) ეს იმიტომ, რომ სწავლა სკოლებში რუსულ ენაზე იყო; ქართული სახელმძღვანელოების მოთხოვნილება არ იყო და ტყვილა უბრალოთ ვინ გასწევდა ხარჯს გამოცემისთვის. ეხლა კი რადგან დედა ენაზე იქნება სწავლა, სახელმძღვანელოებიც გვექნება და ტერმინებიც შემუშავდება.

სემენოვი (მიმართავს ერთ-ერთ მასწავლებელს) – მითხარით სინიდისით, დაუფარავათ, ზემოხსენებული საგნების გადაცემა, რომელ ენაზე უფრო გეადვილებათ, რუსულზე, თუ ქართულზე? თქვენი სკოლის დამთავრების შემდეგ რომ შეგიჩინებდნენ მოითხოვოს სხვა და სხვა წიგნები, მაგალითად, გეოგრაფია, ისტორია და სხვა ამისთანები, შეუძლია იშოვოს ქართულ ენაზე?

მასწავლებელი. წინეთ ვსთქვი და ეხლაც ვიტყვი, თუმც ყველა არ იშოვება დღეს, მაგრამ მალე გამოჩნდებიან, არც ისე ღარიბია ჩვენი ქართული ლიტერატურა. მე რუსულ ენაზე თუ მეადვილება გადაცემა, ეს იმიტომ, რომ ქართული არავის უსწავლებია ჩემთვის სკოლაში.

ამით გათავდა კამათი. თუ როგორი პროგრამა შესდგა, ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. რუსული ლექსიური მეცადინეობა სკოლაში კრების დადგენილებით სწავლის მეორე წელიწადს უნდა დაწყებულიყო. თვალსაჩინო სწავლა კრებამ არ აღიარა ცალკე საგნათ.

უკანასკნელი სხდომის გათავებისას ბ.სემენოვმა მიმართა მასწავლებლებს დაახლოვებით შემდეგი მოკლე სიტყვით: „მე არ მეგონა თუ ქუთაისის გუბერნიის სკოლების მასწავლებლები ასე საკმარისათ დახელოვნებული იყვნენ. საკვირველი ის არის, რომ თქვენ ბ. ბ. მასწავლებლებო, არ მიგიღიათ სპეციალური განათლება საშუალო სასწავლებელში და მაინც ასე რიგიანათ გესმით თქვენი მოვალეობა, — ეს იმას მიენერება, რომ თქვენი შრომით გაგიკვლევიათ გზა და შეგიგნიათ მასწავლებლის მოვალეობა, რომ თქვენ ხალხს დაეხმარათ. მადლობას გიძღვნი კეთილ შრომისათვის“.

ქუთაისის კრება იმით გათავდა, რომ იქაურმა საზოგადოებამ მასწავლებლებს ვახშამი გაუმართა, ვახშამი ჩინებული იყო, უხვი და გემრიელი, მაგრამ თავის მიზანი ვერ გაამართლა, უფერულათ ჩაიარა. ვახშმის ორგანიზატორებს, როგორც ამბობდენ, უნდოდათ ბანკეტის ხასიათი მიეცათ წვეულობისათვის, სიტყვებისა და რეჩებისა (უმთავრესათ სკოლების შესახებ) შეჯიბრება გამოენვიათ და სიცოცხლისა და აზროვნების ელფერი მიეცათ, საგანგებოთ მონვეული ჰყოლოდათ ერთი კარგი ორატორი, რომელიც ვახშმის დაწყებამდე მოვიდა, წვეულებას თვალი გადაავლო და სახლში დაბრუნდა! იმის მაგივრობა ბ.პ-მა იკისრა, მაგრამ მისი სიტყვა ძალიან მკრთალი გამოგდა, თუმცა განათლების საქმეს ეხებოდა, მაგრამ გაუბედავი და მიხვეულ-მოხვეული იყო. სემენოვმაც წარმოსთქვა რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა, ნაძალადევი პათოსით შეფერილი.

1881 წ. ჩვენი სკოლის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — მთავრობამ დაბა ხონში, ქუთაისის გუბერნიის შუაგულში, დააარსა სამასწავლებლო სემინარია * რომელსაც ასე ძლიერ საჭი-

* რადგან ხონის სემინარიას გურიის სკოლებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არ შემოძლია გვერდი ავუხვიო და ამ წერილში არ მოვიხსენიო იგი.

როებდა ჩვენი ქვეყანა. თუმცა გორში კაი ხანია არსებოდა ეგრედ ნოდებული **Закавказская Учительская Семинария** (ამიერ კავკასიის სამასწავლებლო სემინარია), მაგრამ ეს ხომ ზღვაში ერთ წვეთს შეადგენდა ამოდენა ქვეყნისთვის, ასე რომ ხონის სემინარია სწორედ მოსწრება იყო ჩვენი სკოლებისათვის.

პირველ ხანებში ამ სემინარიის დიდი კმაყოფილი იყვნენ როგორც მონაფენი, აგრეთვე საზოგადოებაც. სემინარიას გარეგნობით ეროვნული სახე მისცეს: მონაფეები ადგილობრივ იმერულ ტანისამოსში გამოაწყვეს. მასწავლებლების უმრავლესობასაც ქართველობა შეადგენდა და ქართულ ენასაც შედარებით საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი სემინარიის პროგრამაში. სემინარიასთან არსებული პირველდანყებითი სავარჯიშო სკოლის მასწავლებლათ ქართველი გ-ძე ჰყავდა, ქართულ ენას უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებული, ან განსვენებული არისტ. ქუთათელაძე ასწავლიდა, მათემატიკას — აბდუშელიშვილი, საღვთო სჯულს მღვდ. ლ-ძე. დირექტორი ბ.ს-კი და მასწავლებლები კარგ განწყობილებაში იყვნენ და თანხმობით მოქმედებდნენ. დირექტორი მაინცა და მაინც სემინარიის შინაურ საქმეებში არ ერეოდა, მონაფეებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული — ერთი სიტყვით სემინარია, ერთი შეხედვით, კარგათ იყო მოწყობილი.

მოსწავლეთა შორის იყვნენ ყოფილი სოფლის მასწავლებლებიც, რომელთაც უკვე, ცოტათ თუ ბევრათ, შეთვისებული ჰქონდათ სოფლის ცხოვრების ავ-კარგი, მისი ჭირ-ვარამი და, რასაკვირველია, უფრო ფხიზლათ უყურებდნენ საქმეს, ერიდებოდნენ ყოველივე ბავშვურ გატაცებას, სემინარიის იოლ რეჟიმს ბოროტათ არ ხმარობდნენ, მაგრამ ესენი უმცირესობას შეადგენდნენ, ხოლო უმეტესობა — გამოუცდელი და შეუგნებელი ახალგაზრდები სულ სხვა ნაირად იქცეოდნენ და ხშირათ ძვირფას დროს ქეიფში ატარებდნენ. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მთვრალი მონაფე ღამით გვიან დაბრუნებულა ბაზრიდან სასწავლებელში და როცა კარები დაკეტილი დახვედრია, ფანჯრის შუშები მუშტებით ჩაუმტვრევია და ხელებ გასისხლიანებული შესულა სანოლ ოთახში, მაგრამ არავითარი საყვედური მას არ შეხვედრია. თავისუფლება ძნელი მოსახმარია ისეთი ადამიანისთვის, რომელიც ვერ აფასებს მას და ვერ შეუგნია, რაში გამოიყენოს იგი. აქ საჭიროა დისციპლინა, რომელიც, როგორც სჩანს, სემინარიაში სუსტობდა. როცა აღვიარებთ დისციპლინის საჭიროებას, სახე-

ში არა გვაქვს ყაზარმული დისციპლინა. „ვინც კარგათ ასწავლის ის კარგ დისციპლინას ამყარებს“, ამბობს გერმანელი პედაგოგი დისტერვეგი. თუ სკოლაში რიგიანათ დაყენებულია სწავლის საქმე — დისციპლინაც კარგია, ე.ი. წესიერი სწავლება სკოლაში ჰქმნის დისციპლინას. ჩვენი აზრით სემინარიაში წესიერათ ვერ იყო სწავლის საქმე დაყენებული, ის ვერ „ჰქმნიდა დისციპლინას“, შეგირდები ვერ იყვნენ თავიდან თვით განვითარების გზაზე დაყენებული და ამიტომ ხშირად თავისუფალ დროს (ზოგჯერ არა თავისუფალსაც) ქეიფსა და გართობაში ატარებდნენ. ამ მდგომარეობაში იყო სემინარია, როცა იგი ბ.ს.-კიმ სოკოლოვს გადასცა, ს-კი სხვაგან გადაიყვანეს.

სოკოლოვმა სემინარიაში რეჟიმი შესცვალა, მონაფეებს „თავისუფლება“ შეუზღუდა, სწავლის წეს-რიგიც ახალი შემოიღო, სამუშაოდრო თავისებურათ გაანაწილა. სემინარიის შენობაშიც ცვლილება მოახდინა, ყველაფერი თავის გემოზე გადააკეთა: სახურავს აუზი გაუკეთა, საიდანაც ყოველგან, სადაც საჭირო იყო, წყალი შეიყვანა. სახელოსნოებში მუშაობა გააჩაღა. ეს სამუშაოდირექტორის ხელმძღვანელობით მონაფეებს უნდა შეესრულებიათ, იმათ უნდა გაეკეთებიათ თავის ხელით, რასაც აკეთებდნენ — ერთი სიტყვით სემინარიელებს შრომა მიუმატა, ფიზიკურ მუშაობაშიაც განიზრახა მათი ჩაბმა.

საგნების სწავლებაშიაც ცვლილება მოახდინა, წერა თავისებური — გარკვეული შემოიღო, ანგარიშსაც სხვანაირი სისტემა მისცა და სხვ. აღზრდის საქმესაც მეტი ყურადღებით ეპყრობოდა სოკოლოვი; თვალყურს ადევნებდა მონაფეებს, რომ უწესოთ არ მოქცეულიყვნენ სასწავლებელში და გარეთ, ყოველგან ყოფაქცევაში ზრდილობა და რიგიანობა გამოეჩინათ.

ერთმა მაშინდელმა სემინარიიდან დათხოვნილმა პირმა მიაბო: „მე ახალგაზრდა ვიყავი, როცა სემინარიაში მიმიღეს. სოკოლოვი ნამეტანი მაგრათ გვეპყრობოდა, მის თვალებს არაფერი გამოეპარებოდა. ერთხელ ცხვირი ხელით, უცხვირსახოცოთ მოვიხოცე, თვალი შემასწრო სოკოლოვმა და დარიგება მომცა, რომ კვლავ არ ჩამეძინა ასეთი საქციელი — უთუოდ ცხვირსახოცით მომეხოცა ცხვირი. ეს შენიშვნა დირექტორისა ისე მეწყინა, რომ იმ დღიდან შემძულდა იგი: არ ვიყავი შენიშვნას ჩვეული. სხვა შეგირდებიც ცუდი თვალით უყურებდნენ სოკოლოვს ფიზიკური შრომის შემოღებისათვის. ეხლა რომ მომაგონდება ჩვენი მაშინდელი საქციელი — მრცხვენია და ვნანობ,

რატომ არ ვეჩვეოდით შრომას, რომ შრომისათვის ვიზრდებოდით, მშრომელ ხალხში უნდა გვემუშავნა და გვეჩვენებია მათთვის რიგაინი შრომის მაგალითი“.

სოკოლოვის მადლიერი არც მასწავლებლები იყვნენ, იმათაც შრომა მიემატათ და ამისათვის ხშირათ გააგონებდნენ ხოლმე მონაფეებს მის საყვედურს, რაც ცეცხლზე ნავთის დასხმას მოასწავებდა — მონაფეების გულის წყრომას უფრო აღრმავებდა. ასე თანდათანობით იზრდებოდა უკმაყოფილება, სემინარიაში საქმე მეტად მწვავებოდა, მონაფეები ირაზმებოდნენ დირექტორის წინააღმდეგ — იგინი შრომის წინააღმდეგნი იყვნენ. შრომის შეუჩვევლობამ და უღისციპლინობამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

სემინარიას საბაღე ადგილი ჰქონდა. ეს ადგილი შეუმუშავებელი იყო. სოკოლოვმა გამოუცხადა ბავშვებს, ბაღში უნდა გახვიდეთ სამუშაოთ, მებაღეობა უნდა შეისწავლოთო. მონაფეებს ბარებით უნდა ემუშავნათ დანიშნულ დროს განმავლობაში. ამ განცხადებამ მონაფეები ააშფოთა და გადასწყვიტეს უარის თქმა. როცა დანიშნულ დროზე სამუშაოთ უნდა გასულიყვნენ, მონაფეები ჩამწყრივდნენ პარტერზე და დირექტორის წინადადებაზე ხმაც არ ამოიღეს. მაშინ დირექტორმა ერთ მონაფეს უბრძანა შეესრულებია მისი წინადადება. მონაფე არ დაიძვრის, მერე სხვებსაც გაუმეორა ბრძანება, მაგრამ მხოლოთ რამოდენიმე, უფრო მშიშარა მონაფემ შეასრულა ბრძანება, დანარჩენები ადგილიდან არ დაიძრნენ. მაშინ შეადგინეს ურჩების სია. ერთი მონაფე, რომელმაც პირველად სთქვა უარი, მეთაურათ დაასახელეს და პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით სემინარიიდან გამორიცხვა გადაუნციტეს. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ მთელი მასწავლებლების კოლეგია მონაფეს უცხადებს განაჩენს და წინადადებას აძლევს, ახლავე გავიდეს სემინარიიდან. დასჯილმა მონაფემ უკანასკნელი სიტყვა ითხოვა, დირექტორმა არ მისცა ნება. მთელი სემინარია აღელდა, დასჯილი გაფითრებული მივარდა დირექტორს და ცემა დაუნყო; სხვებიც აჰყვნენ და ცხვირ-პირ დასისხლიანებული დირექტორი ძლივსძლივობით გაიყვანეს მასწავლებლებმა სემინარიის დარბაზიდან. ამ ამბავს, რასაკვირველია, რეპრესია მოჰყვა: გამორიცხული მოსწავლე იქვე დააპატიმრა პოლიციამ და სამართალში მისცა, დანარჩენები ზოგი გამორიცხეს სემინარიიდან, ზოგი ეტაპით სახლში გაგზავნეს დროებით. გალახული დირექტორი თავის ადგილზე დარჩა.

ბევრი ახალგაზრდა მონაფე ააცდინა თავის გზას ამ შემთხვევამ. არ ითქმის, რომ სოკოლოვი ყველაფერში მართალი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის კარგი მომზადებული პედაგოგი იყო, შაბლონი არ უყვარდა. შეუსვენებლათ მუშაობდა სემინარიაში, ცდილობდა მონაფეებიც შეჩვეოდენ გონებრივ შრომასთან ერთად ფიზიკურ შრომასაც. სწორედ ამ შრომას გაურობდენ სემინარიელები და ეს იყო იმის მიზეზი, რომ სოფლათ ძალიან მცირე ნაწილი რჩებოდა იმათგან, ვერ იტანდენ სოფლის ცხოვრებას, ისინი მუდამ ქალაქისაკენ მიისწრაფოდენ და იქ ეძებდენ თბილსა და მოსვენებულ ალაგს. სოფლის სკოლა კი გამოუცდელ და ნაკლებათ მომზადებულ მასწავლებლების ხელში რჩებოდა. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ სემინარიაში კურს დამთავრებულ მასწავლებელს სულ სხვა თვალით უყურებდა გლეხობა, უფრო ნდობით ეპყრობოდა მას და ამის გამო მეტი გავლენაც ჰქონდა ხალხში ასეთ მასწავლებელს.

* * *

1884 წ. გურიის სკოლებს ორი იშვიათი მასწავლებელი შეეძინა. ესენი იყვნენ ბ.ბ. ა.წ-ძე* და ი.რ-შვილი. ამათ დიდი ღვაწლი დასდეს არა თუ იმ სოფლებს, სადაც მოღვაწეობდენ, არამედ მთელ გურიას. იმათ მოსვლამ ბევრს იმედ დაკარგულს, ყველასაგან დავიწყებულ სოფლის მასწავლებელს რაღაც იმედი გაუღვიძა გულში, გამოაცოცხლა, ძალ-ღონე, ენერგია გაუორკეცა, ნახალისა და საქმის გულმოდგინეთ წაყვანა შეაძლებინა. გარდა იმისა, რომ ეს მასწავლებლები სკოლაში ასწავლიდენ მოსწავლეებს, საღამოს მეცადინეობაც გააჩაღეს თავიანთ სკოლებში: ბევრს უცოდინარ მოზრდილ გლეხებს წერა-კითხვა შეასწავლეს. ამათ წყალობით სოფ. აკეთში, გურიის ცენტრში დაარსდა მთელი გურიისათვის წიგნთ-საცავი, რომელიც მდიდარი იყო როგორც ქართული, აგრეთვე რუსული წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. ყველა ეს წიგნები ზემოთ დასახელებული პირების მეცადინეობით იყო შეკრებილი. ისიდორე და არსენი თავის ხარჯით დადიოდენ თავისუფალ დროს ქალაქებში, თხოულობდენ და აგროებდენ ქართულ-რუსულ წიგნებს აკეთის წიგნთსაცავისათვის. ამას გარდა მართავდენ სოფლებში წარმოდგენებს, რაც მაშინ იშვიათი მოვლენა იყო ჩვენში, მოგროვილ ფულებს აკეთის წიგნთ-სა-

* იგულისხმება არსენ ნითლიძე, ვისაც გიგო შარაშიძემ, მიუძღვნა ეს წერილი (ი.თ.)

ცავს ახმარდენ. ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი და ენერგიული მასწავლებლები დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებით ებრძოდენ სოფელში გამეფებულ ყოველსავე უსამართლობას და სოფლის ცუდ ზნე-ჩვეულებას. მართალია ბევრი უსიამოვნება შეხვდა მათ თავის მოღვაწეობის დროს, მაგრამ დიდათ ნაყოფიერი შედეგი მოიტანა იმათმა შრომამ. ამ ორმა პირმა ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა გურიაში, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ცანგარიშს უწევდა მათ. ცნობილ ლევიტსკის ხომ კრიჭაში უდგნენ იგინი და ყოველ მის სისუსტეს პირში ელაპარაკებოდნენ; მაგრამ ის ძალაუწებურათ ითმენდა და პატივისცემით ეპყრობოდა მათ, და ხშირათ სთხოვდა დახმარებას სკოლების საქმეებში. ნ.-ძის და რ.-შვილის იშვიათმა ენერგიამ, საქმის სიყვარულმა და წმინდა იდეით გამტკიცებულმა მოღვაწეობამ ისე იმოქმედა დანარჩენ მასწავლებლებზე, რომ ყველა ჩააფიქრა და თავის მაღალი დანიშნულების შეგნება განუვითარა. ი.რ.-ლის და ა.ნ.-ძის ღვაწლი სამაგალითოდ დარჩება გურიის სოფლის სკოლის ისტორიაში.

* * *

დირექტორი მარსოვის ადგილზე 1881 წელს ბ.ორლოვი დაინიშნა. ის დიდხანს არ დასტოვეს ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ ერთი წელიწადი გაატარა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორათ. არ ვიცი რა თანამდებობიდან იყო იგი გადმოყვანილი ჩვენს სკოლების მეთვალყურეთ. მხოლოდ ერთხელ დაათვალიერა სკოლები გურიაში. ძალიან სიმპატიურ კაცათ მეჩვენა, მასწავლებლებსაც კარგათ ეპყრობოდა. როგორც გამიგონია, მაშინდელ ქუთაისის გუბერნატორთან, მალაფეევთან ვერ იყო კარგ განწყობილებაში. საზოგადოთ არ უყვარდა აქაური პოლიციები. ხმა დადიოდა, ვითომ ო-ვს ეთქვას ერთი მასწავლებლისათვის, როცა მას უკანასკნელმა ერთი მოხელის უსამართლო საქციელი უამბო მისი სკოლის შესახებ: „**Не оскверняйте вашей школы присутвіемъ полицейскаго чиновника**“. როცა სკოლებს ათვალიერებდა ო-ვი ერთი სკოლიდან მეორეში თან მიჰყავდა ერთ-ერთი მასწავლებელი, რომ მისი დახმარებით ქართულ ენაში გამოეცადა შეგირდები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორლოვი მალე გადაიყვანეს და მის ადგილზე დაინიშნეს ცნობილი ლევიტსკი. ის წინათ ქუთაისის პროგიმნაზიაში იყო მასწავლებლათ და მეტად ზარმაცი კაცის სახელი ჰქონდა დამსახურებული. პირველ ხანებში, სანამ მისმა სახელმძღვანელომ

თავბრუ არ დაახვია, ყველას კეთილ და უწყინარ კაცად მიაჩნდა, მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ პედაგოგობის მას არაფერი ეცხო.

დირექტორათ დანიშვნისთანავე ლევიტსკის გვარიანი მარცხიმო-უვიდა თავის ახალ სარბიელზე, რაც, მგონია, თავის დღეში არ დავინ-ყებია და ცდილობდა კიდეც, შეძლებისდაგვარათ, სამაგიერო გადაეხადა მისთვის, ვისი მიზეზითაც შეხვდა ეს უსიამოვნება.

1874 წელს იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა გურიამში, თავის სამშობლო სოფელ ბახვში, სკოლა დააარსა, რომელსაც თავის საკუთარი ხარჯით ინახავდა. ჯერ კიდეც შენობა არ იყო დამთავრებული, როცა ურჩევდენ მას ეს სკოლა სამრევლო სკოლათ მონათლა, სასულიერო უწყებისთვის დაექვემდებარებია. გაბრიელმა მრჩევლებს ცივი უარი უთხრა: „მე ვერ ჩავაბარებ ჩემს სკოლას სასულიერო უწყებას, რადგან იგი არ არის განათლების საქმის მცოდნე, ხეირიანი პედაგოგებიც არ ჰყავთ. უმჯობესია სახალხო განათლების უწყებას გადავსცე, რადგან, რაც უნდა იყოს, ეს უწყება უფრო მცოდნე და გამოცდილია განათლების საქმეში და მის ხელში უფრო საიმედო იქნება სკოლის არსებობა“. მართლაც გაბრიელმა თავისი სკოლა, რომელსაც შემდეგში 12800* მანეთი უანდერძა, სახალხო განათლების სამინისტროს გადასცა მოსავლელათ. ლევიტსკის დანიშვნამდე სამი დირექტორი გამოიცვალა ქუთაისის გუბერნიამში და ყველა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ბახვის სკოლას, პედაგოგიურ ნიგნებსა და სახელმძღვანელოებს უგზავნიდა და ყოველ წელიწადს ათვალიერებდა ამ სკოლას. არ ვიცი რა მიზეზით, ლევიტსკიმ ეს სკოლა არ დაათვალიერა. სანამ გაბრიელი ჯანზე იყო, თითქმის ყოველ წელიწადს მიდიოდა ბახვში და ათვალიერებდა თავის სკოლას. როცა შეიტყო მასწავლებლისგან, რომ ახალ დირექტორს ჯერ არ უნახავს ბახვის სკოლაო, ძალიან გაუკვირდა.

იმ ხანებში ქუთაისში ოლქის მზრუნველი იანოვსკი ჩამოვიდა სასწავლებლების დასათვალიერებლათ და გაბრიელთანაც სადარბაზოდ მივიდა დირექტორი ლევიტსკის თანხლებით. მიიღო თუ არა გაბრიელმა სტუმრები, პირველათ ლევიტსკის მიმართა: „რა უყავით ბახვის სკოლა, რატომ გამოორიცხეთ თქვენი უწყებიდან და უპატრონოთ დასტოვეთ?!“ ლევიტსკიმ უსაბუთო თავის მართლება დაიწყო:

* ამ თანხიდან 12200 მანეთი ქ. ქუთაისის თვითმმართველობას აქვს სესხათ აღებული, 600 მანეთი კი გაბრიელმა მის მიერ დაარსებულ ბახვის გამხსენსებელ-შემნახველ ამხანაგობაში შეიტანა ძირითად თანხად.

„თქვენი სკოლა სასულიერო უწყების სკოლაა. ამიტომ „მე უფლება არ მქონდა დამეთვალაღიერებია და მეპატრონებია მისთვისო“.

— „მე ბახვის სკოლა თავიდანვე თქვენს უწყებას გადავეცი ტროიეს დირექტორობის დროს; მერე აგერ სამი დირექტორი გამოიცვალა, ყველა ყურადღებით ეპყრობოდა ამ სკოლას თქვენამდე, თქვენ კი, ფილიპ ზახარიჩი, არ ვიცი, რა მიზეზით, რიცხავთ მას სამინისტრო სკოლებიდან“, — უთხრა გაბრიელმა. ამ ამბით გაჯავრებული იანოვსკი ეკითხება დირექტორს: „რატომ მოიქეცით აგრე, რატომ გამორიცხეთ ჩვენი სკოლებიდან ბახვის სკოლა? თუ გაფრინდა იგი და ველარ ნახეთ?!“ ამ ლაპარაკის დროს გაბრიელი და იანოვსკი სხედან, ხოლო ლევიტსკი ფეხზე სდგას და იბნევა, პასუხს ველარ ახერხებს. ისე გათავდა დარბაზობა, რომ ლევიტსკი არ დამჯდარა.

იმავე თვეში ლევიტსკის მის მიერ წარდგენილი სკოლების წლიური ანგარიში ოლქიდან უკანვე დაუბრუნეს და უბრძანეს, ბახვის სკოლის ანგარიშიც შეეტანა შიგ და ისე დაებრუნებია „ოკრუგში“. ამის შემდეგ ლევიტსკიმ გაბრიელი შეიძულა, შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ იგი ცუდათ არ ეხსენებია, თავისებურად შური არ ეძიებია.

ერთ სოფელში ლაპარაკი ჩამოვარდა გურიის მაშინდელ მდგომარეობაზე. იმ დროს გურიაში რამოდენიმე ავაზაკი მოჰკლეს და საუბარი ავაზაკობის სიხშირეს ეხებოდა. იმ დროს ლევიტსკიც იქ იყო. „რატომ არ უნდა იყოს გურიაში ავაზაკობა გახშირებული, როცა მთელი გურიის მცხოვრებნი ხელს უწყობს მას; არა თუ უბრალო „ობივატელი“, სასულიერო წოდებაც თანაუგრძნობს ავაზაკებს. აბა რის მომასწავებელია ის, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის უფროსი, ეპისკოპოზი, ჩუმათ მიდის მოკლული ავაზაკის საფლავზე და პანაშვიდს უხდის მკვდარსო“. როცა იქ მყოფთა ამაზე პროტესტი გამოუცხადეს ლევიტსკის, უთხრეს, რომ ეს ცილის წამებააო, ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია ჩვენშიო და სთხოვეს დაესახელებია, ვინ იყო ის ეპისკოპოზი ან, რომელ ავაზაკს აუგო წესიო, ლევიტსკიმ, მაყურებელთა გასაოცრათ, წარბ შეუხრელათ, იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი დაასახელა — ვითომც იმას აეგო წესი ცნობილი ავაზაკი დარჩიასათვის! წესის აგების შესახებ ზღაპარი მაშინდელი სამაზრო ადმინისტრაციის მიერ იყო გამოგონილი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზზე; ლევიტსკიმ ეს ზღაპარი გაბრიელზე გადაიტანა. როცა გაბრიელი ავად გახდა უკურნებელი სენით, ლევიტსკის ეთქვა: „ვერ შესძლო ქართველის ტვინმა ხანგრძლივი გონებრივი შრომის ატანა“.

მას შემდეგ, რაც კილვა დაუნყეს ლევიტსკის წიგნებს და სწავლების მეთოდს ჩვენს მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში მას ნამეტანი შესძულდა ქართველობა. ქართველ ქალებს ხომ მუდამ სიძულვილით იხსენიებდა, თითქოს ისეთი გარყვნილი და უსაქმო ქალები, როგორც ქართველებს ჰყავთ, არც ერთ ნაციას არ ჰყავდეს ქვეყანაზე.

თუ ბ.ორ-ვი ვერ ურიგდებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისა, პირიქით ბ.ლევიტსკი ყველაფერში მათი მომხრე იყო. მისი აზრით, ვინც ძლიერია — ის ყველაფერში მართალია, ე.ი. „ძალაშია სიმართლე“. სოფლის მასწავლებელი ხომ სულ უუფლებო პიროვნებათ გამოჰყავდა: იგი ყველას უნდა ემორჩილებოდეს, ყველას ფეხქვეშ უნდა ეგებოდეს, ყველასი მონა უნდა იყოს. იმ დროს ერთი მაზრის უფროსი მსახურებდა გურიაში, გვარად სოკოლსკი; ის სამხედრო პირი, პოლკოვნიკი იყო და ძალიანაც ამაცობდა თავისი მდგომარეობით. ეს პოლკოვნიკი ერთ დღეს ეტლით მიდიოდა. იქვე შარა-გზის პირას სკოლა იყო, სკოლის ეზოში მასწავლებელი დაინახა, ეტლი შეაჩერა, გადმოხტა და შეიარაღებული დარაჯის თანხლებით, ჩქარის ნაბიჯით მასწავლებლისაკენ გაეშურა; დაუნყო ყვირილი და ლანძღვა — რატომ თავი არ დამიკარო. მასწავლებელი ახალი დანიშნული იყო. მაზრის უფროსთან თავის მართლება დაიწყო, არ ვიცოდი ვინ იყავით, მე თქვენ პირველათ გხედავთო. ამან უფრო გააბრაზა სოკოლსკი, ხელდახელ მიიწია მისკენ გასალახავათ, მაგრამ მასწავლებელი არ დაიბნა, მარჯვეთ დახვდა: „ახლოს არ მომეკაროთო!“ ხმა მაღლა უთხრა მას. გაბრაზებული სოკოლსკი მოტრიალდა და გზას გაუდგა. ეს შემთხვევა მასწავლებელმა დირექტორს მოახსენა. დირ. ლევიტსკი ჩამოვიდა, საქმე გამოიძია დამსწრეების გამოკითხვით. ყველაფერი მართლად აუხსნეს, რაც მოხდა, მაგრამ მაინც მასწავლებელი გაამტყუნა.

როცა სხვა მასწავლებლებმა უსაყვედურეს დირექტორს, რატომ არ იცავთ ხელქვეით მასწავლებელს უსამართლოებისგანო, იმან უპასუხა: „ხომ იცით, მაზრის უფროსი მეფეა თავის მაზრაში, იმას ყველაფერი შეუძლია — შეუძლია სკოლაც დახუროს, მასწავლებელიც დაითხოვოს ადგილიდან, თუგინდ სრულიად უმიზეზოთ. არა თუ მაზრის უფროსი, ბოქაული, მამასახლისი და სოფლის ყველა მოხელეები თქვენი უფროსებია, მათი ხელის შემხედვარე ხართ, იმათ ხელშია ყველა თქვენი საქმე. ამიტომ, ყველას მორჩილებით და თავმდაბლათ უნდა მოეპყრათ, თორემ ჩემგან ნურავინ დახმარებას ნუ მოელოთ.“

* * *

ლევიტსკიმ სკოლის დათვალიერება და შეგირდების გამოცდა თავისებურად იცოდა. რაც უნდა კარგი მომზადებული სკოლა დათვალიერებია, თუ მისი მეთოდი არ იყო შიგ გამეფებული, უთუოდ დაინუნებდა: ისეთ ახირებულ კითხვებს მისცემდა ხოლმე სოფლის ბავშვებს, რომ, მგონი, წმინდა რუსის ბავშვებიც ვერას გაიგებდენ. შემდეგ მოჰყვებოდა თავის სწავლების წესის ჩვენებას; ხან დაიჩოქებდა, ხან ფორთხავდა იატაკზე, ხან ბავშვს მივარდებოდა ხელებ გაშვერილი, ხან კედელზე აეყუდებოდა, ხან დაწვებოდა, ხან დაჯდებოდა და სხვ. ამასთან, სიტყვიერათ იმეორებდა ყველაფერს, რასაც სჩადიოდა. ყველა ამას ისე უსისტემოთ, არეულ-დარეულათ აკეთებდა, რომ სრულიად მიზანს ვერ აღწევდა, პირიქით, სიცილსაც იწვევდა მთელ კლასში. იმას მასწავლებლობის ნიჭი სრულიად არ ჰქონდა. ვითომ თვალსაჩინო მეთოდის მიმდევარი იყო, მაგრამ ამ მეთოდს იგი აფუჭებდა: სწავლებაში წეს-რიგს არ დაგიდევდა, დედა ენას სწავლების დროს არც კი ახსენებდა. იმას არ სწამდა პედაგოგიური კანონი, სწავლების დროს „ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა“.

აი რას ამბობს დისტერვეგი ერთ თავის წიგნში*: „ნაცნობი ნათელია, უცნობი — ბნელი. უცნობი გზით ნაცნობისკენ გამგზავრება იმას ჰგავს, კაცმა რომ წყვდიადი დაამყაროს ამ წყვიადში სინათლის ამოსაჩენათ. ეს არის თვალსაჩინო წინააღმდეგობა და აბსურდი. ამიტომ შეუძლებელია უცნობი ენის შესწავლა ნაცნობის დაუხმარებლათ (თუ უცხო ხალხში დაბინავდები და ეცდები ძუძუმწოვარა ბავშვივით დაივიწყო ყველაფერი რაც იცი — სხვა საქმეა), აგრეთვე შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა დედა ენის დაუხმარებლად“.

ბ.ლევიტსკის არ სწამდა ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება. ის უფრო ამ ამონაწერის რკალში ჩასმული სიტყვების აზრს მისდევდა. მისი მიზანი და სურვილი იყო: სამშობლო ენის დავიწყება და ქართველ მოზარდ თაობის გარუსების გზაზე დაყენება — აი შინაარსი მთელი მისი „მოღვაწეობისა“. მან შეადგინა სახელმძღვანელო წიგნები ჩვენი სკოლებისათვის. გარდა იმისა, რომ ეს წიგნები ყოვლად უნიჭოთ იყო შედგენილი, არაფერი ჩვენებური არ ყოფილა შიგ მოთავსებული, სულ ყველაფერი უცხო იყო ჩვენი ბავშვებისათვის. პირველი

* იხ. Рудольф Дистервег. Руководство для немецких учителей, გვერდი 21-22.

ნიგნი „Курсь русскаго языка для начальныхъ училищъ туземнаго населенія“, ძლიერ პატარა იყო. ეს ნიგნი რუსული ანბანით იწყებოდა ასე:

Н И У Ч

ни ин, ну ун, уч, ич, чу.

Чучу. Нину учу.

აქედანაც ცხადათ დაინახავს მკითხველი, თუ როგორი იქნებოდა ეს პირველათ გამოცემული სახელმძღვანელო და ამიტომ არ გამომყავს სტატიების ნიმუში. მე ამოვსწერ ნიმუშებს ამ ნიგნის მეხუთე გაუმჯობესებული გამოცემიდან — ეს გამოცემაც ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა: „Азбука“ და Книга для изученія языка: „Азбука“ ასე იწყება ნიგნის მესამე გვერდზე:

А, У, О, Ы

а у о ы

ау, уа, оы

ус су ыс, сы, ас, са,

ус усы

у осы усы.

მეცხრე გვერდზე:

Аб ба уб бу ъб бе

Ба-буш ка сши-ла мне белую ру-ба-ху.

ра бра, лу блу тра стра, тры, стры.

Брать, блуза, сестра, сестры...

ამით თავდება „Азбука“ და იწყება „Книга для изученія языка“, რომლიდანაც მოვიყვან მხოლოდ ერთ გაკვეთილს, რადგან დარწმუნებული ვარ მკითხველი ამითაც დააფასებს ამ ნიგნის ღირსებას.

„НОСЬ“

Нось находится посрединь лица, ниже лба и выше рта, между двумя глазами и двумя щеками.

Нось бываетъ длинный или короткій, толстый или тонкій.

Нось имеетъ две ноздри.

* ეს სტატია უნდა დაეზეპირებიათ ჩვენი სოფლის სკოლის პირველი განყოფილების ბავშვებს.

Носомь нюхают и слышать запах, приятный или неприятный. Запах розы и фиалки — приятень, запах сыру и фотогену — неприятень. Одни предметы пахнут хорошо, другие дурно, а третьи не пахнут.

Собаки хорошо слышать запах: они имеют тонкое чутье. Дышать ртом, но дышать также и носом.

Наконец, носом сморкаются. Опрятное дитя не сморкается руками на пол, а вынимает свой платок из кармана и сморкается в платок“.

ბ.ლევიტსკიმ თავისი წიგნები მალე გაავრცელა გურიის სკოლებში. იგი ძალიან ხერხიანი გამოდგა ამ საქმეში: იმ სკოლას, სადაც მისი მეთოდი და წიგნები არ იყო შემოღებული, აძაგებდა, ხმას ავრცელებდა, რომ იქაურმა მასწავლებლებმა ვერ შეითვისეს „ბუნებრივი“ მეთოდი, უნიჭონი არიან. ამიტომ სკოლა დაეცა და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო. ეს ერთნაირი მუქარა იყო მასწავლებლებისათვის და ძალა უნებურათ ლევიტსკის სახელმძღვანელოს ლებულობდენ სკოლაში. ამ ხერხმა გასჭრა და მთელი გურიის სკოლები აივსო იმ სახელმძღვანელოებით და გოგებაშვილის წიგნები განიდეგნა იქიდან. მხოლოდ ერთად ერთმა სკოლამ გაუძლო ლევიტსკის მუქარას, არ მიიღო მისი „Курсы“-ი და მეთოდი. ამიტომ ძლიერ გულმოსული იყო დირექტორი იმ სკოლაზე. სხვას რომ ვერას გახდა, მოულოდნელათ საოლქო ინსპექტორი ზავადსკი მიაყენა კარებზე, ფიცხელი რევიზია მოახდენინა სკოლაში. ზავადსკი თვითონ ცდიდა შეგირდებს. იგი ძალიან მკაცრი კაცი იყო და მასწავლებლების დატუქსვა უყვარდა; მხდალი მასწავლებელი ძალიან ეჯავრებოდა. როცა ზავადსკიმ მეორე და მეოთხე განყოფილება გამოსცადა (ეს განყოფილებები ერთ ოთახში ისხდნენ და ერთი მასწავლებელი ასწავლიდა) და წიგნებიც გაუსინჯა, სასწავლებლის გამგეს ჰკითხა: „რა და რა წიგნები გაქვსთ რუსული ენის შესასწავლათ სასწავლებელში?“

— პირველს სამ განყოფილებაში გოგებაშვილის სახელმძღვანელო გვაქსო, მეოთხეში და მეხუთეში უშინსკის „Детский мир“-ი, უპასუხა გამგემ. — „რატომაა აგრე?“ ეკითხება ზავადსკი.

— ჩვენ, ყველა მასწავლებლებმა, მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ გოგებაშვილის და უშინსკის სახელმძღვანელოები დარჩენილიყო სკოლაში, რადგან გოგებაშვილის სახელმძღვანელოები უფრო უკავშირდება „Детский мир“-ს, უპასუხა გამგემ.

— „Родное слово?“, ეკითხება ზავადსკი. — „Родное слово“ რუსის ბავშვებისათვის არის შედგენილი და ამიტომ გოგებაშვილის ნიგნები ვამჯობინეთ.

— მესმის, მესმის! სთქვა ზავადსკიმ, მერე აიღო მეოთხე განყოფილების ერთი შეგირდის რვეული, მიუტანა თვალეზთან ლევიტსკის და უთხრა: „ეს ნაწერი ხომ ბევრათ უკეთესია სენაკის ნორმალური სკოლის შეგირდების ნაწერებზე, ფილიპ ზახარიჩ?“ ლევიტსკიმ არაფერი სთქვა, გაჩუმდა. მერე დანარჩენი განყოფილებებიც გამოსცა და ზავადსკიმ და, როგორც ეტყობოდა, ძალიან მოეწონა სკოლა: მხიარულება დაეტყო, ზრდილობით ეპყრობოდა მასწავლებლებს, უქებდა მონაფეების პასუხს.

ამ რევიზიის დროს ლევიტსკი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: როცა პირველ განყოფილების გამოცდაზე მიდგა საქმე, ზავადსკიმ უთხრა: „აბა, ფილიპ ზახარიჩ, გამოსცადეთ პირველი განყოფილება, თქვენ ქართული* ხომ კარგათ იცით? ლევიტსკი დაიბნა, აირია, სიტყვა ყელში გაეხირა, სწორეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა. ზავადსკი ქვეშ-ქვეშ იცინოდა. მერე მიუბრუნდა მასწავლებელ ქალს და უთხრა: „თუ ღმერთი გნამთ გამოიყვანეთ უხერხული მდგომარეობიან ფილიპ ზახარიჩი, ჰკითხეთ თქვენ შეგირდებს ქართული“.

ასე გათავდა ეს რევიზია: ლევიტსკიმ ვერ მიაღწია მიზანს, არ დაინუნა სკოლა მისმა უფროსმა, და „Курсь“-ის ავტორი დამარცხებული ნავიდა სკოლიდან.

როგორც სჩანს, ზავადსკის არ მოსწონდა ლევიტსკის ნიგნები.** ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: იმ ხანებში ხონის ნორმალურ სკოლას ზავადსკიმ რევიზია გაუკეთა. ამავე სკოლის საქმიანი ქალღმერთების დათვალეზების დროს, უცბად წააწყდა ლევიტსკის მონერილობას, რომლის შინაარსი მისი (ლევიტსკის) სახელმძღვანელოს გამონერას ეხებოდა. ზავადსკიმ სკოლის გამგის დაუკითხავათ ამოიღო თურმე საქმიდან ეს მონერილობა, თბილისში წაიღო და რა-

* ლევიტსკი ალბათ არწმუნებდა უფროსებს, რომ ქართული კარგათ იცოდა.

** ზავადსკი თუმცა თვითონაც დიდი რუსიფიკატორი იყო, მაგრამ, როგორც ჭკვიანი კაცი, ის უნებურათ დასცინოდა ლევიტსკის პედაგოგობას და მის უნიჭო მეთოდს, თუმცა იმავე დროს ოფიციალურად მისი მეთოდის გავრცელებასაც ხელს უწყობდა, რადგან სამინისტროში ლევიტსკის უყურებდენ როგორც მეტ საჭირო იარაღს „ინოვაციების“ გარუსების საქმეში.

მოდენიმე კვირის შემდეგ ლევიტსკის გამოუგზავნა ქუთაისში კუთვნილებისამებრ გადასაცემათ. რას სწერდა ზავადსკი დირექტორს იმ ქალაქთან ერთად, არავინ იცის. ცხადია სასიამოვნო არაფერი მიუწერია, რადგან ის ძალიან უკმაყოფილო იყო იმ შემთხვევის და ზავადსკიც ცუდად მოიხსენია.

ლევიტსკის თავის წიგნების და მეთოდის გავრცელებაში ზოგი „შეგნებული“ მასწავლებლებიც განზრახ ხელს უწყობდა. როცა განსვენებული პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და მასთან ერთად შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, აღშფოთებული ჩვენი სკოლების დალუპვის გზაზე დაყენებით, წინააღმდეგობას უწევდენ პრესის საშუალებით ჩვენს სკოლებში ხსენებული მეთოდის გავრცელებას, ეს ვაჟბატონები თავის პირად სარგებლობაში სცვლიდენ საზოგადო საქმეს და განზრახ შველოდენ დირექტორს.

გურიის ერთ სკოლაში, სადაც ჯერ კიდევ არ შემოეღოთ ლევიტსკის წიგნები, მასწავლებლის ადგილი დაიცალა. ერთმა ზემოთ მოყვანილი ტიპის მასწავლებელმა თავისუფალ ადგილზე გადმოსვლა განიზრახა, მაგრამ პირველად ლევიტსკი ყოყმანობდა, არ უნდოდა ეს ადგილი მიეცა იმ ყმაწვილისთვის. როცა მასწავლებელი შეპირდა, თუ პირველ განყოფილებას მომცემთ იმ სკოლაში თქვენს წიგნებს ნავიღებ და მეთოდსაც შემოვიღებო, დირექტორი სიამოვნებით დათანხმდა, მისცა ნათხოვარი ადგილი და წიგნებიც თან გაატანა. ამის შემდეგ ლევიტსკის წიგნებმა ამ სკოლაშიაც მოიკიდა ფეხი.

ლევიტსკის ხელში გურიის სკოლა ძალიან დაეცა. წესიერი მეთოდი როგორც სოფლის, აგრეთვე ქალაქის სკოლებიდანაც გაიდევნა, ყოველგან ეგრეთ წოდებული ლ. „ბუნებრივი მეთოდი“ გამეფდა. ამ წესის მიხედვით ყოველი მასწავლებელი ვალდებული იყო ლევიტსკის „Курсъ“-ი სჭეროდა ხელში და ისე ეზეპირებინა შეგირდებისთვის უსისტემოთ დანერგილი რუსული სტატიები და იგავ-არაკები, რომელთა სიტყვების გაჭიანურებულ და არეულ ახსნას წიგნის მთელი გვერდები ჰქონდა დაჭერილი. ისეთი პატიოსანი და ყველასგან პატივცემული სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ.სავაიციც ისე ჰყავდა დამორჩილებული ლევიტსკის, რომ იგიც, სკოლების რევიზიის დროს „Курсъ“-ში იცქირებოდა და ისე სცდიდა მონაფეხს.

ზოგჯერ ლევიტსკი მასწავლებლების კრებასაც ინვევდა ხოლმე სამაზრო ქალაქებში. ეს კრება ყოველთვის მცირე რიცხოვანი იყო; ბევრი მასწავლებლის შეკრებას იგი უფრთხოდა. ერთი ასეთი კრება,

თუ არ ვცდები, 1895 წ. იანვარში მოახდინა ქალაქ ოზურგეთში, სადაც მისი (ლევიტსკის) მეთოდის შესწავლაში უნდა ევარჯიშნათ მასწავლებლებს. ამ კრებაზე, რასაკვირველია, მაზრის ყველა სკოლების მასწავლებლები არ ყოფილა მინვეული, დაახლოებით 15-20 კაცამდე მოიყარა თავი. იმათ მასალები ერთი თვით ადრე ჰქონდათ დარიგებული. ეს მასალები ამ ხნის განმავლობაში უნდა შეემუშაებიათ და მომავალ კრებაზე საცდელი გაკვეთილები მიეცათ. კრების ხელმძღვანელობა ბ.სავიჩს ჰქონდა მინდობილი. სანიმუშო გაკვეთილებს ქალაქის სკოლის მასწავლებლები აძლევდენ, რასაკვირველია, ლევიტსკის მეთოდით. კრებამ ორ დღეს გასტანა. მეორე დღეს სამი საცდელი გაკვეთილი იყო მისაცემი, მაგრამ ერთი მასწავლებელი, რომელსაც უნდა მიეცა ერთ-ერთი გაკვეთილი ამ სამში — არ გამოცხადდა. სთხოვეს ერთ ძველ მასწავლებელს ეს დარჩენილი გაკვეთილი მიეცა. ისიც დათანხმდა იმ პირობით, თუ მასალას თვითონ აარჩევენებდენ, ინსპექტორი თანახმა გახდა. ამ მასწავლებელმა მისცა იგივე გაკვეთილი, რომელიც 20 წლის წინეთ ჰქონდა მიცემული ხონში მასწავლებლის კრებაზე, სადაც იგი საშუალო (удовлетворительный) გაკვეთილად იცნეს. ასე იმიტომ მოიქცა მასწავლებელი, რომ შეეტყო, თუ როგორ დააფასებდა აქაური კრება იმ გაკვეთილს. ორი დანარჩენი გაკვეთილი ახალგაზრდა მასწავლებლებმა მისცეს პირველად, მაგრამ ლევიტსკის მეთოდი არ უხმარიათ და კარგადაც ჩაატარეს. როცა კრებამ გაარჩია ეს გაკვეთილები, ყველამ მოიწონა, მაგრამ ძველი მასწავლებლის გაკვეთილს უფრო ყურადღებით შეხვდა და ერთი წუნიც ვერ უნახა. ამ დროს მდივნათ ქალაქის სკოლის მასწავლებელი კ-ყი იყო. იმან სიტყვის ნება აიღო ინსპექტორისგან, ქება შეასხა ამ უკანასკნელ გაკვეთილს და სხვათა შორის სთქვა: „ეს გაკვეთილი საუკეთესო გაკვეთილის ნიმუშათ დარჩება ოზურგეთის ქალაქის სკოლის ისტორიაში... ამ რიგათ ეს ხონში საშუალოთ ცნობილი საცდელი გაკვეთილი ჩინებულ (Прекрасный) გაკვეთილათ ჩასწერეს ოზურგეთის კრების ოქმში. როცა ეს ოქმი განიხილა, ლევიტსკიმ სულ სხვანაირი მსჯავრი დასდო მასწავლებელთ, რომელთაც ეს გაკვეთილები მისცეს — უფრო ახალგაზრდას, რომლის გაკვეთილი, როგორც მოვიხსენიეთ ზემოთ, კარგი იყო, ორი კვირით ოზურგეთის ქალთა სკოლაში გაკვეთილებზე დასწრება გადაუწყვიტა, სადაც უნდა შეესწავლა „რიგიანი გაკვეთილების“ მიცემა. მესამე გაკვეთილის მიმცემს, რომელიც იმ ხანებში სკოლის საქმეების გამო მივიდა დირექციაში, უთხრა: „Старые меха

не выдерживают нового вина“. თქვენ ვერ შეგითვისებიათ ჩემი ახალი მეთოდი, კარგი გაკვეთილი ვერ მიგიციათ კრებაზეო. როცა მასწავლებელმა მოაგონა მას კრების აზრი მისი გაკვეთილის შესახებ, ლევიტსკიმ შენიშნა: „ის კრება ჩემთვის ავტორიტეტი არ არის. იმის გადაწყვეტილებით თქვენი გაკვეთილი სრულათ უნდა დაბეჭდილიყო საოლქო „ცირკულიარში“ — მე კი არა თუ არ მომეწონა იგი — ჩემის აზრით ძალიან ცუდიც არის და არც დავაბეჭვდინებ, თუ ცოცხალი დავრჩიო“. ცხადია, ეს გაკვეთილები იმიტომ დაინუნა ლევიტსკიმ, რომ არც ერთი მისი მეთოდით არ იყო მიცემული.

როგორც წინა წერილში გვქონდა მოხსენებული, ლევიტსკის დირექტორობის ხანაში მასწავლებლების გონებრივ განვითარებისათვის არავინ ზრუნავდა. არავითარი სახელმძღვანელო, არავითარი საკითხავი წიგნები სკოლის დირექციიდან ლევიტსკის დროს არ მიუღიათ. თუ რამე მოიძებნებოდა სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნები, სხვა დირექტორების მიერ გამოგზავნილი, იმას არავინ კითხულობდა, რადგან სწავლების მეთოდი მარტო „Курсь“-ზე იყო დამყარებული, იმის საზღვარს ვერავინ გასცილდებოდა. ამიტომ, სკოლების უმთავრესი ყურადღება მარტო რუსულ ენის ლევიტსკისებურათ სწავლებას ჰქონდა მიქცეული, სხვა საგნები თითქმის უყურადღებოდ რჩებოდა, განსაკუთრებით ქართული ენის სწავლება სკოლაში ძალიან დაბრკოლდა.

ასეთმა არა ნორმალურმა მოვლენამ გურიის სკოლებში სწავლის საქმე მეტად დააქვეითა. წინად თუ ორკლასიან სკოლა დამთავრებული ბავშვი გიმნაზიის პირველ კლასში და სამოქალაქო სასწავლებლის მეორე კლასში იჭერდა ეგზამენს, ეხლა ამავე სასწავლებლების მოსამზადებელ კლასშიც უჭირდათ შესვლა.

თუმცა ქართულსა და რუსულს პრესაში ხშირად იბეჭდებოდა იმ ხანებში იაკობ გოგებაშვილის და სხვების წერილები ლევიტსკის მეთოდის მავნებლობაზე, მაგრამ ამ წერილებს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ლევიტსკის სამინისტროდან მადლობა და ჯილდო-ჯილდოზე მოსდიოდა, რის გამო მისი მახლობელი უფროსები ძალას ჰხედავდნენ მასში და ხელს უწყობდნენ მისი მეთოდის გაბატონებას ჩვენს სკოლებში.

მიუხედავად ამისა, სწავლის სურვილი გურიაში თანდათან იზრდებოდა; მას ვერავითარი დაბრკოლება ვერ აფერხებდა, გლენობა განაგრძობდა სკოლების შენობების გაუმჯობესებას, ორკლასიან

სასწავლებლის გახსნას. სადაც საუკეთესო შენობას შეჰხვდებოდით სოფლად გურიაში — სკოლის შენობა იყო. თითქმის ყოველ საზოგადოებაში ორკლასიანი სკოლა გაიხსნა და სწავლას, რაც ხანი გადიოდა, თანდათან მეტი მონაფეები ენაფებოდა. სწავლის სურვილი ისე გაძლიერდა ხალხში, რომ ველარც ორკლასიანმა სკოლამ დააკმაყოფილა მოთხოვნილება. ზოგ სკოლაში თითოეულ განყოფილებაში 90-100-მდე აღიოდა მონაფეთა რიცხვი და ამიტომ ფილიალურ განყოფილებებს ჰხსნიდნენ პატარა სოფლებშიც კი.

სკოლების სიმრავლის გამო მასწავლებლების საჭიროებაც გაიზარდა. ხონისა და გორის სემინარიები ძალიან ცოტა მასწავლებლებს იძლეოდნენ. სემინარიაში კურს დამთავრებული ძველი მასწავლებლები სოფელს ეხლა უფრო გაურბოდნენ, ქალაქებში ეძებდნენ ადგილს. ამ გარემოების წყალობით სოფლებში ბევრი სკოლები უმასწავლებლოდ რჩებოდა.

ასეთმა მდგომარეობამ სასწავლო მთავრობა აიძულა სამოქალაქო სასწავლებლებთან ორი წლის კურსიანი საპედაგოგიო განყოფილება მოეწყო სახალხო მასწავლებლების მოსამზადებლად. ასეთი განყოფილება გაიხსნა ქუთაისის გუბერნიისათვის ორი — ქუთაისში და ბათომში. ამ კურსებზე შედიოდა საქალაქო სკოლაშივე კურს დამთავრებული ახალგაზრდობა და იქ სწავლის დამთავრების შემდეგ სოფლის სკოლებში ინიშნებოდნენ მასწავლებლად.

მე არ შევეხები იმ საკითხს, თუ როგორი მომზადებული იყვნენ ეს მეტად ახალგაზრდა კაცები. ვიტყვი მხოლოდ, რომ იმათმა მოსვლამ ცოტა არ იყოს შეუცვალა სოფლის მასწავლებლობას ჩვეულებრივი ელფერი. ამ კურსისტების გამრავლებამდე კაკარდიან მასწავლებლებს სოფლად იშვიათად შეჰხვდებოდით. კურსებზე ნამყოფი მასწავლებლები კი ყვითელ ფოლაქებიან ტუყურკებით და წყვილი კაკარდებით შემკობილ ქუდებში გამოწყობილი ევლინებოდნენ სკოლებს. ამის შემდეგ კაკარდოსანი მასწავლებლები გახშირდნენ სოფლად. ეს გარემოება ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოდ მცხოვრებლებზე, მით უმეტეს, რომ იმ დროს მოძრაობა უკვე იწყებოდა გურიაში და ყოველ „ჩინოვნიკს“ ხალხი აღმაცერად უცქეროდა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ეს გარეგანი ბიუროკრატიული ფორმა ბევრმა ძველმა მასწავლებელმა შეითვისა. წინანდელი კეთილი მისწრაფება, ხალხში სკოლის გარედ რამე კულტურულ საქმეში მონაწილეობის მიღების სურვილი გაჰქრა მასწავლებლებში. ბევრი

მასწავლებელი გაკვეთილების გათავების შემდეგ თავის გართობაზე ფიქრობდა და ყოველივე საზოგადო საქმეს გაურბოდა, ხშირად კარტისა და ნარდის თამაშობაში „ჰკლავდა დროს“.

ლევიტსკის დირექტორობის ბოლო ხანებში სახალხო სკოლების ინსპექტორად დანიშნეს ბ.სავიჩი, რომლის რაიონში გურიის სკოლებიც შედიოდნენ. სავიჩი განათლებით აგრონომი იყო, უმაღლესი სამეურნეო ცოდნა ჰქონდა მიღებული, ის ყოველად პატივსაცემი პირი იყო. არავითარ ტენდენციას მის მოქმედებაში ადგილი არა ჰქონდა. მისი მოსვლა სკოლაში მღელვარებას სრულიად არ გამოიწვევდა მასწავლებლებში. ისე შინაურულად, სულ უბრალოდ ენვეოდა სკოლას. მასთან ისე გრძნობდი თავს, როგორც შენი ოჯახის წევრთან. სავიჩი არ ჰგავდა იმ უხემ უფროსებს, რომელნიც მეხივით დაესხმოდნენ ხოლმე თავს მასწავლებელს, თითქო საომრად მოსულანო და ყველაფერს არევდა-რევდნენ თავიანთი სიმკაცრით და გადამეტებული, ყოველად შეუფერებელი ბატონური ქცევით. სავიჩი საუცხოო მეთვალყურე იქნებოდა სკოლისა, რომ ლევიტსკის კლანჭებით არ ყოფილიყო შებოჭილი.

სავიჩი მონადინებული იყო მასწავლებლების გონებრივი განვითარებისათვის, ხელი შეეწყო და განიზრახა დაბა ჩოხატაურში წიგნთსაცავი გაეხსნა მთელი გურიის მასწავლებლებისათვის, მაგრამ ეს კეთილი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში მისი უფროსების წყალობით და მალე დაანება თავი ქუთაისის გუბერნიაში სამსახურს. ქ. ქუთაისის მასწავლებელთა საზოგადოებამ დიდი პატივისცემით გაისტუმრა იგი და შესაფერი ადრესიც მიართვა მას წასვლის დროს.

ბოლო დროს ლევიტსკი დასნეულდა, ქარებით ფეხები წაუხდა და გადაიყვანეს განჯის გუბერნიაში სახალხო სკოლების დირექტორად. ლევიტსკის წასვლას თან მოჰყვა მისი სახელმძღვანელოების ლიკვიდაციაც ჩვენში, დირექტორობის თანამდებობა მას შერჩა 1882 წლიდან 1907 წლამდე. ბოლო დროს ის დამნაშავეს სკამზედ იჯდა სახელმწიფო ფულების გაფლანგვისათვის, მაგრამ გაამართლეს და დანაშაულობა მის მდივანს დაადგეს.

ლევიტსკის ადგილზე ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორად სოკოლოვი დანიშნეს; ეს სოკოლოვი ხონის სემინარიის დირექტორის სოკოლოვის ძმა იყო. მას ქეიფი და დასვენება უყვარდა, ძნელად დასაძრავი კაცი იყო და ამიტომ, ძალიან იშვიათად ნახულობდა სკოლებს. სოკოლოვი დიდხანს არ დარჩენილა დირექტორად. ის მალე გადაიყვანეს სამსახურიდან.

* * *

1900 წლების მოძრაობამ გურიაში სკოლებზედაც იქონია გავლენა, მოსწავლეებშიაც მღელვარება გამოიწვია, სკოლაში ჩვეულებრივი მდგომარეობა შეირყა, ძველი დისციპლინა დაირღვა, პატარა მონაფეებსაც მღელვარება, მოუსვენრობა დაეტყო, რის გამოც უნიდელი კალაპოტი სოფლის სკოლაში გაუქმდა. რამდენად ახლოვდებოდა 1905 წლის მოძრაობის განვითარება, იმდენად ძნელდებოდა სკოლაში რიგიანად სწავლება. 1904-1905 წლებში წინათ თავისუფალ აზროვნებას მოკლებული მასწავლებლებიც ღელავდნენ რალაცას მოლოდინში, იმათაც საზრუნავი გაუჩნდათ; ქალაქებში მასწავლებლების კრებები ჰხდებოდა, სადაც გამოჰქონდათ რეზოლიუციები, თავიანთ მოთხოვნილებებს უდგენდნენ მთავრობას. სოფლის მასწავლებლებსაც აღეძრათ სურვილი ეზრუნათ თავიანთ საქმეებზე, უნდოდათ თავიანთი მოთხოვნილებაც წარედგინად, ვისთანაც ჯერ იყო. ასეთ პირობებში სკოლაში სწავლების განგრძობა ყოველად შეუძლებელი შეიქნა ბოლო დროს.

1905 წლის თებერვალში გაზეთებში გამოცხადდა, ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოფლის მასწავლებლებს მოახდინონ კრება თავიანთ საქმეებზე მოსალაპარაკებლად. მართლაც, ამავე თვეში (მგონია 20 რიცხვი იყო) დიდი ყრილობა შესდგა მასწავლებლებისა ქუთაისში, მაგრამ გუბერნატორმა გადათქვა თავისი განკარგულება, არ მისცა ნება თავმოყრილ მასწავლებლებს მოსალაპარაკებლად შეკრებისა. „თქვენ თურმე რალაც მოთხოვნილებები გქონიათ ჩემთან წარმოსადგენი და ამიტომ კრების გამართვის ნებას ვერ დავართავთ“, უთხრა მასწავლებლების მიერ გაგზავნილ შუა კაცებს გუბერნატორმა. მერე მზრუნველსაც გაუგზავნეს დეპეშა, სთხოვეს შეკრების ნებართვა, მარა მისგანაც უარი მიიღეს, რის შემდეგ არჩეული დელეგატების საშუალებით გაფიცვა მოახდინეს. სოფლის სკოლებში მეცადინეობა შეწყვიტეს მასწავლებლებმა 24 მარტს.

სწავლების შეჩერებამ ძალიან დააღონა სასწავლო მთავრობა. იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა შეწყვეტილი მეცადინეობა განახლებულიყო. რადგან რეპრესიები შეუძლებელი იყო იმ დროს, უფრო ნელტკბილობა არჩიეს: გურიაში ოზურგეთის მაშინდელ საქალაქო სკოლის ინსპექტორს გორგასლიძეს დაავალა მზრუნველმა, ერჩია ხალხისთვის სკოლებში სწავლა განეახლებინათ. — „ოღონდ ნუ შესწყვეტენ მეცადინეობას და რა ენაზედაც და როგორც უნდათ

ისე ასწავლონო“, ეთქვა მზრუნველს გორგასლიძისათვის, მაგრამ ის ვერაფერს გაჰხდა, ხალხი ვერ შეჰკრიბა, რომ მოლაპარაკებოდა. იმ ხანებში ერთი სამსახურიდან დათხოვნილი გურული მასწავლებელი შესულიყო მაშინდელ მზრუნველთან, ზავადსკისთან. სკოლების გაფიცვაზე ლაპარაკი დაენყო ზავადსკის და ეთქვა: „ყველაზე უფრო გურიის სკოლების გაფიცვა მანუხებს, გურული მკვირცხლი და ნიჭიერი ბავშვების გაცდენა მენანება. ოჰ, რა საუცხოო ბავშვებია! ოღონდ დაიწყონ სწავლა და როგორც სურთ ისე ასწავლონო“.

* * *

სასოფლო სკოლამ გურიაში მეურნეობის გაუმჯობესებასაც შეუწყო ხელი და ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ აღვნიშნო სოფლის მასწავლებლების როლი ამ საქმეშიც.

მახლობელი სასწავლო მთავრობა მზრუნველ იანოვსკის წინადადებით თავიდანვე ურჩევდა სოფლის სკოლების მასწავლებლებს მოენყოთ თავიანთ სკოლებთან ბოსტნები, ხეხილის ბაღები, საფუტკრეები და სხვა, რაც შესაძლებელი იქნებოდა ადგილობრივი მიწის ნიადაგის და ჰავის პირობების მიხედვით.

ჩვენ არ შევეუდგებით იმის ახსნა-განმარტებას, თუ რამ აიძულა ბ.იანოვსკი ასე მოქცეულიყო; მისი ასეთი სურვილი ხალხისადმი გულწრფელი ერთგულებით იყო გამოწვეული, თუ სხვა მიზეზი ჰქონდა მას დასახული. ყოველ შემთხვევაში სასწავლო მთავრობის ასეთი მიმართულება ურიგო არ იყო, პირიქით, ის ბევრს სიკეთეს შესძენდა ჩვენს ხალხს, თუ სკოლა კარგად გამოიყენებდა ამ მიმართულებას.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი მხარე, განსაკუთრებით გურია, სამეურნეო ქვეყანაა, მეურნეობით ინახავს იგი თავს უხსოვარი დროიდან. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეს პრიმიტიულად, ძველებურად აწარმოებს ეს ყველაფრით შემკული და ბუნებით მდიდარი კუთხე. გურიის მიწის მუშა დღემდის იმგვარივე იარაღს ხმარობს სამუშაოთ და იმავე წესით აწარმოებს მუშაობას, რა წესითაც მისი წინაპარნი აწარმოებდნენ 1850 წლებამდე, როცა ყოველი მეურნეობის დარგი თითქმის მოუვლელად და სულ ცოტა შრომით იძლეოდა საარაკო მოსავალს. იმ დროს ჭირნახულის ავადმყოფობათა ხსენებაც არ ყოფილა ჩვენში. აბრეშუმის ჭიაც საღი იყო, ვენახიც, რომლითაც ვეებერთელა ხეები იყო დაფარული და სრულიად მოუვლელად საუცხოო ღვინოებს იძლეოდა. აქაური ღვინოები, ჩხავერი, ჯანი, მტევან-დიდი და

სხვა განთქმული იყო მთელს მხარეში საუკეთესო თვისებით, ჩინებულნი, ნაზი სურნელობით.

აქაური თაფლი, ეგრედ წოდებული „კრიპუჭი“ ხომ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა მთელს დედამიწაზე. ნაყოფიერი მიწები საკმაოდ იყო და საზღაპრო მოსავალს იძლეოდა. ერთი სიტყვით იმ დროს ხალხი ჩვენში სულ ცოტა შრომით იკვებავდა და იმოსავდა თავს. მაგრამ, დადგა თუ არა 50-იანი წლები, მეურნეობის საქმე ერთბაშად უკუღმა დატრიალდა არა თუ ჩვენში, ევროპაშიც კი. გაჩნდა ვენახისა და აბრეშუმის საშინელი სენი, რომელმაც სრულიად გაანადგურა მოსავალი ყოველგან.

ამ მოულოდნელმა მოვლენამ ხალხს თავზარი დასცა; იმას, რასაკვირველია, ვერ გამოერკვია, თუ რა მიზეზით დაატყდა თავს ეს საშინელი უბედურება. ზოგი ამ მოვლენას ღვთის რისხვას აწერდა, ზოგი „მზაკვავებს“ (კუდიანებს) და ავსულებს აბრალებდა, საზოგადოდ კი იმ აზრის იყვნენ გურულები, რომ ეს ავადმყოფობანი 1855 წლის მზის სრულმა დაბნელებამ გამოიწვიაო და იმედოვნებდნენ, როცა ხელმეორედ მოხდება მზის სრული დაბნელება, იმავე მიზეზით მოვლინებული ჭირნახულის სნეულებანი გაჰქრებიან და ისევ განახლდება აბრეშუმის და ღვინის წინანდელი უხვი მოსავალიო. სწორედ ასეთი ცრუმორწმუნეობის იმედით ცხოვრობდა გურული მეურნე, როცა ევროპის მეცნიერება უკვე შეისწავლეს ზემოხსენებულ სნეულებათა წარმომშობი მიზეზები და მის წინააღმდეგ საბრძოლველი უებარი წამალიც გამონახეს, რომელიც ისე მარტივი გამოდგა, რო სულ უბრალო იყო იმის შესწავლა და მოხმარება.

მაგრამ ვის უნდა შეეწუხებინა თავი ამისათვის? ვინ უნდა მიშველებოდა ჩვენს ხალხს ამ შემთხვევაში, როცა ნასწავლი მეურნეები ჩვენ მაშინ არ გაგვაჩნდა და ინტელიგენცია ქალაქებში „მოღვაწეობდა“? რასაკვირველია, იმას, ვინც ხალხთან ახლოს იყო და მისი გასაჭირი და ლხინი იცოდა — სკოლის მასწავლებლებს, სკოლას უნდა გამოეყვანა ხალხი ცრუ მორწმუნეობისაგან, ესწავლებია მისთვის ევროპიული მეცნიერების მიერ შემუშავებული საშუალებანი უხილავ მტრებთან საბრძოლველად, დაცემულ მეურნეობის აღსადგენად. ამისათვის, უნდა მოეწყო სკოლასთან საცდელი სამეურნეო განყოფილებანი და შეძლებისდაგვარად, სოფლები-სათვის ეჩვენებინა ამა თუ იმ სამეურნეო დარგის წესიერად დამუშავების ნიმუში.

ამ საქმეში სკოლას სასწავლო მთავრობაც, თუმცა ძალიან ძუნ-
ნად, მაგრამ მაინც ხელს უწყობდა.

1886 წელში მზრუნველის განკარგულებით რამდენიმე სოფლის
მასწავლებელი მიიწვიეს ქ. ოზურგეთში, სადაც სახალხო სკოლების
ინსპექტორმა პერეგოზნიკოვმა ნაიკითხა ლექცია მებარეშუმეობა-
ზე. ლექციების კითხვამ აქ ორ დღეს გასტანა, და შემდეგ პერეგოზნი-
კოვმა მსმენელებს ცოტ-ცოტა ცელიულიარული გარენა (პასტერის
სისტემით გარჩეული აბრეშუმის ქიის სალი თესლი) დაურიგა. ამ თეს-
ლმა საუცხოოდ იკეთა სოფელში, ვინც წესიერად მოუარა. ასეთი აბ-
რეშუმის თესლის შემოტანა გურიაში ახალი ამბავი იყო და ძლიერაც
გააკვირვა ხალხი, რადგან არავის სჯეროდა, თუ დასწეულებული
„ყაჭის“ გამობრუნება ხელოვნურად შესაძლებელი იყო. ამის შემდეგ
გავიდა რამოდენიმე წელიწადი და მებარეშუმეობის შესასწავლად
მინვეულ იქნა მთელი ოლქიდან რამოდენიმე მასწავლებელი ქ. თბი-
ლისში; მასწავლებლები არჩევით იყვნენ მინვეული: თითოეული სა-
აბრეშუმო რაიონიდან ორი-სამი კაცი, ასე რომ კრება მასწავლებლე-
ბისა 20-25 კაცისაგან შესდგებოდა: ბინის, გზის და საჭმელის ფულს
მასწავლებლებს სამოსწავლო ოლქიდან აძლევდნენ.

გურიიდან, როგორც გვახსოვს, მხოლოდ 4 მასწავლებელი იყო
მინვეული ამ კურსებზე, 3 კაცი და ერთი ქალი. კურსები ახლად მონ-
ყობილ სააბრეშუმო სადგურში გაიხსნა, სადაც ლექციებს კითხუ-
ლობდნენ სადგურის გამგე ნ.შავროვი და უფროსი მებარეშუმე ჟმუ-
იზინოვიჩი. პირველი კითხულობდა საზოგადოდ მებარეშუმეობაზე,
მეორე — მიკროსკოპიაზე და აბრეშუმის თესლის პასტერის სისტე-
მის გარჩევაზე (გრენაჟზე). ეს კურსები 22 დეკემბერს დაიწყო და 5
იანვარს გათავდა. მეცადინეობა, გარდა შობის და ახალწლის დღეე-
ბისა, ყოველ დღე იყო.

თეორიასთან პრაქტიკულადაც ვარჯიშობდნენ მსმენელები, გრე-
ნის მომზადებაში მიკროსკოპების საშუალებით. გარდა მებარეშუ-
მეობისა, აქ ვენახის წამლობასაც ასწავლიდნენ: უხსნიდნენ მასწავ-
ლებლებს ბორდოს სითხის მომზადებას, აჩვენდნენ ვერმორელის
მანქანით ამ სითხის ხმარებას და გოგირდის საბერველით ვენახზე
მიფრქვევას. ლექციებს ერთხელ იანოვსკიც დაესწრო. აქ მან გაიც-
ნო მასწავლებლები, ებაასა მათ და შეჰპირდა შემდეგშიაც მოვანყობ
კურსებს და ხილის გაშრობის საქმეს შეისწავლითო. გურიაში აუარე-
ბელი ხილი ღებება უსარგებლოდ და კარგი იქნება ასწავლოთ სოფლე-

ლებს ხილის გაშრობა, რაც დიდ სარგებელს მოუტანს მთელს მახრასო, უთხრა გურულ მასწავლებლებს იანოვსკიმ. შემდეგ სადგურის გამგეს სთხოვა მიკროსკოპები გამოეწერა მსმენელებისთვის საზღვარ-გარეთიდან; მართლაც ორი თვის შემდეგ კურსებზე ნამყოფ ყველა მასწავლებელს მოუვიდათ ახალი მიკროსკოპები თავის საჭირო ნყობილობით.

კურსებზე შექმნილი ცოდნა სამმა მასწავლებელმა მოიხმარა გურიაში, თავიანთ მომზადებულ გრენას შეძლებისდაგვარად ავრცელებდნენ. ადგილობრივად დამზადებული გრენა კარგი ღირსების გამოდგა, ძალიანაც ეტანებოდა ხალხი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა მზადდებოდა, რადგან ამ საქმეს დიდი ბეჯითობა, სიფრთხილე დამუშაობა უნდოდა, მასწავლებელს კი ცოტა დრო რჩებოდა ამისთვის.

მიუხედავად ამისა, გურიაში მეაბრეშუმეობის გამობრუნებაში სკოლას დიდი ღვაწლი მიუძღვის. სააბრეშუმო სადგურსა და ზოგ სკოლებს შუა მჭიდრო დამოკიდებულება დამკვიდრდა — სკოლა გახდა შუამავალი ხალხსა და იმ დანესებულებას შორის, რომელიც მოვალე იყო გაევრცელებინა ხალხში წესიერი მეაბრეშუმეობა.

ამ ფაქტის დასამტკიცებლად მე მოვიყვან აქ შემოკლებით ცნობებს წიგნაკიდან, რომელსაც „Закавказье“ აქვს სათაურად. ეს წიგნაკი შეიცავს მასალას, რომელიც შეუკრებია რამდენიმე სოფლის მასწავლებელს ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობის სტატისტიკისთვის. ეს წიგნაკი შედგენილია თბილისის სააბრეშუმო სადგურის მაშინდელ გამგის შავროვის რედაქტორობით. სამწუხაროდ, კრებული უთარილოა — არ არის აღნიშნული, როდის დაიბეჭდა. ჩემის აზრით, დაახლოებით 1897 და 1898 წლებში უნდა იყოს დაბეჭდილი: მახსოვს იმ დროს მასწავლებლებს დაურიგეს პროგრამები, როგორ უნდა შეეკრიბათ სტატისტიკური ცნობები მეაბრეშუმეობისა ქუთაისის გუბერნიაში. როგორც წიგნაკიდან სჩანს, ამ ცნობების შეკრებაში გურიიდან მხოლოდ 5 მასწავლებელს მიუღია მონაწილეობა, რომელთაგან ოთხი წერილი ეხება აბრეშუმის მოვლის ისტორიას გურიაში, ხალხში გავრცელებულ ცრუ მორწმუნეობას, შელოცვებს და სხვ. მეხუთე წერილი უფრო ვრცლად ასწერს მეაბრეშუმეობის ისტორიას, მის აყვავების ხანას, აბრეშუმის დამუშავების ტექნიკას, თუთის ხის სიმრავლეს; აღნიშნავს 1856 წლიდან ამ დარგის სრულიად მოსპობის მიზეზს და მასთან განაგრძობს, თუ რა საშუალებით გაავრცელა სკოლამ ხალხში დაცემული მეაბრეშუმეობა, როგორ შეიძინა ცელუ-

ლიარული გრენა, შეისწავლა მეაბრეშუმეობა, მოაწყო სამაგალითო „საყაჭე“, დაარწმუნა ხალხი, რომ მეაბრეშუმეობის გამობრუნება შესაძლებელია. ამ საქმეში ერთ გარემოებას შეუწყვია ხელი: სკოლის ახლოს ეკლესია ყოფილა, ამით უსარგებლნიათ მასწავლებლებს, უქმე დღეებში წირვაზე ეპატიჟებოდნენ ხოლმე ხალხს, ენახათ, თუ როგორ წარმოებდა ახალი წესით აბრეშუმის ქვის მოვლა. ძალიან დაუინტერესებია ხალხი, განსაკუთრებით ქალები, ამგარემოებას და მნახველების რიცხვს თანდათან უმატნია. პარკების მოსავალს ხომ განცვიფრებაში მოუყვანია ქალები, დიდი სიხარული და იმედი გამოუწვევია მათში. ბევრ ხნიერ ქალებსაც მოუგონებიათ ის დრო, როდესაც ჩვენში აბრეშუმის უხვი მოსავალი იყო. ამ გვარად ქალებს გაღვიძებიათ იმედი დაცემულ მეაბრეშუმეობის ხელ-ახლა გამობრუნებისა. ამით წახალისებულ სოფლებში შემდეგ წელში უფრო მეტი აღმოჩენილა სალი გრენის შეძენის მსურველი. თბილისის სადგურის გამგის, შავროვის რჩევით მასწავლებლებს გამოუწერიათ იტალიიდან ცელულიარული გრენა, დაურიგებიათ სოფელში და ამ პირველ ცდას ჩინებული შედეგი მოუტანია.

ამგვარად, სოფლის სკოლამ ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი მეაბრეშუმეობას, რომელიც ამჟამად ერთ საუკეთესო შემოსავლიან მეურნეობის დარგს შეადგენს გურიაში.

სკოლამ სხვა სამეურნეო დარგების გამობრუნებასაც შეუწყო ხელი გურიაში. მაგალითად, ერთმა სკოლამ* საკუთარი მიწის უქონლობისა გამო, კერძო კაცისგან აიღო იჯარით მიწა და იქ გაიჩინა საფუტკრე, ბოსტანი, ხეხილების სანერგე და საბჭოლე, სადაც თავისუფალ დროს მოწაფეები ვარჯიშობდნენ ამ დარგების შეძლებისდაგვარად შესწავლაში. შემდეგ, როცა სკოლამ შეიძინა მიწა, ყველაფერი ეს გადაიტანა საიჯარო ადგილიდან ახალ ადგილზე და უფრო ფართე ხასიათი მისცა მეურნეობას, რომელსაც მევენახეობა მიემატა და თან გაშენდა ლამაზი დეკორატიული ბაღიც. ყველა ეს მარტო მასწავლებლების და მოწაფეთა შრომით გაკეთდა ისე, რომ არც სოფელს გადაუხდია რამე და არც სხვა საგნებში მეცადინეობაში შეუშლია ხელი სკოლას. გლეხებს მიჰქონდათ ბალიდან ნერგები, დასამყნობი „პინკები“ საუკეთესო ჯიშის ხეხილებისა; სწავლობდნენ ვენახის შაბიამნითა და გოგირდით წამლობას და სხვ. მაგრამ იმ დროს ხალხი

* საუბარია ბახვის სკოლაზე

აღმაცერად უყურებდა ამ საქმეს. არ სწამდათ მეურნეობის გამობრუნება განსაკუთრებით სკოლის საშუალებით; არა თუ უბრალო გლეხები, ზოგიერთი შეგნებული პირებიც არ თანაუგრძნობდნენ ამ საქმეს. მიუხედავად ამისა, მასწავლებლები მაინც განაგრძობდნენ მუშაობას, თანდათანობით აუმჯობესებდნენ დანყებულ საქმეს და ბოლოს იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ სკოლასთან ოფიციალურად გაიხსნა სამეურნეო განყოფილება, რომლის შენახვას უმთავრესად ხაზინა კისრულობდა.

ამ განყოფილებამ დიდი სარგებლობა მოუტანა სოფელს. ამჟამად იქ ათას ფუთობით იყიდებოდა ხილი, გაშენდა დაბლარი ვენახი, ჩაისა და მანდარინის პლანტაციები და სხ.

ასეთი სამეურნეო განყოფილებიანი სკოლა ორი იყო შუაგულ გურიაში, 1900 წელს მესამე გაიხსნა აღმოსავლეთ გურიაში, ჩოხატოურის საბოქაულოში. ეს მესამე სკოლა კერძო კაცებმა გახსნეს სრულის თავის ხარჯით და შედარებით კარგადაც იყო მოწყობილი.

დამაარსებლებმა სკოლას მოუპოვეს საკმაო მიწაც, საკუთარი შენობაც აუგეს, შრომა და ხარჯი არ დაუზოგავთ; მასწავლებლობასაც თითონ ეწეოდნენ, რადგან ერთი იმათგანი სპეციალურად მომზადებული მეურნე იყო, მეორე კი მასწავლებელი. მოკლე ხანში სკოლასთან გაშენდა სამაგალითო ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი; ცოტა მოშორებით სკოლიდან, საზოგადოდ გზის პირად მოაწყვეს ნამყენი ვაზის სანერგე, სადაც 5-6 სპეციალურად მომზადებული ახალგაზრდები ამყნობდნენ და რგავდნენ ვენახს, უვლიდნენ ნამყენს და ამერიკულ ვაზს. ყოველივე მუშაობა აქ დემონსტრაციულად, ხალხის თვალწინ ხდებოდა და ამიტომ მალე მოჰკიდეს იქაურებმა ხელი მევენახეობას. ამ სკოლის წყალობით მცოდნე მეურნეებიც გაჩნდნენ იმ კუთხეში, რამაც დააჩქარა ხალხში მევენახეობის გავრცელება და კარგი ღვინოებიც მოჰყავთ. სამწუხაროდ, ეს ფრიად სასარგებლო სკოლა დამაარსებელთა დამოუკიდებელ მიზეზის გამო 1906 წელში დაიხურა...

ჟურნალი „განათლება“

1915 წ. N10, 1916 წ. N1, 2, 8-9.

მეფუტკრეობა გურიაში

იყო დრო, როცა მეფუტკრეობა ჰყვავოდა გურიაში. მაშინ იგი შეადგენდა შემოსავლის ერთს უმთავრეს წყაროთაგანს გურიის მცხოვრებთათვის. ეს იყო ის დრო, როდესაც აქაურ ტყეებს ჯერ ადამიანის ხელი უფრო კრძალვით ეპყრობოდა და იგი სავსე იყო სხვა და სხვა თაფლოვანი ხეებით: ცაცხვებით, ნაბლის ხეებით, ხურმით, წყავით, სუროებით და სხვა. იმ დროში აქ იშვიათად შეხვდებოდით დასახლებულ ადგილებს; ხოლო აქა-იქ გაბნეული გამოიყურებოდნენ ტყიდგან გურული სახლები და ჯიხურები, დანარჩენი სივრცე გურიისა კი დაფარული იყო უტიხი ტყეებით.

იმ დროში აუარებელი ფუტკარი ჰბუდობდა აქ. ფუტკარი შეგხვდებოდათ თითქმის ყოველს ნაბიჯზე ხეების ღრუებში; ეზოებშიაც, რასაკვირველია, ბევრი ჰყავდათ იგი „ბუკებში“ (სკებში).

გურულები მაშინ ოჯახშიაც უხვად ხმარობდნენ თაფლსა და ცვილს და გასაყიდადაც ბევრი გაჰქონდათ სხვა-და-სხვა ქალაქებში: ახალციხეში, ქუთაისში, ყულევში და თბილისშიაც კი.

დღემდის დარჩენილა ჩვენში ერთი ამბავი, რომელიც ამტკიცებს, თუ რამდენად სარგებლიანი ყოფილა ძველად ჩვენში მეფუტკრეობა: გურიის უკანასკნელ მთავარსამამიას მოახსენეს ერთხელ: სოფელსხევში (ერკეთის საზოგადოებაშია) სცხოვრობს ვინმე აზნაური კეკელიძე, რომელიც იმდენად შეძლებულია, რომ მარტო მისი ოჯახისათვის მომზადებული სადილით საკადრისად გაუმასპინძლდება გურიელს მისის ამალითურთაო. გურიელმა მოიწადინა ამ აზნაურის ოჯახის ნახვა და ერთხელ წავიდა კიდეც. მისას სწორედ სადილობა იყო, გურიელი რომ მიბრძანდა; კეკელიძე გამოეგება მას, შესაფერად მიესალმა და სთხოვა სახლში შებრძანება; მაგრამ რადგან კარგი დარი იყო, გურიელი ჩამოხტა იქავე დიდი ცაცხვის ძირში და უბრძანა მასპინძელს, რაც შეიძლება ადრე მოართვას სადილი, რადგან მას ძალიან ეჩქარებოდა და დიდ ხანს ვერ შეიცდიდა. ამასთან გურიელმა დაუმატა: „თუ გიყვარდე, რაც გქონდეს მზად შენდა სასადილოდ, მხოლოდ ის გამოატანინე“. მასპინძელი მაშინვე უბრძანებს მოსამსახურეებს საჩქაროდ სადილის მორთმევას, თვითონ კი ძვირფასს სტუმარს ემუსაიფება. შინაყმებს საჩქაროდ გამოაქვთ სტუმრების რიცხვისამებრ ცვილის დიდრონი

გოგრები და უდგამენ თითოეულ სტუმარს სკამის მაგივრად: ამას შემდეგ გაანყობენ სუფრას, რომელსაც აშვენებს საუკეთესო „სანთლის რახი“ (ოტკა). სადილი საუცხოო გამოდგება და გურიელი გაკვირვებული რჩება ასეთი უხვი მასპინძლობის გამო. ნაბრძანების წინად მთავარი ეკითხება მასპინძელს:

„— მითხარი, რით დაგასაჩუქრო ასეთი პატივის ცემისათვის?“
მასპინძელი მოკრძალებით მოახსენებს:

„— ბატონო გურიელო, მე შევხიზნებივარ ამ ტყეს, რომლის წყალობითაც შევიძელი დღეს თქვენი გამასპინძლება. თუ რომ ჩემი გაბედნიერება გნადია, მინყალობე ეს ჩემი მაცხოვრებელი ტყე“.

გურიელი უბრძანებს მდივანს დასწეროს წყალობის წიგნი, რომლითაც ეს ტყე დაესაკუთრება აზნაურს კეკელიძეს. ამბობენ, კეკელიძეებს დღესაც აქვთ გურიელის ხელმოწერილი ეტრატზედ დაწერილი წყალობის ბარათი.

გავიდა ამას შემდეგ დიდი ხანი და ხალხი საოცრად გამრავლდა გურიაში, რის გამოც აუცილებელი შეიქნა აქაურ ტყეების გაკაფვა სამოსახლოდ და სათესად. მთელი ვაკე გურიის ტყეები თითქმის მთლად გაიკაფა. დარჩა გაუკაფავი მხოლოდ გურიის განაპირები, განსაკუთრებით მთების დაყოლებაზე, და მეფუტკრეობაც მომეტებულიად დღეს ამ ადგილებში სულდგმულობს, სახელდობრ შემდეგსოფლებში: გურიანთაში, აჭში, გოგიეთში, გომში, ვაკიჯვარში, ვანის ქედში, მენიეთში, ხევში ანუ ნაბელლავს და სურებში.

დანარჩენ სოფლებშიაც მეფუტკრეობა მთლად არ მომსპარა, მაგრამ თითო-ოროლა სკებილა ჰყავთ.

ზემოდ ჩამოთვლილ ადგილებში ფუტკარი სხვადასხვანაირად ჰყავთ, მაგალითად გურიის სამხრეთ დასავლეთ სოფლებში — აჭში, გოგიეთში, გომში, ვაკიჯვარში და ვანის ქედში სკები დადგმული აქვთ ტყეში ხეებზე. თითო ხეზე თითო „ბუკი“. იანვარში ან თებერვალში სკას „ხილვენ“ (თაფლი გამოაქვთ სკიდგან). ამ ადგილებში ფუტკარს არავითარი მოვლა არა აქვს: მეფუტკრე სდგამს ცარიელ სკას დიდს ხეზედ, მიაკრავს მას წირეხით* და სტოვებს იმ იმედით, რომ „ბუკი მალე გასულიერდება“ — ფუტკარი დაბინავდება შიგ; მართლაც ეს იმედი ყოველთვის მართლდება — ფუტკარი ცარიელ სკას მიაგნებს და შიგ ბინავდება.

* წირეხი — დაგრეხილი, ნაბალთი ხის ტოტი.

დანარჩენ საფუტკრე ადგილებში — ხევში, მენიეთში და სურებში, აგრეთვე ტყეშივე ჰყავთ ფუტკარი, მაგრამ განსაკუთრებულს საფუტკრეში უდგათ სკები. საფუტკრე ასე აქვთ მოწყობილი: ოთხს ან მეტს ბოძზე დანყობილი ლანდურები მჭიდროდ არის ჩაჭერილი, იმ სიმაღლეზე კი, რომ ადამიანს უკიბოდ ასვლა არ შეუძლია; მამასადაძამე, დათვიც ზედ ვერ ავა და ვერ გააოხრებს, ვერ დაავსებს სკებს.

ასეთ ნაირად მოწყობილ საფუტკრეს სურებლები ჯეფირს უწოდებენ. ჯეფირზე ჭერეხივით არის სკები ერთი მეორეზე მიწყობილი, რაიცა ძალიან უშლის ხელს ფუტკრებს თავიანთ სადგურის მიგნებას და ხშირად ერთი სკის ფუტკარი მეორეში გადადის, რის გამოც ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი სკა რომ ძლიერია, სავსეა მუშა ფუტკრებით — მეორე მეტად სუსტია და არა თუ თავლს არ იძლევა, ხშირად ისპობა კიდევ. მაგრამ რაც უნდა უხერხულად იყოს განყოფილი აქ საფუტკრე, მაინც დიდს შემოსავალს აძლევს პატრონს თავლოვანი მცენარეების სიმრავლის გამო. სხვათა შორის, მე ვიცი სოფელს სურებში გლეხი, რომელსაც ხუთასზე მეტი სკა უდგას ჯეფირზე და წლიური შემოსავალი საფუტკრიდან ხუთას მანეთამდე აუდის წელიწადში. ეს კაცი თავლს სანახელში წნებავს, როგორც ყურძენს, და რასაკვირველია ასეთი თავლი ძალიან დაბალი ღირსების გამოდის, რადგანაც მას თან ახლავს ძველი გაშავებული ფიჭის ნამცეცები და ბლომად ურევია ჭეო (цветень, хлебина), რომელსაც კარპაჭს უწოდებს ავტორი „ფუტკარი და მისი გონივრული მოვლისა“ („მეურნე“, NN3-4, 1894 წ.) მიუხედავად ამისა, ეს კაცი მაშინვე ასაღებს თავლს, რომელსაც აჭარლები ყიდულობენ ფუტს 3-3 მ. 50 კ. ცვილს ხომ ფასი თან-და-თან ემატება: ამ ბოლო დროს ოყა (სამი გირვანქა) ცვილისა ორ მანეთად იყიდება გურიაში.

სკებს გურიაში ყოველგან ერთი ტიპისას აკეთებენ, უფრო ამჯობინებენ თხემლის ხისას. გამომორვენ ალაბ ნახევრამდე სიგრძის მორსა, გააპობენ შუაზე, ამოუთლიან გულებს ასეთ ნაპობებს ვარცლივით, ჩაუდიღვენ ფუტკრის საძრომებს, დაამხოვენ ერთმანეთზე ამ ნაპობებს და „ბუკიც“ მზად არის.

ფუტკრის მოვლა-მოშენებაც ასე უბრალოდ მიდის. ნაყრობა (poenie), რასაკვირველია, ბუნებითია. შეატყობენ თუ არა, რომ სკა ყრას აპირებს, მაშინვე დაუნყებენ მისს ახლოს რაკუნს ტაშტს, ან სხვა რასმე ხმის მომცემ სპილენძეულობას, რომ ამ ხმაურობით

ნაყარი შეაკავონ და ახლო დააბინავონ.* როცა სკა მთლად „მიაყრის“, მიუდგამენ მას ქვემოდგან გიდელს (ყურძნის საკრები გრძელი კალათია), აიღებენ ფოთლებიან ხის პონკებს და ფრთხილად ჩაჰხვეტენ ნაყარს გიდელში, რომელიც წინადვე დასველებულია თაფლ-წყალით ან წურუქით. გიდლიდგან ფუტკარს ჰყრიან სკაში და სდებენ მას (ჩვენში სრულიად არ იციან დამდგარი სკები — *СТОЯКИ*), სადმე ეზოში, — მორჩა და გათავდა.

ძალიან ძვირად შეხვდებით ჩვენში ისეთს მეფუტკრეს, რომელიც ორ-სამს თვეში მაინც დახედავდეს თავის ფუტკარს და შეიტყობდეს, თუ რა მდგომარეობაშია იგი. მეტი ნაწილი მათგანი სკას მაშინ ახდის თავს, როცა თაფლის ამოსაღებად მიდის მასთან. ივლისში, ან აგვისტოში ახდიან სკას თავს, ძალზედ უბოლებენ ფუტკუროს კვამლს და გამოჭრიან ფიჭებს გრძელი დანიით; ფუტკარს ზამთარში გამოსაკვებად უტოვებენ ფიჭებს სკის თავიდგან (ბუდიდგან) მოკიდებული ერთი წყრთის სიგრძეზე.

გამოლებულ ფიჭას ჩაალაგებენ კარდალში, წამოათბობენ ცეცხლზე, ასხამენ ტომარაში, უჭერენ მუხრუჭს და სწურავენ. ამ ნაირად განწურული თაფლი, ვიმეორებ, ძალიან ცუდი ღირსებისაა: იმაში ურევია ისეთი ნაწილები, რასაც ნამდვილი მეფუტკრეები არას გზით არ ჩააყოლებენ თაფლს — ჭეო, ძველი ფიჭის ნამცეცები და სხვა, რის გამოც თაფლი შავი ფერის გამოდის. ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენებური თაფლი იაფად იყიდება. აქაური ტყის თაფლი რომ მცოდნე მეფუტკრემ გამოსწუროს თაფლის საწური მანქანით, რომელსაც ცენტროფუგა ჰქვია, გაცილებით აჯობებდა ის რუსეთის თაფლს, რომელიც 5-6 მანეთად იყიდება ფუთი.

ყველა განათლებულ ქვეყნებში მეფუტკრეობას დიდი ყურადღება აქვს ამ ჟამად მიქცეული. ამერიკაში, მაგალითად, არიან ხშირად ისეთი მეფუტკრეები, რომელიც ათი ათას მანეთობით შემოსავალს რჩებიან ამ წარმოებას. ამ ბოლო დროს რუსეთშიაც დიდი ყურადღება მიაქციეს ამ საგანს და ბევრმა მცოდნე კაცმა მოჰკიდა ხელი ამ სასარგებლო წარმოებას. რუსეთის მწერლობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამას. პეტერბურგში არსებობს ორი იაფფასიანი

*. ამ საშუალებას ნაყარის შესაჩერებლად მარტო ჩვენში არ ხმარობენ, რუსეთშიაც ბევრს ადგილებში ყოფილა მიღებული იგივე საშუალება მართვეს შესაჩერებლად (ნახეთ *Известія Им. Общ. естествознанія, этнографія и антропология, Москва 1885 годъ*).

და მეტად რიგიანი ყოველ თვიური ჟურნალები მეფუტკრეობისა, რომელთა რედაქტორებად არიან განათლებულნი ბუნების მეტყველნი პროფესორები გლაზენაპი და ანუჩინი. ამას გარდა არსებობს იქ რამდენიმე საზოგადოება მეფუტკრეობისა, არსებობენ სკოლები, რომელნიც სპეციალურად მეფუტკრეებს ამზადებენ, ასე რომ რუსეთის მეფუტკრეობა დღითი-დღე წარმატებაში შედის და ვრცელდება იქ წესიერი მოვლა-მოშენება ფუტკრისა; იქ თან-და-თან შედის ხმარებაში ჩარჩოიანი სკები, რომელთა შემწეობითაც ფუტკრის მოვლა გაადვილებულიც არის და სარგებლობაც გაცილებით მეტი მოაქვს; ვრცელდება ყოველნაირი ამ საქმეში გამოსადეგი, განათლებულ ქვეყნებში ნაცადი, იარაღები. რუსეთის განათლებული კაცები და ზოგიერთი განათლებული მღვდლებიცა დიდის ყურადღებით უკვირდებიან ამ წარმოებას, ცდილობენ იმის საფუძვლიანად შესწავლას და ხდებიან შესანიშნავ მეფუტკრეებად.

ჩვენში კი არაფერი კეთდება ამ მხრით და არც ფიქრობს ვინმე ამაზედ. ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა საზოგადოებამ თითქო შეიგნო სარგებლობა სამეურნეო საგნების შესწავლისა, რის წყალობითაც ყველა წარმოებას ჩვენში ცოტ-ცოტათი დაეტყო მოცოცხლება. მხოლოდ მეფუტკრეობა რჩება ამ მხრივ სრულიად მივიწყებული. არა გვგონია, ამ წარმოებას ისე უყურებდეს ჩვენი საზოგადოება, როგორც იმისთანა უმნიშვნელო საგანს, რომელზედაც იმდენი ზრუნვა და შრომა ვითომც არ ღირდეს. პირიქით, მეფუტკრეობას ჩვენი ქვეყნისათვის და განსაკუთრებით გურიისათვის, გარდა პირდაპირი პრაქტიკული სარგებლობისა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობითი მხრითაც: ცნობილია, რომ ფუტკრის მოვლა-მოშენება მეტად სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ბუნებაზედ; იმის შესწავლა და დაახლოება ურბილებს და უპატიოსნებს კაცს ხასიათს, აჩვევს შრომისთვის გულდადებას და ბეჯითობას, უმშვიდებს გულს და უხსნის გონებას. ამას გარდა რიგიანი მეფუტკრეობა მჭიდროდ დაკავშირებულია ბალსნობასა და ტყის დაზოგვასთან, და სადაც მეფუტკრეობა წინ მიდის, იქ უსათუოდ ბალებიც უმჯობესდება და ტყეებიც დაზოგვილია. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა მიაქციოს შესაფერი ყურადღება ჩვენმა საზოგადოებამ და მეტადრე ჩვენებურმა სამეურნეო სკოლებმა მეფუტკრეობის წესიერ გზაზედ დაყენებას.

„ჩხავერის“ ვაზის განაბლებისა და ყირიმული ვაზების გაშენების ცდა

გურია ძველთაგანვე განთქმული იყო თავისი საუცხოო ღვინოებით. საუკეთესო გურული ღვინის თავისებური სინაზე და სურნელოვანება, მცოდნე ხალხის აზრით, კახურ ღვინოზე მაღლა აყენებდა მას. ვენახი მთელ გურიაში იყო გავრცელებული, მაგრამ განსაკუთრებით მაღალი ღირსების ღვინო შემდეგ ადგილებში დგებოდა: საჯავახოს, ციხეს, ასკანას, ბაღდადს, შემოქმედს და ლეხოურში. ეს ადგილები აჭარა-გურიის მთების კალთებზე მდებარეობს და მათი ფერდობები შედარებით მშრალიც არის და მზიანიც.

ვაზის თავდაპირველი წარმოშობა ჯერ კიდევ წინაისტორიულ ხანას უნდა მივაკუთვნოთ აქ. ამას ადასტურებს ერთი წარმართული წეს-ჩვეულება, რომელმაც ამ ბოლო ხანამდე მოაღწია და მხოლოდ ჩვენს დროში გადავარდა ამ რამდენიმე წლის წინად: ახალწელიწად დღეს შევიდოდენ ხოლმე მარანში, შეიტანდნენ მოხარშულ ღორის თავს, რომელსაც ურტყამდნენ სანახელს და თან მოუწოდებდნენ ვინმე „აგუნას“ (ალბათ ღვინის წარმართულ ღმერთს) და სთხოვდნენ მას ყურძნის უხვი მოსავალი მოენიჭებინა ახლა დამდგარ წელიწადში.

კლიმატური პირობების გამო გურიაში მხოლოდ მაღლარ ვენახს აშენებდნენ და მაღალ ხეებზე უშვებდნენ. ამრავლებდნენ განსაკუთრებით ე.წ. გადანინდვის (გურიაში „დამაგინებას“ ეტყვიან) საშუალებით, ლერწებით კი — არასოდეს. ამასთანავე ვაზს აქ არასოდეს არ სხლავდენ. გასხლვა საჭირო ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ მიწაზე, სადაც ვენახი იყო გაშენებული, ყანა ითესებოდა, ასე რომ ამ გამონაკლის შემთხვევაშიაც ვაზის ან ვაზიანი ხის გასხლვაც გამონვეული იყო არა თვით ვაზის, არამედ ყანის ინტერესებით. მაგრამ გასხლვას ამ შემთხვევაშიაც უფრო ზიანი მოჰქონდა ვაზისთვის, ვიდრე სარგებლობა, რადგან — ერთი რომ — წესიერი გასხლვა არ იცოდენ და მეორე რომ — გასხლული

ხის ამონაყარი ყლორტები და ფოთოლი ისე ხშირი იყო ხოლმე, რომ ძლიერ ჩრდილავდა ყურძენს, რომელიც ამის გამო კარგად ველარ მნიფდებოდა. ამიტომ, საუკეთესო ყურძენი მოდიოდა გაუსხლავ ვაზზე და ისეთ ხეებზე, რომელთა მეჩხერ შტოებში თავისუფლად ატანდა მზის სხივები. ასეთი ხეები იყო: ხურმა, კაკლის ხე, ცხემლა, თუთის ხე, მუხა, ბალი. როგორც ნათქვამიდან ჩანს, ვენახს მაშინდელ დროში თითქმის არავითარი მოვლა არ სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, საარაკო მოსავალი იცოდა: ხშირად ერთ ძირ ვაზზე 8 ფუთი ღვინის ყურძენი ჩამოდიოდა. მასთან ყურძენი იმოდენად სალი და გამძლე იყო, რომ შემდეგი წლის გაზაფხულამდე შეეძლო ვაზზე გაძლება.* ყურძენის კრეფა ჩვეულებრივ ოქტომბრის დამლევებიდან იწყებოდა. აქაური ღვინის მაღალ ღირსებას, სხვათა შორის, ისიც მონიშნავს, რომ ღვინის გადაღება აქ არასოდეს არ იცოდენ, მთხლეზე ინახავდნენ და ადგილობრივი მეღვინეების აზრით ასეთი წესით შენახვა უფრო სასარგებლო იყო კარგი ღირსების ღვინოსთვის. ასეთ მდგომარეობაში იყო მეყურძნეობა გურიაში „ნაცარის“ გაჩენამდე.

დღიდან ამ ავადმყოფობის გაჩენისა, მეყურძნეობა ყოველ წელიწადს თანდათან ეცემა და ბოლოს იმ ზომამდე აღწევს, რომ ადგილობრივი ვაზი ამჟამად არავითარ მოსავალს აღარ იძლევა. რამდენიმე წლის შემდეგ „ნაცარის“ გავრცელებისა, გურიაში პირველად გაჩნდა ჯერ აქ უნახავი ვაზის ჯიში „იზაბელა“, რომელიც იოდუემის მხრივ გამძლე აღმოჩნდა. ამ თვისების წყალობით ეს ჯიში სწრაფად გავრცელდა და ყოველგან მოიკიდა ფეხი. მაგრამ ამ ვაზის ღვინო, როგორც ცნობილია, დიდად ჩამორჩება ადგილობრივს. „იზაბელის“ ღვინო არათუ მოკლებულია იმ სამკურნალო თვისებას, რომელიც ადგილობრივ „ჯანის“ და „მტევანდიდის“ ღვინოს აქვს, არამედ მავნებელიც არის ჯანმრთელობისათვის, როგორც გვარწმუნებს აქაური ძველი ხალხი, რომელიც მწარედ დასტირის ძველი ვაზის გადაშენებას. ამრიგად, „იზაბელის“ ღვინომ ვერ გასწია ადგილობრივი ღვინის ბადლობა და მეყურძნეობის დაცემამ ერთი მთავარი შემოსავალთაგანი მოუსპო გურიის მეურნეობას. მიუხედავად ამისა, დღემდე არავინ ფიქრობს სცადოს ადგილობრივი ვაზის აღდგენა რაციონალური მოვლით და „ნაცარის“ და მილდიუს

* ეს ცნობა ძლიერ საყურადღებოა, მაგრამ ბევრი შემომწმებას მოითხოვს. (ჟურნ. რედ).

(ამ რამდენიმე წლის წინად ეს ჭირიც მოედო აქაურ ვაზს და იზაბელასაც) წესიერი წამლობით. „ნაცარის“ წამლობას დიდად შეუშლიდა ხელს ადგილობრივი წესი ვაზის გაშენებისა (მაღალ ხეებზე გაშვება). მკურნალობის გაადვილებისათვის საჭიროა თვით ამ წესის შეცვლა.

ამ მიზნით 1891 წ. სოფ. ბახვის სასწავლებლის მიწაზე დაწყებული იქმნა ცდა პატარა ზვრის გაშენებისა. პირველყოვლისა, გადავწყვიტეთ, გვეცადა ერთ-ერთი საუკეთესო ადგილობრივი ჯიშის, „ჩხავერის“, განახლება და გარდა, ამისა ზოგიერთი ყირიმული ჯიშის გაშენება. იალტის ნიკიტის საიმპერატორო სასწავლებლის ბალიდან გამოწერილ იქნა 16 სხვადასხვა ჯიშის ვაზი — დაახლოებით 1000 ღერი საძირე, რომელიც დარგულ იქნა 1891 წლის მარტში. იმ ადგილას, სადაც ეს ვაზები იქნა დარგული, იყო ხურმაზე გაშვებული ჩხავერის ძველი ვაზი, რომელიც კარგა ხანია, რაც მოსავალს არ იძლეოდა. გასული წლის მარტში ამ ვაზის ერთი ნაყარი დავამაგრეთ (გადავიყვანეთ მიწაში), ხოლო მთავარი ვაზი ზედ ხეზევე დავტოვეთ დროებით. დამაგრებული ვაზი კი გასხლვის შემდეგ გავუშვით დაახლოებით ერთი საყენის სიმაღლე მკვდარ ხეზე. როგორც ცნობილია, დამაგრებული ვაზი პირველ წელიწადსვე იძლევა მოსავალს. შემდეგ შევუდექით ორივე ვაზის წამლობას ნაცარის და მილდიუს წინააღმდეგ. წამლობა სრულიად ერთგვარად და ერთდამავე დროს ხდებოდა ორივეზე. მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა და მონდომებისა, ხეზე დატოვებულ ვაზს ვერ ვუდგებოდით რიგიანად, ტოტები და ფოთლები ძლიერ გვიშლიდა გოგირდის შეფრქვევასაც და შაბიამანის სხურებასაც. ამიტომ, მაღალი ხის ყურძენი ვერ იყო ისე კარგად ნაწამლი, როგორც დაბალზე გაშვებული დამაგინებული ვაზის ყურძენი, რომლის მტევნები სრულიად თავისუფალი იყო ნაცრისგან, დროზე დამწიფდა და საერთოდ ძლიერ კარგი გამოდგა. ფოთლებიც ბევრად სალი და ცოცხალი ჰქონდა, ვიდრე ხურმაზე გაშვებულ ვაზს. ამისდაგვარად ჩვენ დავრწმუნდით, რომ მაღლარი ვაზის წამლობა ძლიერ ძნელია და უხერხული, ხოლო დაბლარის გაცილებით უფრო ადვილია.

ამ წლის გაზაფხულზე (ლაპარაკია 1894 წელზე) ზემოხსენებულ ხურმიდან ჩამოვიღეთ მთავარი ვაზიც, შვიდ ძირად ვაქციეთ გადანინდვის საშუალებით და სათანადო გასხლვის შემდეგ გავუშვით თითო საყენიან ხმელ ხეებზე. ამჟამად, ბახვის სასწავლებლის

ზვარში მოიპოვება 8 ძირი განახლებული და განკურნებული ჩხავერი, რომელიც დაფარულია დიდი ხნის უნახავი მშვენიერი მნიფე მტევნებით. ზვრის მოვლა-მოშენებას სასწავლებლის უფროსი მონაფეები აწარმოებენ მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ადგილობრივად საყვარელი ჯიშის — ჩხავერის ასეთი წარმატებული წამლობა და განკურნება მოსახლეობის დიდ ყურადღებას იპყრობს. სოფლელები დიდი გაკვირვებით უცქერიან ჩხავერის საღ მტევნებსა და უზადო ფოთლებს, რომელნიც იშვიათ კონტრასტს წარმოადგენენ მათ დაყვითლებულ და სწეულ ვაზებთან შედარებით. მომსვლელებს, რა თქმა უნდა, ხალისით ვუხსნით ხოლმე ვაზის წამლობის არა რთულ პროცესს.

იმავე დროს, როდესაც სასწავლებლის ბაღში ზემოხსენებული ცდა წარმოებდა, ამავე სკოლის მასწავლებელმა ბ.მგელაძემ სცადა თავის საკუთარ ბაღში სამი სხვა ადგილობრივი ჯიშის განახლება. ამ ცდის შედეგიც წარმატებული აღმოჩნდა. აღნიშნული წესით გაშენება და წამლობა ადგილობრივი ვაზისა, მით უფრო მოხერხებული და სარფიანია, რომ პირველსავე წელიწადს ანაზღაურებს გაღებულ შრომას და ხარჯებს, ვინაიდან გადანიღული ვაზი პირველსავე წელიწადს იძლევა მოსავალს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი ვაზის აღნიშნული წესით გაშენება საგრძნობლად ასწევს აქაურ მეყურძნეობას. ამისთვის, საკმაოა, რომელიმე მეპატრონემ მაგალითისთვის უფრო ფართოდ მიჰყოს ხელი ვაზის რაციონალურ გაშენებას და წამლობას.

ყირიმულმა ვაზებმა მხოლოდ წელს მოისხეს პირველად. მაგრამ, ვინაიდან ძლიერ ადრე დაიწყო მნიფება (იზაბელაზე ბევრად ადრე; იზაბელა კი საადრეო ჯიშად ითვლება აქ), ფრინველები დაეჩვივნ: განსაკუთრებით შაშვები ესხმოდენ და მათ მიერ დაკენკილმა მტევნებმა ლპობა დაიწყო. ის მტევნები კი, რომელთაც შაშვი არ შეხებია, მშვენივრად დამნიფდა, მაგრამ ამ ჯიშების შესახებ ცალკე ცნობას მოგაწოდებთ...

(დაიბეჭდა უკრნ. Кавк.сельс.хозя. 1894. N45.)

ქართული თარგმანი ქ.შარაშიძის

ხელ.ინსტ. ქ.შარაშიძის ფონდი. N173.

ექვსი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამბეოლოგია

ჯანი

ჯანი საშუალო ტანის ვაზია. საკმაოდ ნაყოფიერი. ლერწები წვრილი და მუქი წითელი ფერის, მუხლები მოკლე, ფოთლები მომცრო, თხელი, მოგრძო, სამყურიანი, მცირე ნალრებიანი, ზოგჯერ უნაღრო; ლერწის ნალრები ღია, ფოთლის კიდეები წვრილად დაკბილული, წვეტიანი; ფოთლის ზედაპირი სწორი, უქინქლო, ღია მწვანე ფერის; ფოთლის ლერწები გრძელი, წვრილი, მონითალო. მტევანი შუათანა სიდიდის, ტოტებიანი, მოგრძო, მეჩხერი. მტევნის კუნწი გრძელი, წვრილი; აგრეთვე ნაყოფის კუნწიც მოგრძო და წვრილი, სრულიად შავი, პრიალა, კუნწზე მჭიდროთ მიმაგრებული; მარცვლების კანი თხელი, მაგრამ ძალიან მკვრივი; გული ხორციანი, ტკბილი, ძალიან გემრიელი. ზამთარში კარგად ინახება. თუ მტევანი დიდხანს დარჩა ლერწზე — არ ლპება; ქიმიშივით ქვება. ამ ჯიშს ძალიან ეტანება სოკოსებური სნეულება და ფუჭდება. ჯანის ღვინო წითელია, მაგარი, სასიამოვნო, ნაზი, სურნელოვანი, კარგად ინახება და საუკეთესო ღვინოდ ითვლება გურიაში. ამ ჯიშს აშენებენ სოფელ ციხეს და საჯავახოს.

მტევანდიდი

ეს ჯიში მხოლოდ საღვინეა. მისი ღვინო მუქი წითელია და მაგარი, სასიამოვნო გემოს და სურნელოვანი. კარგად ინახება, ტიკებით შორს გადატანასაც კარგად იტანს. რამდენად ძველდება — უმჯობესდება; სწრაფად იზრდება, ისხამს ბევრს, მსუქანი ნიადაგი უყვარს; იმისი გრძელი და მსხვილი ლერწები მწვანე ან მიხაკის ფერია; მუხლებშია გრძელია, ფოთლები დიდრონი, თითქმის მრგვალი, მწვანე ფერის; ლერწების ნალრები ღრმა და ღიაა. ფოთლის კიდეების კბილები წვრილი და მახვილი; ფოთოლი ზემოდან უქინქლო. ქვევიდან ქინქლიანი. კუნწი გრძელი და წვრილი. მტევანი დიდი, ფრთებიანი,

მეჩხერი და ტოტებიანი. კუნნი მოკლე. ნაყოფის კუნნი გრძელი. მარცვლები შავი, შედარებით დიდი, ოდნავ მოგრძო, კანი თხელი, გული წვნიანი, ტკბილი, მაგრამ ისეთი გემრიელი კი არა, როგორც ჯანი. ეს ჯიში ძალიან გავრცელებულია გურიაში.

ჩხავერი

ძალიან სწრაფად იზრდება, ნაყოფიერია. ლერწები წვრილი აქვს, მონითალო ფერის, რომელსაც ზოლები და წინწკლები ძლივს აჩნია; მუხლებს შუა მოკლეა. ფოთლები საშუალო სიდიდის, მკვრივი, ზოგჯერ ხუთ ყურიანი ძნელად შესამჩნევი ნალრებით; ფოთლების კბილები მახვილი; ფოთლის ზედაპირი სწორი, უქინქლო მწვანე, ქვედა — მცირე ქინქლით დაფარული, ლერწი საშუალო სიგრძის, ვარდისფერი; მტევანი პატარა, ცილინდრიული მოყვანილობის, ზოგჯერ ფრთებიანი, საკმაოდ მკვრივი; ლერწი მოკლე, წვრილი, ვარდისფერი გადაჰკრავს; ნაყოფის კუნნი საშუალო სიგრძის, საკმაოდ მსხვილი; ნაყოფი წვრილი, მრგვალი მუქი მოვარდისფრო; კანი თხელი, ნაზი; გული საკმაოდ წვნიანი, ტკბილი, ცოტაოდენი სასიამოვნო სიმჟავით. საერთოდ ძალიან გემრიელი, მოვარდისფრო, სურნელოვან, ნაზ ღვინოს იძლევა. ის იმდენად ნაზია, რომ ტიკით არ წაიღება. მოჰყავთ გურიაში ბევრს ადგილას; განსაკუთრებით შემოქმედში, უჩხოხში, ლიხაურში, მაკვანეთში, რომლებიც ერთნაირი ჰავით და ნიადაგით განირჩევიან.

ჭუმუტა

ეს ჯიში სუფრის ყურძნათ ითვლება და კარგათა ც ინახება საზამთროთ. ღვინოს იძლევა მუქ წითელს, ცოტათი მძლავრ, სახელი ჭუმუტა ახასიათებს მტევნის სიმკვრივეს. ბუჩქი შუა ტანისაა, მოსავალი საშუალო იცის. ლერწები მონითალო ფერისა, ზოლებიანი, რომლებიც ძლივს აჩნია. მუხლი მოკლე, ფოთლები საშუალო, 3-5 ყურიანი, ნალრები ძლივს აჩნია; კბილები ფოთლის კიდეების მომცრო, წვეტიანი. ფოთლის ზედაპირი უქინქლო, მუქი მწვანე ფერის, შიგნითას (ქვეშას) ძლივს ეტყობა ქინქლი. ფოთლის

კუნნი საკმაოდ გრძელი, მონითალო. მტევანი საშუალო სიდიდის, რომელზედაც მარცვლები მჭიდროთ სხედან. ლერწი — მოკლე, მსხვილი. მარცვლები მრგვალი, წვრილი, სრულიად შავი, კანი სქელი, მაგარი; გული საშუალოდ წყლიანი. გემო მომჟაო ტკბილი, სასიამოვნო. აშენებენ საჯავახოს, ციხეს, ბასილეთში და ბახვში.

სხილათობანი

სხილათობანი საშუალო ტანის ვაზია. საკმაოდ ნაყოფიერი, ბევრი ნაყარი იცის, ლერწები საშუალო სიმსხოსი, მოყვითალო ფერის. მუხლები მოკლე, ფოთლები პატარა, მოგრძო, სამფრთიანი, უმნიშვნელო ნალრებიანი. ფოთლის კბილები ძალიან წვრილი, მახვილი ფოთლის ზედაპირი უქინქლო, ღია მწვანე, შიგნითა ქინქლიანი. კუნნი გრძელი, წვრილი. მტევანი საშუალო სიდიდის, კონუსის მსგავსი, საკმაოდ მკვრივი, ლერწი მოკლე, მსხვილი, ნაყოფის ლერწიც აგრეთვე. მარცვლები საშუალო სიდიდის, შავი ფერის მრგვალი, კანი თხელი, მდიდარი საღებავი ნივთიერებით, გული ძალიან წყლიანი, ტკბილი. ამ ჯიშს ძალიან ეტანება ნაცარი (oidium). მძლავრ ღვინოს იძლევა შავი ფერისას. აშენებენ საჯავახოს, ციხეს, ჯვარცმას და სურებში.

ალადასტური

ამ ჯიშს საჯავახოში და ციხეს აშენებენ. ვინაიდგან სხვა ჯიშებზე ვერ სძლევს სოკოსებური ავადმყოფობა, ცოტ-ცოტათი გურიის სხვა ადგილებშიც ავრცელებენ ამ ჯიშს. ღვინოს იძლევა მუქ წითელს, სხვა ჯიშებთან შედარებით უფრო მდარეს. ვაზი ძლიერ იზრდება და ნაყოფსაც ბევრს იძლევა, ლერწები მსხვილი, მონითალო, მიხაკის ფერი, მცირე ზოლებიანი, წვრილი ლაქებით დაფარული. ფოთლები დიდრონი, სამყურიანი, მცირე ნალრებიანი; ფოთლის კიდეების კბილები მცირე, მახვილი. ფოთლის ზედაპირი უქინქლო, მუქი მწვანე, ბრჭყვიალა; ქვედა ქინქლიანი კუნნი მსხვილი, მონითალო. მტევანი საშუალო, ცილინდრის მსგავსი. ლერწი გრძელი, ნაყოფის ფეხი (ლერწი) მოკლე და მსხვილი. ნაყოფი

შავი ფერისა. საკმაოდ მსხვილი, ცოტათი მოგრძო. კანი სქელი. გული ზომიერად წყლიანი, საკმაოდ ტკბილი, მაგრამ ისე გემრიელი არაა, როგორც სხვა ჯიშები.

ამავე 1900 წელში მე შემოვიარე გურიის ყველა რაიონები, სადაც მევენახეობას ეწევიან, მოვიტანე სკოლაში თითქმის ყველა ვაზის ლერწები. ფოთლიანმტევნიანად 32 ჯიში იყო, დანვრილებით ავწერე, დავბეჭდე მაშინდელ სამეურნეო ჟურნალებში. ექვსი ჯიშის აღწერილობა ვნახე და ქართულად გადმოვთარგმნე. დანარჩენი, სად იყო დაბეჭდილი არ მაქვს. მახსოვს, რომ **Кавк.сель.хозя.**-შიც ვაგზავნიდი წერილებს. გურულ ჯიშებში შესანიშნავ ყურძენს შეხვდებოდი, მაგალითად, კლარჯული (ცხენის ძუძუ), საზამთრო ჯიში იყო, სწორედ ცხენის ძუძუს ცერებს გავდა, ისე მშრალი იყო, რომ დანით რომ გასჭრიდი, წვენი არ გამოდიოდა. ძალიან კარგად ინახებოდა ეს ყურძენი, სულ არ ლპებოდა. ამბობენ, ამის მსგავსი ყურძენი აჭარაშიც მოიპოვებოდაო.

სხვადასხვაგვარი ავადმყოფობის და სრული მოუვლელობის გამო ეს ჩამოთვლილი ჯიშები თანდათან ისპობა და თუ გულშემატკივარი და მზრუნველი არავინ გაუჩნდა, უკვალოდ გადაგვარდება სამუდამოდ. სწორედ ამ გარემოებამ გამაბედვინა ხელი მიმეყო ექვსი საუკეთესო გურული ჯიშის აღწერისათვის. ვისაც ეს საქმე აინტერესებს, მას ეს ჩემი აღწერილობა დაეხმარება წარმოდგენა მაინც შეიდგინოს აღნიშნულ ჯიშებისა. აღწერის დროს მე ხელთ მქონდა ამ ვაზების ახალი ყლორტები ფოთლებითა და მტევნებით. ჯიშები ჩამოთვლილია მათ-მათი ღირსების მიხედვით — საუკეთესოსგან დაწყებული. ღვინის ღირსების განსაზღვრისას მე ვხელმძღვანელობდი იმ სანდო მოხუცთა აზრით, რომელნიც მომსწრე არიან მეღვინეობის აყვავებისა გურიაში და თავადაც კარგ მეღვინეებათ ითვლებოდნენ.

(გ. შარაშიძისგან შედგენილი წერილებიდან, 20 იანვარი, 1930 წ. გადმოთარგმნილია „Кавк. Вестник
практ. садоводства“).


ხელნაწერთა ინსტიტუტი. ქრ. შარაშიძის ფ. N191




გიგო შარაშიძე მეუღლესთან – ნინო ქიქოძესთან
და შვილებთან – ქრისტინე, შალვა, თამარ და დავითთან ერთად.



წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი



ნინო ქიქოძის მამა, მღვდელი ათანასე, ძმა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა



შალვა შარაშიძე



შალვა და დავით შარაშიძეები



თამარ შარაშიძე



საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმ: მარცხნიდან კოტე ჯაფარიძე, გრიგოლ ნათაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, სვიმონ მდივანი და ქრისტინე შარაშიძე





გიგო შარაშიძის საფლავი სოფელ ბახვში

შენიშვნები:

1. სოფელი საყვავისტყე მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში. ამჟამად იგი დაბლაციხის თემის საკრებულოს შემადგენლობაშია.
2. სოფელი სურები – ჩოხატაურის რაიონის მაღალმთიანი სოფელია.
3. ქეჩხო – ქურქი, რისამე ტყავი.
4. ბელყაიში – ტყავის მოქარგული ბრტყელი სარტყელია, რომელსაც ჩაქურაზე (გურულის ტანსაცმელი) ირტყამენ.
5. ექვილაჩებიან – ებგერებიან.
6. მაჭახელა თოფი – ძველებური (კაჟიანი) თოფის სახელი.
7. სოინარი – ძველი ხალხური მუსიკალური საკრავი.
8. სოფ. საჩინო, იგივე სოფ. გამოჩინებული. ახლა სამტრედიის რაიონშია, გურიის ადმინისტრაციულ საზღვართან.
9. ბახვი და ძიმითი – სოფლებია ოზურგეთის რაიონში.
10. ბებურ ბებურიშვილი – ქ.ოზურგეთის თავი, ძმა ცნობილი მსახიობისა და პოეტის ატატო ბებურიშვილისა. რუსულ ენაზე გამოსცა გურული ფოლკლორის ნიმუშები.
11. სოფელი ოზურგეთის რაიონში.
12. ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერი ოზურგეთის რაიონში მდებარეობს.
13. იგულისხმება აკაკის „ჩემი თავგადასავალი“.
14. იოსებ თაყაიშვილი – ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი, ღრმად განსწავლული პიროვნება. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში. იყო წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) მასწავლებელი.
15. წერილი დაბეჭდილი იყო ჟურნალ „განათლების“ 1915წ. N10, 1916 წ. N1, 2, 8-9-ში. იბეჭდება ამავე წიგნში.
16. პეტრე უმიკაშვილი – ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი. დიდი დამსახურება მიუძღვის ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და გამოქვეყნებაში.
17. თავადი სვიმონ გუგუნავა – ქართველი პოეტი; პოემა „თამარიანის“ ავტორი.
18. ექვთიმე ხელაძე – ცნობილი მესტამბე. 1872 წ. დააარსა საკუთა-

რი სტამბა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული მწიგნობრობის განვითარებაში. 1902 წ. ქართულმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა სტამბის 30 წლის იუბილე.

19. „სასოფლო გაზეთი“ — ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1868-1880 წწ. 1874-1880 წ. გაზეთს რედაქტორობდა პეტრე უმიკაშვილი.
20. „კრებული“ — ქართული ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1871-73 წ. ნ.ნიკოლაძის ინიციატივით.
21. ათანასე ქიქოძე — მღვდელი, ძმა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსისა. გარდაიცვალა 1892 წლის 8 იანვარს, დაკრძალულია ბახვში. მისი შვილებიდან ცნობილია მოსე ქიქოძე, ცნობილი ადვოკატი, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ერთ-ერთი ბიოგრაფი. ქალიშვილი ნინო — გიგო შარაშიძის მეუღლე გახლდათ.
22. ბახვის ღმრთისმშობლის ეკლესია 1867 წელს აიგო წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახსრებით. თავისი სიდიდით იგი გურიაში ერთ-ერთი საუკეთესო, გუმბათიანი ტაძარი ყოფილა. ეკლესია XX ს. 20-იან წლებში დაანგრიეს.
23. ერმილე ნაკაშიძე — აგრონომი, საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენებისა და პირველი ჩაის ფაბრიკის (ოზურგეთში) მშენებლობის ხელმძღვანელი.
24. გრიგოლ გურიელი — გენერალი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი, ცნობილი მწიგნობარი და ქველმოქმედი.
25. „ჯეჯილი“ — ქართული საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1890-1923 წწ. (რედაქტორ-გამომცემელი ა.თუმანიშვილი-წერეთელი).

სარჩევი:

წინასიტყვა 5

გიგო შარაშიძე

ჩემი მოგონებანი 17

წერილები:

ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან..... 109

მეფუტკრეობა გურიაში 168

”ჩხავერის“ ვაზის განახლებისა და

ყირიმული ვაზების გაშენების ცდა 173

ექვსი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამპელოგია:

ჯანი 177

მტევანდიდი 177

ჩხავერი..... 178

ჭუმუტა..... 178

სხილათობანი..... 179

ალადასტური 179

ამ სერიით გამოიცა:
ვარლამ სიმონიშვილი.
გურიის სიმღერების წარმოშობა.
თბ. 2005.

ხალხის გულშემატკივარი კაცი.
გრიგოლ გურიელი.
თბ. 2006.

ავქსენტი მეგრელიძე.
გურული ნადური.
თბ. 2006.

გამოსაცემად მზადდება:
დომიტრი ბაქრაძე.
გურიაში მოგზაურობის ანგარიშები.

გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი

თბილისი. 2006

10 5

ISBN 99940-62-66-2



9 789994 062669 >